

მ. დარჩია

# გაიოზ რექტორი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1987

წიგნში გაშუქებულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის შესანიშნავი ქართველი მოღვაწის — გაიზ რექტორის ცხოვრება და მისი პედაგოგიური, დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური შეხედულებანი. ნაჩვენებია ის დიდი როლი, რომელიც ქვეყნის წინაშე შეასრულა გაიზ რექტორმა, როგორც მეცნიერმა, პედაგოგმა, მთარგმნელმა, ლიტერატორმა და დიპლომატმა. სახელოვანი მამულიშვილი უშუალო მონაწილეობას იღებდა გეორგიევსკის ტრაქტატის შემუშავებაში.

ნაშრომი წარმოადგენს მეორე გამოცემას. პირველი გამოცემისათვის ავტორი დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიით.

რეცენზენტი გ. ხუნწარია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.

## შესავალი

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის თავისი მნიშვნელობით გამოიჩინა გაიოზ რექტორი. ამ უდავოდ დიდი ნიჭისა და ერულიციის ადამიანმა თავისი უნარი გამოამჟღავნა როგორც მეცნიერმა და პედაგოგმა, მთარგმნელმა და დიპლომატმა, ლიტერატორმა და ორატორმა. სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა ცნობილი მკვლევარი ალ. ცაგარელი, რომ «Архиепископ Гай, или Гайоз был одним из выдающихся личностей в грузинской истории XVIII в. Он известен как духовный сановник, писатель, педагог, миссионер и даже как дипломат и администратор»<sup>1</sup>.

გაიოზ რექტორი მიიქუთვნება იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოში სასკოლო საქმის დაწესებასა და განვითარებაში. მაგრამ გაიოზის მოღვაწეობა მართო საქართველოთი როდი განისაზღვრება. ამ შესანიშნავმა ადამიანმა, რომელმაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გაატარა, ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც საუკეთესო ორგანიზატორმა, აღმზრდელმა და ჰუმანისტმა. მხედველობაში ჰყავდა რა ეპოქის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მარქსიზმის კლასიკოსები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „მოძღვარი, მასწავლებელი ისევე ითვლება საზოგადო მოღვაწედ, როგორც მწერალი“<sup>2</sup>. სწორედ საზოგადო მოღვაწეთა საუკეთესო წარმომადგენლად გვევლინება გაიოზ რექტორი. უნდა ითქვას, რომ

<sup>1</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, г. I, вып. 3, СПб., 1894, стр. LIII.

<sup>2</sup> კ. მარქსის და ფ. ენგელსის, სახალხო განათლების შესახებ, თბილისი, 1942, გვ. 101.

მას სწავლისა და მეცნიერების დაუფლებსათვის ია-ვარდით მოფენილ გზაზე არ უვლია. მხოლოდ დიდმა ნებისყოფამ, შეუდარებელმა ენერგიამ და მიზნის მისაღწევად უდიდესმა მისწრაფებამ გაზადა ის დიდ მეცნიერად და დიდაქტიკოსად. „მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო სამხედრო გზა და მხოლოდ იმას აქვს შანსი მი-აღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშირებს დალღა; რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა მოითხოვს“<sup>3</sup>. მეცნიერე-ბის სწორედ ასეთ დაუცხრომელ მოღვაწეთა კატეგორიას ეკუთვნო-და გაიოზი.

პირველი, ვინც მასში დიდი დიდაქტიკოსისა და მასწავლებლის თვისებები შეამჩნია, იყო მისი აღმზრდელი ანტონ კათალიკოსი, რომელიც „...გაიოზს უწოდდა კარგსა მასწავლებელსა და მოძღვარსა და ადვილად ძნელთა განმმარტებელსა მოწაფეთადმი თვისთა“<sup>4</sup>. როგორც მისი თანამედროვენი, ასევე შემდგომი მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგაიოზი ეკუთვნოდა „ანტონის ღირსეულ მოწა-ფეთა რიცხვს“<sup>5</sup>.

გაიოზ რექტორის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე სპეციალურ-ი შესწავლის საგანი არ გამხდარა. არ დაწერილა მისი სრულყოფი-ლი ბიოგრაფია, ამდენად მკაფიოდ არ არის გარკვეული მისი როლი XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, მეცნიე-რებისა თუ ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ასევე ჭერ კი-დეც სრულყოფილად არ არის შესწავლილი და ფართო საზოგადოებ-რიობის სამსჯავროზე განსახილველად გამოტანილი გაიოზ რექტორის პედაგოგიური და საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

საესებით სამართლიანად შეიძლება მივუყენოთ გაიოზ რექტორს ცნობილი მკვლევრის ნ. მთვარელიშვილის სიტყვები იმის შესახებ. რომ ჩვენ „იმათაც ვივიწყებთ და ვკარგავთ, რომელთ ხსოვნა საჭიროა ჩვენის წარსულის დიდების აღსადგენად. ამათანა გვამებით საე-

<sup>3</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, სახალხო განათლების შესახებ, თბილი-თ, 1942, გვ. 27.

<sup>4</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 192; ე. თაყაი-შვილი, საისტორიო მასალები, წიგნაკი 1, თბ., 1913, გვ. 32.

<sup>5</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3 Москва, 1901, стр. 273.

სეა ჩვენი წარსული ცხოვრება, განსაკუთრებით მეტერამეტე საუკუნე, რომელიც ღირსია, რომ დაახლოებით გავიცნოთ, შევისწავლოთ“<sup>6</sup>.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ყოველმხრივი შესწავლა თანამედროვეობის საპატიო ამოცანაც არის და მოვალეობაც. მარქსიზმ-ლენინიზმი დაბეჭითებით მოითხოვს ძველი კულტურის შეთვისებასა და მის გადაამუშავებას. როგორც ცნობილია, „მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ, არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანთა აზრისა და კულტურის ორი ათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში“<sup>7</sup>.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უახლოეს წარსულში შეინიშნებოდა პედაგოგიკის ისტორიისადმი ერთგვარი ნიპილისტური დამოკიდებულება, რაზედაც სამართლიანად მიუთითა თავის გამოსვლაში პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პირველ სესიაზე ამავე აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. ზვოსტოვმა: „პედაგოგიური აზრის შემდგომი განვითარება აგრეთვე არ შეიძლება წარმოებდეს კაცობრიობის მიერ დაგროვილი პედაგოგიური გამოცდილებების საფუძვლიანი გათვალისწინების გარეშე. ამ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების შესახებ საჭიროა ითქვას იმის გამო, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ადგილი ჰქონდა პედაგოგიკის ისტორიის უგულვებელყოფას. წინათ გამოთქმულ პედაგოგიკურ იდეათა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე არ შეიძლება პედაგოგიკის მეცნიერების ნაყოფიერი განვითარება“<sup>8</sup>. ამ სიტყვებში ნათლად იგრძნობა წარსულის მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ლენინური პრინციპი.

წინამდებარე მონოგრაფიის ამოცანაა გააშუქოს თვალსაჩინო ქართველი მოაზროვნისა და მეცნიერის გაიოზ რექტორის საგანმანათლებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი პედაგოგიური იდეები და ამით ზელი შეუწყოს წარსულის კრიტიკულ ათვისებას.

<sup>6</sup> ნ. მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თელავის სასულიერო სემინარია და მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი, ჟურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 90.

<sup>7</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თბზ., ტ. 31, თბ., 1952, გვ. 381.

<sup>8</sup> Н. Хвостов, Научная основа просвещения, «Учительская газета», 8. II, 1968 г.

ყოველი მკვლევარი, რომელიც გაიოზის მეცნიერულ მემკვიდრეობას შეეხება, დიდი სიფრთხილით უნდა მიუღდეს მის შრომებს, ჩამოაცილოს მათ თეოლოგიური საბურველი და გამოაშუქეროს სალი, მეცნიერული აზრები და პედაგოგიური შეხედულებანი, რომლებიც დიდი რაოდენობითაა გაბნეული მის ორიგინალურ ნაწერებსა და მრავალრიცხოვან ნათარგმნ ნაწარმოებებში.

ჩვენც ვცდილობდით სწორედ ამ პოზიციიდან შეგვესწავლა და გავვეშუქებინა გაიოზის ცხოვრება და შემოქმედება. ამასთანავე ვფიქრობთ, რომ პედაგოგიკის ისტორიის სპეციალისტებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ავტორის ცდა — მონოგრაფიის სახით წარმოადგინოს XVIII საუკუნის დიდაქტიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნაშრომი კონკრეტულ ამოცანებს ისახავს: საარქივო მასალებსა და ძველ, აგრეთვე თანამედროვე მრავალრიცხოვან მეცნიერულ-ლიტერატურულ ნაშრომებზე დაყრდნობით შეისწავლოს გაიოზ რექტორის ცხოვრების ბიოგრაფიული ქარგა და მისი მეცნიერულ-პედაგოგიური მემკვიდრეობა.

გაიოზ რექტორის ორიგინალურ შრომებსა და ნათარგმნ მეცნიერულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომელთა რაოდენობაც სამასს აღემატება, ყურადღებას იპყრობს პედაგოგიური და აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები და შეხედულებები. ეს შემთხვევითი არაა, რადგანაც გაიოზ რექტორის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა შერწყმული იყო მის პრაქტიკულ საგანმანათლებლო საქმიანობასთან. ეს განსაკუთრებით სრულყოფილად გამოიხატა თელავის სემინარიის დაარსებაში, რომლის პირველ რექტორად გაიოზი იყო დანიშნული.

მონოგრაფიაში გამოყენებულია ისტორიული, მეცნიერულ-ლიტერატურული მასალები და გამოკვლევები, რომლებიც გაიოზ რექტორის ეპოქას განეკუთვნება ანდა თუნდაც ვაკერით ეხება მის მოღვაწეობას.

მასალები, რომლებიც ზოგადად მაინც ჰფენენ შუქს გაიოზის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის ამსახველ სხვადასხვა პერიოდს, მოიპოვება ანტონ კათალიკოსის, ნ. მთვარელიშვილისა და ცნობილი რუსი ისტორიკოსის — ნ. პალმოვის თხზულებებში.

ავტორის კვლევის ძირითად წყაროს გაიოზ რექტორის შრომები წარმოადგენს. მკვლევარს განსაკუთრებული ყურადღებით არის შეს-

წავლილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული მასალები, რომლებიც, ცნობილი მკვლევრის ე. თაყაიშვილის ხატოვანი გამოთქმით, „გვაძლევენ საშუალებას ღრმად ჩავიხედოთ ჩვენი წინაპრების ცხოვრებაში და შევადგინოთ ნამდვილი სურათი მათი ცხოვრებისა“<sup>9</sup>.

მონოგრაფიაში გამოყენებულია გაიოზ რექტორის თანამედროვეების — იონა რუისის შიტროპოლიტის, ანტონ კათალიკოსის, დავით, ბაგრატ და იოანე ბატონიშვილებისა და სხვათა შრომები და ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც აშუქებენ XVIII საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრების ცალკეულ მხარეებს, რაც ჩვენთვის ესოდენ საჭიროა გაიოზ რექტორის მოღვაწეობის დროინდელი ეპოქის შესასწავლად.

ნაშრომში ფართოდ არის ასახული ცნობილი მოღვაწეების — მ. თამარაშვილის, პ. კარბელაშვილის, ზ. კიკინაძის, მ. ხელთუფლიშვილის, მ. ჭანაშვილის, ა. ხახანაშვილის, თ. უორდანიას, ნ. მარის, ა. ფურცელაძის, ა. ცაგაროს, ე. ნიკოლაძის, ეპისკოპოს კირიონისა და სხვების — მეცნიერული და ლიტერატურული გამოკვლევები, რომლებშიც საყურადღებოა ცნობებია მოცემული XVIII საუკუნის საქართველოსა და გაიოზ რექტორის შესახებ. ზოგ შემთხვევაში ეს მასალა მკდარიცაა და კრიტიკულ მიდგომასა და დაზუსტებას მოითხოვს.

ნაშრომი ეყრდნობა აგრეთვე ჩვენი საუკუნის მეცნიერების — ი. ჭავახიშვილის, კ. კეკელიძის, ე. თაყაიშვილის, ს. მაკალათიას, გ. თავზიშვილის, ს. კაკაბაძის, შ. ნუცუბიძის, ნ. ბერძენიშვილის, ვ. დონდუას და სხვათა მეცნიერულ შრომებსა და შეხედულებებს XVIII საუკუნის საქართველოს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე თანამედროვე მეცნიერ-მკვლევრების — ა. ფრანგიშვილის, ტ. სარიშვილის, ტრ. რუხაძის, აპ. როგავასა და ლ. მენაბდის საინტერესო ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და ისტორიულ გამოკვლევებს.

წიგნში გამოყენებულია პ. ბუტკოვის, ნ. პალმოვის, მ. ბლაგონ-რავოვის, მ. ბროსეს, ნ. დუბროვინის, ვ. რომანოვსკის, ი. სავინსკის.

<sup>9</sup> ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1913 გვ. IV.

ტონკმელისის, ნ. ნოვიკოვის და ლხვათა შრომებში წარმოდგენილი მასალები, რომლებშიც განხილულია XVIII საუკუნის რუსეთისა და მის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალური საკითხები. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ფ. პროკოპოვიჩის „რელამენტს“, რომელმაც სრული ასახვა პოვა თელავის სასულიერო სემინარიის სინამდვილეში.

ნაშრომში გათვალისწინებულია აგრეთვე ის მასალები, რომლებიც ქვეყნდებოდა. XIX საუკუნის მანძილზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და მიძღვნილი იყო როგორც გაიოზ რექტორის, ასევე სემინარიების მუშაობის საკითხებისადმი.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ მთლიანად და ამომწურავად ვახასიათებთ გაიოზ რექტორის მოღვაწეობას და მისი პედაგოგიური იდეების ყველა მხარეს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მონოგრაფიას ამ სახითაც შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს ქართული პედაგოგიკის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დღემდე ნაკლებად შესწავლილი საკითხის მეცნიერულ გაშუქებაში.



## თ ა ვ ი

### საქართველო XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში

#### 1. ქვეანის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვა

ყოველი დიდი საზოგადო მოღვაწე თავისი ეპოქის შვილია. გაიოზ რექტორის სოციალურ-პოლიტიკური და განსაკუთრებით კი პედაგოგიური შეხედულებანი გასაგები გახდება მხოლოდ მაშინ, თუ განვიხილავთ იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, როცა გაიოზი მოღვაწეობდა.

ცნობილია, რომ გვიანფეოდალური საქართველო გარეშე მტრების მუდმივი თავდასხმების ობიექტი იყო. ჯერ მონღოლების ბატონობამ, ხოლო შემდეგ თემურლენგის ურდოების შემოსევამ საფუძვლიანად შეარყია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება. მომდევნო პერიოდში საქართველომ ვერც კი მოასწრო შესვენება, რომ მას კიდევ უფრო საშინელი რისხვა დაატყდა თავს მომძლავრებული, აგრესიული მაჰმადიანური სახელმწიფოების—ირანისა და ოსმალეთის—განუწყვეტელი შემოსევა-თავდასხმების სახით.

დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ბარბაროსი თავდამსხმელების წინააღმდეგ. აუწერელი ზიანის საფასურად ქართველმა ხალხმა შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ქვეყნის მიყვანა წყნარ ნავსაყუდლამდე.

XVIII საუკუნის II ნახევრისათვის ქართლ-კახეთის სამეფო პო-

ლიტიკურად და ეკონომიურად ირანის სახელმწიფოს გავლენის სფეროში იმყოფებოდა და ირანის მაშინდელმა შაჰმა ნადირმა ქართლის მეფედ თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ მისი შვილი, ქართველი ხალხის ეროვნული გმირი ერეკლე II დანიშნა. ეს აქტი 1744 წელს განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ „თეიმურაზ II-ისა“ და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფით კი არ ამოიწურება, თვით იმდროინდელი ქართველობის ცხოვრებისა და კულტურის ვითარებაც მხოლოდ გარეგანი წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარებით კი არ განისაზღვრება, არამედ თვალსაჩინო შინაგანი აღმაშენებლობაც წარმოებდა, სახელმწიფოებრივ წესწყობილებათა, ეკონომიურ სფეროშიაც, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიაც საგულისხმიერო და ცხოველყოფელი შემოქმედება იყო“<sup>10</sup>.

აღნიშნულ პერიოდში ერეკლე II-ის მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგად ქვეყანა ნელ-ნელა ეკონომიურად ძლიერდებოდა და შენდებოდა. გაიზარდა და გაფართოვდა ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, გორი, თელავი. გადიდდა საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელობაც. მომძლავრდა ხელოსნობა, იმატა მისმა ნაწარმმაც, აღმოცენდა მსხვილი სარეწაოები, რომლებიც „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ იწოდება. გაიზარდა როგორც სავაზნო, ასევე სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობა, რომლის კანონზომიერ შედეგსაც წარმოადგენდა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დიფერენციაცია, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნა.

ერეკლე II ცდილობდა დაკავშირებოდა ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერ გარე სამყაროს, გაეგზავნა ახალგაზრდობა საზღვარგარეთ განათლების მისაღებად, მოეწვია ისეთი პირები, რომლებიც მას ახალი, კაპიტალისტური წარმოების წამომწყებად გამოადგებოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო მკვეთრ აღმავლობას განიცდიდა. „რადაც 25—30 წლის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველო, წინათ დაშლილი, ერთიანდება ერთხელმწიფების ქვეშ, ამასთანავე ფართოვდება მისი საზღვრებიც, ისმება საკითხი მთელი საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანების შესახებ. მრეწველობა ნელა, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს. მე-18 ს. მეორე ნა-

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი V, თბ., 1953, გვ. 66.

ხევრიდან ტფილისში არსებებდნენ თოფხანა და თოფის წამლის (დენტის) ქარხანა, 1770 წელს — საქსოვი სახელოსნო. არის ცნობები, რომ ამავე ხანებში ტფილისში უნდა ყოფილიყო შუშის ქარხანაც, ამავე პერიოდში იწყება მუშაობა ახტალის მადნებში... იგივე ირაკლი ცდილობდა რუსეთიდან გამოეწერა სპეციალისტები მაულის ქარხნის გასახსნელად. არ შეიძლება ყველაფერს ამას ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა ცხოვრების სხვა მხარეებზეც: ადგენენ პროექტებს სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეცვლის შესახებ, წარმოებს მუშაობა ჯარის რეორგანიზაციისათვის, აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლისა და ფულის სისტემის გარდაქმნისათვის, ამუშავებენ კოდექსს მეფის უფლების, სამღვდლოების, მოხელეებისა და სასამართლოს შესახებ. ცდილობენ მოაგვარონ სკოლის საქმეც“<sup>11</sup>. ასე მოკლედ და სხარტად დაახასიათა პროფესორმა ვუკოლ ბერიძემ XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველო.

საქართველოს იმდროინდელ მესვეურებს, განსაკუთრებით კი ერეკლე II-ს, ღრმად სწამდათ, რომ ქვეყნის აღორძინება დროებითი მოვლენაა, რომ საქართველო მარტო ვერ გაუმკლავდებოდა მაჰმადიანურ გარემოცვას და ადრე თუ გვიან მისი აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე და მფარველი. ასეთად ერთმორწმუნე რუსეთი იქნა მიჩნეული, რომელთანაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებდა.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული მასალებიდან ვიცით, რომ ქართველი მეფე-მთავრები და თავკაცები ჯერ კიდევ XV საუკუნეში მიხვდნენ, თუ რა დიდი ძალა წარმოიქმნა ჩრდილოეთში რუსეთის სახელმწიფოს სახით. თურქ-სელჩუკთა შიერ ბიზანტიის იმპერიის განადგურება-დაპყრობამ უფრო მეტად დაუახლოვა ერთმანეთს რუსები და ქართველები, როგორც ერთმორწმუნენი და მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ მებრძოლნი.

XVII—XVIII საუკუნეებში რუსეთთან უფრო ახლო ურთიერთობის დამყარებისათვის სათანადო ნიადაგი მომზადდა. საქართველოს მესვეურთა პროგრესულად განწყობილი ნაწილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მაჰმადიანური გარემოცვის საშიშროებიდან თავის დაღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ რუსეთთან დაკავშირებისა და მეგობრობის საშუალებით.

<sup>11</sup> ვ. ბერიძე, დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, თსუ შრომები, ტ. 1, 1936, გვ. 315.

აღნიშნული დროისათვის რუსეთის სახელმწიფო თვით იჩენს დაინტერესებას ამიერკავკასიით, კერძოდ საქართველოთი, თუშუცა მისი პოლიტიკა XVII საუკუნეში შედარებით გაუბედავია, ვიდრე მომდევნო ხანაში. დასავლეთ ევროპასთან შედარებით ჩამორჩენილი რუსეთი გაცილებით მაღლა იდგა ირან-ოსმალეთზე თავისი საწარმოო ძალების განვითარებით, მეცნიერებით, კულტურით და სხვ.

„წინაპარნი ჩვენნი, — ამბობდა ერეკლე II, — მოადგილენი, მშობელნი ჩვენნი და ქვეყანა ჩვენი მრავლის წლითაგან ცდილობდნენ და მრავალნიც კიდევ გარდაიცვალნენ უმალესსა კარსა ამ დღისათვის, რომ რუსეთის საფარველი დაგვდებოდა და ჩვენს ქვეყანაში მათი ჯარი გვენახა“<sup>12</sup>. ასე განსაზღვრა საქართველოს ერთ-ერთმა ამაგდარმა მოღვაწემ თავისი ქვეყნისა და ქართველი ერის მომავალი. „ყოველნი სასულიერონი და საერონი გვამნი თხოულობენ რუსეთისა მფარველობასა“,<sup>13</sup> — ასე გამოხატა საქართველოს მესვეურთა მისწრაფება გიორგი XII-მ, საქართველოს უკანასკნელმა მეფემ. საქართველოს უკანასკნელ მეფეთა სურვილის ასეთი პირდაპირი გამოხატვა შემთხვევითი არ არის; მათმა წინამორბედმა მეფეებმაც, არჩილმა და ვახტანგ VI-მ, რომ რუსული ორიენტაცია აირჩიეს თავიანთი პოლიტიკის ქვაკუთხედად, რამაც მათ საბოლოოდ რუსეთში ემიგრაცია და ცხოვრება არგუნა წილად. რუსული საარქივო მასალებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1743-45 წლებში რუსეთის იმპერატორის განკარგულებით მიწის ნაკვეთები რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში დაურიგდა 5000-ზე მეტ ქართულ ოჯახს<sup>14</sup>, ხოლო ბევრი, ვინც ნაკვეთი ვერ მიიღო, მაინც რუსეთში დამკვიდრდა საძუდამო საცხოვრებლად.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII, 1801 წლის 18 იანვარს კი მოსკოვსა და პეტერბურგში გამოქვეყნდა პავლე I-ის უზენაესი მანდიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს უნდა შეერთებოდა, მაგ-

<sup>12</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы. XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 г. СПб., 1891, стр. 32.

<sup>13</sup> ბ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936, 33-175.

<sup>14</sup> Н. Плохинский, Поселение грузин в Малороссии в XVIII в., Киев, 1916, стр. 7.

რამ მის განხორციელებას ხელი შეუშალა იმპერატორ პავლე I-ის მკვლელობამ. იმპერატორ ალექსანდრე I-ის ხელმძღვანელობით რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესმა ორგანომ, სახელმწიფო საბჭომ, განიხილა საქართველოს საკითხი, რომლის ქვაკუთხედსაც წარმოადგენდა საქართველოს მნიშვნელობა რუსეთის სახელმწიფოსთვის და მისი გამოყენება პლაცდარმად მომავალი აგრესიისათვის სამხრეთის მაკმადიანური სახელმწიფოების წინააღმდეგ. 1801 წლის 12 სექტემბერის მანდიფესტით საქართველოში რუსული მმართველობა დაბუარდა. ამრიგად, აღნიშნული დღიდან საქართველო რუსეთის პროვინციად იქცა.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მონარქი მფე და მემამულეები იდგნენ, მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. ამ აქტის განხორციელებით საქართველო გადაურჩა სპარსეთის ყაენისა და თურქეთის სულთნისაგან შთანქმას. რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ხელი შეუწყო როგორც ორი ერთმორწმუნე ხალხის კულტურის შერწყმასა და ურთიერთგამდიდრებას, ასევე მათ პოლიტიკურ-ეკონომიურ ერთიანობასა და სიძლიერეს. ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ ქართველი ხალხი თანდათან დაუახლოვა რუს ხალხს, რომელთანაც ერთად იბრძოდა ის როგორც გარეშე მტრების, ასევე ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ.

გეორგიევსკში 1783 წელს დადებული „რუსეთ-საქართველოს სამეგობრო ხელშეკრულება“, რომლის გაგრძელებას 1801 წლის პოლიტიკური აქტი შეადგენდა, გამობატავდა ქართველი ხალხის ძირითადი სოციალური ძალების ნება-სურვილს, რაც ისტორიული აუცილებლობით და კანონზომიერებით იყო გამოწვეული.

ჩერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე ქართლ-კახეთის სამეფოში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ ქვეყანა სრულ გალატაკებამდე მიიყვანა. არეულობას, შფოთს ხელს უწყობდა სახელმწიფოებრივი აპარატის მოუქნელობაც. ყოველივე ამის გამო იოანე ბატონიშვილმა საჭიროდ ცნო წარედგინა მამა-მეფისათვის სახელმწიფოს გარდაქმნის კანონ-პროექტი, სადაც ავტორი, ხედავდა რა ქვეყნის სვედამწვარ მდგომარეობას, აღნიშნავდა, რომ „სხვა და სხვა გვარმან ცვალებამან კანონთამან, უთანხმოებამან და უწყობამან მართველობისამან, მოიყვანეს თითქმის სრულიად საქარ-

თველონისა ერნი განწირულებასა შინა და ამა გარემოებასა შინა მყოფი აღყვანებულ იქმენ საყდარსა წინაპართა შენთასა და ჰსჭკრეტ ყოველსა ამას უწესობასა და წარუმართებლობასა საქმისასა და უკეთულონესა არა რაისამე მოიპოვებთ, ესე უბედურებაი იქნების განგრძობებულ“<sup>15</sup>.

ისტორიული წყაროებით კარგადაა ცნობილი, რომ 1783—1801 წლების აღნიშნულ პოლიტიკურ აქტს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, ადგილი ჰქონდა გავლენიანი წრეების განსხვავებულ აზრთა ჭიდილს, პოლიტიკურ კონფლიქტებს. ისეთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეც კი, როგორაც იოანე ბატონიშვილი იყო, აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყანა „გამცემ კაცთაგან დადბლებულაო“ (1799 წ. „პროექტში“). საკმაო ტკივილები მიაყენა ისედაც ტანჯულ ქვეყანას ალექსანდრე ბატონიშვილმაც (1770—1844 წწ.), რომელიც მაჰმადიანური სახელმწიფოების (კერძოდ ირანის) ხელშეწყობით ცდილობდა საქართველოს ძველი დიდების აღდგენას, რაც ჩანასახშივე განწირული იყო ჩასაფუშავად.

ფეოდალების ჯგუფი, რომელმაც დაკარგა განუსაზღვრელი ბატონ-პატრონობა, შეთქმულების გზას დაადგა. „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი. ეს იყო „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოდრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ იჩახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში“<sup>16</sup>. ესაა 1800-იანი წლებოს საქართველოს ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის ჭეშმარიტი დახასიათება.

ქვეყნის მოკლე სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიმოხილვიდან დავინახეთ, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროებმა

<sup>15</sup> ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სქულები, თბ., 1957, გვ. 5.

<sup>16</sup> ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თბ., ტ. 1, თბ., 1947, გვ 32—33.

მძიმე პოლიტიკური კრახი განიცადეს და გამოუვალ მდგომარეობას რუსეთთან შეერთებით დააღწიეს თავი. მოსალოდნელი იყო, რომ ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეკონომიური მდგომარეობის შედეგად დაეცემოდა მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ხელოვნების დონე საქართველოში, მაგრამ იმ პერიოდში ასეთი რამ არ შეინიშნება. „ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავება ყოველთვის როდი ემთხვევა ხალხის პოლიტიკური ცხოვრების აყვავებას“<sup>17</sup>. აღნიშნული პოლიტიკური, და ეკონომიური მდგომარეობის ზუსტ, მეცნიერულ განსაზღვრას მარქსიზმის კლასიკოსები გააძლევენ. «...Политическое, правовое, религиозное, литературное, художественное и т. д. развитие основано на экономическом развитии. Но все они также оказывают влияние друг на друга и на экономическую основу. Дело обстоит совсем не так, что только экономическое положение является единственной активной причиной, а остальное является лишь пассивным следствием. Нет, тут взаимодействие на основе экономической необходимости, в конечном счете всегда прокладывает себе путь»<sup>18</sup> მართალია, პოლიტიკურ და ეკონომიურ კრახს თან არ დართვია მეცნიერებისა და კულტურის კრახი, მაგრამ მოვლენების განვითარებამ შემდგომ პერიოდში გამოიწვია აღნიშნული დარგების საგრძნობი დაქვეითება.

ცნობილია, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული სულ უფრო დაქვეითდა და დაეცა ქართული კულტურა, ხოლო XV საუკუნეში უკვე საგრძნობლად შემცირდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა XVI—XVII საუკუნეებში. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, რომელიც გამოწვეული იყო მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობით, ი. ჭავჭავაძის მიხედვით აღნიშნავდა, რომ „საბედნიეროდ ქართველობამ ეს შესძლო. ამ საშინელ ვასაჭირში მან მართლაც მთელი თავისი ენერჯია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინ აღუდგა. ქართული ენა რომ სპარსული აბრევებებით არ შერყვნოდა და ნამდვილი ქართული უცხოურისაგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი. გიორგი XI წინადადე-

<sup>17</sup> В. Н. Перетц, Краткий очерк методологии, М., 1922, стр. 36.

<sup>18</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, О литературе, М., 1958, стр. 470.

ბით ამგვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ სულხან-საბა ორბელიანმა იცისრა, რომელსაც მან 30 წელიწადი მოაზღოდა. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ეხლაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის, მაშინ ხომ იგი ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველობას. უცხო ენის ზეგავლენით რომ ქართული ენის ბუნება და კანონები არ შებღალულოყო, ქართული გრამატიკა იქნა შედგენილი, ჯერ მოკლე შანშოვანის მიერ, ხოლო უფრო გვიან ვრცელი ანტონი კათალიკოზის მიერ“<sup>19</sup>.

XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, განსაკუთრებით, მის მეორე ნახევარში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა, მკვეთრი აღორძინება განიცადა მეცნიერებამ და კულტურამ, «XVIII век обогащается новыми видами литературного творчества: появляются систематизированные проповеди, любопытные путешествия светских и духовных лиц, весьма ценные мемуары и исторические записки»<sup>20</sup>. თავი იჩინა რუსული კულტურის გავლენის პირველმა ჩანასახებმაც. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო რუსეთს გატილებით აღრე დაუკავშირდა კულტურულად და ლიტერატურულად, ვიდრე პოლიტიკურად. „რუსული წიგნური ცოდნა შეჭრილა აღორძინების ხანის ეკლესიურსა და ლიტერატურულ ცხოვრებაში, იდეოლოგიასა და მწერლობაში. რუსული კულტურისა და ხელოვნების კვალი ამჩნევია XVII საუკუნის ქართულ მხატვრობასა და XVIII საუკუნის ქართულ თეატრს, ბეჭდვით საქმესა და სკოლას. ევროპულ განმანათლებელთა იდეოლოგია რუსეთიდან შემოიჭრა ქართულ მწერლობასა და შეგნებაში“<sup>21</sup>. აღნიშნული პერიოდისათვის ითარგმნა რუსულიდან ქართულ ენაზე ვოლტერის, მონტესკიეს, ვოლფის, რასინისა და სხვათა ნაწარმოებები. ცნობილი მეცნიერის, ა. ხახანაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, «оно начинает усваивать новые вкусы, наметившиеся еще в XVIII в. благодаря учащенным сношениям Грузии с Россией. Оттуда, между прочим, достигли до Закавказья

<sup>19</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 3.

<sup>20</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Москва, 1901, стр. 145.

<sup>21</sup> ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბ. 1960, გვ. 65.



отголоски западноевропейских литературных течений»<sup>22</sup>. ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველო «переживает один из сильных подъемов в своей жизни, точно это был последний симптом обреченного на гибель политического организма. Народ напрягает свои силы и выдвигает из своей среды талантливых деятелей, составивших славу и гордость страны»<sup>23</sup>.

XVIII საუკუნის საქართველოში როგორც პოლიტიკურ, ასევე მეცნიერულ და კულტურულ ფრონტზე მოღვაწეობდა იმ თაობის პლეადა, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა ქართულ ეროვნულ საგანძურში.

## II. სახალხო განათლება და მისი განვითარების გზები

სახალხო განათლების ისტორიის მონაკვეთი, რომელსაც ჩვენ გაი-  
ოზ რექტორის მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოკლედ უნდა შევე-  
ხოთ, XVIII საუკუნით, უფრო ზუსტად, მისი მეორე ნახევრით შემო-  
იფარგლება. იმ პერიოდისათვის სწავლა-აღზრდას განსაზღვრავდა  
არსებული ბატონყმური, ფეოდალურ-ეკლესიური საზოგადოების ინ-  
ტერესები. „ადამიანთა მოღვაწეობის უმაღლესი მიზანია სამეფოს  
დაცვა და შინაგანი სიმტკიცისათვის ქრისტიანული ზნეობის უშლე-  
ლობა — ამასთან იყო შეგუებული დიდაქტიკის (აღზრდის) საფუძე-  
ლებიც. „ყმისა ყველა „ბატონისა არს“ (ვახტანგისეული „დასაბამი  
სიბრძნისა — შიში უფლისა“ (საეკლესიო)“<sup>24</sup>. ბუნებრივია, რომ აღ-  
ნიშნული პერიოდისათვის ქვეყნის სწავლა-განათლების ბედ-იღბალი  
მთლიანად სასულიერო-კლერიკალური წრეების ხელში იყო და მი-  
სი განვითარების გზას წმინდა თეოლოგიური საფუძველი ჰქონდა.

XVIII საუკუნეში განათლების დარგში მოღვაწე განმანათლებლე-  
ბის უდიდესი შრომა, მათი ღვაწლი და ამაგი ხშირად შეუნიშნავი  
რჩებოდა. იშვიათი როდი იყო შემთხვევები, როდესაც რუსეთ-საქარ-

<sup>22</sup> А. Х а х а н о в, О журналистике, литературе, науке и искусстве Грy-  
зии, Тифлис, стр. 3.

<sup>23</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып.  
3. Москва, 1901, стр. 145

<sup>24</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, შ. მესხია, ნ. რატო-  
ნი, საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო, თბ., 1948, გვ. 149

თველოს მკვიდრო ფრთიერთობის პერიოდში იქმნებოდა და იგზავნებოდა რუსეთში ისეთი დოკუმენტები, სადაც მუქი ფერებით იყო დახატული სწავლა-აღზრდის საკითხები საქართველოში: «Народ Грузинский и Кахетинский вообще легкомысленный, ленивой, упрямой, невежи, воспитываются без всякого наставления не только нижняя, но царския дети, наук никаких нет, а ученье состоит в одной грамоте, да и той многия князья не знают. Что ж принадлежит до благородных женщин, то оне почти все писать умеют. Ежели дойдут до счету, то раскладывают бобами»<sup>25</sup>. ასეთ შეფასებას აძლევდა 1770 წელს ქართველთა განათლების დონეს რუსეთის ემისარი საქართველოში კაპიტანი იაზიკოვი. აღნიშნული საკითხის „გამუქებაში“ უფრო შორს წასულა ნ. დუბროვინი, რომელიც წერდა, რომ «чтение библии и единственной летописи (разумеется Картлис цховреба), основанной на баснях, составляли самая обширныя сведения ученых Имеретинцев и Мингрельцев»<sup>26</sup>.

მხოლოდ ერის შეუფასებლობასა და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უცოდინარობას შეიძლება მიეყვანა ასეთ დასკვნამდე ზემოხსენებული დამკვირვებლები. ასევე ქართული ეროვნული კულტურის უარყოფის ნათელ ნიშნებს წარმოადგენდა ის წიგნი, რომელიც 1880 წელს გამოქვეყნდა თბილისში სათაურით «Ход учебного дела на Кавказе с 1802 по 1880 год». წიგნი წარმოადგენდა კავკასიის ოლქის სასწავლებლების განყოფილების ანგარიშს — იმ ორგანოსი, რომელსაც სრული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა სწავლა-განათლების ისტორიაზე საქართველოში. აღნიშნული წიგნის ავტორები უგულვებელყოფდნენ განათლების არსებობას საქართველოში და მკითხველებს შემდეგ ცნობას აწვდიდნენ: «История образования на Кавказе есть вместе и история умственного пробуждения местных инородческих племен и постепенного сближения с Россией, которая в самом начале нынешняго столетия окончательно приняла на себя трудную роль умиротворительницы и просветительницы и в Закавказском крае, где до того времени господствовала вечная война с ея неизменными спутниками:

<sup>25</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, с 1768 по 1774 г., СПб., 1891 г., стр. 183.

<sup>26</sup> Тонкмелис, Правда об автокефалии грузинской церкви, Кутаис, 1905, стр. 141.

насилием, грубостью и невежеством»<sup>27</sup>. იქვე ვკითხულობთ: «В эпоху мирного присоединения Грузии к Российскому господству, в ней не было ни одного общественного или правительственного заведения для образования юношества»<sup>28</sup>. ეს იყო ცარიზმის ოფიციალური წარმომადგენლებს განცხადება, რომლის მიღმაც ის აზრი იმალებოდა, რომ გამართლებულიყო საქართველოს რუსეთთან შეერთება, რომ თითქოს ამ შეერთების მიზნის ერთ-ერთი კომპონენტი სწავლა-განათლების შემოტანა იყო საქართველოში.

ჩვენ შეგვიძლია არ შევეხოთ ოფიციალურ საარქივო მასალებს, სადაც მრავლადაა მოცემული საქართველოში სწავლა-განათლების ობიექტების არსებობის ამსახველო საბუთები, და დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი დოკუმენტის გაცნობით, რომელიც დავით რექტორმა, თელავის სემინარიის უკანასკნელმა რექტორმა, შემოუწავა ისტორიას<sup>29</sup>

დოკუმენტში შითითებულია იმის შესახებ, რომ ცარიზმის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, უამთა „იმპერატორობისა ალექსანდრე პირველისა, ძისა პავლე პირველისა იმპერატორისა“ მრავალი განსაცდელი შეამთხვიეს სემინარიის უკანასკნელ ხელმძღვანელს. დოკუმენტი დათარიღებულია 1801 წლით. გარდა ამისა, შემორჩენილია დავით რექტორის ცნობა იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში დაიხურა თელავის სემინარია<sup>30</sup>. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმის შესახებ, რომ რუსეთთან შეერთების პერიოდში საქართველოში არსებობდა სწავლა-აღზრდის კერა.

ცარიზმის ოფიციალურ წარმომადგენლებს გარდა იყო დიდი ჯგუფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისა, რომლებიც სალად და სწორად აფასებდნენ არსებულ მდგომარეობას და სათანადოდ განსაზღვრავდნენ საქართველოში კულტურის განვითარების მაღალ მაჩვენებლებს. «Грузины всегда имели охоту и способность в нау-

<sup>27</sup> «Ход учебного дела на Кавказе с 1802 по 1780 г., Тифлис, 1880, стр. 3.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>29</sup> კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—401. ქვემოთ ვველგან შემოკლებით: ხელნ. ინსტ.; თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 1, თბ., 1936, გვ. 317.

<sup>30</sup> გაზ. „ივერია“, № 39, 1877, გვ. 12.

кам, когда только была к тому им свобода и случай»<sup>31</sup>. ამ მოკლედ წინადადებით ნათქვამია ისიც, რომ ქართველებს სწავლის დიდი სურვილი და უნარი ჰქონდათ, აგრეთვე ისიც, რომ ქვეყანა მტრებისგან ყოველდღიური თავდასხმების მოლოდინში იყო და ამის გამო მოუცლელი. ამაზე მიუთითებდა რუსეთის იმპერატორის ოფიციალური წარმომადგენელიც ერეკლე II-ის კარზე მოურავოვი: «Будучи окружены варварами и не имея ни от кого подкрепления, недоставало им время прилежать к наукам, натуральным же разумом невероятным образом одарены»<sup>32</sup>. სწორედ ქართველი ხალხის შეუპოვრობამ და განათლებისადმი დიდმა მისწრაფებამ ათქმევინა თავის წიგნში ტონკმელისს შემდეგი სიტყვები: «Слава и честь народу, находившему в такой момент минуты для умственного труда! Не затмить этой славы и чести человеконенавистникам, буквально умирающим с горя и стыда при осмотре грузинских музеев, древнехранилищ и археологических бесподобных сокровищ грузинских монастырей»<sup>33</sup>.

რუსეთთან შეერთების პერიოდში რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი თბილისში, არსებობდა განათლების კერები, მიგვიითითებდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე ეპისკოპოსი კირიონი:

«В последние годы политического существования Карталино-Кახетинского царства, в городе Тифлисе, при церквах, для образования детей грузинского духовенства существовали школы: Сионская, Калоубанская, Метехская, Анчисхатская и пр., где обучалось около 400 детей мужского пола»<sup>34</sup>.

სკოლები, სადაც 400 ბავშვი სწავლობდა, მცირე როდი იყო იმდროინდელი თბილისისათვის და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სწავლა-განათლების კერებში აღმზრდელი მასწავლებლები მოწოდების სიმალლეზე იღვნენ. «...мы приходим к заключению, что образо-

<sup>31</sup> Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб., 1802, стр. 71.

<sup>32</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 год, СПб., 1891, стр. 218.

<sup>33</sup> То н к м е л и с, Правда об автокефалии груз. церкви, Кутаис, 1905, стр. 141.

<sup>34</sup> Е. Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 161.

ვანიე ვ გრუიი სუიწვოვოლო ი დო სოედიწიი გრუიი კ როსიი, ი ვ ეპოხუ სოგო რისოედიწიი»<sup>35</sup>.

ეს იყო მალალი თანამდებობის პირის, სოეგზარქოსოს ოფიციოლო რი წარმომადგენლის გოცხადებო, რომელიც თავის შრომოში ცდილოზდო გოემოროლებიწო ის პირობები, რაჰოც რუსეთოთო შეერთების შემდგე გომოიწვიო ქოროთული სკოლების რიცხვის მკვეთრი შემციორებო დო მათი ნაწილის დახურგო.

XVII სოუკუნის მეორე ნახევოროში სოქოროთველოს თოთქმის ყველო კუთხეში ეკლესიო-მონოსტრებოთო მოქმედებდო დოწყებოთი ტიპის სოსწოველებლები, გორდო იმ ადგილებოსო, რომლებიც მოჰმადიოწ დომჰყორობოთო მიერ იყო დოკოვებული (თუჰკო აქოც კი, თუ ეკლესიო-მონოსტრები არ იყო დოწგრეული, სწოველო არ შეწყვეტილო). სოსწოველებლების დოოარსებისოთვის გოწსოკუთრებოთი იზრუნო მეფე-რეფორმოტოროჰო ვოხტოწგ VI-მ. მონ „დოოოოო სოსწოველებლები, სოცო ასწოველიდწეწ ყველოსო გოწურჩეველოდ წოოდებისო დო ხორისხისო: სოღმორო წერილოსო, ფილოსოფიოსო დო სხვო. ამგვორის მისის მოღვოწეობოთი სოქოროთველოს მოწნოსტრებიდწო მოკლე დოროში სწოველო-მეცნიერებო დოტორიოლოდო მთელს სოქოროთველოში“<sup>36</sup>. ამ ციტოტოში სოგულისხმოო, რომ სკოლებოში „ასწოველიდწეწ ყველოს გოწურჩეველოდ წოოდებისო დო ხორისხისო“. ამოვე წიგნის სხვო ადგილზე მ. ჰოწოშვილი წერს: „მონოსტოროთო სკოლებოში სწოველობდწეწ ყოველიწი წოოდებიდწო“<sup>37</sup>. ვფიქრობოთ, ამ შემოთხვევოში აეტორი აროსწოოო ცნობოს გვოწვდის, როდგოწ შეუძლებელიო, რომ გვიოწფეოოლოდო პერიოოდში, როდესოც არსებობდო მკვეთრი დიფერენციოციო სოზოგოდოების სხვოდოსხვო ფენებს შორის, დოსოშვები ყოფილიყო სწოველებო „გოწურჩეველოდ წოოდებისო დო ხორისხისო“.

სწოველო-გოწოთლების კერები არსებობდო გურიოსო დო იმერეთოშიც, მიუხედავოდ იმისო, რომ სოქოროთველოს აღწიწწული კუთხეები ოსმოლეთის ძლიერ გოვლენოს გოწიციდო. «В XVIII в. небольшими культурными очагами в Западной Грузии, где еще сохранялось и поддерживалось культурное наследство Грузии XII в., проявлялись заботы о распространении грамотности среди хотя бы вступающих в духовное сословие и желающих быть служите-

<sup>35</sup> Е. Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 165.

<sup>36</sup> მ. ჰოწოშვილი, სოქოროთველოს სოეკლესიო ისტოოოი, ტფილისი, 1886, გვ. 127.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 131.

ლამი კულტა ვ სოლ მნოღოცხლენნო ცერკვოხ იმერეთი ი გური, ივლილს მონასტერი ი სუხეოვოვოხი პრი ნიხ შკოლს»<sup>38</sup>.

აღნიშნულ პერიოდში იმერეთში 11, ხოლო გურიაში 2 ეკლესიამონასტერი მოქმედებდა, რომლებიც ამავე დროს სწავლა-განათლების კერებიც იყო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს საქართველოს მთელი ტერიტორია მოფენილი იყო დაწყებითი ტიპის სასწავლებლების ქსელით. მაჰმადიან დამპყრობთა და მოთარეშე ლეკთა გამუდმებული თავდასხმების შედეგად ბევრი ეკლესია-მონასტერი აოხრდა და განადგურდა, ბევრგან ფანატიკოსმა მაჰმადიანმა მოძალადეებმა ამოწყვეტეს ქრისტიანული კულტის მსახურნი, რამაც გარკვეული უარყოფითი შედეგები გამოიღო. ამის დამადასტურებელია ის დიალოგი, რომელიც გვხვდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“; „ზაქარიამ უთხრა იოანეს: მე ვაპირებ სკოლის გამართვას დღესეთს. და, თუ შენც განწესდები, ხალიფობას მოგცემ შეგირდებისას და ჯამაგირსაც გაგიჩენენ“<sup>39</sup>.

„კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილს მეორე მეტად საგულისხმო ფაქტიც აქვს გადმოცემული, სახელდობრ, იოანე ხელაშვილის სტუმრობა გორში ამილახვართან.

„იოანე (ეხება გორის მღებარეობას და აღნიშნავს): არც სასწავლებლის და ხელოვნების მასწავლებელნი ყოფილან აქ.

ამილახვარი: ქართლში სხვაგან სად ყოფილა სწავლა და ხელოვნება, რომ აქ იყოს?

იოანე: „რომ არ ყოფილა, კიდევ ეტყობა!“<sup>40</sup>.

თუ „კალმასობის“ ავტორის ცნობას დავეყრდნობით, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ქართლის უმეტეს ნაწილში სწავლა-განათლების ობიექტები იმ პერიოდში უკვე აღარ არსებობდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო კახეთის იმ ადგილებშიც, რომლებიც, მაჰმადიან მარბიელთა რეგულარული თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, სკოლების რიცხვი მაინც საგრძნობლად მატულობდა. გამოჩნდა პირველი პლეადა იმ

<sup>38</sup> მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ისტორიის ინსტიტუტი, ნაკვეთი 1, თბ., 1944, გვ. 23; А. Пирцхалаишвили. Имеретия и Гурия в период 1804—1840 гг.

<sup>39</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 1, ტფილისი, 1936, გვ. 90.

<sup>40</sup> ი ქ ვ ე, გვ. 42.

ადამიანებისა, რომლებმაც შემდგომ ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინეს სწავლა-განათლების საკითხში. „სკოლები საქართველოში, რასაკვირველია, წინათაც იყო, „უამსა რღვევისა და დაკნინებისა“, მაგრამ უმთავრესად დაწყებითი და სასულიერო ხასიათისა. მე-18 საუკუნისა და განსაკუთრებით მის მეორე ნახევრისათვის ეს სკოლები უკვე უქმარია როგორც სასწავლო გეგმის, ისე თვით სწავლების ხარისხის მხრივაც. საჭირო იყო ძირითადი რეფორმა, და აი, ჩვენც ვხედავთ, რომ ამ მიზნით იწყება მასობრივი სწრაფვა ჩრდილოეთისაკენ, თავისებური სამეცნიერო მივლინება მოსკოვსა და პეტერბურგს — ეპოქის შესაფერ ცოდნათა მისაღებად და მათ გადმოსაწესებლად საქართველოში“<sup>41</sup>.

სკოლები გახსნილი იყო აგრეთვე იმ სახლებშიც, სადაც ეპისკოპოსები და სასულიერო იერარქიის სხვა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. უპირატესობა, ბუნებრივია, ეპისკოპოსების სახლებს ეძლეოდათ, სადაც უკეთესი პირობები იყო შექმნილი ცოდნის მისაღებად.

ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში კათალიკოს დომენტი III-ს (1704—1724 წწ., 1738—1742 წწ.) გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები, რათა ეკლესია-მონასტრებთან გაეხსნათ სასწავლებლები — მან „...თავი მოუყარა მწერალ-მწიგნობართა, შეჰკრიბა მრავალნი წიგნნი, გახსნა ყრმათა სასწავლო სკოლა“<sup>42</sup>. ამაზე მიუთითებს ისტორიკოსი პლ. იოსელიანიც<sup>43</sup>.

საყოველთაოდ ცნობილი იყო დავით გარეჯის მონასტერი, სადაც ყველაზე მაღალი წოდების წარმომადგენლები იღებდნენ სწავლა-განათლებას. სწორედ აქ ეზიარა თავდაპირველად სიბრძნეს XVIII საუკუნის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი პიროვნება ანტონ I კათალიკოსი. აღნიშნული დროისათვის დავით გარეჯის მონასტერში არსებობდა უმაღლესი „სკოლა“ უმდიდრესი ბიბლიოთეკით და მასწავლებელთა საუკეთესო კადრებით, სადაც შეისწავლა საქართველოს მომავალ-

<sup>41</sup> პროფ. ვ. ბერიძე, დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, თსუ შრომები, ტ. 1, თბ., 1936, გვ. 316.

<sup>42</sup> ვ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი, თფილისი, 1900, გვ. 132.

<sup>43</sup> П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, СПб., 1848, стр. 118.

მა მღვდელმთავარმა საღვთო წერილი, საღვთისმეტყველო და საერო საგნები. სწავლა-განათლების აღიარებული ცენტრები იყო გელათი იმერეთში და შემოქმედის მონასტერი — გურიაში. ასევე ვაქე იმერეთის განათლების ცენტრად გვევლინებოდა ხონი, რომელიც ეპარქიის ცენტრადაც ითვლებოდა. აქ წმინდა გიორგის ცნობილ ეკლესიასთან მიშენებული იყო სასწავლებელი, სადაც არაერთი სასულიერო და საერო პირი აღზრდილა<sup>44</sup>. «Монахи-книжники этих монастырей могли не только обучать грузинской грамоте, но некоторые из них были по тому времени настолько образованы, что были в состоянии преподавать греческий, латинский языки, классическую литературу и др. предметы»<sup>45</sup>.

ეკლესია-მონასტრებში სწავლის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის იოანე ბატონიშვილი, რომელიც, ახასიათებდა რა იოანე ხელაშვილს, აღნიშნავდა, რომ: „ესე არს ქვეყნით ჭიზიყით, აღზრდილი სკოლასა შინა თელავის ქალაქისასა, აწ ცხოვრობს ქვაბთახევეს მონასტერსა შინა და იღვწის იმა მონასტრისათვის, რათა მუნებურნი კრებულნი გამოზარდოს“<sup>46</sup>. ისეთ დიდ სასულიერო სასწავლებლებს, როგორც იყო თბილისისა და თელავის სემინარიები, მოსწავლეებს უმზადებდნენ იმჟამად საკმაოდ მომრავლებული პირველდაწყებითი სკოლები, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ — სიონის<sup>47</sup>, კალოუბ-

<sup>44</sup> „აღნიშნულ ეკლესიაში მოიპოვება ამავე სკოლაში დამზადებული წიგნები, როგორც წირვა-ლოცვისათვის საჭირო, ისე სასწავლო ხასიათისა. ეს წიგნები დათარიღებულია მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნის დასასრულამდე. უნდა დავასკენათ, რომ სკოლას დიდი ხნის, რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს“ (სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებული, ტ. 1, თბ., 1937, გვ. 144).

<sup>45</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 1, თბ., 1942, გვ. 23; А. Пирцхалаишвили, Имеретия и Гурия в период 1804—1840 гг.

ვ. ბერიძე, სვიმონ კუტიფირცხალავა (ქვემო იმერეთში წერა-კითხვის გავრცელების ისტორიისათვის).

<sup>46</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობი, ტ. II, თბ., 1948, გვ. 4.

<sup>47</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები XVII—XVIII სს-ში, ტფილისი, 1888. ეგება რა სიონის ეკლესიასთან სკოლის დაარსებას, ზ. ჭიჭინაძე გვაწვდის ცნობას, რომ იოსებ მიტროპოლიტმა, რომელიც XVIII საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი მწიგნობარი იყო, „თავისი მიტროპოლიტობის დროს სიონის მახლობლად საეკლესიო სკოლაც დააარსა, რომელ სკოლასაც შემდეგ კათალიკოსის სკოლა უწოდეს“ (გვ. 32).



ნის, ქაშვეთის, ანჩისხატის, ნეკრესის<sup>48</sup>, მეტეხის, ნათლისმცემლის ეკლესიისა და წმინდა ნინოს მონასტრის სკოლები<sup>49</sup>. სწორედ ამ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სასწავლებლებში იწვრთნებოდნენ და იზრდებოდნენ მომავალი საზოგადოებრივი მოღვაწენი<sup>50</sup>.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი პლ. იოსელიანი: „თელავიდან მოსრულსა დავითს, რექტორსა, თელავის სემინარიისა შემდგომად გაიოსისა მოძღვრისა, უბრძანა მეფემან დახედოს ქალაქსა თბილისსა სასწავლებელთა... მოწაფენი დროთა ამათ იყვნენ ოთხასამდინ, ვითარც იტყოდნენ თვალთ მხილველნი მოხუცნი“<sup>51</sup>. სასწავლო დაწესებულებები მართო ზემოთ ჩამოთვლილით არ განისაზღვრებოდა. საფიქრებელია, რომ სკოლები არსებობდა „ფხვენისს, შინდისს, ქრცხინვალს“. ამ ადგილებში სკოლების არსებობაზე მიგვითითებს ის ისტორიული მასალა, რომელიც წარმოადგენს ხელნაწერ დღიურს „პროტოიერეის იოანე ქართველოვისასა“<sup>52</sup>.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ დროს ზემოთ ჩამოთვლილ სასწავლებლებს „ნახევრადკერძო ტიპის სასულიერო დაბალ სასწავლებლებს უწოდებენ“<sup>53</sup> რაც, ჩვენი აზრით, მისაღებად უნდა ჩაითვალოს,

<sup>48</sup> XVIII ს. II ნახევარში ცნობილია ორი ნეკრესელი: დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ამბროსი მიქაძე. მათი მოღვაწეობის პერიოდში ეპარქიის ცენტრში, ნეკრესის ტაძართან პირველადწყებითი სკოლაც არსებობდა, რომელიც მათი სისტემატური კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა.

<sup>49</sup> „მას ეამსა წმინდა ნინოს მონასტერში იმყოფებოდნენ მრავალნი მოსწავლენი სამღვდლოდ შეგირდნი (ხაზგასმა ჩვენია—მ. დ.), რომელსაც ზრდიდა გარსევანიშვილი მღვდელმონაზონი თომა“ („მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, შეკრებილი ბატონიშვილების დავითის და მისი ძმების, 1744 — 1840 წწ., ტფილისი, 1905, გვ. 22; Е. Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 161). ამავე სკოლების არსებობაზე მიგვითითებდა ცნობილი მწიგნობარი, ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც დასძენს, რომ აღნიშნულ სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა 400 იყო.

<sup>50</sup> ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 2.

<sup>51</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936, გვ. 179.

<sup>52</sup> ვაზ. „ივერია“, 1889 წ., №№ 203, 204, 205, 253, 255, 262.

<sup>53</sup> ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 77.

რადგანაც სასწავლებლების ხელმძღვანელობას ეპარქიის უფროსი — ეპისკოპოსი აკონტროლებდა, სასწავლო ხარჯები კი სწავლით დაინტერესებული მხარის, ე. ი. მშობლებისა იყო. აღნიშნულმა ფორმამ უფრო ფართო გაქანება XVIII საუკუნის II ნახევარში მიიღო.

თუ რა უფლებებით სარგებლობდნენ ამ სკოლების კურსდამთავრებულები, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ის ფაქტიც, რომ, 1748 წლის 13 ნოემბრის საეკლესიო კრების დადგენილებით<sup>54</sup>, მღვდლად არ შეიძლებოდა ეკურთხათ ისეთი პირი, რომელსაც დაბალი ტიპის სასულიერო სკოლა არ ექნებოდა დამთავრებული. იმისათვის, რომ უფრო აემალლებინათ მომთხოვნელობა სკოლებისადმი, საეკლესიო კრებამ 1762 წელს დაადგინა: ყოველმა ეპისკოპოსმა დააწესოს მკაცრი კონტროლი და ასწავლოს თავის სამწყსოს<sup>55</sup>. ასევე შეიქმნა ფრიად საინტერესო დოკუმენტი „ღრამოტა ახლად ხელ-დასმულის მღვდელმთავრის მისაცემელის“<sup>56</sup>, სადაც გარკვეული დავალება ეძლეოდათ სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სწავლა-განათლების საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნები წაუყენა მღვდელმთავრებს ანტონ პირველმა: „არა ოღენ ეკლესიასა შა, ად სახლთაჲა შა ასწავლებდნენ“; „ყდ უდიდესისათვის წარმართებისა საქმისა ამის რა გაქუნდეს ზრუნვაი სასწავლებელთათვის“<sup>57</sup>.

ნახევრად კერძო ტიპის სასულიერო სასწავლებლების გარდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ვხვდებით კერძო სასწავლებლებს («Были также частные училища и для грузинов: в них учили закону божиию, грузинскому языку, грамматике и арифметике») <sup>58</sup> და, რაც, ეტყობა, ყველაზე უფრო დამახასიათებელი ფორმა იყო ამ პერიოდისათვის, კერძოდ მასწავლებლებსაც. მასწავლებლები იყვნენ როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. ასწავლიდნენ ეკლესიებში, სახლებში. მათი შრომის ანაზღაურება ხდებოდა ფულით და არცთუ ისე იშვიათად — ნატურითაც.

<sup>54</sup> უერნ. „იველი“, № 37, 1894.

<sup>55</sup> ა. ბ. გ. ა. ვ. ა., სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 78.

<sup>56</sup> ხელნ. ინსტ. S — 1170.

<sup>57</sup> ი. ქ. ვ. ე. Sd — 5513.

<sup>58</sup> ლ. ბ. ა. გ. რ. ა. ტ. ი. ო. ნ. ი., სპარტოვლოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, თბილისი, 1959, გვ. 253 (მუხლი 183).

ანტონ პირველი ყოველნაირად ხელს უწყობდა კერძო სასწავლებლების დანერგვას. ბუნებრივია, ეს განპირობებული იყო სახელმწიფო სასწავლებლების უკმარობით.

XVIII საუკუნის საქართველოში სწავლა-აღზრდის საკითხების შესწავლა შეუძლებელია ისე, თუ არ შევხებით კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას და მათ როლს ჩვენი ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე. ცნობილია, რომ კათოლიკე მისიონერების პირველმა ტალღამ ჩვენში პირველად XIII საუკუნეში შემოაღწია და შემდეგ მეტნაკლები ძალით ამოქმედდებოდა ხოლმე პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის მიხედვით. „კათოლიკე მისიონერები, რომელთაც ჩვენში შემოჰქონდათ დასავლეთის ცივილიზაციის შუქი, ხსნიდნენ სკოლებს, რომლებშიაც ისინი ასწავლიდნენ ენებს: იტალიურს, ლათინურს და ქართულს, აღვიძებდნენ აზროვნებას და ავრცელებდნენ მეცნიერულ ცოდნას“<sup>59</sup>. კათოლიკე მისიონერები საქართველოში ეწეოდნენ არა მარტო თავიანთი იდეების ფართო პროპაგანდას, არამედ ხსნიდნენ სკოლებსაც, რათა აღეზარდათ თავიანთი იდეების გამტარებელი ადგილობრივი კადრები, რომლებიც შემდგომ გადაიქცეოდნენ დასავლეთის მზარდი კაპიტალის ექსპანსიის გადამწყვეტ ძალად და ხელის შემწყობ ფაქტორად. სწორედ ამ მიზანს ისახავდნენ საქართველოში კათოლიკური ცენტრის ემისრებიც. კათოლიკე მისიონერებმა საქართველოში აქტიური მოღვაწეობა გააჩაღეს. მათ შესახებ ცნობებს გვაწვდიან მოგზაურები: პეისონელი<sup>60</sup>, შარდენი<sup>61</sup> და ტურნეფორა<sup>62</sup>. საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიოდში, განსაკუთრებით კი XVII—XVIII საუკუნეებში, კათოლიკე მისიონერების გავლენის ზრდას ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ, ქვეყნის შინააშლილობამ, მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა მძლავრობამ და განუწყვეტელმა თავდასხმებმა.

საქართველოში თავიანთი იდეების ფართო პროპაგანდის მიზნით მისიონერებმა რომში სტამბაც გახსნეს, სადაც პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები გამოვიდა. ამ სტამბაში ნიკიფორე ირბახის ინიციატივით პირველად დაიბეჭდა ქართული ანბანი. მისიონერები ცდი-

<sup>59</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1923, გვ. 78.

<sup>60</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Москва, 1901, стр. 240.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე.

ლობდნენ საქართველოს ცენტრალურ ადგილებში გაეხსნათ თავიანთი სკოლები და სამლოცველოები<sup>63</sup>. „პატრმა ივანემ ძველს ფრანგების ეკლესიის მახლობლად გახსნა ერთი კარგი სასწავლებელი და იქ მიიხმო მოწაფეთ ყველა სარწმუნოების შვილები, მთელი სასწავლებელი გაივსო იმ დროის ქართველთ და სომეხთ შვილებით“<sup>64</sup>. ეს ის პატრი ივანეა, რომელსაც ანტონ კათალიკოსი „ლათინთ ხუცესმონაზონს“<sup>65</sup> უწოდებდა. „მეორე სკოლა პატრებს თვით თავიანთი სადგომის გვერდზე ჰქონდათ ეკლესიის მახლობლად“<sup>66</sup>. ასევე აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ქართველთა შორის „პატრი გიორგი“<sup>67</sup> რომელიც ცნობილი შწიგნობარი და ქართული წიგნების აღმწერელი იყო. ხალხის ფართო მასების მოზიდვის მიზნით სასწავლებლის ხარჯს თვით პატრები ფარავდნენ. მისიონერებს რომ მოსწავლეთა საკმაო კონტინგენტი ჰყავდათ, ამაზე მიგვითითებს მისიონერების მიმოწერა თავიანთ ხელმძღვანელობასთან. პატრი იოსებ ბოგონანელი წერდა (1683 წ.), რომ „მას სკოლაში ოცდაათზე მეტი მოსწავლე ჰყავს“<sup>68</sup>, ხოლო პატრ სილიბისტრეს დროს რომს აცნობეს, რომ (1698 წ.) „... სკოლაში ჰყავთ 40 მოწაფემდე, რომლებსაც წერა-კითხვის გარდა, ასწავლიან სარწმუნოების უმთავრეს საგნებს და ლოცვებს, არა მარტო ქართულად, არაჰედ ლათინურადაც“<sup>69</sup>.

საგულისხმოა, რომ მისიონერებს თავიანთ სასწავლებლებში სწავლების ძირითად ენად ქართული ჰქონდათ მიღებული, ხოლო შეთავსებით — იტალიური და ლათინური<sup>70</sup>.

---

<sup>63</sup> დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, თბილისი, 1959, გვ. 181.

<sup>64</sup> ზ. კ ი ჯ ი ნ ა ძ ე, ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი და შესხეთ-ჩაებახეთის ცნობები, ტფილისი, 1905, გვ. 7.

<sup>65</sup> ი ქ ვ ე, გვ. 8.

<sup>66</sup> ი ქ ვ ე, გვ. 7.

<sup>67</sup> ი ქ ვ ე.

<sup>68</sup> მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი, 1902, გვ. 256.

<sup>69</sup> ი ქ ვ ე, გვ. 289.

<sup>70</sup> დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, თბილისი, 1959, გვ. 182. ავტორი აღნიშნავდა, რომ «предметы в сих училищах преподаваемые были сходны с обязанностями каждой нации», Тбилиси, 1959 г., стр. 253.

კათოლიკე მისიონერები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი ერისათვის ყველაზე უფრო მტკიცენული საკითხი გამოეყენებინათ თავიანთი პრიორიტეტის ასამაღლებლად. გურიაში მათ ბრძოლა გამოუტხადეს ბავშვთა ოსმალეთში გაყიდვის საქმეს. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა პატრი ჯარდინი. მან და მისმა თანაშემწეებმა „შემოპკრიფეს აქა-იქიდგან ბავშვები, მეტადრე ისინი, რომელთა თათრებზედ გაყიდვა შეეძლოთ მშობლებსაც, დაუწყეს მათ სწავლება თუ სასულიერო თუ სახორციელო საგნებისა“<sup>71</sup>.

კათოლიკე მისიონერები სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით ცდილობდნენ შეეღწიათ ქართველთა მაღალი ფენების კუთხე-კუნძულებში და თავიანთი იდეოლოგია მოეხვიათ თავს მათთვის. «Мало того, что миссионеры эти имели школы, они проникали в высшие слои Грузинского общества и завоевывали себе там завидное место»<sup>72</sup>. სწორედ ამის შედეგად გაკათოლიკდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი. კათოლიკურ იდეებს ეზიარა აგრეთვე ისეთი დიდი პიროვნება, როგორც ანტონ I კათალიკოსი იყო.

მაგრამ ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მისიონერი მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის მხრივ არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდებოდნენ, პირიქით — იყო მათი ეკლესიებისა და სკოლების დანგრევისა და საქართველოს ტერიტორიიდან განდევნის მრავალი ფაქტი. მართლმადიდებელი სამღვდლოების წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობდნენ შეეშალათ ხელი მისიონერებისათვის, თუმცა იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როდესაც საქართველოს ეკლესიის მესვეურნი ფულადი გასამარჯელოს მიღების შემდეგ კვლავ თანხმდებოდნენ მისიონერების მოღვაწეობის აღდგენაზე.

მისიონერთა ზრახვები და მოღვაწეობა საქართველოში ემპაახურობოდა ევროპაში ახლად აღმოცენებული კაპიტალის ექსპანსიურ მიზნებს.

„მისიონერები, როგორც ცნობილია, ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები დასავლეთ ევროპის კაპიტალისა და პოლიტიკურ-

---

<sup>71</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი, 1902, გვ. 115.

<sup>72</sup> Тонкмелис, Правда об автокефалии грузинской церкви, Кутаис, 1905, стр. 135.

კოლონიური ექსპანსიისა აღმოსავლეთში, კერძოდ ჩვენშიაც... მისი-  
ანერთა და მათ მიერ მონადირებულ პირთა მოღვაწეობასა და საქ-  
მიანობას არ ჰქონდა და არც შეეძლო ჰქონოდა რაიმე გავლენა ქარ-  
თული მწერლობის ზრდა-განვითარებაზე“<sup>73</sup>.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში სწავლა-განათ-  
ლების სტაბილიზებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ პერი-  
ოდისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს სათავეში ეღვა ისეთი დიდი პი-  
როვნება, როგორც ერეკლე II იყო, რომლის გამჭრიახი გონება და  
ერუდიცია ქვეყნის მართვის ყველა სფეროს სწვდებოდა. ერეკლე II-ს  
ღრმად სწამდა, რომ საქართველოს საუკეთესო მომავლის ერთ-ერთ  
წინაპირობას ახალგაზრდა თაობის სრულყოფილი სწავლა-განათლე-  
ბა წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ ის ქვეყნის სხვა სახელოვან  
მამულიშვილებთან ერთად თავგამოდებით ემსახურებოდა ამ უდიდეს  
ეროვნულ საქმეს.

XVIII საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები და განმა-  
ნათლებლები, როგორც იყვნენ ანტონ კათალიკოსი, ფილიპე ყაით-  
მაზაშვილი, გაიოზ რექტორი, დავით რექტორი, დოსითეოზ ნეკრესე-  
ლი და სხვანი, მაღალ შეფასებას აძლევდნენ ერეკლეს საქმიანობას  
ეროვნული კულტურისა და განათლების სფეროში. ისინი თავიანთ  
პედაგოგიურ თუ ლიტერატურულ მოღვაწეობაში გრძნობდნენ გა-  
ნათლების მოყვარული მონარქის ყოველდღიურ დახმარებას. „და  
გარდამოაკეთა ღრამატიკა დიდითა ღუაწლითა და შრომითა და თანა-  
მწეობითა მეფისა ირაკლისა“<sup>74</sup> — გვამცნობდა დოსითეოზ ნეკრესე-  
ლი, ეხებოდა რა ფილიპე ყაითმაზაშვილის შრომას. ის ყოველთვის  
ცდილობდა თავის ირგვლივ შემოეკრიბა იმ დროის საუკეთესო წარ-  
მომადგენლები, შეექმნა მათთვის ხელსაყრელი პირობები მეცნიერუ-  
ლი მოღვაწეობისათვის. „და მოიყვანა იგივე ჰერმანთა მღუდელი  
ფილიპე თვისსა სამფლობელოსა შინა-კახეთს და დიდითა პატივითა  
პატივი სცა“<sup>75</sup>. სიბრძნის მოყვარულნი ხედავდნენ რა ერეკლეს ესოდენ  
დიდ დაინტერესებას სწავლა-განათლებით, თავს არ იზოგავდნენ,  
თარგმნიდნენ და წერდნენ სხვადასხვა მეცნიერულ ნაშრომებს. დო-

<sup>73</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 66.

<sup>74</sup> ხელნ. ინსტ. Q — 329 (4).

<sup>75</sup> იქვე, Q — 329 (6r).

სითეოზ ნეკრესელმა ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად სწორედ ამ პერიოდში თარგმნა რიტორიკა. „გარდმოღებად მდაბალმან ეპისკოპოსმან ნეკრესისამან დოსითეოს, ბრძანებითა მეფისა ირაკლისათა“<sup>76</sup>. ყოველივე ამის შედეგია, რომ განმანათლებლები ვერ ნახულობენ შესაფერის ეპიტეტს ერეკლეს შესამკობად, უწოდებენ მას „კაცსა საკვირუელსა“<sup>77</sup>, „ბრძენ გონებიანსა და სიბრძნის ტრფიალს“<sup>78</sup>. ხოლო ფ. ყაითმაზაშვილმა და დ. ნეკრესელმა დავით უძლეველის წიგნის ბოლოში ერეკლეს დასახასიათებლად შემდეგი მინაწერი გააკეთეს: „...პითალორ ესრეთ განსაზღურებს სიბრძნესა, სიბრძნის-მოყუარება არსო ზიყუარული სიბრძნისა, ვინათგან ესრეთ განისაზღურა სიბრძნე, ყოველი მოყუარე სიბრძნისა ბრძენ. არს; ირაკლი არს მოყუარე სიბრძნისა, მაშასადამე ირაკლი არს ბრძენ“<sup>79</sup>.

ასეთი ფილოსოფიური სახის მსჯელობით ცდილობდნენ აღენიშნათ ერეკლეს უდიდესი სიყვარული და სწრაფვა განათლებისადმი ერეკლე II რომ ანტონ I-თან ერთად რადიკალურად იბრძოდა სწავლის დასანერგავად, ამაზე მიგვითითებს ის ბრძანება-დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ერეკლე II-მ, ანტონ კათალიკოსმა და იმდროინდელი საქართველოს სასულიერო მესვეურებმა (ქორონიკონსა უმგ, ე. ი. 1755 წელს). მასში წერია: „ვამცნებთ იეპისკოპოსთა სიტყვიერთა ცხოვართასა, რათა უმეცარნი წერილისანი სადიაკონნი და სამღვდელონი, რომელთა არა უწყოდეს წაიკითხვა კეთილად წმინდისა სახარებისა, სამოციქულოს ეპისტოლისა, კურთხევანისა და კონდაკისა არა მიიღონ მათ ზედა კურთხევანი და ნიჭი“<sup>80</sup>. ამ ბრძანების წყალობით ყოველ უმეცარს ზხა გადაეკეტა ეკლესია-მონასტრებისა-კენ, მაშასადამე — სასწავლებლებისაკენაც, რადგანაც, როგორც წესი, სკოლები ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა და მასწავლებლებად ეკლესიის მსახურნი გვევლინებოდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში მომწიფებული იყო ნიადაგი უმაღლესი ტიპის სასწავლებლების დასაარსებლად. თუ პირველდაწყებითი განათლება სასულიერო დაწესებულებების გარე-

<sup>76</sup> ხელნ. ინსტ. Q—329 (6v).

<sup>77</sup> იქვე, Q—329 (5v-r).

<sup>78</sup> იქვე, Q—329 (5v, 6r).

<sup>79</sup> იქვე, H—69 (138v).

<sup>80</sup> ჟურნ. „კვალი“, № 37, 1894, გვ. 16—20.

შეც არსებობდა და ვრცელდებოდა როგორც საერო, ასევე კერძო პირთა შიერაც, უმაღლესი განათლების ცენტრებად დიდი ეკლესიამონასტრები გვევლინებოდნენ. ამის გამო არ უნდა დავასკვნათ, თითქოს აქ მხოლოდ საღვთისმეტყველო საგნები ისწავლებოდა, ხოლო მეცნიერების სხვა დარგები კი უგულვებელყოფილი იყო. ეს რომ ასე არ იყო, ნათლად გვიდასტურებს XII საუკუნეში ჩვენი ქვეყნის აკადემიებში შემოღებული სასწავლო დისციპლინები. ძველი ტრადიცია აღადგინეს XVIII საუკუნის საქართველოს განათლების დარგის მოღვაწეებმა, როდესაც ჭერ თბილისის (1755 წ.), შემდეგ თელავის ფალოსოფიური სკოლა (1758 წ.) და მის ბაზაზე თელავის სემინარია გახსნეს (1782 წ.). აღნიშნულ პერიოდში ერეკლე II-ის და განათლების დარგში მისი უახლოესი თანამემწისა და თანამებრძოლის ანტონ I-ის თაოსნობით საქართველოში საფუძველი ეყრება უმაღლესი ტიპის სასწავლებლებს, რომლებიც ევროპულ ყაიდაზე ჩამოყალიბდა.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ საქართველოში (1795 წ.), რის შედეგადაც აოხრდა და დაინგრა თბილისი, მკვლევრებს დაუკარგა უძვირფასესი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც უუქს მოჰფენდნენ თბილისის სემინარიის მუშაობასა და მის დანიშნულებას. სწორედ საარქივო მასალების უქონლობამ დააყენა ეპკქვეშ საკითხი. იყო თუ არა თბილისის სემინარია უმაღლესი სასწავლებლის ტიპის სასწავლო დაწესებულება. აღნიშნული სემინარია რომ არსებითად განსხვავდებოდა იმდროინდელ საქართველოში მოქმედი დაბალი ტიპის სასწავლებლისაგან, ამაზე მიგვიითიბებს ის ფაქტიც, რომ აქ ღებულობდნენ მხოლოდ იმ პირებს, ვისაც დაწყებითი ტიპის სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული.

სემინარიის კედლებში აღიზარდა ყველაზე შესანიშნავი და მოწინავე პლეადა საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებმაც თავიანთი დაუღალავი შრომით უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. ესენია: ვარლამ მითროპოლიტი<sup>81</sup>, იონა მროველი, გაიოზ რექტორი, დავით რექტორი, იონა და გერგასი სამთავნელები, ამბროსი ნეკრესელი, დოსითეოზ ფიცხელაური, სტეფანე რუსთველი, იოანე ოსეს ძე, იას-


<sup>81</sup> „ვარლამს უწოდდა მშვენიერს რიტორსა და მოქადაგეთა შორის პირველსა“ თავისი მოწაფეების დახასიათების დროს ანტონ I (ი. ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, კალმასობა, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 192).





ბაიონის მამული







მეფე ერეკლე

ტოს ანდრონიკაშვილი<sup>82</sup>, იონა ხელაშვილი, ფილადელფი ბერი, პეტრე ლარაძე და სხვა მრავალი<sup>83</sup>. სემინარიის მოსწავლეები მართოდენ სწავლათ როდი იყვნენ დაკავებული, ისინი „მაგიდას ესხდნენ გარშემო და ჰწერდნენ წიგნებსა კანანახით“<sup>84</sup>.

1758 წლის 26 ოქტომბერს გაიხსნა და შემდგომ თელავის სემინარიის ბაზად იქცა თელავის ფილოსოფიური სკოლა<sup>85</sup>.

თბილისის სემინარიაში, რომელიც საქართველოში განათლების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, ძირითადად ქართლის დიდგვაროვანთა შვილები სწავლობდნენ. ამდენად ერეკლე II-ის მიერ გადადგმული ნაბიჯი — გაეხსნა კახეთის ცენტრში საქმავლებელი — სავსებით გამართლებული იყო და გამოხატავდა საზოგადოების პროგრესულად განწყობილი ნაწილის სურვილსა და მისწრაფებას.

---

<sup>82</sup> იასტოს ანდრონიკაშვილის შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს „კალმასობაში“ იონა ბატონიშვილი, საიდანაც ირკვევა, რომ ის სემინარიაში ფილოსოფიას ასწავლიდა: „დემირჩანაში იონა ხელაშვილი ნახავს ფარნაოზ ბატონიშვილს, მას აქ შეხედება იასტოს, რომელთანაც შემდეგი დიალოგი იმართება.

„იასტოს: ფილოსოფია ზოგი რამ ჩემგან მოისმინეთ, ხოლო მეტაფიზიკა და ლეთისმეტყველება გასწავლათ რექტორმა თუ არა?“ („კალმასობა“, ტ. 1, თბ., 1936, გვ. 246).

<sup>83</sup> ვ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქალაქ თბილისში, ისტორიული მიმოხილვა, ტფილისი, 1902, გვ. 29; მისივე, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, თბილისი, 1900, გვ. 153.

<sup>84</sup> ვ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი, თბილისი, 1902, გვ. 29.

<sup>85</sup> აღნიშნულ სკოლის გახსნის შესახებ ზუსტ ცნობას გვაწვდის იმდროინდელი ცნობილი საზოგადო და სასულიერო მოღვაწე დოსითეოზ ჩერქეზიშვილი: „აწ უკუე ესე განიგონა. ისე განსაჯა (მხედველობაშია ერეკლე II—მ. დ.) ამას ემოწილა, ესე ინება, ამას შეეტრფო და ესე იმოქმედა და შემზადა სხოლა თვისსა პალატასა შინა, სახელსა ზედა წმინდისა მღუდელ-მთავრისა ვასილი კესარიელისა წელთა მეფობის თვისისა იდ (ე. ი. 14—მ. დ.) ქრისტეს აქეთ ჩლნჳ (ე. ი. 1758 წ.). თთუესა ოქტომბერსა კვ (ე. ი. 26) ხსენებასა დიდისა მოწამისა დიმიტრისასა, დღესა კვირიაკესა, ეამსა მესამესა იყურთხა ჩემს მიერ მდაბლისა ნეკრესელ ეპისკოპოსისა დოსითეოზისაგან“ (ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—69 (138v). ეს ცნობა მოცემულია დავით უძლველის წიგნის „საზღუარათ“ თარგმანის ბოლოში. აქედან ირკვევა, რომ აღნიშნული სასწავლებელი ატარებდა წმ. ვასილის სახელს და ის ნაკურთხი ყოფილა დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიერ. ამასვე გვიდასტურებს დავით რექტორი: „თვით მე ვასწავებდი მოწაფეთა ჩემთა კახეთს ქალაქსა თელავს სამეფოსა პალატასა შა სემინარიასა. ჩისა დიდისა ვასილისა სახელსა ზა კურთხეულისა“ (ხელნ. ინსტ. Q—41 (214).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული სასწავლებლის „სხოლაპეტაღ“ დაინიშნა ისეთი ცნობილი მწიგნობარი და პედაგოგი, როგორიც იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელსაც პირველი სასულიერო სასწავლებლის (თბილისის) რექტორობის 2 წლის გამოცდილება ჰქონდა<sup>86</sup>.

1758 წლის 26 ოქტომბერს დაარსებულმა „ფილოსოფიურმა სკოლამ“ უთუოდ განაგრძო არსებობა 1782 წლამდე, თელავის სემინარიის დაარსებამდე, და მის ნიადაგზე (მატერიალური ბაზა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონტინგენტი და სხვ.), სემინარიული წესდებითა და პროგრამებით. რეორგანიზაციის შედეგად წარმოიშვა თელავის სემინარია გაიოზ რექტორის ხელმძღვანელობით<sup>87</sup>.

XVIII საუკუნის მიწურულში ერეკლე II, ხედავდა რა საქართველოს სამეფოს ჩამორჩენას როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ, ასევე, განსაკუთრებით, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, ცდილობდა მოეხდინა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის აპარატის რეორგანიზაცია და ჩაეტარებინა რეფორმები. ნიმუშად მას რუსეთის სახელმწიფოს მმართველობა მიაჩნდა. სწორედ ამ განწყობილების გამოძახილი იყო ის, რომ იმდროინდელი საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესულად განწყობილი ნაწილის წარმომადგენლები არ იშურებდნენ ძალასა და ენერგიას, რათა დაემუშავებინათ და ერეკლე II-ისათვის წარედგინათ კანონპროექტები სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად. რეფორმატორებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო იოანე ბაგრატიონი, რომლის „სჯულდება“ წარმოადგენდა „პროექტს“ ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების შესაძლო რეფორმების შესახებ<sup>88</sup>. მართალია, „პროექტი“ კანონად არ იქცა, მაგრამ მას მკვლევრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც გვიანფეოდალური ქართული წყობილებისა და განათლების ინსტიტუტების ამსახველ დოკუმენტს. მის მიერ წინა პლანზე წამოწეულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხს შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ გა-

<sup>86</sup> „და მოიყვანა იგი პერმანთა მღვდელი ფილიპე“ (ხელნ. ინსტ. Q—29 (6r).

<sup>87</sup> ა. ბ. გ ა ვ ა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 27.

<sup>88</sup> აღნიშნული პროექტი იოანე ბატონიშვილმა დაამთავრა და გადასცა მამას — გიორგი XII-ს 1799 წლის 10 მაისს.

ნათლების სისტემის რეორგანიზაციას. ავტორი გრძნობდა, რომ მრეწველობისა და ვაჭრობა-ხელოსნობის ფართოდ განვითარების ერთ-ერთ ბაზისს განათლება წარმოადგენდა, ამისათვის ის ცდილობდა რადიკალური ცვლილებები შეეტანა სწავლა-აღზრდის არსებულ სისტემაში.

„იყოს განათლების მოხელე ესე იგი სკოლებისა, სხვა სასწავლებლებისა და სტანბების უფროსი და ამას ჰყვანდნენ ხელქვეითნი“<sup>89</sup>. ამით წამოყენებული იყო წინადადება, რათა განათლების დარგში შექმნილიყო ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობა, რომლის სათავეში „მოხელე“ იდგებოდა. იოანე ბატონიშვილი არსებული დროისათვის გაბედულ წინადადებას აყენებდა. მას არ ეშინოდა. ისეთი მძლავრი მოწინააღმდეგისა, როგორც იყო სამღვდელოება, და პროექტში აყენებდა წინადადებას, რომ საერო სკოლები გამოჰყოფოდა სასულიერო სკოლებს, რათა მათ უფრო ცხოვრებისეული, პრაქტიკული დანიშნულება მისცემოდა. სწორედ ეპოქის გამოძახილი ჰქონდა მხედველობაში ფ. ენგელსს, როდესაც აღნიშნა, რომ „...წიგნის ბეჭდვისა და გაფართოებული აღებ-მიცემობის მოთხოვნილებათა წყალობით მას (სამღვდელოებას) წაერთვა არა მარტო წერა-კითხვის, არამედ უმაღლესი განათლების მონოპოლიაც. შრომის დანაწილება ინტელექტუალურ დარგშიც მოხდა“<sup>90</sup>.

როგორც გაბატონებული კლასის წარმომადგენელი, იოანე ბაგრატიონი „პროექტში“ უპირატესობას ანიჭებდა პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებს. მისი წინადადებით, საერო სკოლებში სწავლა შეუძლიათ: 1. „თავად-აზნაურთა და პირველი მოქალაქის შვილებს, 2. „მსახური კაცის შვილებს“, 3. „მდაბალ ვაჭართა შვილებს“ და „აგრეთვე გლეხსაც“<sup>91</sup>. მისი სკოლების ორგანიზაცია აგებულია წოდებრივ პრინციპზე. მაღალი ტიპის სკოლები გათვალისწინებულია თავად-აზნაურთა და დიდვაჭართა შვილებისათვის. სკოლების საერთო ხასიათზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ პროექტით სასწავლებლებში „სწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებსა“<sup>92</sup>: „ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუ-

<sup>89</sup> ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „სჯულდება“, თბილისი, 1957, გვ. 12.

<sup>90</sup> კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, სახალხო განათლების შესახებ, თბილისი, 1942, გვ. 119.

<sup>91</sup> ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება, თბილისი, 1957, გვ. 27.

<sup>92</sup> ი ქ ვ ე .

სულსა და თუ შეიძლება ბერძნული და ლათინურიც“<sup>93</sup>. მასწავლებლად უნდა მიეჩინათ „მუნ მკოდნენი კაცნი“<sup>94</sup>. ამ მიზნით წამოყენებული იყო წინადადება, რათა „სამს ადგილს გაიმართოს სკოლა: „თბილისსა, გორსა და თელავსა შინა“<sup>95</sup>. უფრო ადრე გორში სასწავლებლის გახსნის იდეა ჰქონდა ანტონ კათალიკოსსაც<sup>96</sup>. საფიქრებელია, რომ იოანემ იცოდა თავისი დიდი წინაპრის აზრი. რომელიც შემდგომ „პროექტში“ გამოიყენა. „პროექტში“ იოანე აყენებდა წინადადებას, რომლის მიხედვითაც მასწავლებლებსათვის სახელმწიფოს უნდა მიეცა გასამრჩელო — „მასწავლებლები იყვნენ მეფის ხარჯითა“<sup>97</sup>, ხოლო მოსწავლეები მშობლებს უნდა შეენახათ. ბუნებრივია, რომ მხოლოდ პრივილეგიური კლასის წარმომადგენლები შეძლებდნენ ამ პირობის დაცვას. ფეოდალური საზოგადოების პროგრესულად განწყობილი წარმომადგენლები ცდილობდნენ გარდატეხა შეეტანათ მოძველებულ, სქოლასტიკურ სწავლებაში, კონსერვატიულ ოჯახურ წყობაში, ქალთა აღზრდაში და სხვ. აღნიშნული საკითხები წინა პლანზეა წამოწეული ენციკლოპედიური ჩასაითის ნაწარმოებში, რომელიც იოანე ბატონიშვილმა დაუტოვა შთამომავლობას „კალმასობის“ სახით. მასში ავტორს ადამიანთა სრულყოფისა და გარდაქმნის საფუძვლად სწავლა-აღზრდა მიაჩნია. ის სასტიკად აკრიტიკებს სქოლასტიკურ ცოდნას, რომელიც იმდროინდელ სკოლებში იყო გამეფებული. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილისაგან განსხვავებით, იოანე მომხრეა ყრმის აღზრდისა ჰუმანურად და არა „წკეპლითა და ცემა-კივილით“.

როგორც თავისი ეპოქის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, ი. ბაგრატიონს საჭიროდ და სავალდებულოდაც მიაჩნდა, რომ ქალებსაც მიეღოთ ეპოქის შესაფერისი განათლება, რომელიც ოჯახში ბავშვებისათვის პირველდაწყებითი განათლების მიცემის მყარი საფუძველი იქნებოდა.

„კალმასობაში“ მოცემულია საინტერესო საუბარი იოანე ზელაშვილისა იელონ ბატონიშვილთან „მეუღლის“ საკითხებზე, სადაც გატარებულია აზრი, რომ „მეუღლე“, ყველა სხვა ღირსებასთან ერ-

<sup>93</sup> ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება, თბილისი, 1957, გვ. 27.

<sup>94</sup> ი ქ ე ე.

<sup>95</sup> ი ქ ე ე.

<sup>96</sup> „კვალი“ № 49, 1895 წ. აღ. გ ა რ ს ე ე ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს წერილში მოცემულია ცნობა, რომ ანტონ I აპირებდა გორში სასწავლებლის დაარსებას.

<sup>97</sup> ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება, თბილისი, 1957, გვ. 27.



თად, უნდა იყოს განსწავლული. მისი აზრით, ქალს „ნამდვილად უნდა ასწავლონ ყოველი მეცნიერება, ისტორია, ლეოღრაფია, ზნეთ-სწავლება, არიზმეტიკა, ხელთსაქმეობა და იკონომია, რომ ვისიც ოჯახში მივიდეს, სრულებაში მოიყვანოს იგი“<sup>98</sup>. ასეთი მსოფლმხედველობა და გეგმა-პროექტები არსებობდა ფეოდალური საზოგადოების პროგრესულად განწყობილ წარმომადგენლებს შორის, როდესაც განხორციელდა რუსეთთან საქართველოს შეერთების აქტი, რომლის პირველ წლებსაც თან მოჰყვა სკოლა-სასწავლებლების მთლიანი მოშლა და დახურვაც კი. სწორედ აქ უნდა ვეძიებდეთ იმის გამამართლებელ არგუმენტებს, რომ რუსეთის ადმინისტრაციის პირველი წარმომადგენლები ბნელი ფერებით ხატავდნენ საქართველოში სწავლა-აღზრდის საკითხებს და გვევლინებიან ცოდნისა და სწავლის მესვეურებად. ამით იყო გამოწვეული, რომ რუსეთის მმართველობა (კოვალენსკი, კნორინგი 1801-2 წლებში) ცდილობდა გაეხსნა თავად-აზნაურებისათვის ორკლასიანი სასწავლებელი<sup>99</sup>, ხოლო განათლების დარგის მოღვაწე პეტრე სვისტუნოვი კი იმდენად არ იცნობდა სწავლა-აღზრდის საკითხებს საქართველოში, რომ სთხოვდა კნორინგს (16 ივლისი 1806 წ.) ეცნობებინა „რაიმე“ განათლების შესახებ, რათა შემოედო სწავლების ერთიანი ფორმა<sup>100</sup>. მათი წარმოდგენით, ცოდნის დონე საქართველოში იმდენად დაბალი იყო, რომ «большая часть онаго не знают природного своего языка по правилам»<sup>101</sup>. ამიტომ მიაჩნდა თავისი თავი ქართველთა განმანათლებლად მთავარმართებელ პ. ციციანოვს, როდესაც წერდა, თითქმის ამ მღვდმარეობამ აძლულა იგი «приступить деятельным образом к преподаванию способов относительно введения в Грузию первых лучей просвещения, буде не вообще народного, то хотя здешнего дворянства».<sup>102</sup> როგორც მას (პ. ციციანოვს—შ. დ.) 1804 წელს<sup>103</sup> (როდესაც

<sup>98</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 1, 1936, გვ. 242.

<sup>99</sup> Акты, собранные Кавказской Археологической комиссией, т. I, Тифлис, 1866, стр. 509—II.

<sup>100</sup> იქვე, გვ. 511.

<sup>101</sup> Акты..., т. II, Тифлис, 1868, стр. 196.

<sup>102</sup> იქვე, გვ. 196. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ თბილისში 1880 წ. გამოცემული წიგნის «Ход учебного дела на Кавказе с 1802 по 1880 г. автором აღნიშნავდნენ, რომ «благодаря особенным заботам кн. Цицианова,—этого грузина по крови и европейца по образованию», სწავლა-განათლებას უზრალდება მიექცაო.

<sup>103</sup> იქვე, გვ. 195.

სასწავლებელში 45 მოსწავლე ჰყავდა), ისე მის შემცვლელს 1808 წელს<sup>104</sup> (როდესაც მოსწავლეთა კონტინგენტმა 60-ს მიაღწია) მიაჩნდათ, რომ ქართველთა სწავლა-აღზრდის საქმეში უდიდესი ნაბიჯები გადადგეს, მაშინ როდესაც XVIII საუკუნის მიწურულისათვის თბილისის სკოლები 400-ზე მეტ მოსწავლეს ითვლიდა<sup>105</sup>.

განიხილავდა რა საქართველოში სწავლა-განათლების საკითხებს და მის შედეგებს, ნიკო მარი აღნიშნავდა: «Культурная школа Грузии была продолжительна и разнообразна. Грузины использовали ее старательно и не без успеха, временами блестяще. Международные политические условия однако не всегда благоприятно слагались для умственного развития грузинского народа»<sup>106</sup>.

დიდმპყრობელური რუსეთის წარმომადგენლები, ბუნებრივია, კოლონიური პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ, მათ ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ ზალხისათვის სწავლა-განათლება მიეცათ, აღვივებდნენ ნაციონალურ-შოვინისტურ სულისკვეთებას, რაც დამონებული სახელმწიფოსა და ზალხის ფართო ექსპლუატაციის საშუალებას იძლეოდა.

ვ. ი. ლენინი, განიხილავდა რა რუსეთის ცარიზმის დიდმპყრობელურ პოლიტიკას, აღნიშნავდა, რომ: „მთავრობის პოლიტიკა მთლიანად გამსჭვალულია ნაციონალიზმის სულისკვეთებით. ცდილობენ „გაბატონებული“, ე. ი. ველიკორუსებზე ეროვნებას ყოველნაირი პრივილეგიები მიანიჭონ, თუმცა რუსეთში ველიკორუსები მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ... რუსეთში მოსახლე ყველა დანარჩენ ერებს ცდილობენ უფრო და უფრო შეუკვეცონ უფლებები, ერთიმეორისაგან გააცალკეონ და მათში შუღლი გააღვივონ“<sup>107</sup>.

## 8. აქადემიკური აზროვნების წარმომადგენლები XVIII საუკუნის II ნახევარში

XVIII საუკუნეში საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ ასპარეზზე საკმაოდ ცნობილი პირები მოღვაწე-

<sup>104</sup> «Акты...», т. III, стр. 125.

<sup>105</sup> Е. К и р и о н, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 161.

<sup>106</sup> Н. М а р р, История Грузии, СПб., 1906, стр. 16.

<sup>107</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნი, სახალხო განათლების შესახებ, თბილისი, 1936, გვ. 112.

ობდნენ. ეს იყო დასავლეთ ევროპაში XV—XVIII საუკუნეებში აზვირთებული პროგრესული და განმანათლებელი იდეების ფართო, თუმცა გვიანი გამოძახილი საქართველოში. «Это был величайший прогрессивный переворот из всех пережитых до того времени человечеством; эпоха, которая нуждалась в титанах и которая породила титанов по силе мысли, страсти и характеру, по многосторонности и учености»<sup>108</sup>, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი. ამ დროისათვის ქართულ საზოგადოებრივ შეგნებაში, მეცნიერებასა და მწერლობაში თავს იჩენს ფეოდალიზმისადმი კრიტიკულად განწყობილ ევროპელ მეცნიერთა და მწერალთა პროგრესული ფილოსოფიური შეხედულებანი. ფეოდალური საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები დასავლეთ ევროპის განმანათლებელთა უდიდეს იდეებს ძირითადად რუსეთის გზით, თარგმანების საშუალებით ეზიარნენ და ეს იდეები გააცნეს მაშინდელ ქართველ საზოგადოებრიობას, მათ, ვისაც საქართველოში ფეხმოკიდებული და გამეფებული შუასაუკუნეობრივი აზროვნება დახვეცებულად მიაჩნდა და მოითხოვდა ახალი, განმანათლებლური იდეების დანერგვას.

„XVIII საუკუნის ბოლოდან უკვე ემჩნევა რუსული ფილოსოფიური აზროვნების გავლენა ქართულ აზროვნებაზე. ისტორიულად ეს სრულიად გასაგები და ბუნებრივი იყო, რადგან რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება წინ უსწრებდა დაუძღვრებულსა და გავერანებულ საქართველოს“<sup>109</sup>.

XVIII საუკუნის საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში ევროპელ განმანათლებლებს თავიანთი იდეების პროგრესულობით, მიზანდასახულობით, თუმცა მათ გარკვეული ობტორიული პირობების გამო არ ეყოთ შემართება, რომ გასცილებოდნენ „განათლებულ აბსოლუტიზმს“. მათ საფუძველს წარმოადგენდა აღზრდილი ქართული რენესანსის პერიოდის (XI—XII სს.) აზროვნება.

გაიოზ რექტორის საგანმანათლებლო და პედაგოგიური მოღვაწეობის კვლევისათვის საჭიროა მოკლედ განვიხილოთ იმ ადამიანთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებიც გაიოზ რექტორთან ერთად

<sup>108</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, О литературе, М., 1958, стр. 4.

<sup>109</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 447

პოლვაწობდნენ და გავლენას ახდენდნენ მასზე. მათგან ჩვენ შევეხებით ოთხ ყველაზე ღირსშესანიშნავ ადამიანს, რომლებმაც ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და მოღვაწეობის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ესენი არიან ანტონ I კათალიკოსი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, დოსითეოზ ნეკრესელი და დავით რექტორი. პირველი სამი პიროვნების იდეებზე აღიზარდა გაიოზ რექტორი, რომელიც მათთან ერთად იღვწოდა ქართული ეროვნული საგანძურის, პირველი უმაღლესი ტიპის სასწავლებლის შექმნისა და განმტკიცებისათვის, ხოლო დავით რექტორი გვევლინება თელავის სასულიერო სემინარიაში იმ იდეებისა და პრინციპების გამტარებლად და დამკანონებლად, რომლებიც მან, როგორც გაიოზის პირდაპირმა მემკვიდრემ, საჭიროდ ცნო.



ანტონ პირველი ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა გვიანფეოდალური ქართული კულტურისა და განათლების ისტორიაში. ის ხელმძღვანელი და იდეური მამაა იმ სამეცნიერო-კულტურული რენესანსისა, რომელმაც ასე მკვეთრად იჩინა თავი XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში. იგი გამორჩენილი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, მწერალი და დიდი პედაგოგია. მან წარუშლელი კვალი დატოვა იმდროინდელი აზროვნების ყველა დარგში. განსაკუთრებით კი—როგორც თეოლოგმა—სასულიერო მწერლობაში, სადაც ფართო დიაპაზონითა და საკუთარი აზროვნების სისტემით გამოირჩეოდა. როგორც პროფესორი ლ. მელიქსეთბევი აღნიშნავდა, მან XVIII ს. II ნახევრის პერიოდისათვის „შეძლო დაეცვა ქართული ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური აზრი დაცემისაგან და იგი, ეს აზრი, წარეპართა ახალი ცხოვრებისეული გზით“<sup>110</sup>.

ანტონ I-ის ცოლნის საფუძველი იყო ადრინდელი ქართული კულტურის შედეგები, რომლებიც მან გაამდიდრა და სრულყო თანამედროვე დიდი მოაზროვნების მიღწევებით. სწორედ დასახული მიზნის სრულყოფისათვის შემოიკრიბა მან თავის ირგვლივ ფილოსოფოსები, მწერლები და მთარგმნელები. მათთან ერთად ხორცს ას-

---

<sup>110</sup> Л. Меликседбег, К биографии священника Филиппа Кайтмазова, Христ. Восток, т. 6., Киев, 1916, стр. 281.

ხამდა თავის ჩანაფიქრს. რიტორიკა და ლოგიკა, მეტაფიზიკა და ფილოსოფია — აი ის არასრული ნუსხა დარგებისა, საითყენაც მან მიმართა თავისი დაუღალავი შრომისუნარიანობა და დაუტყვევებელი ცნობისმოყვარეობა. მას ღრმად სწამდა, რომ ყოველი მისი საქმიანობა, იქნებოდა ეს პოლიტიკის, მეცნიერებისა თუ კულტურის დარგში, მიმართული იყო სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამიტომაც იყო, რომ თავისი ცხოვრების დასასრულს განაცხადა: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერა მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან“<sup>111</sup>

როგორც ძველ, ასევე თანამედროვე რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მკვლევარი, რომ არ შეხებოდეს ანტონ I-სა და მის მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობას. თანამედროვენიც და მომდევნო თაობის წარმომადგენლებიც გაოცებული იყვნენ მისი ენციკლოპედიური ცოდნით. 1802 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии», რომელიც ანტონის თანამედროვეთა კალამს ეკუთვნის, აღნიშნულია, რომ საქართველოში მეცნიერებისა და განათლების აღორძინება ვერცლესა და ანტონის მეცნიერებისადმი უდიდესი სიყვარულის შედეგი იყო: «Первый был Августом, а последний меценатом и поллионом своего века»<sup>112</sup>.

საინტერესოდ დაახასიათა ანტონ კათალიკოსი მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო მოსწავლემ და მემკვიდრემ სწავლა-აღზრდისა და მეცნიერების დარგში გაიზო რექტორმა: „ამან (ანტონმა — მ. დ.) აღმომყვანმან სიბნელისგან უმეცრებისა საქართველოისა იწყო შენობად ბედნიერობისად ამის ჩვენისა... ამან სრულ-ჰყოცა სახლი სიბრძნისა და საქართველოისა ყოვლითა საქირთთა სწავლულობითა: ამან საუნჯე სწავლისა ამის განამდიდრა ქმნითა და თარგმნითა წერილთა სასიბრძნოთი. ამან გულს-მოდგინებით თვისითა ჰყო ათინად მამული თვისი, რომელიცა უწინარეს ამისა ვითარს სიბნელესა შინ უმეცრებითსა დაფარული იყო“<sup>113</sup>. ასეთი დაახასიათების მიცემა შეეძლო მხოლოდ ისეთ პიროვნებას, რომელიც ახლოს იცნობდა ანტონ I-ის საქმიანო-

<sup>111</sup> ჟურნ. „კვალი“, № 41, 1897.

<sup>112</sup> Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб., 1802, стр. 73.

<sup>113</sup> ჟურნ. „ივერია“, № 8, 1881, გვ. 109.

ბას და მასთან ერთად ეწეოდა ფართო შემოქმედებით მოღვაწეობას.

გაიოზ რექტორი ყოველთვის ცდილობდა აღენიშნა და ხაზი გაესვა ანტონ I-ის მოღვაწეობისათვის. თელავის სემინარიის გახსნის წლისთავზე, მიმართავდა რა დოსითეოზ ნეკრესელს, მან აღნიშნა, რომ „აღჰსდგენ გულსჰოდგინებანი, წარმოდგენ მალალნი გონებანი, ვამრავლდნენ მეცნიერებითნი ნათელნი მუნით ოდესცა შრომითა უწმინდესისა მწყემსისა და დიდასკალოსა ჩ'ისა მეფის ძის ანტონის მიერ დაიღუნენ საფუძველნი ყოველთა ცნობათა“<sup>114</sup>.

ანტონ კათალიკოსი (ერისკაცობაში თეიმურაზი) დაიბადა 1720 წლის 11 ნოემბერს<sup>115</sup>. ის იყო ძე იესე მეფისა და ძმისწული ცნობილი რეფორმატორი მეფის ვახტანგ VI-ისა. 1739 წელს პირადი ტრაგედიის გამო ბერად აღიკვეცა. 1740 წელს, 20 წლის ასაკში იგი უკვე მიტროპოლიტია, 1744 წლიდან კი განმეორებითი თხოვნის შემდეგ დათანხმდა საქართველოს სასულიერო მეუფე გამხდარიყო<sup>116</sup>. 1755 წელს ექსორიაქმნილ იქნა, რადგანაც ბრალად დაედო კათოლიკური რწმენის აღიარება. წმინდა სინოდის წინაშე თავის მართლების შუამდგომლობა 1757 წლიდან ინიშნება ვლადიმირის ეპარქიის არქივებისკომოსად, ხოლო თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-მ კვლავ მოიწვია საქართველოს სასულიერო მეუფედ. ერეკლე II-ის ამ გადაწყვეტილებას საფუძველად ედო, ჭერ ერთი, წმინდა პოლიტიკური მოსაზრება<sup>117</sup>, მეორეც ის, რომ მას უნდოდა თავისი დიდი იდეების გან-

<sup>114</sup> ხელნ. ინსტ. H — 2291, უტრნ. „მოამბე“, № 5, 1902.

<sup>115</sup> ცნობილი მკვლევარი ა. ცაგარელი თავის შრომაში—«О граммат. лит. груз. языка» — ანტონ I-ის დაბადების თარიღად შეცდომით 1714 წელს მიიჩნევდა. ავტორმა ამავე გამოკვლევაში დაუშვა მეორე შეცდომა, როდესაც ერისკაცობის დროინდელ სახელად არჩილი მიიჩნია, ნაცვლად თეიმურაზისა. ასევე შეცდომაა, როდესაც წერს, რომ ანტონი ცოლიანი იყო (გვ. 2). სინამდვილეში ის დანიშნული იყო ამილახერის ქალიშვილზე, მაგრამ როდესაც მისი დანიშნული შაჰის პარამხანაში წაიყვანეს, ბერად აღიკვეცა.

<sup>116</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, Москва, 1901, стр. 248. საველიხსშოა, რომ საქართველოს საკათალიკოსო კათედრის მეუფეს ირანის ყაენები ამტკიცებდნენ. იმდენად დიდი აყო ანტონ I-ის ავტორიტეტი, რომ შაჰმა მისი კანდიდატურა უყოყმანოდ დაამტკიცა.

<sup>117</sup> П. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, СПб., 1866, стр. 242. ავტორი შეცდომით აღნიშნავდა, თითქოსდა ანტონ I-მა დაარწმუნა ერეკლე II თავის უდანაშაულობაში, რაც ანტონის დაბრუნების ძირითად მომენტად

ხორციელებისათვის ბრძოლაში გვერდით ჰყოლოდა ერთგული თანამემფე.

ანტონ I მაშინ გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როდესაც რე-ნეგატობა და რელიგიური უარყოფანი, ტახტზე მორიგი კანდიდატების აყვანა-ჩამოგდება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რასაც ხელს უწყობდა ფეოდალების რეგულარული დალატი. საქართველოსათვის ასეთ მძიმე პერიოდში ფეოდალური საზოგადოების პროგრესულად განწყობილ ადამიანთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ საჭირო იყო საერო და სასულიერო ხელისუფლების სადავეები ხელთ აეღოთ ძლიერ პიროვნებებს. სწორედ ასეთი კატეგორიის ადამიანები იყვნენ ერეკლე II და ანტონ კათალიკოსი. საკათალიკოსო კათედრაზე განმეორებით ასვლის შემდეგ (1764 წელს) ანტონ I ერეკლე II-ის ყოველმხრივი ხელშეწყობით შეუდგა ეკლესიის გაძლიერებას. მას კარგად ესმოდა, რომ საერო ხელისუფლების ცენტრალიზაცია და გაძლიერება სასულიერო ხელისუფლების გაძლიერების საფუძველი იქნებოდა, ამიტომაც ყოველნაირად უწყობდა ხელს ერეკლე II-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მეცნიერების ღრმად შესწავლის სურვილმა დააახლოვა ანტონ I ჭერ სომეხ მეცნიერებთან (მადინაშვილი, ყაითმაზაშვილი), ხოლო შემდეგ კათოლიკე მისიონერ ბერებთანაც, რომელთა საშუალებითაც ცდილობდა გასცნობოდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასა და მეცნიერებას. ამ მიზნით მიჰყო მან ხელი ლათინური ენის შესწავლას. განსაკუთრებით დაიახლოვა პატრი იოანე, რომელმაც „...ასმინა მას მეტაფისიკის მნიშვნელობა, ფილოსოფიის, ფისიკის, ღვთისმეტყველების, ბაუმეისტერის ფილოსოფია“<sup>118</sup>. შეისწავლა და გაეცნო სომხურ და აღმოსავლეთ ევროპულ ფილოსოფიურ და დიდაქტიკურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ რუსეთში მიღებული ცოდნა დაუშაბა. ყოველივე ეს ანტონ კათალიკოსმა გამოიყენა საქართველოში

---

შიიჩნია. ერეკლე II უფრო შორსმჭვრეტელი იყო. ანტონის მოწვევით მან ორი ძირითადი საკითხი გადაწყვიტა: პირველი — ის, რომ ანტონის სახით თავისი იდეების მონიარე და მხარდამჭერი შეიძინა, მეორე, მისი ჩამოყვანით რუსეთის სამეფო კარსა და ვახტანგ VI-ის შემკვიდრებებს ჩამოაცილა ისეთი პიროვნება, რომელსაც ქართლის სამეფო ტახტის მაძიებელთათვის დიდი მხარდაჭერა შეეძლო. ანტონ I-ს პირადადაც შეეძლო განეცხადებინა ეს პრეტენზია.

<sup>118</sup> ზ. კ. ი. ვ. ნ. ა. ძ. ე, პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი ღრის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896, გვ. 14.

დაბრუნების შექდეგ. „კათალიკოსი ანტონი მარტო სომხურ წყაროების შესწავლაზე არ შეჩერებულა, რადგანაც მას ქონდა სურვილი გაეხსნა საქართველოში უმალლესი შკოლები მსგავსად კათოლიკებისა, შეიქმნა იძულებული შეესწავლა ლათინური ენა მისიონერების შემწეობით“ 119.

რუსეთში ის ღრმად გაეცნო დაბალი, საშუალო და მაღალი ტიპის სკოლებს, მოაპზადა სახელმძღვანელოები და საქართველოში ცოდნის უდიდესი მარაგით ჩამოვიდა.

რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე ანტონ კათალიკოსმა განათლებას დარგში თავის თანაპზრახველებთან ერთად გადაწყვიტა სკოლებას სრული რეორგანიზაცია. მას უნდოდა როგორც თბილისის, ასევე მოგვიანებით თელავის სემინარიაში სწავლების ფორმები და მეთოდები ყოფილიყო ისეთი, როგორიც მოსკოვის ბერძნულ-ლათინურ-სლავურ აკადემიაში იყო. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ შეიქცვალა თბილისის სემინარიის ხელმძღვანელობა, სადაც ხანმოკლე დროის განმავლობაში რექტორად ვხედავთ გაიოზს, რომელიც შემდგომ შეცვალა ამავე იდეების მატარებელმა იოანე ოსეს ძემ, ხოლო გაიოზ რექტორი ანტონმა გადაიყვანა ახლად გახსნილი თელავის სემინარიის რექტორად (1782 წლის 28 მაისს).

ანტონ კათალიკოსის უდიდეს დამაახურებლად უნდა ჩაითვალოს, რომ მან სკოლების გახსნისას ჩაატარა წინასწარი მოსაპზაღებელი საქუშაო, რაც სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შერჩევა-მომზადებით გამოიხატებოდა.

ბევრი სახელმძღვანელო შედგენილი და თარგმნილი იყო ანტონ I-ისა და მისი თანამოსაქმეების მიერ. „საქართველოში ეროვნული სამეცნიერო ცოდნის გასაერკელებლად უცხო ენებითგან საუკეთესო თხზულებები ითარგმნებოდა, თანაც მეცნიერების ყოველ დარგისათვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები მზადდებოდა. ამ სფეროში განსაკუთრებული ღვაწლი ანტონ კათალიკოსს მიუძღვის, რომლის ღრმა და მრავალმხრივი სამეცნიერო ცოდნა იმდენადვე გასაოცარია, როგორაც მისი დაუღალავი ენერგია და ნაყოფიერება“ 120.

119 ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, გვ. 1918 გვ. 27.

120 ი. ქავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი, 1919, გვ. 14.



მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შეიქმნა და ითარგმნა ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც სემინარიის სასწავლო კურსს შეიცავდა. ასეთი იყო გეოგრაფია, არითმეტიკა, რიტორიკა (მხითარის მიერ შედგენილი), კატეხიზმო, ფილოსოფია („რუსულით ქართულად შემწობითა ქართველის აზნაურის პროთოპოპის გაბრიელ პეტრიევისა“<sup>121</sup>), გრამატიკა,<sup>122</sup> მეტაფიზიკა (ბაუმაისტერის მიხედვით), ლოგიკა, ვოლფის ფიზიკა, რომლის შესახებ ის ამბობს: „გარდმოვიღე ფიზიკაი ესე სხუათა და სხუათა აექსონთაგან მით რომელ ვოლფიუჟისაგან სისტემასა სოფლისასა მივპირდე“<sup>123</sup>.

ანტონ კათალიკოსის მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობის სხარტი დახასიათება მოგვცა მისმა მოწაფემ და აღზრდილმა გაიოზ რექტორმა: „...გულმოდგინებითმან ტრფიალმან და ნიადაგმან მაშინა მოცალეობამან უწმინდესობისა თქუენისამან ჰყო მეცნიერებითი იგი ოქროს საუკუნოი მამულისა შინა თქუენსა და გულსმოდგინებითი წადილი ამისაღმი აღადგინა მრავალთა შორის, განმრავლდეს სიბრძენი, უხუებენ სასიბრძნონი იგი წიგნი თქუენ მიერ ღუწილნი, რომელიმე ქმნით, და რომელიმე სხუათა ენათაგან გარდმოლებით. სრულ იქმნენ სავსებით ყოველნი აღსაველნი მეცნიერებითის. სიმრავლისანი ღრამატიკაიდან ვიდრე ნამდვილი ჭეშმარიტსა ბუნებითთა და ზესთა ბუნებითთა ფილოსოფიამდე“<sup>124</sup>.

მიუხედავად ამისა, ყოველი მკვლევარი უთუოდ შეცდომას ჩაიდენს, თუ ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობაში არ შეამჩნევს იმ ნაკლოვან მხარეებს, რომლებმაც შემდგომი საუკუნის განმავლობაში უკან დასწია და დააბრკოლა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება.

<sup>121</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიებრი აღწერა, ტფლისი, 1914, გვ. 32—33.

<sup>122</sup> ანტონ კათალიკოსმა თავისი პირველი გრამატიკა შექმნა 1753 წელს მხითარის გრამატიკის მიხედვით, მეორე — 1767 წელს, მესამე კი წარმოადგენს სახელმძღვანელოს, აგებულს კითხვა-პასუხზე.

<sup>123</sup> როგორც მკვლევარი ტრ. რუხაძე წერს, ანტონ კათალიკოსს ვოლფის ფიზიკა გადმოუღია რუსულიდან, რომელიც მ. ლომონოსოვის ნათარგმნი იყო, მაგრამ მთარგმნელი არ მოიხსენია. „აქედან ჩანს — აღნიშნავს ტრ. რუხაძე, რომ ანტონმა ბრმად კი არ გადმოიღო, არამედ მოგვცა ფიზიკის კრიტიკული ტექსტი, რომლის ორი მესამედი მას ეკუთვნის“ (ტ. რუხაძე, „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბლისი, 1961, გვ. 261).

<sup>124</sup> ხელნ. ინსტ. H — 220 (5v).

ანტონ კათალიკოსი სალიტერატურო ენას 3 ნაწილად ყოფდა: უბრალო ენად, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, ამაღლებულ ენად განათლებულთათვის და — მაღალ ენად, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სწავლულთა და მეცნიერთათვის. მის ამ მცდარ შეხედულებას ძველი თაობის მეცნიერებიც აღიარებდნენ, როდესაც წერდნენ, რომ «недостатком его трудов следует признавать тяжелый, витиеватый и местами искусственно созданный язык»<sup>125</sup>.

ანტონ კათალიკოსის სალიტერატურო ენის მართებული განსაზღვრა მოგვცა პროფესორმა ა. ჩიქობავამ: „ანტონ პირველმა დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართულის თავისებური სუროგატი, — ენა ღვლარქნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი... შემთხვევითი არაა, ანტონ პირველი რომ აღნიშნავს: არიან ისეთნი, რომელნიც „სძულობენ და სიმწარით გარემიიქცევიან ბრწყინვალეებასა ფრასისასა“. ოღონდაც! ფრაზის ბრწყინვალეობა გამწარებასა და სიძულვილს თუ გამოიწვევდა“<sup>126</sup>.

მიუხედავად მის მეცნიერულ და ლიტერატურულ შემოქმედებაში არსებული დიდი ხარვეზებისა, სწორი არ იქნებოდა ერთი ხელის მოსმით უარგვეყო ანტონის მოღვაწეობის დადებითი მხარეები. მან თავისი შესაფერისი ადგილი დაიმკვიდრა ქართული აზროვნებისა და მეცნიერების განვითარების ისტორიაში. „იმ პერსპექტივაში, რომელიც ქართულ აზროვნებას ეშლება წინ, ანტონ ბაგრატიონი არა მართოდ დასაწყისი, არამედ პროგრამა იყო XVIII საუკუნის ქართული აზროვნებისათვის“<sup>127</sup>.



XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი შესანიშნავი მოღვაწე იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი. მან ერთნაირად დიდი ამაგი დასდო როგორც სასკოლო საქმის, ასევე საფილოსოფოსო და საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარებას საქართველოში. XVIII საუკუნის

<sup>125</sup> А. Хаханов, Жизнь и деятельность католикаса Грузии Антоныя I, М., 1901, стр. 6.

<sup>126</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი, 1941, გვ. 121.

<sup>127</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბილისი, 1958, გვ. 434.

თითქმის ყველა ქართველი მწიგნობარ-მოდევანე პირდაპირი თუ არა-პირდაპირი გზით გარკვეულ კონტაქტში იყო მასთან, უმრავლესობა მის მიერ იყო აღზრდილი (გაიოზ რექტორი, დოსითეოზ ნეკრესელი, იოანე ოსეს ძე, იოანე ორბელიანი, ნიკოლოზ ქიზიყელი, ანტონ ცაგარელ-ჰყონდიდელი და სხვ.), ხოლო ისეთი დიდი მთაზროვნე და მეცნიერი, როგორც ანტონ კათალიკოსი იყო, უშუალოდ მისი დახმარებით გაეცნო ფილოსოფიურ ნაწარმოებებს.

ფილიპე ყაითმაზაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები მკვლევართათვის სრულყოფილად ცნობილი არ არის. როგორც აკადემიკოსი კ. კეკელიძე გადმოგვცემს, „...სამწუხაროდ, ვინაობა მისი გარკვეული არაა“<sup>128</sup>, თუმცა ყველა მისი თანამედროვე მოდევანე მიუთითებდა იმ როლზე, რომელიც ფილიპემ შეასრულა ქართული სკოლისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ფილიპე ყაითმაზაშვილი რომ ღრმად განათლებული პიროვნება იყო და მას დიდად აფასებდა ერეკლე II, ამას მოწმობს დავით ბატონიშვილის სიტყვები: „...დაადგინა სომეხთა მღვდელი ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი, ფრიად მეცნიერი და ფილასოფოსი, ვითარცა ძველისა მკოდნე ფილასოფისა, აგრეთვე ახლისადა ფრიად გამოცდილი“<sup>129</sup>. ხოლო მისი მოსწავლე და შემდგომ თანამოკალმე დოსითეოზ ნეკრესელი აღფრთოვანებული იყო მისი მრავალმხრივი ნიჭით. „უფრო გონება ვრცელ მაღალ და კეთილ მეცნი პლატონურთა არისტოტელ და პითაგორებრთ სიბრძნის მეტყველებათა ჰარმანიულითა ენითა“<sup>130</sup>. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ერთი დოკუმენტი — ლექსი, რომელშიც 61 სტროფია, რომელთაგან 17-ში ფილიპე იხსენიება.

ეს ფაქტიც იმის დამადასტურებელია, თუ რაოდენ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას თანამედროვენი. მოვიტანთ ნაწყვეტს ამ ლექსიდან:

„...აწვიაცა ხუცესსა  
ეკლესიისა სომეხთა ფილიპეს  
...ცსა ბრძენსა და მეცნიერსა ქართულსა  
ენასა ზეა, გარდამოღებისასა“<sup>131</sup>

<sup>128</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 337.

<sup>129</sup> დავით ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბილისი, 1905, გვ. 12.

<sup>130</sup> ხელნ. ინსტ. S—2564 (103r), H—69 (137v), H—1012.

<sup>131</sup> ხელნ. ინსტ. A—266 (8 გვ.).

სწორედ იმ გარემოებაში, რომ ფილიპე ყაითმაზაშვილი XVIII საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისისათვის ყველაზე განათლებული, ერუდირებული და სასკოლო საქმის მცოდნე პიროვნება იყო, განპირობა მისი დანიშვნა თბილისის სემინარიის რექტორის პოსტზე 1755 წელს.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ფილიპე დიდ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა ჯერ ანტონ კათალიკოსთან, ხოლო შემდეგ სხვა სასულიერო მოღვაწეებთან ერთად. ამაში მას ხელს უწყობდა როგორც მშობლიური — სომხური, ასევე ქართული ენის კარგად ცოდნა. „ზედმიწვევითა უწყოდა ენა ქართული და უწინარესცა მრავალნი წიგნნი გარდმოელნება სომხურისაგან ქართულსა ენასა ზედა“<sup>132</sup>.

ფილიპეს, ისე როგორც ანტონ კათალიკოსს, პირველ რიგში აინტერესებდა ისეთი ფილოსოფიური წიგნების თარგმნა, რომლებიც მათ შემდგომ სემინარიაში სასწავლებლად გამოადგებოდათ. სწორედ ამ მიზნით იქნა თარგმნილი ქართულ ენაზე მხითარის რიტორიკა, გრამატიკა და მრავალი სხვა სახელმძღვანელო წიგნი.

ასევე ნაყოფიერი შემოქმედებით-მთარგმნელობითი ურთიერთობა ჰქონდა ფილიპეს მდივანბეჯ იოანე ორბელიანთან, დოსითეოზ ნეკრესელთან, ნიკოლაოზ ქიზიყელთან, ანტონ ცაგარელ-ჰყონდიდელთან, იოანე ოსესძესთან და სხვა მრავალთან. დოსითეოზ ნეკრესელთან ერთად მან თარგმნა დავით უძღვეელის „წიგნი საზღაურთა“, „ახსნა პორფირისა“, „რიტორიკა“ — მხითარ სევასტიელისა (თუმცა განმეორებით იგივე წიგნი თარგმნა ანტონ კათალიკოსმა, რადგან აღნიშნული თარგმანი ვრცელი იყო და მოსწავლეთათვის გამოუყენებელი, მან კი შეამცირა და გახადა სახელმძღვანელოდ), „შემოკლებითი ახსნა პერიარმენის წიგნთა“ და „მცირე ლოლიკა“<sup>133</sup>. როდესაც ნიკოლოზ ქიზიყელმა და იოანე ორბელიანმა განიზრახეს პროკლე დიაღობოსის „კავშირის“ თარგმნა, მათ თხოვნით მიმართეს ფილიპეს, რათა დახმარებოდა: „...და ვევედრე ხსენებულსა მას ფილიპე ხუცესსა, რომელმან კეთილად უწყოდა ენა ქართული. რ სხუანი წიგნიცა ეთარგმნეს ენასა ზა ჩვენსა და ურთიერთას სათნო ყოფითა ვიწყეთ ზო-

<sup>132</sup> ხელნი ინსტ. S—192 (1r—6r).

<sup>133</sup> ხელნი. ინსტ. Q—329 (5v).

გაღრე თარგმანებად<sup>134</sup>. საყურადღებოა, რომ ძირითადი ზიმძიმე თარგმანისა ფილიპეს გადაუტანია („...რაოდენნიმე თავნი ნიკოლოზცა აღწერა, გარნა თარგმანთა უპირატესი მამა ფილიპე იყო“<sup>135</sup>). ნიკოლოზ ქიზიყელთან ერთად მან განმეორებით თარგმნა არისტოტელე, „რომელ არს დიალექტიკა, თარგმანებითა მისვე მღღელისა ფილიპესი“<sup>136</sup>, ზოლო ანტონ ცაგარელ-ჰყონდიდელთან ერთად „შემოკლებითი წიგნი ჰეშმარტებითისა ღმრთისმეტყველებისა“ და „დიდი ლოლიკა“. ფილიპეს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ღრმა მოხუცებულობამდე არ მიუტოვებია მეცნიერულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობა. „...მეორედ მოხუცებულ ვიყავ და უძლურ თვალთა და გონებათა ძალთაგან“<sup>137</sup>.

ეხებოდა რა ფილიპე ყაითმაზაშვილის მეცნიერულ-მთარგმნელობითი მუშაობის საკითხებს, აკადემიკოსი კ. კეკელიძე აღნიშნავდა: „ამნაირად, ფილიპეს მეცნიერულ-მთარგმნელობითი ზელი ატყვია, როგორც ვხედავთ, 21 კაპიტალურ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომას. ვინ იცის, ამას გარდა რამდენი უწერია და უთარგმნია კიდევ მას. მაგრამ არსებულ მასალათა მიხედვით ჭერჭერობით მეტს ვერაფერს ვიტყვით“<sup>138</sup>.

სასკოლო-სააღმზრდელო და მეცნიერულ-მთარგმნელობით დაარგში ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ გაწეული შრომის თვალის უბრალო გადავლებითაც კი ნათელი ხდება, თუ მისი სახით XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში როგორი დიდი მოაზროვნე და ერუდირებული პიროვნება მოღვაწეობდა.



XVIII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეების ჯგუფს ეკუთვნის ქართული მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, იმ დროის მეცნიერულ ლიტერატურაში ფილოსოფიური ხასიათის თბულებების მთარგმნელი და შემომტანი, აღიარებული

<sup>134</sup> ხელნ. ინსტ. S—192 (გვ. 010).

<sup>135</sup> ი ქ ვ ე, A—1162 (1r—6r).

<sup>136</sup> ი ქ ვ ე, Q—329 (5v).

<sup>137</sup> ხელნ. ინსტ. A—1312 (238v). აღნიშნული წიგნი ნათარგმნია 1757 წელს.

<sup>138</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 342.

მკვერამეტყველი დოსითეოზ ნეკრესელი<sup>139</sup>. მის სახელთან, ისე როგორც ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის სახელებთან, მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში სწავლა-განათლების დაფუძნების საკითხი.

გაიოზ რექტორი, აღნიშნავდა რა დოსითეოზის უდიდეს დამსახურებას სწავლა-განათლების დარგში, მას ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის გვერდით აყენებდა: „ვითარცა უსარწმუნოესმან ერთგულმან და მოსწრაფებით თანაშემწემან ჰაზრისა კეთილ-მსახურისა მეფისა ჩვენისამან და უწინდესისა ძმისა მისისა მამათ-მთავრისა“<sup>140</sup>. დოსითეოზ ნეკრესელი სწავლა-აღზრდის ერთ-ერთი აღიარებული მეცენატი იყო. მან კარგად იცოდა სომხური ენა, თარგმნიდა ფილოსოფიურ ნაშრომებს ფ. ყაითმაზაშვილთან ერთად. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან შემოქმედებით, მეცნიერულ-ფილოსოფიურ-მთარგმნელობით შრომასა და პრაქტიკულ საქმიანობაში გაატარა, რაც სკოლებისადმი შეუწელებელი ყურადღებით გამოიხატებოდა.

დოსითეოზმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თელავის ფილოსოფიური სკოლის გახსნაში 1758 წელს და როგორც ეპისკოპოსმა, აკურთხა კიდევაც ის. მისი აზრით, აღნიშნული საქმის ყველაზე დიდი ინიციატორი იყო ერეკლე II. მანვე, როგორც სწავლა-აღზრდის საქმის მეცენატმა, თავისი ეპარქიის ცენტრში — ნეკრესის ტაძარში გახსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი. ამასთან დაკავშირებით მას ერეკლე II სწერდა: „იცოდეა, რომ მე მეტად სასიამოვნოდ დამირჩება, თუ თქვენ ბეჯითად იზრუნებთ იმისათვის“<sup>141</sup> (ე. ი. სასწავლებლისათვის — მ. დ.); გაიოზ რექტორი დიდად აფასებდა დოსითეოზს, როგორც საქართველოში სწავლა-აღზრდის დანერგვის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და შემოქმედს, „უფროსლა მეცნიერებითისა ოქროს საუკუნოისა შემოყვანისათვის საქართველოსა შინა უმხნეს-

<sup>139</sup> XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილია ორი ნეკრესელი — დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ამბროსი მიქაძე. ეს უკანასკნელი ნეკრესის ეპარქიას განაგებდა 1744—1812 წლებში.

<sup>140</sup> ქურნ. „ივერია“, 1881, № 8, გვ. 111.

<sup>141</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 342; А. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджарин, Тб., 1911, стр. 40.

მან და უმხურვალესმან მსურველმან წარმატებისათვის სიბრძნესა შინა ღვაწლისა და შრომისა მისისაჲმან“<sup>142</sup>.

მოხუცებულობის მიუხედავად, დოსითეოზ ნეკრესელი თელავის სემინარიის ხშირი სტუმარი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის საქმიანობაში. სემინარიის რექტორი გაიოზი ყოველთვის ცდილობდა პატივი ეცა მოძღვრისათვის, ხშირად აღნიშნავდა, რომ ისიც იმ ფილოსოფიური სკოლის მოსწავლე იყო, როპლის ბაზაზეც სემინარია აღმოცენდა. „ადგილსა მას, აღრითგანვე ბედნიერობითი სწავლულებისათა მდიდარ ქმნილსა, როპლისაცა ქეშმარიტებასა ჰსწამებს იგი სწავლულება ყოვლად სამღვდელოებისა თქვენისა“<sup>143</sup>. გაიოზ რექტორი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ დოსითეოზი სემინარიის ერთ-ერთი დამაარსებელიც იყო: „განვრცობისათვის ამის ძვირფასისა (ე. ი. სემინარიის დაარსების — მ. ლ.) საქმისა, რლთა შორის თქუენიცა ყდ სამღვდელოება უსაკუთრესად და ღირსად მექონ აღგილსა უსრულესისასა მას შინა ხელოვნებისათვის“<sup>144</sup>. მას სწამდა, რომ დოსითეოზი ყველაფერს გააკეთებდა სემინარიის საკეთილდღეოდ: „ნიადაგ მზა ხარო განმხნობად წარმართებად სამღვდელოსა ამის (ე. ი. სემინარიის — მ. ლ.) ადგილისა“<sup>145</sup>. „.. და მარადის მოხარულითა სახითა განიცდით კნინსა ამას და ყრმებრივსა საქმესა ჩვენსა ვითარცა მამა-შვილთ მოყუარე და თანამოღუაწე ჰაზრთა უწმინდესთა მათ პირთა (მხედველობაშია ერეკლე II და ანტონ კათალიკოსი — მ. ლ.), რომელთაცა ინებეს აღდგინება ამის ცხოველისა და უკვდავისა ძეგლისა თეატრსა ზედა საყურელსა მამულსა ჩვენისასა“<sup>146</sup>.

გაიოზ რექტორს დოსითეოზ ნეკრესელის პიროვნება ნიმუშად მოჰყავდა თელავის სემინარიის მოსწავლეთათვის და აღნიშნავდა, რომ „არა არს იქვი ამასა შინა ვითარმედ კეთილი ზრდილება და კეთილი ჩვეულება კაცობრივისა ნათესავისა დამოკიდებული არს ქეშმარიტებითსა მეცნიერებასა ზედა“<sup>146</sup>.

დოსითეოზ ნეკრესელმა შთამომავლობას დაუტოვა დიდი რაოდე-

---

<sup>142</sup> უფრ. „ივერია“, 1881, № 8, გვ. 111.

<sup>143</sup> იქვე.

<sup>144</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (11r).

<sup>145</sup> იქვე.

<sup>146</sup> იქვე.

ნობით ფილოსოფიური, საღვთისმეტყველო და სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებიც მან ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად თარგმნა სომხური ენიდან.



XVIII საუკუნის საქართველოს მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, კალიგრაფოს-გადამწერი და მრავალი სახელმძღვანელოს შემდგენელი იყო დავით რექტორი (დავით ალექსის ძე მესხიშვილი), ანტონ კათალიკოსის აღზრდილი. ის დიდი გავლენით სარგებლობდა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრის გიორგი XII-ის სამეფო კარზე <sup>147</sup>.

დავით რექტორი დაიბადა 1745 წელს. დავითზე, როგორც თავისი დროის უგანათლებულეს ადამიანზე, მიუთითებენ მისი თანამედროვენიც: „დავით ალექსის ძე, ანჩისხატის დეკანოზის შვილი, ესეცა აღზარდა ანტონი კათალიკოზმან და მიიღო სწავლა ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა. ესე არს გონება მკვეთრი და კარგი მეხსიერი, მწერალი მშვენიერი ვითარ ზელნაწერობითა, აგრეთვე დათხზვითაცა... ეს არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხრობათა რომელიც ქებულ არს ერთა ჩვენთაგან... (ანტონი) დავით ალექსის ძეს უწოდდა ქართველთა შორის პირველს ისტორიკოსს“ <sup>148</sup>.

დავით რექტორის, როგორც სასკოლო დარგის სპეციალისტის, ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ერეკლე II-მ ის დანიშნა ქართლ-კახეთის „სკოლების ინსპექტორად და უპირველეს მოძღვრად“. ამ თანამდებობის მიხედვით მას დავალებული ჰქონდა შეემოწმებინა სიონის, კალაუზნის, ქაშვეთის, ანჩისხატის, ნეკრესის, მეტეხისა და სხვა სკოლები <sup>149</sup>.

ყველაზე საუკეთესო ფურცელი დავით რექტორის ბიოგრაფიი-

---

<sup>147</sup> ხელნ. ინსტ. S—105. დავით რექტორი რომ სამეფო კარზე უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა, ამაზე მიგვიითითებს ისიც, რომ ერეკლე II-ის დაქრძალვის საჯარო ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა მას (გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 89).

<sup>148</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 192; ე. თ ა ყ ი ა შ ვ ი ლ ი, საისტორიო მასალები, წიგნაკი 1, ტფილისი, 1913, გვ. 32.

<sup>149</sup> პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი XII, ტფილისი, 1936, გვ. 179; ტ. რ უ ხ ი ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბილისი, 1954, გვ. 294.



დან არის მოღვაწეობა თელავის სემინარიაში, სადაც „დადგინებულ იყო მეფის ირაკლის, თეიმურაზის ძისაგან, რექტორად“<sup>150</sup>. აქ გამოიჩინა მან თავი, როგორც სასკოლო საქმის საუკეთესო მკოდნემ და ორგანიზატორმა, იმ დიდი ტრადიციების გამგრძობმა, რომლებიც დააკანონა თელავის სემინარიის პირველმა რექტორმა გაიოზმა.

ერეკლე II ყოველთვის აღნიშნავდა დავით რექტორის დამსახურებას, აქებდა მას („შენი დიადი დიდი გარჯა და შრომა გვესმის, დიად მადლიერი ვართ. შენ იცი რასაც უმეტესს ეტდები ღმერთს მაგ ქვეყანაშიდ კეთილს ნაყოფს გამოიღებ“<sup>151</sup>) და ავალუბდა მოხელეებს, რათა დროულად მიეცათ რექტორისათვის ხელფასი: „... მდივანო იოსებ ხუთის თვის ანგარიშიდან დიკასტერიაში განწესებულს ალექსის შვილს დავითს ამ წლის ჯამაგირი სამი თუმანნახევარი ნადდი და ნახევარი... გაურგე და მიეც“<sup>152</sup>.

დავით რექტორს უდიდესი დამსახურება მიუძღვის სემინარიისათვის სახელმძღვანელოების შედგენის საქმეში. «Катехизис богословия, грамматика, риторика, категории философии (по Баумейстеру), физика (по Вольфу), история Грузии, обработанная под руководством Антония I... последнему (დავითს — შ. დ.) принадлежит самостоятельная работа — учебник по географии»<sup>153</sup>. მანვე შექმნა სახელმძღვანელო არითმეტიკაში<sup>154</sup>, მისივე ხელი იგრძნობა ალგებრისა და გეომეტრიის სახელმძღვანელოების დამუშავებაში<sup>155</sup>. მორალურ-ფილოსოფიური შრომებიდან, რომლებიც მან დაწერა და შეადგინა და რომლებითაც სემინარიის მსმენელები სარგებლობდნენ, საყურადღებოა. „ოთხნაწილედი სწავლანი“<sup>156</sup> და „აღსარების წიგნი მოწაფეთათვის“<sup>157</sup>.

---

<sup>150</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1948, გვ. 192; ე. თ ა ე ა ი შ ვ ი ლ ი, საისტორიო მასალანი, წიგნაკი 1, გვ. 32.

<sup>151</sup> იქვე.

<sup>152</sup> ხელნ. ინსტ. Qd—1069.

<sup>153</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории груз. слов., М., 1901, стр. 284.

<sup>154</sup> А. Ц а г а р е л и, Сведения о памяти. груз. письмен., т. I, вып. 3, СПб., 1886, стр. 329.

<sup>155</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории груз. слов., М., стр. 284.

<sup>156</sup> ხელნ. ინსტ. Н—2144; ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბილისი, 1954, გვ. 42.

<sup>157</sup> ხელნ. ინსტ. S— 65.

დავით რექტორი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. არ იყო დარგი, სადაც მას თავისი ნიჭი და ენერჯია არ მოესინჯოს. „ამან ჰქმნა წიგნი, თვისგან ქმნილი და უწოდა „ჩემ მიერ ნაღვაწნი“, და აგრეთვე შემატა ლექსიკონს“<sup>158</sup>. როგორც პროფ. ვ. ბერიძე აღნიშნავდა, „დავითის ბევრი და მრავალმხრივი ნაწერები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფში უნდა მოვათავსოთ საერო ხასიათის ნაწარმოებნი, ანდა, როგორც მისი თანამედროვენი ამბობენ, „უღვთო“ ნაწარმოებნი, ხოლო მეორეში სასულიერო-საღვთისმეტყველო“<sup>159</sup>. ანტონის მოსწავლეთაგან მან პირველმა უარყო ის მოძველებული სქოლასტიკური მეთოდი ქართულ ენაში, რომელიც ანტონ კათალიკოსმა შემოიღო, და ენერგიული დამცველი იყო ახალი, უფრო პროგრესული სტილისა. ის ძირფესვიანად ასწორებდა იმ ნაწარმოებს, რომლებიც მის ხელში გაივლიდა.

დავით რექტორმა თელავის სემინარიაში კიდევ უფრო სრულყო და განამტკიცა ის ტრადიციები, რომლებიც გაიოზ რექტორმა დანერგა და რომლებიც მოსკოვის ბერძნულ-ლათინურ-სლავური აკადემიის ტიპიკონის მიხედვით იყო შემოღებული. იგი ატარებდა შემოწმებებსა და დისპუტებს რუსული სკოლების ყაიდაზე<sup>160</sup>, აწყობდა სანახაობებსა და საზეიმო შეკრებებს, სადაც შექმნილ ცოდნას ამქლავნებდნენ სემინარიის მოსწავლეები<sup>161</sup>. აღნიშნული სახის პაექრობები ჩატარდა 1791 წლის 16 თებერვალსა და 2 აპრილს<sup>162</sup>, როდესაც სემინარიას ჯერ ვახტანგ ბატონიშვილი, ხოლო შემდეგ დავით ბატონიშვილი სტუმრებია. დავითი მარტო სემინარიით არ იზღუდებოდა, ის ცდილობდა თავის აღსაზრდელებს მიღებული ცოდნა ყოველ საზეიმო შეკრებაზე გამოეჩინათ<sup>163</sup>.

დავით რექტორის დროინდელ სემინარიაში დანერგილი იყო აღზრდის მკაცრი მეთოდი. მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა აღზრდის ერთ-ერთი კომპონენტი იყო. ეს მეთოდი ჯერ კიდევ გაიოზმა გადმოიღო რუსული სკოლისაგან. ფაქტობრივად დავითი გვევლინება მოს-

<sup>158</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1942, გვ. 192; ე. თ ა ვ ა ი შ ვ ი ლ ი, საისტორიო მასალები, წიგნაკი 1, ტფილისი, 1913, გვ. 32.

<sup>159</sup> თ ს უ შ რ ო მ ე ბ ი, ტ. 1, 1936, გვ. 318.

<sup>160</sup> Е. Мединский, История русской педагогики, М., 1938, стр. 4.

<sup>161</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 74.

<sup>162</sup> ხელნ. -ნსა. S — 105, გვ. 73.

<sup>163</sup> ბ. ი თ ს ყ ლ ი ი ა ნ ი. ცხოვრება გიორგი XIII, ტფილისი, 1936, გვ. 159.

წავლეთა მიმართ ფიზიკური სასჯელის გამოყენების მომხრედ. ამ მხრივ ის აგრძელებს იმ იდეებს, რომელთა მომხრეც სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და გაიოზ რექტორი იყვნენ. «Он был как педагог склонностью к суровым наказаниям»<sup>164</sup>. დავითის დროინდელი სემინარიაში არსებულ ფიზიკური დასჯის მეთოდზე მიგვითითებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, სადაც აღწერილია თუ როგორ სჯიდა ქურდობისათვის დავით რექტორი კატას, რომლის შემხედვარე იოანე ხელაშვილი წამოიძახებს: „გმადლობ შენ უფალო, ჩვენი ფეხები მოწაფეობის დროს ამ ყოფაში იყვნენ, და ახლა ეს საბრალო კატა დამოწაფებია, და ნეტარ გამოვსცნა, თუ რაისა სწავლისათვის ასე უწყალოდ სტანჯავს“<sup>165</sup>.

მართალია, თელავის სემინარიაში გამეფებული იყო მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის მეთოდი და მას თანამედროვეებშიც ჰყავდა მოწინააღმდეგენი, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. გ. ჯავახიშვილი, „როგორც არ უნდა ყოფილიყო მართლაც სასტიკი აღზრდის მეთოდი, გამეფებული თელავის სემინარიაში, მაინც მაშინ მართლაც ის იყო სასწავლებელი, საიდგანაც გამოდიოდა ცოტად თუ მეტად ნასწავლი ხალხი“<sup>166</sup>.

დავითის რექტორობის დროს თელავის სემინარია დაამთავრა მოსწავლეთა დიდმა რაოდენობამ. „ამან ასწავა სკოლასა შინა თელავს მრავალ მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი“<sup>167</sup>. მის აღზრდილთა შორის იყო სამეფო ტახტის მემკვიდრე და მეცნიერი დავით ბატონიშვილიც, რომელიც ხშირად იხსენიებდა თავის მოხუცებულ აღმზრდელს: „ჩემო ლალავ! ყველას მოკითხვა გადაეცი, ვინც ჩემზედ იცინის და ვინც ჩემზედ სწუხს“<sup>168</sup> და უზიარებდა თავის გულისწუხილს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ახალმა აღმინისტრაციამ დახურა თელავის სემინარია.<sup>169</sup>

---

<sup>164</sup> А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, М., 1901, стр. 286.

<sup>165</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1, ტფილისი, 1936, გვ. 68.

<sup>166</sup> გ. ჯავახიშვილი, კალმასობა, თბილისი, 1933, გვ. 91.

<sup>167</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1948, გვ. 192.

<sup>168</sup> ბ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, ტფილისი, 1936, გვ. 245

<sup>169</sup> ხელნ. ინსტ. Q—401.

„სკოლა წამართვეს...“<sup>170</sup> — წერს დავით რექტორი. აღნიშნული მასალებიდან ირკვევა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუკეტიათ სემინარია, გაუთავისუფლებიათ რექტორი<sup>171</sup>.

დავით რექტორის გარდაცვალების თარიღი ზუსტად არ არის დადგენილი. 1820 წლის 21 თებერვლითაა დათარიღებული მისი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ ის მოხუცებული და გაღარიბებულია<sup>172</sup>. ვვარაუდობთ, რომ დავით რექტორი გარდაიცვალა XIX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში<sup>173</sup>.

---

<sup>170</sup> გაზ. „ივერია“, № 39, 1877, გვ. 12.

<sup>171</sup> ეს მოხდა 1801 წლის 8 ივნისს. არსებობს დავით რექტორის ერთი ფრიად საინტერესო წერილი, სადაც ვკითხულობთ, რომ „...სკოლა წამართვეს: და რომელიც შენობისას ხელაშვილის სახლები გავაკეთე. შენს უკან კიდევ უკეთესად გავაკეთე ისიც წამართვეს. იმავე ძალმა სუდიამ სამგზის წყეულმა იქიდან გამომაგდეს... თუ რამ მებადა ან პური ან სტოლები. ას ორმოცი ფიცარი, ტომრები. რაღა გითხრა ყოველივე სახლის მოსახმარი. სკამები, კრაოტები ყოველივე ამან წამართვა — სამართალი ვერ ვიშოვე“ (გაზ. „ივერია“ № 39, 1877, გვ. 12).

<sup>172</sup> გაზ. „ივერია“ № 39, 1877, გვ. 13.

<sup>173</sup> ა. ხახანაშვილის აზრით, გარდაიცვალა 1827-30 წლებს შორის (Очерки по истории груз. словесн., Москва, 1901, стр. 284), ქ. სანიკიძის აზრით—1824 წელს (ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. VI, ქუთაისი, 1946, გვ. 621), ვ. ბერიძის მოსაზრებით—„1830 წლების ახლოს“ (თსუ შრომები, ტ. 1, გვ. 38, 1936). ამ უკანასკნელის მიხედვით, დავით რექტორი დასაფლავებული უნდა იყოს მთაწმინდაზე.

**გაიოზ რამბტორის ცხოვრება და სასოგადოებრივ-  
პოლიტიკური მსოფლმხედველობა**

**1. ბიოგრაფიული ცნობები**

გაიოზ რექტორს თანამედროვეები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, მას უწოდებდნენ მოზდოკელსა და მოჟარელს<sup>174</sup>; პენძელსა და სარატოველს<sup>175</sup>, კრემენჩუგელსა<sup>176</sup> და ასტრახანელს<sup>177</sup>. ასე აწერდა ის ხელს მის მიერ შექმნილ მრავალრიცხოვან საღვთისმეტყველო თხზულებებსა და თარგმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

გაიოზ რექტორის მხოლოდ ერთადერთი პორტრეტი შემორჩა შთამომავლობას. სურათზე გამოსახულია შუა ხანს მიღწეული ლამა-

<sup>174</sup> П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1772 по 1803 г., ч. I, стр. 244, СПб., 1869; Тонкмелис, Правда об автокефалии груз. церкви, Кутаис, 1905 г., стр. 138; „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1865, № 8, გვ. 51; პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუსის მიტროპოლიტისა, თბილისი, 1852, გვ. 5; Девятисотлетие русской иерархии, 988—1888 гг. Епархии и архиерей, Москва, 1888, стр. 52.

<sup>175</sup> საქ. საისტ. ცენტ. არქივი, ფონდი № 1458, საქმე № 2 (კველი № 19), გვ. 16; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თსუ, 1951, ტ. 1, გვ. 363; პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუსის მიტროპოლიტისა, თბილისი, 1852, გვ. 21; ი. ბატონიშვილი, კალმასობა, თბილისი, ტ. 2, 1948, გვ. 141; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წიგნაკი I, თბილისი, 1913, გვ. 31; Девятисотлетие русской иерархии, 988—1888 гг., Епархий и архиерей, стр. 70, Москва, 1888; Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб., 1802, стр. 81.

<sup>176</sup> ზ. კიკინაძე, ვახტანგ VI და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე, ტფილისი, 1916, გვ. 35.

<sup>177</sup> Девятисотлетие русской иерархии 988—1888 гг. Епархии и архи-

ზი გარეგნობის შავგვრემანი მამაკაცი, სასულიერო რევალიებით შემკული, რომლის გამოხედვაში იგრძნობა ძლიერი ნებისყოფა და სიმტკიცე. ეს პორტრეტი უნდა ეკუთვნოდეს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის პერიოდს<sup>178</sup>.

„ამ შესანიშნავმა კაცმა თუმცა მომეტებული წელი თავის სიცოცხლისა საქართველოს გარეთ გაატარა, მაგრამ საქართველო მას არ დაჰვიწყნია“,<sup>179</sup>—სამართლიანად აღნიშნა მკვლევარმა ალ. გული-საშვილმა, რომელსაც მისი მეცნიერულ-ლიტერატურული და მთარგმნელობითი მემკვიდრეობა ჰქონდა მხედველობაში.

გაიოზ რექტორის დაბადების თარიღის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვაობა არსებობს. ქალაქ ასტრახანში, სადაც მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები გაატარა და გარდაიცვალა, მისი საფლავის ქვაზე შემდეგი შინაარსის ეპიტაფიაა: «Здесь погребено тело преосвященного Гая, Архиепископа Астраханского и Кавказского, скончавшегося в 1821 году феврале 20 дня, на 82 году от рождения»<sup>180</sup>.

ამ მონაცემის მიხედვით, გაიოზი დაბადებულა 1739 წელს. არსებობს მეორე დოკუმენტიც — წმინდა სინოდის საარქივო მასალა, რო-

---

რენ, стр. 77. Москва 1888; М. Благоднравов, Архиерей Астраханской епархии за 300 лет ея существования с 1602 до 1902 года, стр. 93, Астрахань, 1902. Астраханский кафедральный Успенский собор. История его и настоящее состояние, стр. 7—8, Казань, 1881. Е. Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, стр. 7, Тифлис, 1901. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, стр. II, т. 2., вып. 3, СПб., 1894.

<sup>178</sup> ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაინტერესებული იყვნენ არ დაეკარგათ შთამომავლობისათვის მისი პორტრეტი. ამაზე გაზ. „დროებაც“ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ მარტყოფში, წმ. მამა ანტონის ეკლესიაში არის დარჩენილი სურათი ჩვენი გამოჩენილი და განსწავლული არხიეპისკოპოსი გაიოზ ნაცვლიშვილისა, რომელმაც 36 თხზულება დასტოვა. კარგი იქნება, რომ მის სურათს ყურადღება მიჰქციონ და გადააღებინონ“ (გაზ. „დროება“, 1870, № 156, გვ. 2—3). გაიოზ რექტორის სურათი პირველად დაბეჭდა „საქართველოს სასულიერო მახარობელმა“ 1865 წ. გამორიცხული არ არის, რომ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ იყოს ავტორები გაიოზის რომელიმე სხვა სურათზე მიუთითებდნენ.

<sup>179</sup> ეურნ. „მწყემსი“, 1884, № 6, გვ. 10.

<sup>180</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб., 1886, стр. III; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1915, გვ. 360.

მელიც გაიოზის მემკვიდრეობას ეხება და სადაც აღნიშნულია, რომ ის დაბადებულია 1748 წელს. ამავე აზრს იზიარებდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე და მკვლევარი, ეპისკოპოსი კირიონი<sup>181</sup>. ცნობილ თეოლოგ-მკვლევარ მ. ბლაგონრაგოვის აზრით, გაიოზი დაიბადა 1750 წელს<sup>182</sup>. ამ თარიღზე გაიოზის არც ერთ მკვლევარს არ მიუთითებია.

ისმება კითხვა: რომელი წელი უნდა მივიღოთ გაიოზ რექტორის დაბადების თარიღად? მკვლევართა უმრავლესობა (ნ. პალმოვი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ე. ნიკოლაძე, ნ. მთვარელიშვილი, ა. გული-საშვილი, კ. კეკელიძე, ტ. რუხაძე) ერთხმად აღნიშნავენ, რომ გაიოზ რექტორი დაიბადა 1746 წელს სოფ. მაღაროში (სიღნაღის რაიონი). ისინი თავიანთ დასკვნას ასაბუთებენ იმ განცხადების საფუძველზე, რომელიც გაიოზს მიუცია სინოდის კანტორისათვის, როდესაც მას მოსკოვის სემინარიაში ღებულობდნენ: «Сего 1774 года, июля 18 дня, Святейшего Синода в конторе, находившейся в Москве, оставшийся от свиты преосвященного грузинского католикоса Антония архидиакон Гайоз письменно показал, что от роду ему двадцать осьмой год<sup>183</sup>».

აღნიშნულ თარიღს ადასტურებდა ისეთი ავტორიტეტული პიროვნებაც, როგორც გაიოზის თანამედროვე ბაგრატ ბატონიშვილი იყო. «წელსა ამას 1821, თებერვალში 21, გარდაიცვალა არხიეპისკოპოსი გაიოზ, ქართველი, თაყაშვილი... ესე მიიცვალა წლისა 75...»<sup>184</sup> ამგვარად, გაიოზის დაბადების თარიღად მიღებულია 1746 წელი.

გაიოზის ცხოვრების მკვლევართა შორის ყველაზე დიდი აზრთა სხვაობა გამოიწვია მისი გვარის საკითხმა. გაიოზის ნამდვილი გვარი დღესაც კი მკვლევრებისათვის დაუდგენელია. ასახელებენ რამდენიმეს: ნაცვლიშვილი, ბარათაშვილი, თაყაშვილი. ჩვენ შევეცდებით გავანალიზოთ სხვადასხვა მკვლევრის მონაცემები ამ საკითხზე და გავაყეთოთ ერთგვარი დასკვნა.

მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ნ. გამრეკელი თავის ჩანაწე-

<sup>181</sup> ცენტ. არქ. ფონდი № 1458, საქმე № 12 (ძვ. 19), გვ. 16.

<sup>182</sup> М. Благонрагов, Архиерей Астраханской епархии за 300 лет ея существования с 1602 по 1902 года. Астрахань, 1902, стр. 93.

<sup>183</sup> Христианский Восток, т. II, вып. I, СПб., 1913, Н. Пальмов, К сведениям о личности архидиакона Гайоса, впоследствии архиепископа астраханского и ставропольского, стр. 40.

<sup>184</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავითის და მისი ძმების 1744—1840 წ., თბილისი, 1905, გვ. 157.

რებში გაიოზს, როგორც ანტონის საუკეთესო მოწაფეს, ნაცვლიშვილად იხსენიებდა<sup>185</sup>. ნაცვლიშვილად მიაჩნდა გაიოზი პ. კარბელაშვილს<sup>186</sup>, მკვლევარ პ. იოსელიანს, რომელიც აღნიშნავდა, რომ „გაიოზი გუარით ნაცვლიშვილი კახეთის აზნაურთაგანი აღიზარდა კათალიკოს ანტონის მიერო“<sup>187</sup>, აგრეთვე ე. ნიკოლაძეს<sup>188</sup>, პ. უმიკაშვილს<sup>189</sup> და ზ. ჭიჭინაძეს<sup>190</sup>. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც გაიოზის სურათის პოვნის საკითხს მიეძღვნა, ის ნაცვლიშვილადაა მოხსენიებული<sup>191</sup>.

ბუნებრივია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევრები გარკვეულ მონაცემებს ემყარებოდნენ, როდესაც აღნიშნავდნენ მის ნაცვლიშვილობას. შეიძლება ასეთ დოკუმენტად მათ მიიჩნიეს ის საპარქივო მასალა, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ აღმოაჩინა და სადაც ვკითხულობთ, რომ „...და დავბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა: მხედრული „დაუქლომელი“ 700 ც, „კიტაის სიბრძნე“ გაიოს ნაცვლიშვილისა 700 ც...“<sup>192</sup> მით უმეტეს, რომ ის დაწერილია 1793 წელს მღვდელ ქრისტეფორე კეჭერაშვილის მიერ, როდესაც ამ უკანასკნელმა კერძო სახსრებით გამოსცა წიგნები. შეიძლებოდა ეს დოკუმენტი მკვლევრებს ყველაზე სარწმუნო წყაროდაც მიეჩნიათ, რადგანაც კეჭერაშვილი გაიოზის თანამედროვე იყო, მაგრამ მაშინ საკითხავია, რას ემყარებოდა ქ. კეჭერაშვილი? ვფიქრობთ, რომ, როგორც ყველა მკვლევარი, კეჭერაშვილიც შეცდომაში შეიყვანა იმ ნათესაობამ, რომელიც გაიოზს

<sup>185</sup> ხელნ. ინსტ. H—2876, გვ. 34.

<sup>186</sup> პ. კარბელაშვილი, ანტონ 1, მზამეტყველება, ტფილისი, 1892, გვ. 2.

<sup>187</sup> პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მზახვრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, თბილისი, 1852, გვ. 21.

<sup>188</sup> ე. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 161.

<sup>189</sup> „გაიოზ ნაცვლიშვილი პირველი რექტორი და გამმართველი თელავის სემინარიისა, გაზ. „ივერია“, № 39, 1877.

<sup>190</sup> ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა 1709—1909 წწ. მეფე ვახტანგ მეექვსე, ტფილისი, 1909, გვ. 6; ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ VI და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე, ტფილისი, 1916, გვ. 35; ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, ტფილისი, 1913, გვ. 218.

<sup>191</sup> გაზ. „დროება“ № 159, 1879, გვ. 2—3.

<sup>192</sup> ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ VI და სხვათა შრომა..., ტფილისი, 1916, გვ. 23.



ნაცვლიშვილებთან აკავშირებდა და რომლის კანონზომიერ შედეგსაც წარმოადგენდა ნაცვლიშვილების მიერ გაიოზისაგან მიღებული მემკვიდრეობა. ამას ყველაზე ნათლად აგვიწერს გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილი, რომელიც დაესწრო გაიოზის გარდაცვალებას 1821 წელს. ის მამისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ „გურგენ გეახლათ ნაცვლის ძე“<sup>183</sup>, მაგრამ აქ არაა აღნიშნული, რომ გურგენი პირდაპირი მემკვიდრეა. სწორედ ამ მემკვიდრეობას შეეძლო შეეყვანა შეცდომაში მკვლევრები. ვფიქრობთ, რომ გაიოზის ნაცვლიშვილობის თაობაზე ამომწურავი პასუხი გასცეს ნ. პალმოვმა<sup>184</sup> და კ. ქეკელიძემ<sup>185</sup>, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გაიოზის და მისთხოვების ვინმე თადეოზ ნაცვლიშვილს, რომელთა შვილი გურგენი შემდგომ გახდა გაიოზის ერთადერთი მემკვიდრე. აი ის სათავე, საიდანაც აიღო მცდარი მასალა გაიოზის გვარის დამდგენელმა ზოგმა მკვლევარმა<sup>186</sup>.

მკვლევართა ერთი ნაწილი მას თავად ბარათაშვილ-თაყაშვილად მიიჩნევს. მათ შორისაა ეპისკოპოსი კირიონი<sup>187</sup>, რომელიც არ იყო დარწმუნებული თავისი აზრის სისწორეში და აცხადებდა: „დღესაც საკამათო საგანს შეადგენს მისი გვარიშვილობაო“<sup>188</sup>. იმ პირთა შორის, რომლებიც მას ბარათაშვილად აღიარებდნენ, ყველაზე მეტად შეიძლება ვერწმუნოთ თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც წერდა: „ესე იყო პლ საქართველოსა, კახეთისა ქალაქსა თელავს, საკეთილშობილთა სასწავლებელთა მოძღვარი, ხოლო თვით იყო თავადთა ბარათაანთაგანი თაყაშვილი, აღზრდილი სამეცნიეროთა ყოველითა კათოლიკოსის მიერ ანტონი პირველისა“<sup>189</sup>. ეყრდნობოდა რა თეიმუ-

<sup>183</sup> ხელნ. ინსტ. S—378, გვ. 271.

<sup>184</sup> Христианский Восток, т. II, вып. I, СПб., 1913. Н. Пальмов, К сведениям о личности архидиакона Гайоса, впоследствии архиепископа астраханского и ставропольского, стр. 40—42.

<sup>185</sup> კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 361.

<sup>186</sup> ნაცვლიშვილად მიიჩნევდნენ გაიოზ რექტორს ნ. მთავაშვილი და ა. ხახანაშვილიც.

<sup>187</sup> Е. Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 7.

<sup>188</sup> ცენტრ. არქ. ფონდი № 1458, საქმე № 12 (ძველი № 19).

<sup>189</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб., 1894, стр. 179.

რაზ ბატონიშვილის მონაცემებს, ა. ცაგარელი მთლიანად იზიარებდა მის აზრს და აღნიშნავდა: «Во всяком случае царевич Теймураз, как авторитетный историк и археолог грузинский, притом современник Гайоза и, вероятно, лично знавший его и его родственников, без достаточного основания не назвал бы его происходящим от князей Бараташвили»<sup>200</sup>.

ბარათაშვილთა ერთ-ერთი შტოს — თაყაშვილების გვარის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ გაიოზ რექტორს მ. ბლაგონრაგოვი<sup>201</sup>, ბაგრატ ბატონიშვილი<sup>202</sup>, ავტორი „მცირე უწყებისა ქართველთა მწერალთათვის“<sup>203</sup>. ამაზევე მიუთითებს ის სქელტანიანი წიგნი, რომელიც რუსული იერარქიის 900 წლისთავს მიეძღვნა<sup>204</sup>, გაიოზის ბარათაშვილ-თაყაშვილობის საკითხს იზიარებენ თანამედროვე მკვლევრები: ტ. რუხაძე<sup>205</sup>, ლ. მენაბდე<sup>206</sup>, ტ. სარიშვილი<sup>207</sup> და სხვ. თავისებურ განმარტებას იძლევა აღნიშნულ საკითხზე ბ. ბიგულავეი. ის ფიქრობს, რომ გაიოზის გვარი ნაცვლიშვილი კი არ არის, არამედ «Такаов» და ცდილობს აქედან გამომდინარე მის გვარში რაიმე ოსური საწყისები გამოძებნოს, რაც არამეცნიერულ კვლევაძიებად მიგვაჩნია<sup>208</sup>.

მაინც რამ გამოიწვია ის, რომ მკვლევრების ერთი ჯგუფი აცხადებს

---

<sup>200</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках груз. письмен., т. I, вып. 3, стр. LIII, СПб., 1889. ცაგარელის ვერსიით, შესაძლოა გაიოზის მამა სადმე დანიშნული იყო მოურავად ან ნაცვალად და აქედან იღებს სათავეს გაიოზის გვარი, რაც ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია.

<sup>201</sup> М. Благоправов, Архиепископ Астраханской епархии за 300 лет его существования с 1602 по 1902 год, Астрахань, 1902, «Гай Токаов», стр. 93.

<sup>202</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავითის და მის ძმებისა 1744—1840 წწ., ტფილისი, 1905, გვ. 55.

<sup>203</sup> ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წიგნაკი პირველი, ტფილისი, 1913, გვ. 31.

<sup>204</sup> Девятисотлетие русской иерархии, 988—1888 гг., Епархии и архиепископов, Москва, 1888, стр. 52—53.

<sup>205</sup> გაზ. „სახალხო განათლება“, 1956, № 39.

<sup>206</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბილისი, 1962, გვ. 369.

<sup>207</sup> ტ. სარიშვილი, სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეების განვითარება რევოლუციამდელ ოსეთში (სადოქტორო დისერტაცია), 1964.

<sup>208</sup> Известия С/Осет. НИИ, т. XII, г. Орджоникидзе, 1948, стр. 247.

გაიოზს თაყაშვილად? ისტორიულად ცნობილია, რომ ბარათაშვილების ერთმა შტომ, რომლის მამამთავარიც თაყა ბარათაშვილი იყო, მიიღო გვარად თაყაშვილობა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მრავალი ხელნაწერიდან<sup>209</sup> ერთ-ერთში, რომელიც დათარიღებულია 1701 წლით, წერია: „...ესე ნასყიდობის წიგნი კადრეთ და მოგართვით ბედნიერს ხელმწიფეს მეფეს პატრონს ნაზარალიხანს და დედოფალთ დედოფალს პატრონს ანასა და ძეთა თქვენთა ჩვენ თქვენმან ყმაჲან ბარათაშვილმან თაყამ შეილმან ჩემმან გიორგიმ ასლან იესემ და შეილისშვილმა ჩემმან. . რომე მოვალისაგან შეწუხებული ვიყავით და დაგვეჭირა და მოგყოდეთ ჩვენი სამკვიდროს მამულისაგან“<sup>210</sup>... და ა. შ.

შეიძლება თუ არა თაყა ჩავთვალოთ თაყაშვილების გვარის დამწყებად? ყოველ შემთხვევაში, თაყა ბარათაშვილი რომ იხსენიებოდეს, ისეთი უფრო ადრეული საბუთი ჩვენ არ შეგვხვედრია. არის მეორე ხელნაწერიც — ესაა ნასყიდობის წიგნი, სადაც იგივე თაყა ბარათაშვილი განმეორებით ყიდის ადგილ-მამულს. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული საბუთიც დაახლოებით იმავე წლებისა უნდა იყოს<sup>211</sup> ვნახეთ მესამე ხელნაწერიც, სადაც თაყა ბარათაშვილი შეილით ვიორგით და ძმით ასლაჰაზით კვლავ ყიდის მიწას. საბუთის შედგენის თარიღია 1817 წელი<sup>212</sup>. ასე რომ, პირველი ორი ნასყიდობის წიგნისა და ნასყიდობის მესამე წიგნის შექმნის შორის პერიოდი 116 წლით განისაზღვრება. ბუნებრივია დაისვას კითხვა: რომელი თაყა შეიძლება ჩაითვალოს გვარის შემქმნელად: 1701 თუ 1817 წლისა? ხომ შეიძლება, რომ იმ პერიოდში ბარათაშვილების გვარში კიდევ ყოფილიყო პიროვნება, რომელსაც თაყა ერქმეოდა სახელად? მით უმეტეს, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოში სახელი თაყა საკმაოდ გავრცელებული იყო.

თაყაშვილების გვარის თავი რომ ის თაყაა, რომელსაც ნასყიდობის წიგნი მისცა ნაზარალიხანმა. ამას, ვფიქრობთ, გვიბტკიცებს ის საბუთი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება Hd—9075 ნომრით, დათარიღებულია 1731 წლით (ჩღლა) და ფაქტობრივად მოს-

<sup>209</sup> დიდ მადლობას მოვასხენებთ პროფ. ტ. რუხაძეს, რომელმაც მიგვითითა აღნიშნული ხელნაწერების არსებობაზე.

<sup>210</sup> ხელნ. ინსტ. Hd—4154.

<sup>211</sup> ხელნ. ინსტ. Hd—8783.

<sup>212</sup> ხელნ. ინსტ. Hd—8781.

კოვზა. იქ წერია, რომ „მეფეთ-მეფე ვახტანგ და თანამეცხედრე ჩვენ-  
მან, ჩერქეზ ბატონის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონ-  
მან რუსუდან... მისცეს „... ნამსახურ ყმას: ბარათაშვილს, თაყაშვილს  
იესეს: ძმასა შენსა ქაიხოსროს...“ აქ საინტერესოა ის, რომ იესეს  
ვხვდებით პირველ ორ საბუთშიც, როგორც თაყას შვილს, ძეს. სა-  
ფიქრებელია, ეს იგივე იესეა, მით უმეტეს, რომ წლებშიც დიდი  
განსხვავება არაა — სულ 30 წელი. მაგრამ ყველაზე საყურადღებო  
ის არის, რომ ამ ოფიციალურ დოკუმენტში პირველად ვხვდებით  
ორი გვარის ხსენებას ერთად „...ბარათაშვილს, თაყაშვილს იესეს“.  
ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის, რომ თაყაშვილების გვარის  
ძირი სწორედ აქედან მოდიოდეს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რა კავშირი არსებობს თაყაშვილების  
გვარის წარმოშობის ამ ჰიპოთეზასა და გაიოზს შორის? მით უმე-  
ტეს, რომ ისტორიულმა წყაროებმა გაიოზის მამის სახელი არ შემო-  
გვინახა და არც აღნიშნულ ხელნაწერებშია მოხსენიებული სახელი  
გაიოზი. ვფიქრობთ, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ბარათაშვი-  
ლების გვარში შემოტანილმა მეორე გვარმაც, თაყაშვილმა, რო-  
მელმაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოიწვია ამ ორი გვა-  
რის ერთად ხმარება — „ბარათაშვილ-თაყაშვილი“ მიიყვანა ზოგი  
მკვლევარი იმ დასკვნამდე, რომ გაიოზისათვის, როგორც ბარათაშ-  
ვილის გვარის წარმომადგენლისათვის, შეიძლებოდა ეწოდებინათ თა-  
ყაშვილიც.

იყო თუ არა გაიოზის გვარი ბარათაშვილი? ჩვენი აზრით, ერთად-  
ერთი პიროვნება, რომელსაც შეეძლო ზუსტი პასუხის გაცემა, იყო  
ანტონ კათალიკოსი, რომელთანაც გაიოზი 16—17 წლის ასაკიდან  
იზრდებოდა და თითქმის მთელი სიცოცხლე საერთო საქმით იყო მას-  
თან დაკავშირებული. აი რა განმარტებას აძლევდა ანტონ კათალიკოსი  
სინოდს იმ წერილში, რომელიც მან ასტრახანის ეპისკოპოსის მეშვეო-  
ბით გაგზავნა გაიოზის თაობაზე 1776 წელს: „მე დიაკონისა მის აზ-  
ნაურყოფისა, რომელსაც ჰსწამებს თავისსა თვისისათვის, ესე მიმი-  
ლებიეს უწყებაი ვითარმედ დიაჩოქმან რომელმანმე ტფილისელმან,  
სახელით ზედწოდებულმან ზაქარია, აღზარდა დიაკონი იგი ხსენებუ-  
ლი გაიოზ შვილად და მემკვიდრედ მცირისა საცხოვრებლისა თვისი-  
სა“<sup>213</sup>. როგორც აღნიშნული წერილიდან ჩანს, ანტონ კათალიკოსს

<sup>213</sup> ხელნ. ინსტ. H—2510.

ართუ მის თავადობაში, არამედ აზნაურობაშიც კი ექვი ეპარება. ინელად დასაჯერებელია, რომ ისეთ პიროვნებას, როგორც ანტონ კათალიკოსი იყო, არ სცოდნოდა თავისი მოწაფის, პირადად მის მიერ აღზრდილის გვარი. სწორედ ანტონ კათალიკოსის პასუხი აქვს მხედველობაში ნ. პალმოს, როდესაც ასკვნის, რომ თეიმურაზ ბატონიშვილისა და ა. ცაგარლის ცნობა გაიოზის დიდგვაროვნების შესახებ არასწორია. ის რომ ბარათაშვილი ყოფილიყო. მის გამზრდელს აუცილებლად ეცოდინებოდა<sup>214</sup>. ის ვერსია, რომ გაიოზი სასულიერო პირი იყო და ამდენად ანტონი თითქოს ერიდებოდა მისი გვარის მოხსენიებას, სარწმუნოდ არ შეიძლება ჩაითვალოს. აკი სასულიერო პირი იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი, მაგრამ მისი გვარი არავის დაუმაღავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის ყველაზე მიღებულ ცნობად გაიოზის შესახებ უნდა მივიჩნიოთ ის, რომელიც მოგვცა აკად. კ. კეკელიძემ: „რაც შეეხება მის წოდებას, თავადობას თუ აზნაურობას, და გვარს, ეს ისტორიისათვის გაურკვეველი რჩება“<sup>215</sup>. ანტონ კათალიკოსმა შთამომავლობას არ გაუშეღავნა მისი ნამდვილი გვარი და გაიოზი ისტორიას შერჩა თავისი თანამდებობის აღმნიშვნელი საპატიო სახელით — გაიოზ რექტორით.

ისტორიულ ნარკვევებში არსებობს ცნობა, თითქოს ანტონი იცნობდა გაიოზს, სანამ მას საქართველოდან გააძეებდნენ<sup>216</sup>. აღნიშნულ ცნობას სამართლიანად აკრიტიკებს ნ. მთვარელიშვილი<sup>217</sup>. მისი აზრით, ანტონ კათალიკოსმა გაიოზი შეამჩნია 1762 წელს და აიყვანა მოსწავლედ, როდესაც ექსორიიდან დაბრუნდაო. ანტონის მიერ

<sup>214</sup> Н. Пальмов, К сведениям о личности архидиакона Гайоза, СПб., 1913, Христианский Восток, т. II, вып. I, стр., 42; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1952, გვ. 361.

<sup>215</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1952, გვ. 360, უნდა შევნიშნოთ, რომ გაიოზი სინოდისადმი წარდგენილ თავის ახსნაგანმარტებაში წერდა: „ვარ აზნაურთაგანიო“ („ივერია“, 1881, №№ 8, 9, 10), მაგრამ შეიძლება სარწმუნოდ მივიღოთ ისიც, რასაც ანტონ I აღნიშნავდა, რომ მან სინოდიც კი მოატყუაო.

<sup>216</sup> А. Хаканов, Очерки по истории груз. словесн., вып. III, Литература XIII—XVIII в., Москва, 1901, стр. 276.

<sup>217</sup> უტრ. „ივერია“, 1881, № 8. მთვარელიშვილს სამართლიანად მიაჩნია, რომ 8 წლის ბავშვის შემჩნევა არ შეეძლო ისედაც დიდი საქმეებით გადატვირთულ მოძღვარს და სახელმწიფო მოღვაწეს.

გაიოზის მოსწავლედ აყვანის ამავე თარიღს ემხრობა ა. ხახანაშვილიც. მაგრამ თვით ანტონ კათალიკოსი გვამცნობს, რომ „წელიწადს 1763, 3-დ წამოველ რა როსიით და მოვიწიე მამულად, და ქვეყნად ჩემდა, ვიხილე ტფილისს შა ხსენებული იგი დიაკონი კაბუჯად, ხოლო ძალ ედვა თუ სადმე მსწავლელი მისდა იქნებოდა ვინმე. სწავლად აზნაურნი და თავისუფალნი ცნობანიცა, გარნა მხოლოდ წიგნი ოდენ ესწავლა, და სხვა არა რაი, და მე მოვიყვანე იგი საეპისკოპოსოდ სახლად ჩემდა“<sup>218</sup>

ამ ცნობის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ანტონა გაიოზი პირველად უნახავს 1763 წელს 16—17 წლის ასაკში. ბუნებრივია, რომ საუკეთესო აღმზრდელმა და დიდაქტიკოსმა მასში თავიდანვე შენიშნა ის კეთილი თვისებები, რაც ასე უხვად ჰქონდა მომადლებული გაიოზს. ნ. მთვარელიშვილის მიხედვით, გაიოზი ანტონის გვერდით იმყოფებოდა 1762-72 წლებში<sup>219</sup>. ჩვენ ეს თარიღი შეგვიძლია მივიღოთ იმ შესწორებით, რომელიც თვით ანტონ კათალიკოსს შეაქვს, ე. ი. 1763 წლიდან. მკვლევრებისათვის დადგენილი არ არის სწავლის ხანგრძლივობა თბილისის სემინარიაში, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ გაიოზი აღნიშნული სემინარიის მოსწავლეა 1765 წლის ჩათვლით, ე. ი. იმ წლამდე, როდესაც ის ანტონ I-მა სემინარიის კურსის გავლის შემდეგ დიაკვნად აკურთხა“<sup>220</sup>.

საგულისხმოა, რომ ნ. პალმოვი და კ. კეკელიძე გვერდს უვლიან იმ თარიღზე მითითებას, თუ რომელ წელს უნდა შეხვედროდა გაიოზი ანტონს, და აღნიშნავენ, რომ ანტონ კათალიკოსმა ასწავლა მას და 1765 წელს დიაკვნად აკურთხაო.

ანტონ კათალიკოსის წერილიდან ვგებულობთ, თუ რა საგნები ისწავლებოდა თბილისის სემინარიაში და რა საგნები მოისმინეს მისმა აღსაზრდელებმა, მათ შორის გაიოზმაც. „მე მამისმენინებთეს მაგისდა: ღრამატიკაი, პიიტყისა ხელოვნებასაცა შინა გამომიცდიეს, რეტორიკაი, ლოლიკაი ბაუმეისტერისა, ქუეთქმულეზანი ტუელისა

<sup>218</sup> ხელნ. ინსტ. H—2510.

<sup>219</sup> ჟურნ. „ივერია“, 1881, № 8.

<sup>220</sup> მკვლევართა დიდი ჯგუფი ერთხმად აცხადებს, რომ გაიოზი დიაკვნად აკურთხა 1765 წელს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, ა. ხახანაშვილის აზრით, აკურთხეს დიაკვნად, ნ. მთვარელიშვილის აზრით — მთავარ დიაკვნად, პ. იოსელიანის აზრით — არქიდიაკვნად, კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ბერად აღკვეცეს, თვითონ გაიოზი კი თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავდა: მაკურთხეს არქიდიაკვნადო.

სხოლასტიკოსისა არისტოტელესნი, მეტაფიზიკა ბაუმეისტრისავე, ფიზიკაი და სხუა და სხუათაგან ფილოსოფოსთა ქჷნილი, ფილოსოფიაი მორალი მისევე ბაუმეისტრისევე“<sup>221</sup>.

როგორც სასწავლო საგანთა სიიდან ჩანს, მისი მოსწავლეები იმ დროისათვის ღრმა ცოდნას ღებულობდნენ. „გაიოზ იყო აღზრდილი კათალიკოს ანტონისაგან საფილოსოფოსოთა და საღვთისმეტყველოსა შინა სწავლასა“ — გვამცნობს იოანე ბატონიშვილი<sup>222</sup>.

1765—72 წლებში სემინარიის კურსდამთავრებული გაიოზი თავისი აღმზრდელის ანტონ კათალიკოსის გვერდითაა<sup>223</sup>. ამავ პერიოდს მიეკუთვნება გაიოზის პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ სარბიელზე, რაც ჯერ მხოლოდ სხვადასხვა ნაწარმოების გადაწერით გამოიხატებოდა.

1772 წელი საქართველოს ცხოვრებაში განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობით ხასიათდება: ერეკლე II-მ საქაროდ ცნო გაეგზავნა რუსეთის საიმპერატორო დედაქალაქში ფრიად ავტორიტეტული მისია, რომლის ხელმძღვანელობაც დავალებული ჰქონდათ ანტონ კათალიკოსსა და ლევან ბატონიშვილს. ამ ოფიციალურ დიდ ელჩობაში მოუწია წასვლა, როგორც კათალიკოს ანტონის თანხმლებ პირს, არქიდიაკონ გაიოზს. «Первою русскою епархию по дороге из Грузии была Астраханская. Она в то время включила в себя и города Предкавказья, посему завезшие грузины при своих переездах не могли миновать ее»<sup>224</sup>.

ასტრახანი ითვლებოდა იმ სასაზღვრო ქალაქად, სადაც აჩერებდნენ და ოფიციალურად უფორმებდნენ საბუთებს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთის სატახტო ქალაქისაკენ მიემგზავრებოდნენ. აქ შეჩერდა ანტონ კათალიკოსიც თავისი თანხმლები პირებით. იმ უწყისებში, რომლებიც ასტრახანშია შედგენილი და პირველად ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა, ელჩობაში შემავალ პირთა

<sup>221</sup> ხელნ. ინსტ. H—2510.

<sup>222</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 11, 1948, გვ. 191; ი. თ ა ყ ო ი შ ვ ი ლ ი, საისტორიო მასალანი, წიგნაკი 1, ტფილისი, 1913, გვ. 31.

<sup>223</sup> მ. მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თელავის სემინარია და გაიოზ ნაცვლიშვილი, ეურნ. „ივერია“, № 8, 1881.

<sup>224</sup> И. Савинский, Грузины в Астраханской епархии и отношение к ним архипастырей в 18 веке, Астрахань, 1898, стр. 5.

შორის წერია გაიოზიც, რომელიც ნახსენებია, როგორც «Архидиакон и различный»<sup>225</sup>.

ეხებოდა რა ელჩობის საკითხს, ა. ხახანაშვილი აღნიშნავდა, თითქოს გაიოზი გარკვეულ როლს ასრულებდა დიპლომატიურ მისიაში, რაც არ არის სწორი. ალბათ მეცნიერი შეცდომაში შეიყვანა იმ დიპლომატიურმა მოღვაწეობამ, რომელსაც გაიოზი ეწეოდა XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან თავისი ცხოვრების დასასრულამდე. ა. ხახანაშვილის აღნიშნული შეხედულება სამართლიანად იქნა უარყოფილი ჯერ ნ. პალმოვის, ხოლო შემდეგ, ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, კ. კეკელიძის მიერ. გაიოზმა რომ არ იცოდა, თუ რა მისია ჰქონდა დავალებული ანტონს, ამაზე მისივე ახსნა-განმარტება. მიუთითებს, სადაც წერია: „...ხოლო ამ წელს (იგულისხმება 1772 წელი — შ. დ.) მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა თავის საჭიროებისათვის გამოემგზავრა რუსეთს... მისს მალაღ-ყოვლად უსამღვდელოესობასთან ყოფნის დროს მე ვასრულებდი შესაფერს ჩემის ხარისხისა მღვდელთ-მოქმედებას“<sup>226</sup>, ე. ი. გაიოზს ჰგონებია, რომ ანტონი პირად საქმეთა მოსაგვარებლად იყო წამოსული. ამავე საკითხთან დაკავშირებით კი თვითონ ანტონი აღნიშნავდა: „მიზეზი ამისა თვის მისის იმპერატორობითის დიდებულებამან იცის“<sup>227</sup> და მისმა მინისტრებმაო.

26 წლის ახალგაზრდას, რომელიც ელჩობის საქმის კურსში არ იყო, სწავლის უდიდესი სურვილიც ჰქონდა და დროც. ანტონ I, რომელიც თვით იყო სწავლის ტრფიალი, ყოველნაირად დაეხმარებოდა მას ცოდნის დონის ამაღლებაში. სწორედ ამ ორმა წელიწადმა (1772-დან 1774 წლამდე) იქონია უდიდესი გავლენა გაიოზის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ის იმდენად შეიპყრო სხვადასხვა მეცნიერების დაუფლების სურვილმა, რომ გაბედა უნებართვოდ დარჩენილიყო რუსეთში. თუმცა თვით გაიოზი ამას სხვანაირად ხსნიდა: „ხოლო აღნიშნულს წელს (ე. ი. 1774 წ. — შ. დ.) მარტში, ხსენებული ქათალიკოზი უკან დაბრუნდა თავისივე ეპარქიაში, ხოლო მე, გაიოზმა, მისის უკუდაბრუნების დროს ვსთხოვე მას, ნება მოეცა ჩემთვის მოსკოვში

<sup>225</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 год, СПб., 1891, стр. 370.

<sup>226</sup> უერს. „ივერია“, № 8, 1881, გვ. 95.

<sup>227</sup> ხელნ. ინსტ. Н—2510.



დარჩომისა შესასწავლად აქაურს აკადემიაში ლათინურის და რუსულის ენებისა ჩემის ხარჯით. ამაზედ ქათალიკოზმა ნება დამართო სიტყვიერად, ხოლო წერილი ამის შესახებ მე არაფერი მიმიღია მის ყოვლად უსამღვდელოებისაგან“<sup>228</sup>. სწორედ გაიოზის ამ ახსნაგანმარტებამ, რომელიც მან მისცა წმინდა სინოდს, მიიყვანა მკვლევართა ნაწილი იმ დასკვნამდე, რომ გაიოზი ანტონ კათალიკოსის ნებასურვილით დარჩა მოსკოვში სასწავლებლად. ამ აზრს იზიარებენ ა ხახანაშვილი<sup>229</sup>, ნ. გამრეკელი<sup>230</sup>, ნ. მოვარელიშვილი<sup>231</sup> და ა. ცაგარელი, რომელიც აღნიშნავდა: «... что он остался с этою целью в Москве с согласия Католика Антония»<sup>232</sup>. ამგვარად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გაიოზი 1774 წლიდან მოსკოვის „ბოლოიავენის მონასტერში“<sup>233</sup> სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის მსპენელია“<sup>234</sup>.

აკადემიაში მიღების დროს ის სათანადოდ მომზადებული იქნებოდა, რადგანაც, როგორც ქ. კეკელიძე აღნიშნავს, მან პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის სემინარიაში, სათანადოდ შეისწავლა რუსული, ლათინური და ბერძნული ენები<sup>235</sup>. ეპისკოპოს კირიონის გადმოცემით, გაიოზს ასწავლიდა ცნობილი ღვთისმეტყველი და პედაგოგი, ტვერის არქიეპისკოპოსი პლატონ ლევშინი (1737—1812 წწ.)<sup>236</sup>.

<sup>228</sup> ნ. მოვარელიშვილი, „თელავის სემინარია და გაიოზ ნაცელიშვილი“, ჟურნ. „ივერია“, № 8, 1881, გვ. 96.

<sup>229</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Литература XIII—XVIII вв., Москва, 1901, стр. 266.

<sup>230</sup> ხელნ. ინსტ. Н — 2876, გვ. 34.

<sup>231</sup> ჟურნ. „ივერია“, №№ 8, 9, 10, 1881.

<sup>232</sup> А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб., 1894, стр. III.

<sup>233</sup> პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, ტფილისი, 1852, გვ. 21.

<sup>234</sup> ქ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ გაიოზი აკადემიაში მიიღეს 1775 წელს (ძველი ქართული მწერლობის ისტორია). ვფიქრობთ, გაიოზი სასწავლებლად მიღებულ იქნა 1774 წელს, ე. ი. ანტონ კათალიკოსის წამოსვლის წელსავე. საეპკოა, რომ გაიოზი, დაბალი ჩანჯის სასულიერო პირი, ერთი წლის განმავლობაში უქმად ყოფილიყო მოსკოვში. ამასვე ადასტურებს ი. სავინსკი თავის წიგნში «Грузины в Астраханской епархии и отношение к ним местных архипастырей в 18 веке», Астрахань 1898, стр. 48.

<sup>235</sup> ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1952, გვ. 361.

<sup>236</sup> ცენტრ. არქ. ფონდი № 1458, საქმე № 12 (ძველი № 19), გვ. 19.

მოსკოვის აკადემიაში სწავლის პერიოდში სინოდს, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი საბუთი, თუ ვისი შუამდგომლობით იყო გაიოზი მიღებული, ეპეი შეეპარა მის პიროვნებაში. «В 1774 г. возникло недоумение о находящемся в Москве грузинском архидиако-не Гайосе, оказавшемся без письменного вида»<sup>237</sup>. ამის გამო ას-ტრახანის ეპისკოპოსის მეთოდეს საშუალებით შეკითხვა გაეგზავნა ანტონ კათალიკოსს. სინოდს აინტერესებდა, «подлинно ль помяну-тый архидиакон Гайоз с дозволения его католикоса в Москве для обучения остался и не запрещен ли от священнослу-жения»<sup>238</sup>.

ანტონ კათალიკოსის პასუხმა ნათელი მოჰტინა გაიოზის მოქმედე-ბას. „... დიაკონი იგი ხსენებული ყოვლითურთ წინააღმდეგ ნებისა ჩემისა დაშთა როსიასა შინა. არცა უხილავ მე, არცა კურთხევისა მი-ღებაი ჩემგან იწადა მან, არცა ვიცოდი დაშთომაი მისი დღემდე წარ-მოსვლისა ჩემისა მოსკოთ. და დღესა მას მეოხთა მიერ ითხოვა ჩემ-გან დაშთომაი მოსკოვს, და მე არა ვინებე. და კუალად, და კუალად, და არა ვინებე. და ესთა დაშთა მოსკოვს. წ. მე ვჰგებდი ყოველსა დროსა ნუთუ შეიკდიმოს, და მოვიდესვე ჩემდა, გარნა ნაცულად შე-ნანებოსა, და შეკდემისა ესე ვითარცა კადნიერებაი უპოვიეს, რომელ უწმიდესისა სინოდისა კანტორასაცა ატყუებს“<sup>239</sup>.

აღნიშნული წერილი ანტონ კათალიკოსმა დაწერა 1776 წელს. ეპეი არაა, რომ სწავლის უდიდესმა სურვილმა გააბედვინა გაიოზს წინ აღდგომოდა ანტონ კათალიკოსს და რუსეთს დარჩენილიყო. შე-საძლოა, რომ ანტონ კათალიკოსის პასუხს უარყოფითი გავლენა მოეხდინა გაიოზის შემდგომ სწავლაზეც, მაგრამ იმ დროს იმდენად გვიანდებოდა წერილის გაგზავნა-მიღება, რომ გაიოზმა მოასწრო კი-დევეც სემინარიის დამთავრება სანამ წერილს მიიღებდა (საგულისხ-მოა, რომ სინოდის წერილი დაიწერა 1774 წელს, ხოლო ანტონის პა-სუხი — 1776 წელს).

1778 წელს გაიოზ რექტორმა დაამთავრა მოსკოვის აკადემია და

---

<sup>237</sup> И. Савинский, Грузины в Астраханской епархии и отношение к ним местных архипастырей, Астрахань, 1898, стр. 48.

<sup>238</sup> Христианский Восток, т. II; вып. I, СПб., 1913; Н. Пальмов, К сведениям о личности архидиакона Гайоза, впоследствии архиепископа астраханского и ставропольского, стр. 40.

<sup>239</sup> ხელნ. ინსტ. № 2510.

ამავე წელს ერეკლე II-მ ის გამოიწვია საქართველოში<sup>240</sup>. მკვლევართა ერთი ნაწილის<sup>241</sup> აზრით, გაიოზმა თბილისში ჩამოსვლისათა-ნავე დააარსა ქართველთათვის სასწავლებელი, სადაც რუსულ ენას ასწავლიდნენ. «Гайй завел, между прочим, в Тифлисе училище русского языка для грузин»<sup>242</sup>. მართალია, ამ ფაქტის დამტკიცება სათანადო საარქივო მასალების უქონლობის გამო ძნელია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართველი და რუსი ხალხის ურთიერთკავშირს, ერეკლე II-ს დაბადებოდა იდეა აღნიშნული ტიპის სასწავლებლის გახსნისა, რომლის მიზანიც კვალიფიციური კადრების მომზადება უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, რომ ყველაზე საუკეთესო კანდიდატი, ვინც ასეთ სასწავლებელს ხელმძღვანელობას გაუწევდა, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული, რუსულ ენას სრულყოფილად დაუფლებული გაიოზი იქნებოდა.

ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენ ხანს იარსება სასწავლებელმა, ყოველ შემთხვევაში, არა უმეტეს ერთი წლისა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სასწავლებელს ჰყავდა მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი გაიოზის სახით.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება ცნობები თბილისის სემინარიაში გაიოზის რექტორად მუშაობის თაობაზე. ისტორიკოს ს. კაკაბაძის აზრით, „... მის პირველ რექტორად (მხედველობაშია თელავის სემინარია— მ. დ.) იყო გაიოზ არქიმანდრიტი, რომლის ადგილი ტფილისის სემინარიაში დაიკავა სიონის ტაძრის დეკანოზმა იოანე ოსეს-ძემ“<sup>243</sup>. მკვლევარი ეყრდნობა ვახტანგ ბატონიშვილის შრომას, რო-

<sup>240</sup> ზ. კ ი კ ი ნ ა ძ ე შეცდომით ფიქრობს, რომ გაიოზმა აკადემია 1768 წელს დაამთავრა. „ვახტანგ VI და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე“, ტფილისი, 1916 წ., გვ. 35.

<sup>241</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1952, გვ. 362; ცენტრ. არქ. ფონდი № 1458, საქმე № 12, გვ. 19; ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., თბილისი, 1960, გვ. 80; ა. რ ო გ ა ვ ა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 95; ტ. ს ა რ ო - შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეების განვითარება რეკოლუციამდელ ოსეთში (სადოქტორო დისერტაცია), 1964, გვ. 40.

<sup>242</sup> Христианский Восток, т. II., вып. I; Н. П а л ь м о в, К сведениям о личности архидиакона Гайоса, стр. 52.

<sup>243</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1922, გვ. 217.

მელშიც აღნიშნულია, რომ „... ამისა შემდგომად იყვნენ რექტორად კაცნი განსწავლულნი ზემოხსენებულისა მის კათოლიკოზისა ანტონისაგან: ვითარცა იყო გაიოზ არქიმანდრიტი, რომელიც არს დღეს არხიეფისკოპოსად ისტრაჰნისა. ხოლო შემდგომად ამისა იყო ტფილისის ტფილისის სობოროს პროტოპოპი იოანე, ხოლო კახეთს ქალაქსა თელავს დავით ძე ალექსისა»<sup>244</sup>. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხებული, რომ გაიოზი ყოფილიყო ჯერ რუსული ენის შემსწავლელი სასწავლებლის ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ, ძალიან მოკლე ხნით, თბილისის სემინარიის რექტორი. რით შეიძლება აიხსნას ეს? — იმით, რომ აღნიშნული სასწავლებლების ხელმძღვანელობა ერთ-ერთი საპატიო მოვალეობა იყო, მეორეც ის, რომ გაიოზს არ გააჩნდა რაიმე მაღალი სასულიერო წოდება, რათა სადმე უფრო მაღალ სასულიერო თანამდებობაზე დაენიშნათ. არაა გამორიცხული, რომ ამ პერიოდისათვის არ არსებობდა არც ვაკანსია რომელიმე ეპარქიაში. მესამეც: დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ 1778 წლიდან, ე. ი. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან, ის უკვე აქტიურად გამოდის დიპლომატიურ ასპარეზზე. სწორედ ამას ადასტურებს მისი რუსეთში გაწვევა მომდევნო წელს.

1778 წელი გაიოზმა თბილისში გაატარა და სასწავლებლების საქმიანობას ხელმძღვანელობდა. გაიოზი რომ აღნიშნულ წელს თბილისშია, ამას საარქივო მასალაც ადასტურებს: „ავიღე მე ყაზაბ ბაშმა ერევნელმა დაბაღმა არუთინამ თქვენ არქიმანდრიტი გაიოზისაგან თვრამეტი თუმანი ქალაქის ზარაფხანით...“<sup>245</sup> და ა. შ.

1779 წელს გაიოზი მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს<sup>246</sup>.

გაიოზი რომ საქართველოში დაბრუნების დღიდან დიპლომატიურ საქმიანობაშია ჩაბმული, ამაზე ნათლად მიგვიჩვენებს ის გარემოებაც, რომ 1780 წელს ის გაწვეულ იქნა რუსეთში, სადაც იღუმენობა მიიღო<sup>247</sup>, რაც მისი გარკვეული დამსახურების ჯილდოდ უნდა მივიჩნი-

<sup>244</sup> ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, ტფილისი, 1914, გვ. 32—33.

<sup>245</sup> ცენტრ. არქ. ფონდი № 1450, საქმე № 29.

<sup>246</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1952, გვ. 362. ცენტრ. არქივი, ფონდი 1458, საქმე № 12, გვ. 19. ეპისკოპოს კირიონის ცნობით, ის რუსეთში გაიწვიეს 1779 წ. და აქ ეკურთხა მღვდელ-მონაზვნად.

<sup>247</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თსუ. 1952 წ., ტ. 1, გვ. 362. ცენტრ. არქივი, ფ. 1450, საქმე № 23.

ნოთ. 1782 წელს გაიოზი თბილისში<sup>248</sup>. ამჭერად ის ჩამოვიდა-  
ერეკლესთან სპეციალური დავალებით, რომლის ოფიციალურ გაგრ-  
ძელებასაც გეორგიევსკის ტრაქტატი წარმოადგენდა. გაიოზი, რო-  
გორც საუკეთესო აღმზრდელი და სასკოლო საქმის სპეციალისტი,  
თავის ყოველ დიპლომატიურ ჩამოსვლას საქართველოში სასწავლო-  
სააღმზრდელო საქმეს უკავშირებდა.

1782 წლის 28 მაისს საზღვიმო ვითარებაში გაიხსნა თელავის სასუ-  
ლიერო სემინარია, რომლის პირველი რექტორი და ორგანიზატორიც  
გაიოზი იყო. თელავის სემინარიის გახსნის თაობაზე არსებობს აზრ-  
თა სხვადასხვაობა. ზ. კიკინაძე ფიქრობს, რომ სემინარია გაიხსნა 1781  
წელს<sup>249</sup>. ს. კაკაბაძისა და ა. ცაგარლის აზრით,— 1783 წელს<sup>250</sup>.  
პ. უმიკაშვილისა<sup>251</sup> და პ. იოსელიანის<sup>252</sup> მიხედვით — 1784 წელს.  
სემინარიის გახსნის თარიღად 1784 წელია მითითებული ხელნაწერთა  
ინსტიტუტის ზოგიერთ საბუთშიც<sup>253</sup>.

საგულისხმოა, რომ მკვლევრების ერთ ჯგუფს<sup>254</sup>, მათ შორის ა. ხა-  
ხანაშვილსაც, ჰგონია, რომ «В 1782 г. видно Гайоз был уже в  
Грузии и возведен был 28 мая того же года в сан архимандрита  
Антонием I пред открытием Телавской семинарии». დაბეჭი-  
თებით შეიძლება ითქვას, რომ ეს წოდება მან მიიღო სხვადასხვა დამ-  
სახურებისათვის, მათ შორის დიპლომატიურისაც. აქ არ შევჩერდე-

<sup>248</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1952, გვ. 362.

<sup>249</sup> ზ. კიკინაძე, ვახტანგ მეექვსე და სხვათა შრომა ქართული სტამბის  
წინაშე, თბილისი, 1916, გვ. 35.

<sup>250</sup> ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1922, გვ. 217.

<sup>251</sup> გაზ. „ივერია“, 1877, № 39.

<sup>252</sup> პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპო-  
ლიტისა, ტფილისი, 1952, გვ. 21.

<sup>253</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, თბილისი  
1962, გვ. 369.

<sup>254</sup> ე. ნიკოლაძე (საქ. ეკლესიის ისტორია) და ნ. მთვარელიძე ი-  
ლი აღნიშნავენ (ეურნ. „იოსკარი“ 1887, № 8), რომ არქიმანდრიტად ანტონმა  
გაიოზი აკურთხა 1782 წელს, სემინარიის გახსნის დღეებში. პ. იოსელიანი („მი-  
მოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, გვ. 21) ფიქრობს, რომ  
ის არქიმანდრიტად იკურთხა 1778 წელს. ე. ი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ,  
ზ. კიკინაძის („ვახტანგ მეექვსე და სხვათა შრომა...“, გვ. 35) აზრით, გაიოზი 1781  
წლიდან არქიმანდრიტია.

А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3,  
Москва, 1901, стр. 277.

ბით იმ ცნობებზე, რომელთა მიხედვითაც ნათელია, რომ ის არქიმანდრიტად ნაყურთხი იყო რუსეთშიც 1784 წელს.

თელავის სემინარიაში გაიოზი დიდხანს არ დარჩენილა («В Телаве он был очень короткое время») <sup>255</sup>, 1783 წელს მას ვხედავთ გეორგიევსკში, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ტრაქტატის ხელისმოწერაში.

გეორგიევსკის ტრაქტატის ხელისმოწერის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა, მოახსენა შედეგები ერეკლე II-ს და იმავე 1783 წელს გაემგზავრა რუსეთს, რის შემდეგ საქართველოში აღარ ჩამოსულა <sup>256</sup>

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოდან გაიოზის სა მუდამოდ წასვლა რაიმე პოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული? დავით ბატონიშვილის მასალებიდან ვგებულობთ... სდევნიდა გერსა თვისსა გიორგის დედოფალა დარეჯან, და მიმდგომთაცა გიორგისათა თავადთა და აზნაურთა ამდაბლებდა... ხოლო სამღვდელთა იცა რომელნიმე გამოიხუა ეპარხით და რომელნიმე ექსორია ჰყვნა, ვითარცა ამათგანნი იყვნენ მიხაილ თბილელი, მხატვრის ივანეს-ძე, და მროველი იონა გედეონის-ძე, არხიმანდრიტი ვაიოზ თაყაშვილი, კაცე ესე ფრიად განსწავლული და სხვანიცა მრავალნი, რომელნიცა სიგარძისათვის დავიღუმე“ <sup>257</sup>. არ არის გამორიცხული, რომ გაიოზი, როგორც გარკვეული პოლიტიკური მრწამსის მქონე პიროვნება, მიემხრო ბატონიშვილების რომელიმე პარტიას, რითაც ყოველისშემძლე დედოფალ დარეჯანის რისხვა დაიმსახურა, ის იძულებული გახდა რუსეთს წასულიყო, სადაც „დიდი პატივით მიიღეს, დანიშნული იყო უცხო ქვეყანათა კოლეგიის ნაწილში ქართული ენის მთარგმნელად“ <sup>258</sup>.

გაიოზი რომ რუსეთში ქართულ საელჩოში იყო, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ისტორიკოსი პ. ბუტკოვი: «В 1784 году Архимандрита грузинского Гайоса, при грузинском посольстве на-

<sup>255</sup> Р о м а н о в с к и й, Очерки из истории Грузии, Тифлис, 1902, стр. 451.

<sup>256</sup> ზ. ჰიჭინაძის მიხედვით, გაიოზი საქართველოდან რუსეთს 1786 წელს გაემგზავრა, რაც არაა სწორი (ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებითაც, ტფილისი, 1913, გვ. 220).

<sup>257</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავითისა და მისი ძმებისა, ტფილისი, 1905, გვ. 55.

<sup>258</sup> ზ. ჰიჭინაძე, ვახტანგ მეექვსე და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე, თბილისი, 1961, გვ. 35.

ходившегося, принять в службу и употребить главным членом при Осетинской комиссии»<sup>269</sup>. აქედან ჩანს, რომ საქართველოდან წასვლის შემდეგ გაიოზს უმუშავია ე. წ. „ქართულ საელჩოში“ და შემდეგ, 1784 წლიდან, ოფიციალურად გადასულა სხვა სამსახურში.

1784 წლიდან 1793 წლამდე<sup>260</sup> გაიოზი იყო ოსეთის კომისიის მთავარი წევრი. 1793 წლამდე ის ძალიან ხშირად ახლდა თან იმდროინდელი რუსეთის ყოვლად უმძლვე პიროვნებას გრიგოლ პოტიომკინს, რომელსაც კავკასიის ხაზის სარდლის პაველ პოტიომკინის შემწეობით დაუახლოვდა, განსაკუთრებით კი 1783 წლიდან — გეორგიევსკის ტრაქტატის ხელისმოწერის შემდეგ. პოტიომკინთან დაახლოების შედეგი იყო, რომ 1784 წელს ნოვგოროდის მიტროპოლიტმა ეკატერინე II-ის თანდასწრებით გაიოზი არქიმანდრიტად აკურთხა. «В 1784 г. по присоединении Крыма к России Гай возведен был в сан архимандрита и назначен в свиту генерала Потемкина, получившего в управление Новороссийский край»<sup>261</sup>.

ამავე აზრს ადასტურებენ: ეპისკოპოსი კირიონი<sup>262</sup>, ნ. პალმოვი<sup>263</sup> და კ. კეკელიძე.<sup>264</sup> ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ გაიოზი ეკურთხებინათ რუსეთში არქიმანდრიტად 1784 წელს? ზოგი მკვლე-

---

<sup>269</sup> П. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, 1869 г. СПб., стр. 170. ბუტკოვს მოაქვს ერთი საინტერესო ცნობა: 1740 წ. 1 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც რუსთა სამსახურში მიიღებდნენ იმ ქართველებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ოფიციალურ ცნობარეკომენდაციას მეფე-დედოფლის ან უფლისწულების ხელისმოწერით. აღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნა იმის გამო, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში საგრძნობლად იმატა ემიგრაციამ საქართველოდან რუსეთში.

<sup>260</sup> ნ. მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს მოსაზრებით, გაიოზი ოსეთის კომისიის წევრად დაინიშნა 1795 წლიდან, რაც არ არის სწორი. ყველა დოკუმენტი, მათ შორის სარაქვეო მასალებიც, მიუთითებს, რომ ის ოსეთის კომისიის წევრია 1784 წლიდან (ეურნ. „ივერია“, 1881, №№ 8, 9, 10, გვ. 10).

<sup>261</sup> Б. Б л а г о н р а в о в, Архиперен Астраханской епархии за 300 лет ея существования, Астрахань, 1902, стр. 93.

<sup>262</sup> ცენტრ. არქ. ფონდი 1458, საქმე № 12 (ძველი № 19), გვ. 19.

<sup>263</sup> Христіанский Восток, т. II, в. I, СПб., 1913; Н. П а л ь м о в, К сведениям о личности архидиакона Гайоса, стр. 53.

<sup>264</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1952, გვ. 360.

ვარი ამტკიცებს, რომ მას აღნიშნული სასულიერო წოდება ჯერ კიდევ ადრე საქართველოში ჰქონდა მიღებული (ნ. მთვარელიშვილი, პ. იოსელიანი, ე. ნიკოლაძე, ა. ხახანაშვილი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის სახელმწიფოს შესვეურებმა გადაწყვიტეს აღენიშნათ გაიოზის გარკვეული დამსახურება და მას განმეორებით მიანიჭეს ის სასულიერო რანგი, რომელიც ჰქონდა საქართველოში, მაგრამ ალბათ იმ განსხვავებით, რომ ის უკვე რუსეთის სამსახურში იყო განწესებული (თითქმის ყველა სასულიერო პირს, რომელიც რუსეთში გადადიოდა და იქ იწყებდა მოღვაწეობას, ერთი საფეხურით დაბალ ხარისხს აძლევდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ანტონ კათალიკოსი).

მიუხედავად იმისა, რომ გაიოზი ოსეთის კომისიის მთავარი წევრი იყო, ის ძალიან ხშირად ახლდა თან გ. პოტიომკინს. 1785 წელს მას ვხედავთ კრემენჩუგში<sup>265</sup>, 1790 წლიდან კი იასშია<sup>266</sup>, სადაც იმყოფებოდა ეკატერინოსლავის მთავარეპისკოპოს ამბროსოსთან. იონა მიტროპოლიტი, რომელიც გზად იასში შეჩერდა, აღნიშნავდა: გავიგე „უგანათლებულესის პრტემკინის აქა ყოფნა, და არხიმანდრიტი გაიოზისა“<sup>267</sup>. სწორედ დიდი დამსახურების შედეგი იყო, რომ 1793 წლის 29 მაისს ცარსკოე სელოში გაიოზი იმპერატორ ეკატერინე II-ის თანდასწრებით ეპისკოპოსად აკურთხეს. მას უბოძეს ოქროს ჯვარი, ბრილიანტებით მორთული, 5000 ზუთმანეთიანი ოქრო<sup>268</sup>. გაიოზი დანიშნულ იქნა მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსად. ამის შესახებ ქართული მატთანე გვამცნობს: „...მიიღო მუნ არხიერობა ნებითა იმპერატრიცა ეკატერინესათა და დაიდგინა მწყემსთავერად“<sup>269</sup>.

<sup>265</sup> ე. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I. 1952, გვ. 360.

<sup>266</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Москва, 1901, стр. 278. ცენტრ. არქ. ფონდი № 1458, საქმე № 12.

<sup>267</sup> პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, თფილისი, 1852, გვ. 111.

<sup>268</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, М., 1901, стр. 279.

1793 წელს გაიოზის ეპისკოპოსად დანიშვნაზე მიუთითებენ მკვლევრები: ნ. მთვარელიშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ა. გულისაშვილი.

<sup>269</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 191; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წიგნაკი 1, ტფილისი, 1913, გვ. 31.



საქიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ გაიოზის მოღვაწეობა ოსეთში, ჯერ როგორც ოსეთის კომისიის მთავარი წევრისა, ხოლო შემდეგ — როგორც მოზდოკისა და მაყარის ახლად დაარსებული ეპარქიის ეპისკოპოსისა.

ოსეთის კომისია თავის არსებობას 1745 წლიდან იწყებს. ძირითადი ხაზი, რომელსაც აქ რუსი კოლონიზატორები ატარებდნენ, გამოიხატებოდა ოსეთის შემოერთებით და ადგილობრივ მცხოვრებთა ძალდატანებითი გაქრისტიანებით. აღნიშნულ ეტაპზე რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სასულიერო მოღვაწეებიც. რუსეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელები სწორად ჰქრეტდნენ, რომ მათ ამ საქმეში უდიდეს დახმარებას გაუწევდნენ ერთმორწმუნე ქართველები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ მთიელ ტომებთან, განსაკუთრებით კი — ოსებთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ პერიოდისათვის მთიელი ტომების საკითხში ერთმანეთს დაეჯახა ირან-ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები.

გაიოზ რექტორს იმ დროს მოუხდა ოსეთში მოღვაწეობა, როდესაც რუსეთის ადმინისტრაცია საბოლოოდ აკანონებდა და ამტკიცებდა თავის პრივილეგიებს. გაიოზის დანიშვნა ოსეთის კომისიის მთავარ წევრად ოფიციალურად გაფორმდა 1784 წელს.

ცნობილმა მკვლევარმა და ისტორიკოსმა ზაქარია ჭიჭინაძემ პირველმა სცადა, ზოგადად მაინც წარმოედგინა ოსეთში გაიოზის მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მართალია, მის წიგნში მეტად საგულლისხმო ამბებია მოთხრობილი, მაგრამ ერთობ საეჭვოც, რამაც შემდგომ საშუალება მისცა ოსური დამწერლობის ისტორიის დარგში მომუშავე ზოგ მკვლევარს, თავისი დასკვნები გაეკეთებინა<sup>270</sup>.

თავისთავად ის ცნობა, რომ ანტონ კათალიკოსი დაინტერესებული იყო ოსეთის საქმეებით, შეიძლება საეჭვოდ არ იყოს მიჩნეული, რადგანაც ქართველი ერის ისტორიაში ოსეთის საკითხი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან: ამდენად ერეკლე II-ს შეიძლება რაიმე გარკვეული დავალება ჰქონოდა მიცემული ანტონ კათალიკოსისათვის, მაგრამ ცნობა, რომ „1770 წ. ოსეთის კომისიის დაარსების შემდეგ, რომელ კომისიის მეთაურ წევრებადაც ან-

<sup>270</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, ტფილისი, 1913 წ.

ტონ კათალიკოსი და გაიოზ ნაცელიშვილი ირიცხებოდა",<sup>271</sup> მიუღებელია, როგორც ქრონოლოგიური თვალსაზრისით აბსოლუტურად შეუსაბამო<sup>272</sup>.

ასევე ოსი მკვლევრების სამართლიან დავას იწვევს ის ცნობაც, რომლის მიხედვით პირველი ოსური ნაბეჭდი წიგნი ქართული შრიფტით თითქოს 80-იან წლებში გამოვიდა<sup>273</sup>. აღნიშნული ცნობა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო დაუმტკიცებელია და, მასთანადამე, მიუღებელიც.

გაიოზი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1784 წელს. მას გარკვეული ინსტრუქციები ჰქონდა იმ მისიონერული მოღვაწეობის შესასრულებლად, რომელიც ოსეთის კომისიას ევალებოდა: ჩვენ არ შევეხებით გაიოზის იმ საქმიანობას, რომელიც ეკლესიამონასტრების აშენება-შეკეთებით გამოიხატა, და მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ ოსეთში მის სასკოლო-საგანმანათლებლო საქმიანობას. პირველი, რაც მას არ მოეწონა, ეს იყო აღმზრდელთა შემადგენლობა, და ხელი მიჰყო მის გადახალისებას. «Заметив, что руководящие делом просвещения горских юношей учителя были и сами-то недалекого образования, он заменил их людьми просвещенными, отвечавшими великому званию учителя»<sup>274</sup>.

გაიოზი, როგორც დიდაქტიკოსი, ცდილობდა, ახლად დაარსებული სკოლისა და აღსაზრდელებისათვის ძლიერი პედაგოგები მიემგრობინა. სწორედ ასეთთა კატეგორიას ეკუთვნოდა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის კურსდამთავრებული, ზეპირმეტყველებისა და რუსული გრამატიკის<sup>275</sup> მასწავლებელი იოანე ჭილაშვილი და ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების დიდი მცოდნე მიხეილ სამსონოვი. სწორედ ასეთი მომზადებული კადრების საშუალებით ცდილობდა გაიოზი მიეზიდა სასწავლებლის კედლებში მთიელთა

271 ზ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, ტფილისი, 1913, გვ. 220.

272 ოსეთის კომისია პირველად შეიქმნა 1745 წელს და მას ქართველი სასულიერო პირი პახომი ხელმძღვანელობდა.

273 ცნობის მოტანისას ავტორი ეყრდნობოდა პ. უმიკაშვილს, რომელსაც თითქოს უნახავს აღნიშნული წიგნები „პეტერბურგს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში“ (ზ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, გვ. 220).

274 Е. К и р и о н, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 100.

275 Журн. «Пастырь», № 5, 1889, стр. 5.

ბავშვები. «Благодаря этому, а также и тому обстоятельству, что преосвященный Гайоз зорко и бдительно следил за успешным ходом обучения в школе и всегда лично давал ей руководственное направление, дело просвещения питомцев пошло плодотворно»<sup>276</sup>.

მაგრამ გაიოზის ერთადერთ მისიას მხოლოდ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდა როლი შეადგენდა. ამ სკოლაში აღიზარდა მთელი თაობა მთიელი ქრისტიანებისა, რომლებმაც შემდგომ გარკვეული მისიონერული როლი შეასრულეს მთიელთა გაქრისტიანებაში.

გაიოზ რექტორმა ფასდაუღებელი წვლილი შეიტანა ოსური დამწერლობის შექმნის საქმეშიც. «Он первый положил начало осетинской письменности составлением осетинской азбуки, напечатанной в Московской синодальной канторе в мае 1798 г. В основание осетинского алфавита он взял без всякого изменения в начертаниях буквы церковно-славянския, а для выражения некоторых звуков, свойственных собственно осетинскому языку, образовал новые знаки или буквы чрез сочетание двух или трех славянских букв. При помощи таким образом составленного алфавита переведено было на осетинский язык «начальное учение человеком, хотящим учиться книг Божественного писания»<sup>277</sup>. ეს იყო, შეიძლება ითქვას, შემობრუნების აქტი ოსეთის ისტორიაში, ამ წლიდან ჩაეყარა საფუძველი ოსურ დამწერლობას. დიდ შეფასებას აძლევდა რა გაიოზის ნოვატორობას, ცნობილი ენათმეცნიერი ს. ბულიჩი აღნიშნავდა: «Она сохраняет до сих пор научное значение, как один из самых древних образчиков осетинского языка»<sup>278</sup>. სწორედ ამ პირველ ნაბეჭდ ოსურ წიგნთან დაკავშირებით იკამოიტქვა მოსაზრებები გაიოზის შესახებ უკანასკნელ ხანს სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში. საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ოსი მეცნიერების აღნიშნული შეხედულებანი. შეეჩერდებით მხოლოდ ბ. ალბოროვზე (ზემოთ უკვე შევეხეთ ბ. ბიგულაევს და მის ჰიპოთეზას გაიოზის გვარის შესახებ წარმოშობის შესახებ).

1929 წელს გამოქვეყნებულ თავის შრომაში «Первая печатная

---

<sup>276</sup> Е. Кирюин, Краткий очерк истории грузинской церкви и энзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 100.

<sup>277</sup> Журн. «Пастырь», № 5, 1889, стр. 5.

<sup>278</sup> С. Булич, Очерки истории языкознания в России, СПб., 1904, стр. 512.

ოსეტინსკაია კიიგა»<sup>279</sup>, ავტორი სამართლიანად უარყოფს ზ. კიკინაძის შეხედულებას: ამ უკანასკნელის მიერ გამოთქმული იყო აზრი პირველი ნაბეჭდი ოსური წიგნის არსებობის შესახებ, რომელიც თითქოს ქართული შრიფტით იყო დაბეჭდილი. ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ოს მეცნიერს, რომ სანამ რაიმე ოფიციალური საარქივო მასალებით არ იქნება დასაბუთებული აღნიშნული წიგნის არსებობა, ძნელია ზეპირ გადმოცემაზე დაყრდნობა. ამავე შრომაში, ეხებოდა რა პირველ ნაბეჭდ წიგნს, ავტორი ძალიან მორიდებით ახსენებდა პავლე გენდაუროვს. როგორც გაიოზის შესაძლო დამხმარეს. იქვე შენიშნავდა, რომ «следует однако обратить внимание, что окончание его фамилии «ури» грузинское и возможно, что Гендауров был и сам грузин или огрузинившийся южный осетин»<sup>280</sup>.

ამრიგად, ავტორი, ეხებოდა რა გენდაუროვის პიროვნებას, შესაძლოდ თვლიდა მის ქართველობას, რადგან ოსურ კომისიაში დიდი როლენობით მოღვაწეობდნენ ქართველი მისიონერები. ოსური ნაბეჭდი წიგნის ტექსტთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავდა: «Вполне понятно, что первым переводчикам на осетинский язык было весьма трудно найти соответствующие слова для выражения смысла текста. С одной стороны это происходило вследствие того, что не было еще до этого образцов перевода на осетинский язык, которым можно было бы подражать, с другой стороны вследствие того, что сами переводчики плохо владели осетинским разговорным языком». ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამ აზრს, რომ მთარგმნელებმა სუსტად იცოდნენ ოსური სალაპარაკო ენა: «Все это усугублялось еще и тем обстоятельством, что текст был церковно-славянский, следовательно, малопонятный дьячку Гендаурову и слабо владеющему, а может быть и совсем не владеющему осетинским языком Гаю»<sup>281</sup>.

შემდგომ ავტორი ავითარებს აზრს და ფიქრობს, რომ გაიოზი იყო ოსური ასოების გამომგონებელი და გამოცემის რედაქტორი. თავისი ამ შეხედულებების ერთ-ერთ დასკვნაში ის წერს: «...Язык книги как будто бы язык священников грузин, отправлявших богослужение в Осетии на полупоманном осетинском языке. Если это последнее обстоятельство отпадает, то ценность книги как

<sup>279</sup> Известия Горского пединститута, т. V, г. Владикавказ, 1929, стр. 160.

<sup>280</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>281</sup> იქვე, გვ. 175.

источника для изучения осетинского языка значительно возрастает»<sup>282</sup>. მაშასადამე, პირველი ნაბეჭდი ოსური წიგნი თარგმნის მხრივ დაბალი ხარისხისაა. ამის მიზეზია ის, რომ მთარგმნელებმა, მათ შორის გენდაუროვმაც, რომელიც, შესაძლებელია, ქართველიც იყოს, ოსური სალაპარაკო ენა სუსტად იციან. გაიოზი ოსური ასოების გამოგონებელი და გამოცემის რედაქტორია, წიგნის ენა მოგვეგონებს ოსური ენის ცუდად მცოდნე ქართველი სასულიერო მოღვაწეების ენას. ასეთი იყო ბ. ალბოროვის შეხედულება 1929 წელს.

ახლა შევედაროთ, თუ რა მასალებზე ან აღმოჩენებზე დაყრდნობით განიცადა ევოლუცია მკვლევრის შეხედულებებმა თითქმის 40 წლის მანძილზე. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილი «Новое в истории изучения первой печатной осетинской книги 1798 года»<sup>283</sup>, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მის შრომაში მოცემულია ისეთი მასალები, «в которых даются сведения о настоящем авторе перевода первой печатной осетинской книги священнике-осетине Павле Генцаурове»<sup>284</sup>. შემდეგ: «Книга содержит самую примитивную по методу азбуку, краткий катехизис, молитвы и заповеди, переведенные на осетинский язык с параллельным русским текстом и с применением к звукам осетинского языка русско-славянских букв того времени, книга не имела успеха и разошлась в небольшом числе экземпляров»<sup>285</sup>. ავტორი კვლავ ავითარებს თავის აზრს: «Перевод книги приписывается архимандриту Гаю... знавшему будто бы осетинский язык, но имеются данные, что в переводе этой книги ему помогал священник осетин Павел Генцауров. Об этом говорят фонетические и словарные особенности этой первопечатной книги, отражающие диалектные особенности некоторых сел районов Северной Осетии, расположенных около Моздока. Павел Генцауров, как и остальные Генцауровы, мог происходить из жителей Закинского района. Гай мог быть только составителем азбуки и редактором книги»<sup>286</sup>. შემდეგ ავტორი გამოთქვამს მიუღებელ აზრს: «Гай слабо владел и русским языком»<sup>287</sup>, რომლის გასა-

<sup>282</sup> Известия горского пединститута, т. V, Владикавказ, 1929, стр. 181.

<sup>283</sup> Известия С/Осетинского НИИ, т. XXIV, вып. I, Орджоникидзе, 1964, стр. 132.

<sup>284</sup> იქვე.

<sup>285</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>286</sup> იქვე.

<sup>287</sup> იქვე, გვ. 138.

მაგრებლად მოჰყავს შემდეგი ცნობა: «В Астраханских епархиальных ведомостях № 41 от 14 октября 1879 г. о знании Гаем русского языка пишется: и как преосвященный владел русским языком очень плохо, резолюции писались рукою келейного его писца или кого-либо из приближенных лиц, под которым преосвященный подписывал и то весьма нетвердым почерком только начальные буквы своего своего титула Г. А. А., т. е. Гай архиепископ Астраханский»<sup>288</sup>.

«При таком слабом знании русского языка нельзя допустить, что переводчиком первой печатной осетинской книги был архимандрит Гай».

ამახვილებს რა ყურადღებას იმაზე, რომ წიგნის მთარგმნელი გენცაუროვი იყო, ავტორი ეყრდნობა მოზღოვიდან ასტრახანში გაიღოსადმი მიწერილ წერილს, სადაც გენცაუროვზეა მითითებული. ავტორი გენცაუროვის განათლების შესახებ წერს: «Павел Генцауров не получил, по-видимому, регулярного образования в духовной школе повышенного типа. В клировой ведомости его знания в чтении и пении оцениваются как посредственные, а по осетинскому языку «хорошо», лучше, чем по русскому языку. Поэтому на основании всех вышеизложенных данных можно сказать, что Гай был редактором только де-юре, а Генцауров переводчиком осетинской печатной книги де-факто»<sup>289</sup>.

ამ შრომის მიხედვით გამოდის, რომ წიგნის მთარგმნელია ოსი მღვდელი პავლე გენცაუროვი. მისი ანბანი პრიმიტიულია, თარგმანში გაიღოს ეხმარებოდა ოსი გენცაუროვი, რასაც ადასტურებენ წიგნის ფონეტიკური და დიალექტური თავისებურებანი: გაიღოსა ძლიერ სუსტად იცოდა რუსული ენა, რის გამოც მას არ შეეძლო ეთარგმნა, ამიტომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს პირველი ოსური ნაბეჭდო წიგნის მთარგმნელად. დასასრულ, თვით გენცაუროვიც არ იყო მაღალი განათლების მქონე, — ასეთია დებულებები.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ბ. ალბოროვის ამ ორი სხვადასხვა დებულებიდან, რა აქვთ მათ საერთო და რა შეცვალა მკვლევარმა? ძირითადი, რაც ორივე დებულებას საერთო აქვს, შემდეგია: პირველი ნაბეჭდი ოსური წიგნი დაბალი ხარისხისაა, დანარჩენი შეხედულებები კი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ

<sup>288</sup> Известия С/Осет. НИИ, т. XXIV, вып. I, г. Орджоникидзе, 1964, стр. 138.

<sup>289</sup> იქვე, გვ. 141.

პირველი შეხედულებით გენდაუროვი შეიძლება იყოს ქართველი ან გაქართველებული ოსი ყოფილიყო, ახლა მკვიდრი ოსია. წიგნის ენას ავტორი ამსგავსებდა ოსური ენის ცუდად მცოდნე ქართველი სასულიერო მოღვაწეების ენას, რითაც იგი აღიარებდა, რომ წმინდა ოსური ენა წიგნში არ იგრძნობოდა, ახლა კი რადიკალურად შეიცვალა შეხედულება და ამტკიცებს, რომ წიგნის ფონეტიკურ და დიალექტურ თავისებურებათა მიხედვით ის ნათარგმნია ოსის მიერ. დაბოლოს, გაიოზმა არ იცოდა რუსული ენა.

დასკვნების ეს შედარება ნათლად მიგვიჩვენებს მეცნიერის შეხედულებათა მცდარ ევოლუციასზე. მკვლევარმა თავის პირვანდელ სურვილ-დებულებას, რომლის მიხედვითაც პირველი ოსური ნაბეჭდი წიგნის მნიშვნელობა გაიზარდებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ წიგნის ტექსტის ენა ოსური ენის ცუდად მცოდნე ქართველი ღვთისმსახურების ენა არ იქნებოდა, 40 წლის შემდეგ ფრთები შეასხა და რეალობად აქცია. ამ მიზნით მან მოქართველო გენდაუროვი წმინდა წყლის ოსად — გენცაუროვად აქცია, რომ გაემართლებინა თვით თარგმანის სისუსტე, დაამტკიცა, რომ გენცაუროვი დაბალი ცოდნისა იყო, მას ოსურ ენაში შეფასება „ოთხი“ ჰქონდა, ხოლო რუსულში — უფრო ნაკლები, გაიოზი კი რუსული ენის უცოდინრად გამოიყვანა. ამით წიგნის თარგმანი დე-ფაქტო, როგორც ავტორი აღნიშნავს, გენცაუროვს ხვდა წილად. გამოცემა დე-იურე კი — გაიოზ რექტორს.

გენცაუროვის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია არსებობდა ცნობა. ჯერ კიდევ 1865 წელს „საქართველოს სასულიერო მახარობელში“ დაიბეჭდა „იერომონაზ ნესტორის“ წერილი სათაურით „Моздокская епархия и Гай епископ Моздокский“, სადაც ავტორი განიხილავს გაიოზის მიერ გამოცემულ პირველ ოსურ ნაბეჭდ წიგნს და ეყრდნობა რა გაზეთ „კავკაზს“ (1845 წ. № 13), აღნიშნავს, რომ «Хицунов в заметке своей об осетинской школе говорит, что перевод краткого катехизиса на осетинский язык сделан Генцауровым, бывшим секретарем пограничного суда»<sup>290</sup>. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მკვლევარი ბ. ალბოროვი, ალბათ, არ იცნობს ამ მასალას, თორემ დაიმოწმებდა კიდევ.

ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ვიტიქროთ, რომ გაიოზს ეხ-

<sup>290</sup> „საქართველოს სასულიერო მახარობელი“, 1865 წ. აგვისტო, გვ. 23.

მარებოდა გენცაუროვი. ჩვენი ისტორიიდან ხომ ცნობილია ფილიპე ყაითმაზაშვილის უდიდესი როლი ქართულ ენაზე სომხურიდან ფილოსოფიური წიგნების თარგმნის საქმეში, მაგრამ მისი როლი და მნიშვნელობა ამ კეთილშობილ საქმეში არავის არ დაუმცირებია. ბ. ალბოროვი კი შეუფასებლობას იჩენს ისეთი პიროვნებისადმი, როგორც გაიოზია, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ნაკლებად იცნობს გაიოზს როგორც მეცნიერს, მკვლევარს, მთარგმნელსა და დიდაქტიკოსს. იმ მოსაზრებით, რომ პირველი ოსური ნაბეჭდი წიგნი წმინდა ეროვნულ ქმნილებად ექცია, მას დასჭირდა გაიოზის როლის დამცირება. ფაქტები კი მოწმობენ, რომ გაიოზს ეკუთვნის პრიორიტეტი ოსური ანბანის შექმნის საქმეში და მას თარგმანში დახმარებას უწევდა გენცაუროვი. ისმის კითხვა: იცოდა თუ არა გაიოზმა რუსული ენა და რამდენად სარწმუნოა ბ. ალბოროვის მიერ მოტანილი ცნობა? მას სჯერა იმ დოკუმენტისა (Астраханская епарх. ведомость № 41, 14. X 1879), სადაც შეიძლება შემთხვევითმა პიროვნებამ, რომელიც გაიოზს არც კი იცნობდა, მისი გარდაცვალებიდან თითქმის 58 წლის შემდეგ აღნიშნა, რომ გაიოზი ხელს ინიციალებით აწერდაო, მაგრამ ავიწყდება, რომ თავის პირველ წერილში გაიოზის შესახებ წერდა: «В Петроградской Александро-Невской семинарии, при содействии еп. Тверского Платона, Гай начал изучать русский, латинский и греческий языки»<sup>291</sup>. იმავე წერილში ის გარკვევით აღნიშნავს: «Число его литературных произведений на русском и грузинском языках велико»<sup>292</sup>. დაუშვათ, რომ ბ. ალბოროვი შეცდა თავის პირველ წერილში, სადაც გაიოზი რუსული ენის მცოდნედ მიიჩნია; მაშინ მოვიგონოთ რას ამბობდა გაიოზი თავის თავზე და ის მკვლევარები, რომლებიც გაიოზის პიროვნებას შეხებიან. სინოდისადმი თავის ახსნა-განმარტებაში გაიოზი წერდა: ნება მოეცათ ჩემთვის მოსკოვში დარჩომისა, შესასწავლად აქაურ აკადემიაში ლათინურის და რუსულის ენების<sup>293</sup>. გაიოზის მიერ რუსული ენის ცოდნაზე მიუთითებდნენ ანტონ კათალიკოსი<sup>294</sup>, ი. სა-

<sup>291</sup> Известия Горского пединститута, т. V, 1929, стр. 166.

<sup>292</sup> იქვე.

<sup>293</sup> ეურნ. „ივერია“, 1881, № 8, გვ. 96.

<sup>294</sup> ხელნ. ინსტ. Н—2510.



ენისკი<sup>295</sup>, ნ. პალმოვი<sup>296</sup>, ეპისკოპოსი კირიონი<sup>297</sup>, ა. ხახანაშვილი<sup>298</sup>, მ. ბლაგონრაეოვი,<sup>299</sup> ა. ბუტკოვი<sup>300</sup>, ზ. ქიქინაძე<sup>301</sup>, კ. კეკელიძე<sup>302</sup>, ტონკმელისი<sup>303</sup>. გაიოზის მიერ რუსული ენის ცოდნაზე ლაპარაკია სქელტანიან წიგნში, რომლის სათაურია «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состояниях»<sup>304</sup> და სხვ. გრიგოლ ბატონიშვილი, ეხებოდა რა გაიოზის თარგმანს, აღნიშნავდა: „...რუსთ ენისაგან ქართულად მიუღიეს“<sup>305</sup>, ხოლო იოანე ბატონიშვილი წერდა: „ზედ მიწვენილი რუსულისა ენისა“, „იცოდა ლათინური და სომხური წერილი“<sup>306</sup>. გაიოზმა, მკვლევარების გადმოცემით, არათუ რუსული, არამედ სხვა ენებიც იცოდა, როგორცაა სომხური და ლათინური (ლ. მელიქსეთ-ბეგი: „ზედმიწვენილი რუსულისა, იცოდა ლათინური და სომხური წერილი“<sup>307</sup>). გაიოზის მიერ ლათინური და ბერძნული ენების ცოდნას ადასტურებს პ. იოსელიანიც, რომელიც გადმოგვცემდა, რომ კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქების წერილი თარგმნეს

<sup>295</sup> И. Савинский, Грузины в Астраханской епархии и отношении к ним местных архипастырей в 18 веке, Астрахань, 1898, стр. 48.

<sup>296</sup> Н. Пальмов, к сведениям о личности архидиакона Гайоза, Христианский Восток, т. II, в. I, СПб., 1913, стр. 40.

<sup>297</sup> ცენტრ. ფონდი № 1458, საქმე № 12 (ძველი № 19), გვ. 19.

<sup>298</sup> А. Хаканов, Очерки по истории грузинской словесности, Москва, 1901, вып. 3, стр. 276.

<sup>299</sup> М. Благоднравов, Архиереи Астраханской епархии за 300 лет ея существования с 1602 до 1902 г., Астрахань, 1902, стр. 43.

<sup>300</sup> П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПб., 1869, стр. 273.

<sup>301</sup> ზ. ქიქინაძე, ვახტანგ მეექვსე და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე, ტფილისი, 1916, გვ. 35.

<sup>302</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1952, გვ. 360.

<sup>303</sup> Тонкмелис, Правда об автокефалии грузинской церкви, Кутанс, 1905, стр. 138.

<sup>304</sup> Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состояниях, СПб., 1802, стр. 81.

<sup>305</sup> ხელნ. ინსტ. S—378, გვ. 3—4.

<sup>306</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 191; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წიგნაკი 1, ტფილისი, 1913, გვ. 31.

<sup>307</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, უცნობი მასალები გაიოზ რექტორის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 386.

„კიევის მიტროპოლიტმა გაბრიელ და ჩვენმა არხიერმა გაიოს პენ-  
ძელმან“<sup>309</sup>. მ. ჯანაშვილის ცნობით კი, გაიოზს კავკასიელ მთის  
ხალხთა ენებიც სცოდნია: «В 1793 г. в Астрахани была учрежде-  
на епископская кафедра, которую занял грузинский епископ  
Гайоз, хороший знаток русского и горских языков и наро-  
дов»<sup>309</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ ალბათ ქართული ენის უცოდინარობამ  
შეუშალა ხელი მკვლევარ ბ. ალბოროვს საქართველოს ხელნაწერთა  
ინსტიტუტში გასცნობოდა მასალებს, რომლებიც მიუთითებენ გაი-  
ოზის მიერ რუსული ენიდან სხვადასხვა ლიტერატურული და თეო-  
ლოგიური ხასიათის მასალების თარგმანზე. „...ხელ ვპყავ გარდმოლე-  
ბად მიზეზთა წერილთ-მოყუარებისა თქვენისათა ენისაგან როსიუ-  
ლისა ხმასა ზედა სამეფოს თქუენისასა“<sup>310</sup>, — წერდა გაიოზი მარკ  
ავრელიანუსის თარგმანის წინასიტყვაობაში. „...თანამდებობითმან  
მორჩილებამან ბრძანებისა თქვენისამან კადნიერ იყო მე გარდმოლე-  
ბად საღმრთოისა ამის ისტორიისა რუსულით. ქართულსა ენასა ზე-  
და“<sup>311</sup>, — აღნიშნავდა გაიოზი. ხოლო საუკეთესო კალიგრაფისტმა  
დავით რექტორმა, რომელიც თელავის სემინარიის რექტორის პოსტზე  
გაიოზის შემკვიდრე იყო, როლენის „ძველ ისტორიას“ შემდეგი წი-  
ნასიტყვაობა დაურთო: „...უწინარეს ამის ქამისა მისსა მალალ ღირსე-  
ბასა ამის უკუე თელავ ქალაქისავე მეცნიერსა და ბრძენსა რექტორსა.  
არხიმანდრიტსა გაიოზს ესე უკუე ეგვიპტისა ისტორია რუსთა ენისა-  
გან ქართულსა ენასა ზედა ეთარგმნა და გარდმოელო, რომელიცა მი-  
სი მალალი ღირსება რუსთა ენისა სრულად მეცნიერი იყო და განს-  
წავლილ“<sup>312</sup>. დაბოლოს, მკვლევარ ბ. ალბოროვს ხელნაწერთა ინსტი-  
ტუტის S — ფონდში 35 ნომრით შეეძლო ენახა გაიოზის მიერ ქარ-  
თულიდან რუსულ ენაზე გადაღებული ქართული გრამატიკა. ამგვა-  
რად, იმის დასამტკიცებლად, რომ გაიოზ რექტორმა კარგად იცოდა,  
როგორც რუსული, ასევე სხვა ენებიც, არსებობს დიდძალი მასალა.

<sup>308</sup> პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპო-  
ლიტისა, ტფილისი, 1852, გვ. 21.

<sup>309</sup> М. Джанашивили, К материалам по истории и древностям  
Грузии и России, Тифлис, 1912, стр. 41.

<sup>310</sup> ხელნაწ. ინსტ. Н—2206.

<sup>311</sup> ხელნაწ. ინსტ. Q—169, Н—1210.

<sup>312</sup> ხელნაწ. ინსტ. С—204.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაიოზი არის ოსური დამწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, განმანათლებელი და ოსური ანბანის საფუძვლის ჩამყრელი. მას უდიდესი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის ოსი ხალხის რუსულ და ქართულ კულტურასთან დაახლოებაში.

როგორც ცნობილია, გაიოზ რექტორი მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსი იყო 1793 წლიდან 1799 წლამდე, ამ წელს მოზდოკის ეპარქია გაუქმდა და ის შეუერთეს ასტრახანის ეპარქიას. გაიოზი გადაყვანილ იქნა პენზაში, სადაც დაყო 1799—1808 წლამდე, იწოდებოდა სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსად, ხოლო 1808 წლიდან გარდაცვალებამდე ასტრახანშია „ასტრახანისა და კავკასიის მთავარეპისკოპოსის ტიტულით“ <sup>313</sup>.

როგორც ვწიგნობარს, გაიოზ რექტორს დიდად აინტერესებდა სტამბის დაარსებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეც. ეს დაინტერესება გამოწვეული იყო როგორც სასკოლო სასწავლო სახელმძღვანელობის, ასევე მხატვრული ლიტერატურის ნაკლებობით, რომელიც სხვადასხვა ავტორების მიერ ითარგმნებოდა რუსულიდან ქართულ ენაზე. ცნობები სასტამბო საკითხებით გაიოზის დაინტერესების შესახებ დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მათი თავმოყრა და გამოცემა პირველად ზ. ჭიჭინაძემ იტვირთა (მთლიანი შიმოხილვით) <sup>314</sup>. თუმცა ავტორის მიერ ზოგიერთი ქრონოლოგიური თარიღი არაა ზუსტად დაცული. გაიოზი და მისი სასტამბო მოღვაწეობა შეიძლება ცალკე კვლევის საგანი გახდეს. აღსანიშნავია, რომ მისი უშუალო მონაწილეობითა და ინიციატივით გაიხსნა სტამბები მოზდოკსა და კრემენჩუგში, სადაც პირველად დაიბეჭდა ისეთი წიგნები, როგორიცაა ქართული „ღრამმატიკა“, „საციცკრო ლოცვანი“ „მცნება ვასილის ბერძენთ მეფისა“ და რამდენიმე წერილი წიგნი <sup>315</sup>.

<sup>313</sup> როგორც რუსეთის ეკლესიის ისტორიის მკვლევარი მ. ბლაგონრაიოვი წერდა, 1803 წლიდან 1829 წლამდე ასტრახანის ეპარქიის მღვდელმთავარი იწოდებოდნენ «Астраханские и Кавказские», რაც გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში კავკასიის სამხედრო და ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრი ასტრახანში იყო და ამდენად სასულიერო და საერო ხელმძღვანელობაც იქ იმყოფებოდა. М. Благоврахов, «Архидиакон Астраханской епархии за 300 лет ее существования», Астрахань, 1902, стр. 1.

<sup>314</sup> ესენია: „ვახტანგ VI და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე“ (1916 წ.) და „ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა“ (1909 წ.).

<sup>315</sup> ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ მეექვსე და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე, ტფილისი, 1916, გვ. 35.

უდიდესი მონღოლების შედეგად ახერხებდა გაიოზი სტამბების გახსნას; მას არ ჰყავდა სტამბისათვის საჭირო კვალიფიციური სპეციალისტები, არც სათანადო იარაღები ჰქონდა. თუ როგორ მძიმე პირობებში უხლებლად მუშაობა სტამბის მუშაკებს, ამაზე მიგვითითებს ის საარქივო ნაბეჭდი დოკუმენტი, რომელიც სასტამბო საქმის ცნობილმა ოსტატმა რომანოზ ზუბალაშვილმა დაუტოვა ისტორიას. ესაა ნაბეჭდი თხოვნა, რომლითაც მიუმართავს ზუბალაშვილს გაიოზისადმი. „იქ—ეს აქეთ ჩღევ (ე. ი. 1796 წელი) თვესა ოქტომბერსა ა (ე. ი. 1 ოქტომბერს) გაიმართა და დაიბეჭდა სტამბა ესე მოზდოკს ქალაქსა“<sup>316</sup>. ავტორი მადლობას უხდის გაიოზს, რომელმაც მფარველობა გაუწია სამშობლოდან გადმოხვეწილს, მისივე დავალებით შეუდგა სტამბის აწყობას. „დავიწყე მუშაობა, დაღვასრულე ბრძანება თქვენი“<sup>317</sup> და „მოვართვი ყდ უსამღღელოესობასა თქვენსა და იხილეთ წინა მდებარე წერილი ესე ნატვიფრი პრობა“<sup>318</sup>. როგორც ჩანს, გაიოზი იმდენად დაინტერესებული ყოფილა სასტამბო საქმით, რომ პირველ ნიმუშებსაც კი ეცნობოდა. აღნიშნულ დოკუმენტში ზუბალაშვილი უჩივის მარტოობას, სთხოვს გაიოზს, მისცეს მას ნასწავლნი ან უსწავლელნი სასტამბო საქმისა, რათა „ისწავლონ მწერალმან წერა მბეჭტავთა ბეჭტვა“<sup>319</sup>.

გაიოზი ყოველნაირად ცდილობდა მიეზიდა გამოცდილი მუშაკები და განესწავლა ამ საქმისათვის ახლები. ასეთ მძიმე პირობებში შექმნილ სტამბებში იბეჭდებოდა სასკოლო-საადმზრდელო და სასულიერო-საღვთისმეტყველო ლიტერატურა.

სიცოცხლის ბოლო წლები გაიოზმა ასტრახანში გაატარა. ამ ეპარქიაში გაიოზის მთავარეპისკოპოსად დანიშვნის ფაქტი შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ. ასტრახანის ეპისკოპოსი 1829 წლამდე ატარებდა ტიტულს „ასტრახანისა და კავკასიისა“. ასტრახანში გაიოზის ყოფნის პერიოდი ემთხვევა იმ პირველ ორ ათეულ წელიწადს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. რუსეთის ცენტრისაკენ მისავალ ამ ჰიშვარ-ქალაქში საჭირო იყო ისეთი გამოცდილი სასულიერო პიროვნების ყოლა, რომელსაც დიპლომატიური ალლო ექნებოდა.

<sup>316</sup> ცენტრ. არქ. ფონდი № 1447, საქმე № 162 (ძველი № 234/6). ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. 1, თბილისი, 1914 წ., გვ. 63.

<sup>317</sup> ცენტრ. არქ. ფონდი № 1447, საქმე № 162 (ძველი № 234/9).

<sup>318</sup> იქვე.

<sup>319</sup> იქვე.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ასტრახანში ძირითადად თავს იყრიდა საქართველოდან ლტოლვილთა დიდი რაოდენობა, რომელთა ნაწილიც ახალი ადმინისტრაციის მიერ იყო გაძევებული, ხოლო ნაწილი თვით იყო წამოსული უკეთესი პირობებისა და მდგომარეობის საძიებლად. მათთან კონტაქტისათვის საჭირო იყო ორივე მხარისათვის სანდო და საჭირო პიროვნება, ასეთად კი გაიოზი იყო მიჩნეული.

რუსულ საეკლესიო ისტორიაში ფართოდაა ცნობილი გაიოზის აქტიური საქმიანობა ეკლესია-მონასტრების აშენება-შეკეთების საქმეში. მან ჯერ მოზღოვში მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, ხოლო ასტრახანში გაალამაზა და სრულყო ასტრახანის საკათედრო ტაძარი<sup>320</sup>. გაიოზს უნდა უმადლოდეს ისტორია, რომ აღნიშნული ტაძარი, როგორც ძველი კულტურის ერთ-ერთი ძეგლი, სანიმუშოდ შემორჩა შთამომავლობას. «Несмотря на свой преклонный возраст, по своему обыкновению он и здесь не сидел сложа руки, а оставил в летописях Астраханского собора неизгладимые следы своего управления Астраханской паствой. Он не только был часто инициатором дела, но умел находить средства к его осуществлению»<sup>321</sup>, — აღნიშნავს ა. ცაგარელი.

გაიოზს მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდა ასტრახანში მცხოვრებ კავკასიელებთან. მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი სომეხი პოეტი და პედაგოგი სერობე პატკანიანი. ლიტერატურის სიყვარულის გარდა, მათ აკავშირებდათ საერთო საქმე, ეს იყო სწავლა-აღზრდა. მართალია, გაიოზი ასტრახანში არსებული სომხური სასწავლებლის საქმიანობაში, რომლის უფროსიც პატკანიანი იყო, არ ერეოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხშირად იღებდა გაიოზისაგან, როგორც სასკოლო საქმის საუკეთესო მცოდნისაგან, სხვადასხვა საჭირო მეთოდურ მითითებებს. ისტორიას მათი ურთიერთობის ამსახველად შემორჩა ის ლექსი, რომელიც სერობე პატკანიანმა უძღვნა გაიოზ რექტორს<sup>322</sup>, როგორც დიდ განმანათლებელს.

გაიოზ რექტორი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ასტრახანის ეპარქიაში არსებულ სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებს, ზრუ-

<sup>320</sup> Астраханский кафедральный Успенский собор. История его и настоящее состояние, Казань, 1881, стр. 7—8.

<sup>321</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб., 1894, стр. LVI.

<sup>322</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, უცნობი მასალები გაიოზ რექტორის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 78.

ნავდა მათი კეთილმოწყობისათვის, ხშირად დადიოდა სასწავლებლებში და ინტერესდებოდა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებით. გაიოზი, მოწოდებით პედაგოგი, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული მასწავლებლებისადმი, რომლებიც, მისი ღრმა რწმენით, ყველაზე კეთილშობილ და საპასუხისმგებლო საქმეს ემსახურებოდნენ. «Начальники и учителя семинарии и училища были у него самыми желанными гостями, с которыми он радушно делил свою трапезу... Оказывая им такое внимание, он возвышал их в общественном мнении и поддерживал между ними единодушие и общительность, от чего дела в семинарии и училищах шли мирно и благополучно»<sup>323</sup>.

გაიოზ რექტორი უყურადღებოდ არც ასტრახანის სასწავლებელში მოსწავლე ქართველ სტუდენტობას ტოვებდა, ინტერესდებოდა მათი სწავლა-აღზრდის საკითხებით, ხოლო შემდეგ სამუშაოდაც კი ანაწილებდა მათ. ერთ-ერთი მათგანი, «Диакон Михаил Иванов Аврамов».<sup>324</sup> ქართველი მღვდლის შვილი, სემინარიის დამთავრების შემდეგ «15 мая 1817 г. определен преосвященнейшим Архиепископом Гаем в Благовещенский монастырь пономарем»<sup>325</sup>.

პიროვნება, რომელთანაც გაიოზს უკანასკნელ წუთებამდე ურთიერთობა არ გაუწყვეტია, იყო იოანე ბატონიშვილის ძე გრიგოლი, რომელიც ასტრახანში განლაგებული ჯარის ნაწილის სარდლად ითვლებოდა: სწორედ ის გეაწვდის ცნობას, 1821 წელს „გაიოზის სიკუდილისა ვიყავ წინ კვირას ხმობილიო“<sup>326</sup>.

გაიოზ რექტორი, რომელიც ბოლო დროს წმინდა ანას ორდენის კავალერიც იყო, გარდაიცვალა 1821 წლის 21 თებერვალს 75 წლის ასაკში. «Архиепископ Гай был пастырь добрый, кроткий, сострадательный, обходительный, общительный и гостеприм-

---

<sup>323</sup> М. Благодиров, Архиерей Астраханской епархии за 300 лет ее существования с 1602 до 1902 года, Астрахань, 1902, стр. 94.

<sup>324</sup> Н. Пальмов, Священно-церковно-служители Астраханского Благовещенского женского монастыря за XIX столетие по клировым ведомостям, Астрахань, 1911, стр. 16.

<sup>325</sup> იქვე.

<sup>326</sup> ხელნ. ინსტ. S—378, გვ. 270.

ნყი»<sup>327</sup>, — ასეთი სითბოთი და სიყვარულით სახეს სახელი დატოვა მან რუს ხალხში.

ქართველი შემატიანე ახლად მიცვალებულ გაიოზს ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა: „ესე ჟამსა ამას ძვირფასობდა ქვეყანასა საქართველოსასა და ამის შემდგომად ღმერთმან უწყის, დაშთება და მსგავსი ამისი მეცნიერი ქვეყანასა ჩვენსა?“<sup>328</sup>.

## 2. გაიოზის დამოკიდებულება ერაყე II-ის პოლიტიკისადმი

გაიოზ რექტორსა და ერეკლე II-ს შორის მჭიდრო ურთიერთობა დაახლოებით 1778 წლიდან იწყება, როდესაც ის გამოწვეულ იქნა რუსეთიდან თბილისს და აქ დაინიშნა რუსული ენის შემსწავლელი სასწავლებლის ხელმძღვანელად. გაიოზის გამოწვევისა და დანიშვნის საკითხში, უნდა ვიფიქროთ, დიდი წვლილი მიუძღოდა ანტონ კათალიკოსს. რომელიც კარგად იცნობდა თავისი აღზრდილის მონაცემებსა და შესაძლებლობას. ამ პერიოდიდან იწყება ის მტკიცე პოლიტიკური თანამეგობრობა, რომელიც ერეკლე II-ის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გაგრძელდა. ამ მეგობრობის ქვაკუთხედს მათივე პოლიტიკური მრწამსი შეადგენდა, რომელიც რუსეთისადმი მეგობრობითა და ერთგულებით გამოიხატებოდა.

გაიოზი უდიდეს პატივს სცემდა ერეკლე II-ს, მიაჩნდა ის თანამედროვეობის უშესანიშნავეს პიროვნებად, უდიდეს სარდლად და სახელმწიფო მოღვაწედ, სწავლისა და განათლების მეცენატად და მფარველად. „იქადის ჰრომი აგვისტოს კეისრითა. იქადის გალია ლუდოვიკ მეთათხმეტითა, იქადის როსსია პეტრე დიდითა, რომელთაცა დააფუძნეს სამფლობელოსა თვისსა სწავლანი სასიბრძნონი... მსგავსაღუე ჩვენცა თანა გუამს უმეტეს რათა ვიქადოდეთ ესე ვითარისათვის მეფისა ჩვენისა, რომელმანცა მხოლოსა შორის თვისსა

<sup>327</sup> М. Благовраов, Архирей Астраханской епархии за 300 лет ея существования с 1602 до 1902 года, Астрахань, 1902, стр. 94.

იმავეს იმეორებს ნ. პალმოვიტ. ორივენი კი ეყრდნობიან კირილე ვასილიევს, რომელიც არცთუ ისე მაღალ შეფასებას აძლევდა ასტრახანელ მღვდელმთავრებს — მ. დ.

<sup>328</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავითისა და მის ძმებისა, ტფილისი, 1905, გვ. 157.

შემოკრიბნა უაზნაურესნი იგი ნიშანნი ზემო ჰხსენებულთა მეფეთა“<sup>329</sup>. 1780 და 1782 წლებში რუსეთში სპეციალური მისიით გამგზავრება და უკან დაბრუნება იმ დიდი პოლიტიკის განხორციელები-საკენ მიმართული პრაქტიკული ნაბიჯები იყო, რომელსაც ერეკლე II ატარებდა. «Гайоз служил истолкователем и защитником деяний Ираклия как Феофан Прокопович поборником реформ Петра Великого, он одобрял мудрыя мероприятия Ираклия, клонящиеся к укреплению величия и благоденствия царства»<sup>330</sup>. ასე სრულყოფილად და ნათლად შეადარა და განსაზღვრა მათი ურთიერთდამოკიდებულება ა. ხახანაშვილმა. თავის ყოველ საჯარო გამოსვლაში, თბილისში იქნებოდა ის თუ თელავის სემინარიაში, გაი-ოზი ცდილობდა დამსწრე საზოგადოებისა თუ სემინარიის მოსწავლეებისათვის ღრმად ჩაეგონებინა ერეკლე II-ის პოლიტიკის სი-დიადე, მისი შორსმჭვრეტელობა, უდიდესი დამსახურება და ამაგი იმ კეთილდღეობისა და სიმშვიდისათვის, რომელიც XVIII საუკუნის 80—90-იანი წლების საქართველოში დამყარდა: „მიხედეთ ქუე-ყანისა ამის ჩვენისა მდგომარეობა. რომლისადა უწინარესა მდგო-მარეობასა თვით ჩვენ ვჰსწამებთ და სამყოფნი ჩვენნი აჲ განახლე-ბულნი სოფელნი და დაბანი და ქალაქნი და ერთა სიმრავლენი. ვისი არს ნაყოფი? არა უძლეველისა ამის მეფისა ჩვენისა? რომლისადა უმაგალითოსა სიმხნესა და უძლეველსა მებრძოლობასა და ჩინებუ-ლობასა მხედრობისა მისისა. ვითარსა შინა შიშსა მოუყუანისს გარე-მოს ჩვენსა მყოფნი მხეცთ მსგავსნი მტერნი...“<sup>331</sup>. გაიოზს ღრმად სწამდა, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქართველი მე-ფეები მორჩილებდნენ მაჰმადიან მმართველებს, „რომლისადა გეს-ლითა შეიგინებოდნენ მეფენი ჩვენნი“<sup>332</sup>. ახლა კი ერეკლე II-ს ანგა-რიშს უწევდა ისეთი ძლიერი მაჰმადიანური სახელმწიფოს მმართვე-ლი, როგორიც ოსმალეთის სულთანი, „რომლისადა დიდებულებითა შემძლებლობითა ძრწის თითქმის პირი ყოვლისა ქუეყანისა“<sup>333</sup>.

გაიოზის აზრით, ქართლ-კახეთის სამეფოს ასეთი მყარი და სტა-

<sup>329</sup> ხელნ. ინსტ. Н—2291 (5v).

<sup>330</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, Москва, 1901, стр. 284.

<sup>331</sup> ხელნ. ინსტ. Н—2291 (5v).

<sup>332</sup> ი ქ ვ ე (6r).

<sup>333</sup> ი ქ ვ ე.



ბილიზებულები მდგომარეობა ერეკლე II-ის მიერ გატარებული იმ სწორი პოლიტიკის შედეგია, რომელიც ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირით გამოიხატებოდა. არ შეიძლება ექვის შეტანა იმაში, რომ გაიოზის ყოველი გამოსვლა, მისი ყოველი სიტყვა ღრმად განსჯილი იყო და შეესიტყვებოდა იმ პოლიტიკას, რომელსაც ერეკლე II ახორციელებდა. გაიოზი ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკას ფართო პროპაგანდას უწევდა და რუსეთთან მიღწეული კავშირი მის უდიდეს დამსახურებად მიაჩნდა: „ესე ყოველნი არა კეთილ-მსახურებითისა მეფობისა მისისაგან არიანა? რომელნიცა ესე ვითარი დიდებულება სახელისა მოიგო“<sup>334</sup>. გაიოზის აზრით, ერეკლე II-მ სწორი ნაბიჯი გადადგა, მოამზადა რა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტი. ეს აზრია გატარებული მის შემდეგ სიტყვებში: „სრულ იქმნა უკვე განმგებლობა საღმთოსა მის უკვე მზრუნველობისა შეერთებინა, მის მიერ დადგინებულისა მამისა და მეფისა ჩვენისა თანამორბედობითისა ზრუნვისა სრულყოფისათა აღმოგვიბრწყინდა ახალი მზე გარნა უძველესი კეთილობითა თვისითა ღორიზონტსა ზედა“<sup>335</sup>.

მას სწამდა, რომ ერეკლეს პოლიტიკა ახალ, ნათელ და მშვიდ ცხოვრებას მოუტანდა მაჰმადიანური სახელმწიფოებისაგან მრავალტანჯულ ქართველ ხალხს და თავისი შორსმკვრეტელური პოლიტიკის მისაღწევად არ დაიხევდა უკან. „იგი შეჰწირავს მას ძღვნად სულიერად შვილთა კახეთისათა და უფროსად ვიტყვი, შვილთა თვისთა ნაყოფთა თვისითა მამულისათა და რტოთა ღიმხნისა და კეთილმსახურებისა მიერ ხელითა თვისითა ნერგულთა ტყბილ სუნოვანთა კაცთასა“<sup>336</sup>.

ასეთ გამოკვეთილ სახეს ატარებდა გაიოზის დამოკიდებულება ერეკლეს საგარეო პოლიტიკისადმი, რომლის საბოლოო მიზანიც რუსეთთან სამუდამო კავშირის დამყარება იყო. არა მარტო საჯარო გამოსვლებში, არამედ თავის მრავალრიცხოვან პედაგოგიურ-აღმზრდელობით თუ ლიტერატურულ-თეოლოგიურ ნაწარმოებებში, რომლებიც მისი შეთხზული, ნათარგმნი ან გადაწერილი იყო, გაიოზი

334 ხელნ. ინსტ. H—2291 (6r), „მოამბე“, 1902, № 5.

335 ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, „სკოლა და ცხოვრება“, № 1, 1963, გვ. 71.

336 იქვე.

ცდილობდა შთაეგონებინა მკითხველისათვის ერეკლეს სიდიადე, მისი შემართება და დიდი დამსახურება, დაერაზმა მისი დროშის ქვეშ ქართველი ხალხი სამშობლოს დასაცავად და ნათელი მიზნების მისაღწევად. „ყოვლად ძლიერმან ძალმან განაძლიეროს სკიპტრა მეფობისა თქვენისა და აღსკურვოს მკლავი თქნი ძლევად მტერთა“<sup>327</sup>.

„...ადიდე მორწმუნე შენი მეფე ირაკლი და მკლავითა მისითა დაეც ამპარტავანნი და ქრისტეს მოძულენი მტერნი ჩნი“<sup>328</sup>, „...რათა ცხოვრებაი კეთილმსახურისა ხელმწიფისა ჩვენისა მეფისა ირაკლისა ყოვლისა საქართველოსა... სიმრთელესა და ბედნიერობასა შინა დაიკუთას მრავალსა წელსა და რათა შეზღუდოს სამეფო მათი მშვიდობითა და მყუდროებითა“<sup>329</sup>, — ასეთია გაიოზის მოწოდება და სურვილი მკითხველისადმი.

მაგრამ გაიოზის დამოკიდებულება ერეკლეს პოლიტიკისადმი მარტო მისი პოლიტიკის მოწონებითა და პროპაგანდით როდი გამოიხატებოდა. ის აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა ამ პოლიტიკის განხორციელებაში. მოგვიანებით, როდესაც გაიოზი სამუდამოდ რუსეთში გადასახლდა, ერეკლე II-ს არ გაუწყვეტია მასთან კავშირი და თავისი საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ ეთათბირებოდა მას, გაიოზი თავისი იდეების თანამოზიარედ და ერთ-ერთ პრაქტიკულ განმხორციელებლად მიაჩნდა. როდესაც საქართველოს თავზე მძიმე ღრუბლებმა მოიყარეს თავი, ერეკლე II სწერდა გაიოზს: «Уповаю, что в. высокопреподобие, сохраняя меня в памяти своей, помышляете и о отечестве, в коем мы рождены, надеюсь также, что не оскудеют старания ваши о пользе оного. Я писал к вам о положении нашем через Захария Туркестанова, присовокупляю к тому только о обстоятельствах Ага-Магматхановых, что он против Шушинского Ибреим-Хана расположился войною. Мысль моя в рассуждении его расположения такова: если он в делах своих против Ибреим-Хана преуспее, то уповать подлежит, что устремится и противу нас, ибо Адребежанские ханы, выключая Урумийского, изъявляют ему повинование, о чем писано от меня к его светлости.

Прошу ваше высокопреподобие употребить все силы и старания ваши к донесению и внушению куда следует. О прочих

<sup>327</sup> ხელნ. ინსტ. Н—70.

<sup>328</sup> იქვე (42r).

<sup>329</sup> იქვე.

обстоятельствах наших писано вам через Гарсевана Чавча-  
вадзе и при оном посылается к вам копия Трактата Имере-  
тинского»<sup>340</sup>.

თითქმის იმავეს ვკითხულობთ ერეკლე II-ის მიერ გაიოზისადმი მიწერილ მეორე წერილშიც: «В таком случае, если мы не будем подкреплены от России, должны будем находиться в беспрестанной опасности. Прошу вас, где только сыщется случай, не оставить о сем объявить. Впрочем, прискорбно мне, что от вас не получаю писем»<sup>341</sup>.

ეს ორი წერილი ნათლად მიგვიჩვენებს იმაზე, რომ გაიოზი ერეკლეს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური მხარდამკერი იყო. ამით იყო გამოწვეული, რომ ერეკლე აცნობებდა და უზიარებდა მას საქართველოს მძიმე მდგომარეობას, სთხოვდა გადაედგა პრაქტიკული ნაბიჯები სამშობლოს დასახსნელად.

შეედრმა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გაიოზი ერეკლე II-ის მხოლოდ საგარეო პოლიტიკას იზიარებდა და სხვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებით არ იყო დაკავებული.

გაიოზი რომ საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდა, მისი ნათელი მომავლისათვის იღვწოდა, ამის დამადასტურებელია ის უდიდესი შრომა, რომელიც მან გასწია საქართველოში სწავლალზრდის დონის ამალღებისათვის, რაც სასწავლებლების გახსნით გამოიხატა. სახალხო განათლება ერეკლე II-ის მთელი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო. აღზრდა განათლებული თაობისა, რომელიც მომავალში სათავეში ჩაუდგებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობას, ერეკლე II-ის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, რასაც ხორცი შეასხა გაიოზმა საერთოდ მისი მრავალმხრივი პედაგოგიური მოღვაწეობით, კერძოდ სასწავლებლის შექმნით თბილისში (სადაც რუსულ ენას ასწავლიდნენ) და თელავის სემინარიის გახსნით. რომლის რექტორიც თვითონ იყო.

გაიოზი ერეკლე II-ის სასწავლო-აღმზრდელობითი მოღვაწეობის ყველაზე დიდი მხარდამკერი და პროპაგანდისტი იყო. ყოველ თავის გამოსვლაში, საჯარო იქნებოდა ის თუ წერილობითი (მხედველობაში გვაქვს მისი სასწავლო-აღმზრდელობითი და ლიტერატურულ-თეოლოგიური ნაშრომები), გაიოზი ხაზს უსვამდა ერეკლეს დიდ დამსა-

<sup>340</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, относящиеся к Грузии, т. II, вып. II, СПб., 1902, стр. 70.

<sup>341</sup> იქვე, გვ. 82.

ხურებას განათლების დარგში, მის სიყვარულსა და ზრუნვას მეცნიერებისადმი. „უუმოწყალებსო ხელმწიფეო, სრულებით ზედმიწევნამან სიბრძნის-მოყუარებისა თქვენისამან და გულმოდგინებით გამოამძიებლობამან ყოვლისა მეცნიერებისა და უფროსლა ხელმწიფობითისა განმგებლობისამან“<sup>342</sup> მიკარანახა მე, რათა მეთარგმნა ესა და ეს მეცნიერული ნაშრომიო, მიუთითებდა გაიოზი თავის მრავალრიცხოვან ხელნაწერ წიგნებში, მხედველობაში ჰქონდა რა ერეკლეს სიყვარული და ზრუნვა სწავლისადმი.

თელავის სემინარიაში საჯარო პაექრობებზე ყოველი მისი გამოსვლა მრავალრიცხოვანი საზოგადოებისა და სემინარისტების წინაშე შეიცავდა მოწოდებას სწავლისა და განათლებისაკენ, იმ მიზნების განხორციელებისაკენ, რომლებიც დაისახა ერეკლე II-მ. „ყოველი ესე სარგებლობა მეცნიერებისა არა დაფარული არს ყოვლად ბრძნისა მხედველობისაგან კეთილ-მსახურისა მეფისა ჩვენის ირაკლი მეორისა. ყოველივე ესე ყვავილოვნება შემოკრებულ არს გუგასა შინა კეთილ-მსახურებითა ღანათლებულისა თვალისა მისისა. ამას ესოდენ გრძელ-ჟამობითსა გამოცდილებისა თვისისა კეთილ-მსახურებითისა მეფობისა ესეოდენ დაუძინებლობითისა მზრუნველობისასა ბედნიერებისათვის ყრმათა თვისთასა არა შესაძლებელ იყო რა არა ეცნო კვალი იგი ბედნიერობისა, რომლისადმიცა უძღვის მეცნიერება და ამისათვის პირველად თქვენზედა განმარტა საბედნიეროდ დაუძინებელი იგი თვალნი თვისნი, პირველად თქვენთვის ისურვა ძვირფასი ესე ბედნიერებაი თქვენი... ჰნებავს თქვენი არა თუ ვითარცა მონათა, არამედ ვითარცა საყვარელთა შვილთა თვისთა განშეებად და განსვენებად და განმდიდრებლად, ესრეთ გიძღვისთ თქვენ წყაროსადმი მოწყალებისა თვისისა, ესრეთ გადმოჰვენს თქვენზედა ხელმწიფობითსა მფარველობასა სიბრძნისა და მეცნიერებითა შეპსოვილსა, შესაძლებელ არსა რათა იპოვებოდეს ვით ესე ვითარი გულქვა, რომელიცა არა ტყვე იქმნას ერთგულობითა ესე ვითარისა კაცთმოყვარისა ხელმწიფისა“<sup>343</sup>.

გაიოზს ღრმად სწამდა, რომ ერეკლე იყო თავდაუზოგავი „მოღვაწე ყმათა თვისთა“<sup>344</sup>, რომლის დიდი სიყვარულიც სწავლისადმი

<sup>342</sup> ხელნ. ინსტ. H—70.

<sup>343</sup> ეურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 108—109.

<sup>344</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (5r).

გამოიხატა იმით, რომ ააშენა „სახლი ესე წოდებული სემინარიალ“<sup>345</sup> და დაისახა შორეული, მაგრამ ნათელი მიზანი: „...დაასხა ვენახი ესე სიბრძნისა და მისწვადნა რქანი. მისნი ვიდრე კიდემდე მამულისა ჩვენისა. რომელსაც საგრილესა რტოთა ჰზრდის შვილთა თქვენთა ესრეთ, ვითარცა ჰხედავთ, რათა დამსხმელსა და მომსთვლებსა ერთ-ბაშად უხაროდეს“<sup>346</sup>. ასხამდა რა ხორცს ერეკლეს იდეას, გაიოზი მოუწოდებდა სწავლის მსურველებს: „განჰსქიმეთ მკლავი გონებისა თქვენისა მოუშემდგრებლად აღთქმისათვის სიბრძნისა“<sup>347</sup>. ხოლო მის თანამზრახველებსა და თანამოზიარებებს მიმართავდა: „თანამოღვაწე ექმენით ყოვლად დიდებულსა ამას გზასა ჰზრსა ხელმწიფისა ჩვენისასა“<sup>348</sup>. სამშობლოს ნათელი მომავლისათვის ზრუნვა და განათლებული ახალი თაობის აღზრდა იყო ის ქვაკუთხედი, რომელმაც შეადლუდა ერეკლე II-ისა და გაიოზ რექტორის ურთიერთდამოკიდებულება.

### 3. გაიოზი როგორც პოლიტიკური მოღვაწე

გაიოზ რექტორის როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და დიდი დიპლომატის სახე სათანადოდ არ არის შესწავლილი და შეფასებული. ბევრი მკვლევარი, რომლებიც შეხებიან გაიოზის მოღვაწეობას, გაკვირვებულთა მისი მრავალმხრივი ნიჭითა და ერუდიციით, ზოგჯერ კი (მაგალითად, ეპისკოპოს კირიონს) გამოუყენებლად მიაჩნდა მისი პოლიტიკური მრწამსი. „დღესაც საკამათო საგანს შეადგენს მისი გვარიშვილობა... და უცნაური მისი პოლიტიკური მიდრეკილება“<sup>349</sup>.

თუ თვალს გავადევნებთ გაიოზის მოღვაწეობის მთელ პერიოდს, ნათელი გახდება მისი როგორც პიროვნების ჩამოყალიბებისა და პოლიტიკურად ფორმირების პროცესი. გაიოზზე უდიდესი გავლენა იქონია მისმა პირველმა ჩასვლამ რუსეთში 1772 წელს. აქ ის გავცნო რუსულ სინამდვილეს, მმართველობის სისტემას, განათლებას. 6. წე-

<sup>345</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (5r). ~

<sup>346</sup> იქვე (11r).

<sup>347</sup> იქვე.

<sup>348</sup> ჟურნ. „ივერია“, № 8, 1881, გვ. 114.

<sup>349</sup> ცენტრ. არქ. ფონდი № 1458, საქმე № 12 (ძველი—19), გვ. 3.

ლი სავსებით საკმარისი იყო მისთვის, რათა დაენახა იმდროინდელი რუსეთის სახელმწიფოს სიძლიერე, მისი ზელისუფლების მკაცრი ცენტრალიზაცია. ყოველივე ეს მან შეაღარა საქართველოს მდგომარეობას, მის დაქუცმაცებულობას, გათიშულობას, ეკონომიურ ჩამორჩენილობას, რასაც მაჰმადიანური სახელმწიფოს განუწყვეტელი თავდასხმები და თარეში სდევდა თან. როგორც ჰკვიანი და შორსმკვრეტელი პიროვნება, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოსათვის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც მას დაიხსნიდა ირან-ოსმალეთის კლანჭებისაგან, იყო კავშირი ძლიერ და ერთმორწმუნე რუსეთთან (როგორც ქრისტიანი ღვთისმსახურისათვის, მისთვის რუსეთის სახელმწიფოს ერთმორწმუნეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — მ. დ.). ყოველივე ამას დაემატა პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც გადადგა ერეკლე II-მ და რომლებიც გაიოზისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. დიდ, ერთმორწმუნე რუსეთთან მკიდრო და ურყევი კავშირი იყო ის პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც აირჩია გაიოზმა და რომლის განხორციელებისათვის ბრძოლას მოანდომა მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე და დაუშრეტელი ენერჯია. თავისი პოლიტიკური მრწამსის პრაქტიკულად განხორციელების პირველი ნაბიჯი, რომელიც მან საქართველოში ჩამოსვლისთანავე გადადგა, იყო რუსული ენის შემსწავლელი სასწავლებლის დაარსება, რომლის ძირითადი მიზანიც რუსული ორიენტაციის მომხრე თაობების აღზრდა უნდა ყოფილიყო (ყოველივე ეს შეხამებული იყო ჩვეულებრივი სწავლა-აღზრდის პირობებთან — მ. დ.). აღნიშნული სასწავლებლის უდღეურობა გამოიწვია იმან, რომ XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულისათვის საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო ის ოპოზიციური პარტია, რომლის სიმპათიებიც ირან-ოსმალეთისაკენ იხრებოდა.

1780 და 1782 წლები გაიოზის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, მომწიფებისა და ჩამოყალიბების წლებია. ამ დროს მის მიერ გადადგმული პირველი დიპლომატიური ნაბიჯები საქართველოსათვის უდიდესი პოლიტიკური აქტით გამოიხატა, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატითაა ცნობილი. 1780 წელს რუსეთში გაწვევა, ხოლო 1782 წელს საქართველოში სპეციალური მისიით ერეკლე II-თან გაიოზის ჩამოსვლა ამის ნათელი დამადასტურებელია. საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოს შესვეურთა წრეებში მომწიფებული იყო მფარ-

ველობითი ხელშეკრულების დადების იდეა. ერეკლე II-ის მიერ უფლებამოსილი გაიოზი ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა. გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი მეგობრობისა და მფარველობა-მოკავშირეობის ხელშეკრულება დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ აქტის განხორციელებით ერეკლე II-მ თავისი დიდი ხნის იდეა რეალურ სინამდვილედ აქცია. ამ იდეის განხორციელებაში მას გვერდით ედგა გაიოზ რექტორი, რომლის როლი ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ კავშირში სრულყოფილად არ არის გაშუქებული და ასახული. «Летом 1783 года Гайоз был в Георгиевске при подписании уполномоченными Договора, заключенного между Ираклием и импер. Екатериной; по всей вероятности, Гайоз был одним из переводчиков грузинского текста Договора с русского оригинала, по-видимому, Гайоз был таким же ревностным сторонником союза Грузии с Россией, как и его учитель, католикос Антоний»<sup>350</sup>.

ამავე აზრს იმეორებდა მკვლევარი ა. ხახანაშვილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაიოზი, მისი რწმენით, მოლაპარაკებაში მონაწილეობდა, როგორც რუსული ენის მცოდნე<sup>351</sup>, ეპისკოპოს კირიონის შეხედულებით კი — როგორც ანტონის ასისტენტი<sup>352</sup>. ფაქტობრივად ყველა მკვლევარს გაიოზის როლი დაჰყავს უბრალო თარჯიმნობამდე, რადგანაც ის რუსული ენის კარგი მცოდნე იყო, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. ამ საკითხზე შედარებით გაბედული აზრი წამოაყენა გაიოზის მოღვაწეობის ერთ-ერთმა მკვლევარმა ნ. მთვარელიშვილმა. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ გაიოზის როლი უბრალო თარჯიმნობით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ იგი გარკვეული უფლებამოსილებით სარგებლობდა. „თუ რომ მართლა გაიოზი მესამე ვეჟილად იყო (საქართველოს ეკლესიის მხრით), რატომ ამას ხელი არ უწერია ხელშეკრულებაზე და ამის შემდეგ რაღად დარჩა რუსეთში?“

<sup>350</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб., 1886, стр. IV.

<sup>351</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Москва, 1901, стр. 281.

<sup>352</sup> Е. К и р и о н, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата, Тифлис, 1901, стр. 7.

რა თქმა უნდა, რომ ამის აზრსაც მოქმედება ექნებოდა საქართველოს ვეჟილებზეც, ზელშეკრულებაზე საუბრის დროს“<sup>353</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზი იყო ის პიროვნება, რომელმაც ერთ-ერთი ვადამწყვეტი როლი შეასრულა გეორგიევსკის ზელშეკრულების მომზადებისა და დადების საქმეში. თავისი განათლებით, ერულიციითა და საქმის ცოდნით ის ბევრად მაღლა იდგა ოფიციალურ წარმომადგენლებზე — ივანე ბაგრატიონსა და გარსევან ჭავჭავაძეზე. მიზეზი, თუ რატომ არა აქვს ხელი მოწერილი გაიოზს ოფიციალურ დოკუმენტზე, შეიძლება ვეძიოთ იმაში, რომ მას, როგორც სასულიერო წირის წარმომადგენელს, ამის რწმუნებანი არ გააჩნდა, ანდა — ჩვენთვის დღემდე ჭერ კიდევ დაუდგენელ გარემოებაში. გაიოზი, რომ ერთ-ერთი წამყვანი პირი იყო ზელშეკრულების დადების დროს, ამაზე ოფიციალური დოკუმენტები მიგვითითებენ. ამასვე გვიდასტურებს მისი შემდგომი პოლიტიკური მოღვაწეობა.

გენერალი პავლე პოტიომკინი ზელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ერეკლე II-ს სწერდა: „... ელჩნი მათი ბრწყინვალეობა კნიაზ ივანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატოვანი, და კნიაზ გარსევან რევაზიჩი ჭავჭავაძე და ეგრეთვე მომჭირნეობა და ერთგულეობა მამა არხიმანდრიტი გაიოსისა...“<sup>354</sup>. ამ ტექსტში ნათლადაა გამოკვეთილი გაიოზის როლი. ანდა: „...თქვენი უგანათლებულესობის წიგნი მომივიდა მამა არხიმანდრიტის გაიოზის ხელითა“, „მამა არხიმანდრიტი (ე. ი. გაიოზი — მ. დ.) მოახსენებს თქვენს უგანათლებულესობას იმ საქმეებსა...“<sup>355</sup> როგორც ვხედავთ, გაიოზის როლი და მისია ბევრად სცილდება თარჯიმნის როლს. ამ საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ ის ერეკლეს სანდო პირია და მას სპეციალური წერილი მიაქვს რუსეთის აღმინისტრაციის წარმომადგენელთან გენერალ პავლე პოტიომკინთან, ხოლო ამ უკანასკნელისაგან ერეკლეს „იმ საქმეების“ შესახებ უნდა მოახსენოს ზეპირად.

<sup>353</sup> უტრნ. „ივერია“, № 8, 9, 10, 1881, გვ. 93. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ნ. მთვარელიშვილის იმ მოსაზრებას, თითქოს გაიოზს, როგორც მოსკოვის სემინარიადამთავრებულს, რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები გეორგიევსკში უფრო ჩქარა მიიხრობდნენ“.

<sup>354</sup> ხელნ. ინსტ. H—2507, გვ. 19.

<sup>355</sup> იქვე, გვ. 23.



გაიოზ რექტორი რომ ხელშეკრულების დადების დროს ერეკლეს სრული უფლებამოსილებით სარგებლობდა, ამაჲ ნათლად ადასტურებს ეს ისტორიულად მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც გაიოზ რექტორმა 1783 წლის 20 აგვისტოს წარმოთქვა თბილისში, სიონის ტაძარში. მხოლოდ ნდობით სრულად აღჭურვილ პიროვნებას, რომელიც იზიარებდა ერეკლე II-ის პოლიტიკას, შეეძლო ასეთი პოლიტიკური სიტყვის წარმოთქმა ფართო საზოგადოებრიობის წინაშე. ესაა ერეკლეს იდეით შთაგონებული ერთგვარი პოლიტიკური ანგარიში, რომელშიც გამოხატული იყო ერეკლეს პოლიტიკური კურსის სისწორე და მოწონება. „... ვითარ ცხადვეით ზიდიდე ესოდენისა ქველის მოქმედებისა, რომელიცა მოჰფინე მამულსა ჩვენსა“<sup>356</sup>; რომ ეს გადაწყვეტილება „...ესე არა ეგოდენ საკუთარი არის მეფისათვის, რაოდენცა სამფლობელოთა მისათვის“<sup>357</sup>. ის შთააგონებდა მსმენელებს, რომ დადგა დრო ბედნიერებისა და სიმშვიდისა: „ამას ბედნიერობითსა შემთხვევასა შინა ვის ჩვენგანისა არს გული მყარი, რომელიცაა არა პკრძნობდეს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა და ღღესასწაულობით არა მოუთხრობდეს მილოცვითსა ხმასა განსვენებისა თვისისა“<sup>358</sup>.

განსაკუთრებული სიმძაფრით გადასცემდა მსმენელებს გაიოზი ერეკლეს დიდ დამსახურებას, მის როლს ამ დიდ პოლიტიკურ აქტში. „... რომელმანცა (ერეკლემ — მ. დ.) ძლიერებისა თვისისა სისხლნი წარპოაცალიერნა ოფლითა სიმხნისა შრომისათა უვნებლად დაცვისათვის სამფლობელოსა თვისისა და მარადღე მიურულებელად სცვლიდა ერსა თვისსა გარემოს მყოფთა მძინვარეთა მტერთაგან, რომელნიცა ნიადაგ ჰლამოდეს განბძარვასა მისსა. და შემდომად ესე ვითარისა შრომისა და ესე ვითარისა ღელვა-გვემულებისა და ნავი სამეფოსა თვისისა სიბრძნითა საჭითა მიაყენა ნავსაყუდელსა უღელვოსა და მხეცთა მათ მძინვარეთა, რომელთაცა აღეშკმოთ პირნი და ბრჭყალნი შთანთქმად და განბძარვად, ერთსა მას განუშზადა მახვილი იგი მკვეთრი და მეორესა ბურთი ცეცხლისა სოფელსა შინა დიდე-

<sup>356</sup> შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. გაიოზ რექტორის სიტყვა, ეურნ. „დროშა“, № 1959. გვ. 10.

<sup>357</sup> ი ქ ვ ე.

<sup>358</sup> ი ქ ვ ე.

ბულისა და საკვირველისა რუსეთის ძალისა, რომელმანცა საშინელითა ქუხილით თვისითა დააჯაბნა ვითარცა კურდღელნი ლომად მგონებელნი თავთა თვისთა“<sup>359</sup>. გაიოზი ამ თავის მოკლე ანგარიშ-ექსკურსში, რომელიც ერეკლეს იღვითაა გაყენებული, არ მოერიდა ხატოვან ფერებს, მსუბუქ იუმორულ გამოთქმებს, მიმართულს მაჰმადიანური სახელმწიფოების, ირანისა და თურქეთის მიმართ. გაიოზი შთააგონებდა მსმენელებს, რომ ერეკლემ თავისი გადაწყვეტილებით „დაამტკიცა საუკუნო მშვიდობა და მყუდროება ერისა თვისის“<sup>360</sup>. გაიოზმა ამ ღირსშესანიშნავი სიტყვით, რომელიც უნიკალური დოკუმენტია XVIII საუკუნის ქართული საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების დახასიათებისათვის, გონებასა და გულში შთაუნერგა ქართველ საზოგადოებრიობას ერეკლე II-ის სწორი მისწრაფება და გადაწყვეტილება — სამუდამოდ დაეკავშირებინა ქართველი ხალხის ბედი რუსი ხალხისათვის.

საქართველოდან წასულმა გაიოზ რექტორმა თითქმის ერთი წელიწადი (1784 წ.) მოსკოვში, ქართულ საელჩოში გაატარა, ხოლო შემდეგ ის გვევლინება ოსეთის კომისიის მთავარ წევრად, რომლის რეზიდენციაა მოზდოკი. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს საქართველოდან წასული გაიოზი პოლიტიკურ-დიპლომატიურ ცხოვრებას ჩამოსცილდა, პირიქით, ის უფრო ფართო მასშტაბით იღებდა მონაწილეობას დიპლომატიურ საქმიანობაში, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო იმ მკიდრო ურთიერთობით, რომელიც მას აკავშირებდა იმდროინდელი რუსეთის ყოვლისშემძლე გამორჩენილ პიროვნებასთან — გრიგოლ პოტიომკინთან. 1785 წლიდან გაიოზს ხან მოზდოკში ვხვდავთ, უფრო ხშირად — გრიგოლ პოტიომკინთან, რომელიც იმ დროს ყირიმისა და ირან-ოსმალეთის საკითხებით იყო დაკავებული (პავლე პოტიომკინი კავკასიის ხაზის უფროსი იყო, ხოლო ფელდმარშალი გრიგოლ პოტიომკინი — მალოროსიის მმართველი — შ. ლ.). გაიოზის, როგორც დიპლომატის, როლის გაზრდაზე ნათლად მიგვითითებს ერეკლე II-ის წერილი პავლე პოტიომკინისადმი (1786 წ. 26 დეკემბერი), სადაც ის აღნიშნავდა საქართველოს მიმართ თურქეთის აქტივობის გაძლიერებას და გამოხატავდა შეშფოთებას, რომ არ მოსდიოდა იმ ოფიციალური მიმართებების პასუხი, რომელთაც ის რუსეთის

<sup>359</sup> შ. ხანთაძე, გაიოზ რექტორის სიტყვა, ძურნ. „დროშა“, № 5, 1959 წ.

<sup>360</sup> იქვე.

სამეფო კარს უგზავნიდა. „და ესეც ასე არის, რომ გაიოს არქიმანდრიტს აქეთ. ჩვენგან მიწერილი წიგნები უმაღლეს კარზე აღარ მისულა და არც ერთი ნუგეშის საცემელი აზრი ესოდენ ჟამს უავლესტესის კარიდან ჩვენ ვერღარა მივიღეთ რა“<sup>361</sup>. ამ წერილთ ირკვევა, რომ ერეკლეს სწამდა გაიოზის და მისი გარკვეული დახმარების იმედიც კი ჰქონდა.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი ხელნაწერი საბუთი, დათარიღებული 1789 წლის 14 თებერვლით, შემდეგი შინაარსისაა: «Объявитель сего, находящийся в Москве при преосвященном Максиме Католикосе и меретинском, иеродиакон Гайос, по прошению каталикоса, в коем представляя, что он памятно-го иеродиакона Гайоса по его к нему прошению увольняет в свое отчество в Грузию, просил дать ему, иеродиакону Гайосу, до Астрахани пашпорт и по определению конторы святейшего правительствующего синода уволен, и велено одному Гайосу для проезда до Астрахани дать из конторы святейшего синода подлежащей пашпорт, для дальнейшего ж ему пути может он просить о пашпорте в гражданском правителям, того ради о свободном означенного иеродиакона Гайоса до города Астрахани пропуск команду имеющим чинит... по ея императорского величества указом дан в Москве от конторы святейшаго правительствующего синода»<sup>362</sup>.

რით იქცევს აღნიშნული ხელნაწერი ყურადღებას? ჯერ ერთი, მასში აქტიური ფიგურაა გაიოსი<sup>363</sup>, მეორეც, საბუთი გაცემულია სინოდის მიერ ეკატერინეს ბრძანების საფუძველზე. იბადება ეჭვი, განაყოველი იეროდიაკვნის საკითხით ინტერესდებოდა სამეფო კარი? მესამეც, გაიოზი აქ მოხსენებულია იმერეთის კათალიკოს მაქსიმესთან კავშირში. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის მზადდებოდა რაიმე დიპლომატიური ნაბიჯი და გაიოზი ამ საქმეში აქტიურ როლს ასრულებდა?

იმერეთის სამეფოს საკითხი ხომ რუსეთის დიპლომატიის დღის წესრიგში იყო დასმული. ის, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ, დამტკიცე-

<sup>361</sup> ი. ცინცაძე, 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 258—259.

<sup>362</sup> Ros — 199.

<sup>363</sup> ჩვენ დაბეჯითებით არ ვამტკიცებთ, რომ ეს ბრძანება ეხება გაიოზ რექტორს. ეს მხოლოდ ვარაუდია.

ბას საჭიროებს, ხოლო დამამტკიცებელი მასალები არცთუ ისე მყარია. 1792 წლის იანვარში პრემიერ-მაიორი სემიონ იგნატიევი მოზღოვიდან გრაფ ალ. ბეზბოროდკოს სწერდა: «Архимандрит Гайоз, управляющий политическими и духовными делами е. в. царя Карталинского Ираклия, употребленный при заключении с Грузиею всем изданного трактата и замечанный его светлостью полезным к устройству духовных комиссий поднеся в. с-ву партикулярно сообщенный ему от царя Ираклия изданный вновь трактат, служащий к внутреннему Карталинии устройству, изъявляет откровенно пред вами царскую доверенность, каковую не укрыл от его светлости и от Имеретинского царя ныне существующего Соломона II. Известно было его светлости, что оный царь Имеретинский воспитан сим Архимандритом. Преимущество сея доверенности, оказываемое ему царями пред своими посланниками по сей отправляемой комиссии, заслуживает внимание ва-го с-ва, и для того не угодно ли будет благоволит о отправлении его Санктпетербурх»<sup>364</sup>.

აღნიშნული მიმართვიდან, რომელიც რუსეთის სამეფოს კანცლერს გრაფ ბეზბოროდკოს ეგზავნება, ვგებულობთ, რომ გაიოზი მიაჩნიათ ერეკლე II-ის პოლიტიკური და სასულიერო საქმეების გამგებლად და, რაც მთავარია, რუსული ადმინისტრაციის მოხელე უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელს ოფიციალურად შეჰყავს საქმის კურსში, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეები (ერეკლე II და სოლომონ II) გაიოზს ბევრ ოფიციალურ ელჩზე მალლა აყენებენ. ტექსტში გაკვირთაა მოხსენიებული, რომ გაიოზი სოლომონ II-ის აღზრდელია. ხომ არ შეიძლება ამ ცნობას რაიმე კავშირი ჰქონდეს მაქსიმე იმერეთის კათალიკოსთან და იმ გაიოზთან, რომელიც მოხსენიებულია იმპერატორის ბრძანებაში? ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ რუსეთის სახელმწიფო მტკიცედ იყო დაინტერესებული ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების საკითხით და მის გადაწყვეტაში არცთუ მცირე როლს ასრულებდა გაიოზ რეჟტორი

ცნობილ მკვლევარს ა. ხახანაშვილს თავის შრომაში<sup>365</sup> მოცემული აქვს ერთი საინტერესო დოკუმენტი «Записка, поданная имп. Ека-

<sup>364</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, № 51, СПб., 1898, стр. 71.

<sup>365</sup> იქვე.

терние II, от вернопреданнейшего слуги», რომელიც დათარიღებულია 1792 წლის 7.11-ით. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი ეხება კავკასიის, კერძოდ, საქართველოსა და სომხეთის საკითხს და მათ შემდგომ დამოკიდებულებას ირან-ოსმალეთთან. როგორც ა. ხახანაშვილი ვარაუდობს, ეს შეიძლება დაწერილი ყოფილიყო სომეხი არქი-ეპისკოპოსის იოსებ არღუთინსკის, ბატონიშვილ მირიანის, ანდა გაიოზ რექტორის მიერ. თუ მოცემული ტექსტის მსჯელობას გაეყვებით, აუცილებლად დავრწმუნდებით, რომ ასეთი სახის წინადადებები შეიძლებოდა წამოეყენებინა ისეთ პიროვნებას, რომელიც ღრმად იყო ჩახედული იმდროინდელი რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში და უშუალოდ მონაწილეობდა მათში. ამდენად, აზრი, რომ მოხსენებითი ბარათი დაწერილი იყო იოსებ არღუთინსკის და, მით უმეტეს, ბატონიშვილ მირიანის მიერ, გამორიცხულად მიგვაჩნია. წინადადებებში წინა პლანზეა წამოწეული იმერეთის სამეფოს საკითხი და ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული წინადადებები შედგენილია გაიოზ რექტორის მიერ, რადგანაც 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმერეთის საკითხის გადაწყვეტაში. მაინც რა აზრებია გატარებული აღნიშნულ პროექტ-წინადადებებში? მასში მოცემულია მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ საქართველო და სომხეთი როგორ განიცდიან თურქეთისა და სპარსეთის განუწყვეტელ აგრესიას, აღწერილია XVII ს. მიწურულის სპარსეთის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და წამოყენებულია იდეა მისი დაპყრობისა, რასაც, წინადადებების ავტორის აზრით, ერთი კორპუსი ეყოფოდა. აქვე გამახვილებულია ყურადღება იმ შესაძლო სარდლის ღირსებაზე, რომელიც კორპუსს უხელმძღვანელებდა და შეძლებდა რუსული პოლიტიკის განხორციელებას «Только корпусной командир должен быть таковой, что б не спискивал иного, как толко б усердием и ревностию общественную пользу»<sup>366</sup>. ამ წინადადებას მიეყვართ იმ დასკვნამდე, რომ წერილის ავტორი გაიოზი უნდა იყოს, სწორედ მას ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ უვარგის სარდალს (მხედველობაში ჰყავდა რა ტოტლებენი -- მ. დ.) სანამდე შეეძლო მიეყვანა საქმე.

<sup>366</sup> А. Сагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т. II, № 51, СПб, 1898, стр. 72—73, 74.

პროექტში წამოყენებულია იდეა სომხეთის ან საქართველოს სამეფოს შექმნისა რუსეთის უზენაესი ხელმძღვანელობით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ადგილი, სადაც საუბარია 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის შესახებ. ავტორი აყენებს წინადადებას, შეტანილ იქნეს იმასში გარკვეული ცვლილებები (ჩვენი აზრით, ეს შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც მონაწილეობა მიიღო მის შემუშავებაში—მ. დ.), სახელდობრ, შემდეგი ხასიათისა: იმერეთის სამეფო შეერთებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს, რის შედეგადაც შეიქმნებოდა ერთიანი ძლიერი სამეფო, რომელსაც შეეძლებოდა გარეშე მტრის მოგერიება. «Ибо прежде бывшее Имеретинское царство было совместным с Грузиею, то, если благоволение будет на сие в. и. в. по прежнему соединить, что составит общественную пользу: и когда оно будет сданое с Грузиею, то через короткое время Грузия найдет все потерянное»<sup>367</sup>.

წამოყენებულია სომხეთის სამეფოს შექმნის აზრიც. იგი საქართველოს სამეფოს დამორჩილებოდა. გაიოზი რუსული ორიენტაციის რაგინდ დიდი მიმდევარიც ყოფილიყო, გულში ყოველთვის ატარებდა რუსეთის უზენაესი ხელმძღვანელობით ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეას. სწორედ ამ იდეის გამოძახილია აღნიშნული პროექტ-წინადადებებიც, რომელთაც განხორციელება არ ეწეოდა, რადგანაც დიდმპყრობელური რუსეთის მესვეურებს მხოლოდ ექსპანსია და ახალ-ახალი ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობა-დამონება აინტერესებდათ.

თუ რა ღრმად ღანიცადა გაიოზ რექტორმა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა და ქართლ-კახეთის სამეფოს აოხრება-განადგურება, ამაზე მიგვიითთებს მისი წერილი საქართველოს კათალიკოს ანტონ II-სადმი. წერილის შინაარსი გვაძცნობს, რომ მისი ავტორი პოლიტიკურ წრეებს დაახლოებული და საგარეო საქმეებში ღრმად ჩახედული პიროვნებაა, რომლის აზრსაც გარკვეულ ანგარიშს უწევენ. მან იცოდა, რომ საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა არ იყო მყარი, ქვეყანა განადგურებულიყო და ერთადერთ ხსნას მხოლოდ რუსეთთან კავშირში ხედავდა. „...ბატონის და ხალხის შეწუხება და არეულობა მოგეწერათ რუსეთს ჯარს გამობრუნებისათვის. მართლა ახლა მაგათ დიად მცირე მაგ გვარი საქმე შეაწუხებთ. მაგრამ თუ სწორედ

<sup>367</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, СПб., 1898, стр. 72—74.

გასინჯუნ, არც რუსეთი საქართველოზედ ხელს აიღებს და ვერც აღამამდხანი მოვა კიდევ მაგაზედ“<sup>368</sup>.

გაიოზმა იცოდა, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „არც რუსეთი საქართველოზედ ხელს აიღებს“. „აღამამდხანი თუ კიდევ ცოცხალი არის სადმე, ამას ველარ ვაბედავს რომ რუსეთი აიშალოს კიდევ. და არც აგრე გიჟია აღამამდხანი რომ კიდევ ის ქართლზე მოვიდეს. და რომ მოვიდეს რა-ღა უნდა წაიღოს. სჯობს რომ რიგიანად მოიქცნენ და არ აირივნენ თორემ მაგ არეულობით აღამამდხანს აღარავინ მოუცდის ტყეცა და ღამეც სულ მტრად აუღებათ. იმპერატორი აგრე უიმედოთ არ გაუშვებს საქართველოს... და საიმედოც აქვს რომ საქართველოს იმედიანს ბინას დაუდებს და არც მტრის პირში გაუშვებს. ასეთს ბინას დაუდებს რომ ის ბინა საუკუნოდ აღარ მოეშალოს ქართლს“<sup>369</sup>. ამით გაიოზ რექტორმა გამოხატა რუსეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა საბოლოო მიზანი — შემოეერთებინათ საქართველო რუსეთისათვის და მას, როგორც ამ პოლიტიკის ერთ-ერთ მონაწილეს, სამართლიანად და სწორად მიაჩნდა ეს გადაწყვეტილება.

გაიოზის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე, რუსეთის სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის წრეები დიდ ანგარიშს უწყევდნენ. როდესაც დადგა საკითხი ოსეთის კომისიის განმეორებით აღდგენისა, დაინტერესდნენ, რა აზრის იქნებოდა აღნიშნულ საკითხზე გაიოზი, რომელმაც 15 წელიწადი იმუშავა მთიელ ხალხში ჯერ როგორც ოსეთის კომისიის მთავარმა წევრმა, ხოლო შემდეგ — ხლად ჩამოყალიბებული მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსმა. «Какое мнение преосвященного Платона<sup>370</sup> яко основное на собранных от главнокомандовавших на кавказской линии и бывшего Моздокского епископа Гая местных сведениях»<sup>371</sup>.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლები გაიოზ რექტორმა ასტრახანში

<sup>368</sup> ხელნ. ინსტ. Hd—122.

<sup>369</sup> იქვე.

<sup>370</sup> შეხედულებაშია პლატონ ლევინი, მოსკოვის მიტროპოლიტი, რომლის აზრიც გადამწყვეტი იყო სინოდისათვის.

<sup>371</sup> Акты, собранные Кавказской Археологической комиссией, т. III, Тифлис, 1869, стр. 75.

ვაატარა, როგორც მთავარეპისკოპოსმა. აღნიშნული ეპარქიაც სპეციალურად იყო შერჩეული გაიოზისათვის, აქ მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული კავკასიასთან და ივანსაკუთრებით საქართველოსთან. ის გვევლინებოდა, როგორც ერთგვარი შუამავალი და მარგულირებელი საქართველოდან გადახვეწილ პირებსა და რუსეთის სამეფო კარს შორის. გაიოზ რექტორმა თავისი დიპლომატიური მოღვაწეობით ივანხორციელა ერეკლე II-ის მიზანი და, როგორც მას ღრმად სწამდა, მიაღწია საქართველოს სანუკვარ ოცნებას: მიეყვანა თავისი სამშობლო „წყნარ ნავთსაყუდელამდე“.

#### 4. გაიოზი როგორც პატრიოტი

„არა რაი არს ესრეთ ტკბილ ვითარცა სიყვარული მამულისა“<sup>372</sup> — ეს აზრი წითელი ზოლივით გასდევდა გაიოზ რექტორის მთელ შებენებულ ცხოვრებას, მის უდიდეს სასწავლო-აღმზრდევლობით და ლიტერატურულ-მთარგმნელობით მოღვაწეობას. სამშობლოში ყოფნის დროს და მის ფარგლებს გარეთაც გაიოზი თავისი მშობლიური მხარის პატრიოტი დარჩა. ოცნება და ფიქრი სამშობლოს კეთილდღეობაზე — აი რა იყო მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი. მხოლოდ უდიდესმა პატრიოტულმა გრძობამ მიიყვანა ის იმ აზრამდე, რომ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის საჭირო იყო განათლებული ახალგაზრდა თაობის აღზრდა, რომელიც თავის ქვეყანას გამოიყვანდა ცხოვრების ფართო შარაგზაზე, დაეუფლებოდა თანამედროვე განმანათლებელთა იდეებს და მათ დანერგავდა თავის სამშობლოში. ამ პატრიოტული მიზნის მისაღწევად გაიოზმა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ერეკლე II-ის მხარდაჭერითა და დახმარებით, რაც უმაღლესი ტიპის სასწავლებლის განხილვით გამოიხატა.

თელავის სემინარიაში ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე მან ყოველდღიური ენერგიული შრომის შედეგად შეძლო თავისი აღსაზრდელებისათვის ჩაენერგა უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი, თავ-

<sup>372</sup> ხელნ. ინსტ. H—96, H—2876. ესაა წინასიტყვაობა გაიოზის მიერ თარგმნილი ბარონ დე პოლნიცას თხზულებისა. ეს თარგმანი მან გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილს უძღვნა.



დადება იმ მიზნების განხორციელებისათვის, რომლებიც ერეკლე II-მ დაისახა და რომელთა პროპაგანდისტიც გაიოზ რექტორი იყო.

თავის ზმირ გამოსვლებში საჯარო პაექრობებზე თუ ფართო საზოგადოებრიობის წინაშე გაიოზი წინა პლანზე აყენებდა სამშობლოს უდიდეს სიყვარულს, ერეკლე II-ისადმი თავდადებას, პატრიოტულ გრძნობას, მას ღრმად სწამდა, რომ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის საჭიროა მოზარდი თაობის აღზრდა, სწავლა, განათლება, იმ დიადი მიზნის მიღწევა აღზრდისა და განათლების სფეროში, რომელიც ერეკლე II-მ დაისახა. „განშვენდით ყოვლად ძვირ-ფასითა ამით სიბრძნისა სწავლულებითა, დანერგეთ ესე გონებასა და გულსა შინა, თქვენსა, დაიცავით საუნჯე ეს დიდფასი<sup>373</sup>, იღვაწეთ სვლად ყოვლად-დიდებულსა ამას გზასა ზედა, განამშვენეთ ადგილი ესე... წმიდითა ქცევითა თქვენითა, თანა მოღვაწე ექმენით ყოვლად დიდებულსა ამას გზასა — ჰაზრსა ხელმწიფისა ჩვენისასა, ჰყავთ თავი თქვენი სიბრძნისა შემეყლებითა“<sup>374</sup>.

გაიოზის უდიდეს პატრიოტიზმზე მიგვითითებს ის დაუღალავი შრომა, რომელიც მან გასწია თელავის სემინარიის გახსნისათვის, სადაც აღიზრდებოდა და განათლებას მიიღებდა ახალგაზრდა თაობა, „მდგომარეობა ესე ცხოვრებისა ჩვენისა და მოლოდება განათლებისა და გამოყვანა უმეცრებისაგან ჰიბნელისა არა არიანა სარგებელნი“<sup>375</sup>.

ერეკლე II-ის უდიდესი მოღვაწეობა განათლების დარგში, მისი მიზანი და მისწრაფება — მოესპო უმეცრება — გაიოზს სამართლიანად მიაჩნდა ყველაზე დიდ პატრიოტულ საქმედ:

„... აღაოჩინა ჰაზრი თვისისა წადილისა, ე. ი. რათა სამეფო თვისი ჰყოს მოკრძალებულად ყოვლად მტკიცითა სიბრძნითისა ბედნიერობისა ზღუდითა, რათა ყოველი საქართველოი ესდენ ბედნიერ იყოს რაოდენცა შესაძლებელ იყოს ბედნიერობა კაცისა შეწევნითა და მომჭირნეობითა ესოდენ ძლიერისა და კეთილშესახურისა ხელმწიფისა“<sup>376</sup>.

გაიოზს ღრმად სწამდა, რომ თუკი სამშობლოს გაუჭირდებოდა და

373 მხედველობაშია თელავის სემინარია.

374 ეურნ. „ივერია“, № 8, 1881 წ., გვ. 114.

375 იქვე; გვ. 100.

376 იქვე; გვ. 101.

მისი კეთილდღეობა შოთხობდა მსხვერპლის გაღებას, ერეკლე, როგორც უდიდესი პატრიოტი, არაფრის წინაშე არ დაიხვედა: „უკეთუ დაბრკოლება ვეცით შექსწირავს მას ძღვნად სულიერად შვილთა კახეთისათა და უფროსად ვიტყვი, შვილთა თვისთა ნაცოფთა თვისისა მამულისათა და რტოთა სიმხნისა და კეთილმსახურებისა მიერ ხელითა თვისითა ნერგულთა ტკბილ სუნოვანთა კაცთასა“<sup>377</sup>.

როგორც ნამღვილმა პატრიოტმა, გაიოზმა ყველაფერი გააკეთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ზრუნვა მზომავალი თაობის ნათელი მომავლისათვის, ირან-ოსმალეთის უღლისაგან თავის დაღწევა, დიდ რუს ხალხთან ზავდამო კავშირი — აი რა დიდი ტვირთი აწვა მას, როგორც საქართველოს ერთგულ შვილს და გულშემატკივარ პატრიოტს. სამშობლოს ფარგლებს გარეთ გასული გაიოზი არ ივიწყებს თავის მამულს, ზრუნავს მისთვის. მხოლოდ დიდი პატრიოტული გრძნობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მისი უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა ქართული სტამბები კრემენჩუგსა და მოზდოკში, სადაც ქართული წიგნები იბეჭდებოდა.

როდესაც რუსული მმართველობის პირველ წლებში ახლად შექმნილ სასწავლებელს სახელმძღვანელოები შევოაკლდა, მან თავისი ინიციატივით უსასყიდლოდ გამოგზავნა წიგნები. «Подаренные вами 630 экземпляров грамматики и 600 экземпляров азбуки грузинских Тифлисскому благородному училищу в целости доставлены в Тифлис. Сие столь драгоценное и столь полезное трудов в. п. приношение, сколько имеет обязывать молодых соотчицей ваших к всегдашему при благородных чувствах имели вашего воспоминание... сия первая жертва ваша служит мне поводом к смелости... о воспособлении типографии здесь заводимой в пользу земли сей остающеюся в Моздоке без всякого действия уступкою вашей Исполнением сего обяжете училище... По получении на сие вашего отзыва не премину я тотчас доставить деньги...»<sup>378</sup>.

სწავლა-აღზრდის საქმისათვის ზრუნვა გაიოზის მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამ მიზნით გამოგზავნა მან წიგნები თბილისში, ხოლო, როდესაც საკითხი მის მიერ დაარსებულ სტამბას შეეხო, გაიოზს უკან არ დაუხვეია. იგი წერდა: «Я со всею моею охо-

<sup>377</sup> უერბ. „ივერია“, № 8, 1881, გვ. 115.

<sup>378</sup> Акты, собранные Кавказской Археологической комиссией, т. II, Тифлис, 1866, стр. 199.

თო უსტუაჲ მოუ ტიპოგრაფიუ დუა თაკოგ პრეპოლეზნოგო ი ბლაგოუგოდნოგო ჯავედენიუ, ო ჯემ პისანო ოთ მენუ ჯივუჯემუ ვ მოუდოკე კათოლიკოსუ გეორგიუ მამასახლისოვუ»<sup>379</sup>.

როდესაც მომავალი თაობის აღზრდისათვის წიგნების ბეჭდვა გახდა საჭირო, გაიოზმა არ დააყოვნა და სასტამბო მოწყობილობა გადმოგზავნა თბილისში უსასყიდლოდ. სწორედ ეს აცნობა საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს კოჩუბეის<sup>380</sup>. აღნიშნულ მიწერ-მოწერას ამაოდ რომ არ ჩაუვლია და გაიოზის მოზღლოკისეული სტამბა თბილისის სასწავლებელმა მიიღო, ამას ადასტურებს მოგვიანებითი ცნობა: «а другой подарен оному Астраханским архиепископом Ганем»<sup>381</sup>.

გაიოზს ხშირი მიმოწერა ჰქონდა საქართველოს შესვეურებთან, იმ პირებთანაც კი, რომლებიც საქართველოდან იყვნენ წასული და მიმოფანტული რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. როდესაც გიორგი XII-მ დაიწყო თხოვნა, რათა საქართველოში დაებრუნებინათ წმინდა ნინოს ჭვარი, რომელიც ვახტანგ VI-ის დროს იყო წაღებული, გაიოზმა, როგორც სასულიერო პირმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო, რათა სამშობლოს დაბრუნებოდა თავისი ისტორიული რელიკვია. „...თუ ინებებთ და თვით მობრძანდებით, როგორც იწერება გაიოზ ასტრახანიდან ...“<sup>382</sup>, „როინ გედევანიშვილს უბრძანე მოსვენებით იყოს: ნუ კადნიერობს. გაიოზიც უმადური არის სადმე მისი...“<sup>383</sup> როგორც ვხედავთ, გაიოზს სწერდნენ, მას ანგარიშს უწევდნენ, აზრს ეკითხებოდნენ.

გაიოზის სიყვარული საქართველოსადმი ამოუწურავი იყო, მაგრამ, როდესაც ის რუსეთში გადავიდა სამუდამოდ, მას გაუჩნდა მეორე სამშობლო რუსეთის სახით, რომელმაც ის მიიღო და შეისისხლხორცა. გაიოზმაც უდიდესი პატრიოტული გრძნობით შეიყვარა თავისი მეორე სამშობლო. როდესაც რუსეთი მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა და მის არსებობას ნაპოლეონ ბონაპარტი დაემუქ-

---

<sup>379</sup> Акты, собранные Кавказской Археологической комиссией, т. II, Тифлис, стр. 1061.

<sup>380</sup> იქვე, გვ. 1066.

<sup>381</sup> Акты..., т. IV, Тифлис, 1870, стр. 61.

<sup>382</sup> პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, თბილისი, 1936, გვ. 148.

<sup>383</sup> იქვე.

რა, გაიოზმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები სამშობლოს დასახმარებლად. მან მოუწოდა თავისი ეპარქიის სამღვდელთაგანს, შეეკმნა ფულადი ფონდი სამშობლოს დასაცავად“. «При чем нельзя не изъявить достолюбящего уважения здешнему Российскому духовенству, преосвященный Гай, ревнуя о благе общем, первый с иноческою братиею назначил 11000 р, сумма сия, по скудному состоянию здешних монастырей, весьма значительная»<sup>384</sup>.

გაიოზი თავისი დამაჯერებელი საჯარო გამოსვლებით აღაფრთოვანებდა და რაზმავდა ასტრახანის მოსახლეობას სამშობლოს დასაცავად. ამიტომაც გადმოგვცემს შემატინე, რომ «при архиепископе Гае жители г. Астрахани пережили эпоху славы отечественной войны 1812 года, при чем неоднократно проявляли свой патриотизм»<sup>385</sup>.

გაიოზ რექტორი საქართველოსა და რუსეთშიც ყოველთვის ზრუნავდა სამშობლოსათვის, ოცნებობდა მის კეთილდღეობასა და ნათელ მომავალზე. მისი სიტყვებია: „... რათა ყოველი წესი თვისისამებრ ძალისა მარად მეცადინეობდეს მსახურებად მამულისადმი“<sup>386</sup>.

---

<sup>384</sup> Акты, собранные Кавказской Археологической комиссией, т. V, Тифлис, 1873, стр. 919—920.

<sup>385</sup> М. Благодяров, Архиереи Астраханской епархии за 300 лет ея существования с 1602 до 1902 года, Астрахань, 1902, стр. 95.

<sup>386</sup> ხელნ. ინსტ. Н—70.

### გაიოზის სამეცნიერო-ლიტერატურული მემკვიდრეობა

გაიოზ რექტორს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურული და სასწავლო-სამეცნიერო ნაწარმოებების შექმნაში. გადაწერა, თარგმნა და ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა მისთვის ერთნაირად საპასუხისმგებლო საქმე იყო. მას ერთი ძირითადი მიზანი ამოძრავებდა: ქართველი საზოგადოებისათვის მიეწვდინა დასავლეთ ევროპისა და მოწინავე რუსული კულტურის სანიმუშო ძეგლები, რომელთაც საქართველოში გაიგებდნენ, შეისისხლხორცებდნენ და შეითვისებდნენ.

მხატვრულ, თეოლოგიურ და სამეცნიერო ლიტერატურასთან მისი პირველი კონტაქტი გადამწერლობით იწყება. აქ გაუხსინჯა მან ჭაშნიკი ლიტერატურულ-მეცნიერულ ენას, გაიგო და შეიყვარა მწერლობა და მეცნიერება, ხოლო შემდეგ ზელი მიპყო სხვადასხვა უანრის ნაწარმოებების თარგმნასა და ორიგინალური მეცნიერულ-თეოლოგიური ნაწარმოებების შექმნას.

ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის იდეები საქართველოში უმთავრესად რუსეთზე ივადლით შემოდიოდა. ქართველები პირველად რუსეთში გაეცნენ განმანათლებელთა იდეებს, თარგმნეს მათი ნაწარმოებები და შეისისხლხორცეს. ამ გზით ეზიარა XVIII საუკუნის ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი განმანათლებელთა იდეებს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ქართველები პირველ რუსულ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს ძირითადად XVII—XVIII საუკუნეებში გაეცნენ. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს ის ოფი-

ციალური დიპლომატიური წერილები, რომლებიც ორ დაინტერესებულ ქვეყანას შორის იგზავნებოდა და სპეციალური დანიშნულებით შემოიფარგლებოდა. ასეთი სახის „ლიტერატურა“ ითარგმნებოდა და განკუთვნილი იყო განსაზღვრული კატეგორიის პიროვნებებისათვის. სწორედ ამ სახის საბუთების მთარგმნელები გვევლინებიან პირველ მერცხლებად, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს უცხო ქვეყნების ფილოსოფოსებისა და შწერლების ლიტერატურული და მეცნიერულ-თეოლოგიური ნაწარმოებების თარგმნას. ბუნებრივია, პირველად ითარგმნებოდა ყველაფერი, რაც კი ხელმისაწვდომი იყო ავტორისათვის. აქაც, ამ სფეროშიც, უპირატესობა ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურას ეკუთვნოდა და ეს გასაგებიცაა, რადგანაც წერა-კითხვის მკოდნეთა უდიდესი რაოდენობა ქრისტიანული ეკლესიის მსახურებზე მოდიოდა და, ბუნებრივია, მათი დაინტერესების სფეროც განსაზღვრული იყო. საქართველოში მძლავრად ვითარდება მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც შემდეგ ფართო სამეცნიერო-შემოქმედებით შრომაში გადაიზარდა.

XVII—XVIII საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს შორის დამყარებულმა მჭიდრო ურთიერთობამ დიდად შეუწყო ხელი ქართველი მოწინავე საზოგადოების ერთ ნაწილს შეესწავლა, გასცნობოდა და შემდგომ ქართულ ენაზე ეთარგმნა რუსული თეოლოგიური და სამეცნიერო-ლიტერატურული ნაწარმოებები. რუსული ენიდან თარგმნას თავისი მიზეზებიც ჰქონდა. აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის მოღვაწეებს რუსულ-ი ლიტერატურის სახით უნდოდათ დაენახათ მათთვის საუკუნეების განმავლობაში ახლობელი ბიზანტიური ლიტერატურის მემკვიდრე და გამგრძელებელი. აღნიშნული პერიოდის რუსულ ლიტერატურაში მკაფიოდ იყო გაშუქებული გაერთიანებისა და ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნის მიზანი. ყოველივე ეს კი მისაღები იყო იმდროინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ნაწილისათვის.

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისისათვის ქართულ ლიტერატურაში უკვე ვხედავთ რუსული მწერლობის ყველა ჟანრს, როგორცაა: საეკლესიო მწერლობა, მოგზაურობანი და რომანები, ისტორიული, სამხედრო და სამართლის წიგნები და ა. შ. „არსებობა ნათარგმნი ლიტერატურისა ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა: წარმოუდგენელია ორ მეზობლად მცხოვრებ ერს შორის აღიმართოს კედელი, რომელიც შეუძლებელს გახდიდა მათ შორის

კულტურული ურთიერთობის მოვლენებს“<sup>387</sup>. აღნიშნავდა რა ამას, ქართული ლიტერატურის მკვლევარი კ. კეკელიძე ეყრდნობოდა კ. მარქსის ცნობილ დებულებას, რომ „ქოველმა ერმა შეიძლება ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდევ სხვა ერისაგან“.

რუსული სამეცნიერო და ლიტერატურულ-თეოლოგიური ნაწარმოებებისავე განსაკუთრებული სწრაფვა სხვა მომენტითაც იყო განპირობებული. ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული ლიტერატურა მიაჩნდათ ბიზანტიური ლიტერატურის გაგრძელებად და გამოძახილად. მეორეც, ერთმორწმუნეობა საეკლესიო-კლერიკალური წრეებისათვის ყველაზე უფრო მისაღები იყო, რის შედეგადაც საქართველოში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რუსული ენიდან ნათარგმნმა ლიტერატურამ და იგი შემდგომ საფუძველი გახდა საქართველოში დასავლეთ ევროპის დიდი განმანათლებლების იდეების ფართოდ შემოქრისა. „ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა, ...თუ ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, ეს იმიტომ, რომ ამაში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირობოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე“<sup>388</sup>.

რუსულ ლიტერატურაში ფრანგი განმანათლებლების იდეებმა განსაკუთრებით იჩინა თავი XVIII საუკუნეში, რამაც თავის მხრივ რუსულ ლიტერატურას დაწაფებულ ქართველ საზოგადოებაზეც მოახდინა დიდი გავლენა. ამ გზით შემოვიდა საქართველოში ფრანგულ-რუსული კლასიციზტური სკოლის კანონები, ვოლტერიანიზმი, ათეიზმი და ა. შ.

ახალი იდეების შემოქრისა და აზრთა ჭიდილის პერიოდში მოუხდა გაიოზ რექტორს რუსეთში ყოფნა. ბუნებრივია, ყოველივე ამან მასზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა. მართალია, ის მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რელიგიური კულტის მსახურად დარჩა, მაგრამ მის მიერ მარმონტელის თარგმნა გვაფიქრებინებს,

<sup>387</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბილისი, 1956, გვ. 184.

<sup>388</sup> იქვე, გვ. 185.

რომ ის გულის სიღრმეში ფარულად იზიარებდა დიდ ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიას, რომელიც რწმენის შეუწყნარებლობით გამოიხატებოდა.

გაიოზ რექტორმა შთამომავლობას დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა. მართალია, მისი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოებების გარკვეული რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი, მაგრამ ის, რაც მოკვებოვება, მიგვიჩვენებს გაიოზის უდიდეს შრომის-მოყვარეობასა და ერუდიციას. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ გაიოზის ერთ-ერთი მკვლევარი ნ. პალმოვი, ეყრდნობოდა რა მემატრიანეს, წერდა: «Досу́г сво́й от за́нятия епархиальными делами он употре́блял на составле́ние историче́ских и назидате́льных сочи́нений для грузин и на перево́ды»<sup>387</sup>.

რა დავალებაც უნდა ჰქონოდა გაიოზ რექტორს ან რაგინდ პასუხსაგები სახელმწიფო თუ დიპლომატიური საქმით ყოფილიყო დატვირთული, ის არასოდეს არ ივიწყებდა ლიტერატურულ საქმიანობას. „უამსა ამას გაიოს ჩემთან იყო და შეექცეოდა რომელსამე ისტორიის მოთხრობასა“<sup>388</sup>, — წერდა იონა მიტროპოლიტი, როდესაც ის გაიოზს შეხვდა იასში პოტიომკინთან.

გაიოზის ლიტერატურულ-მეცნიერული, ნათარგმნი და ორიგინალური ნაწარმოებების ზუსტი აღრიცხვა ძნელია, თუმცა ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეებმა იცოდნენ, რომ მან „თარგმნა რუსთა ენისაგან მრავალნი სხუა და სხუა წერილნი ქართულსა ენასა ზედა, რომელ იტყვიან ვიდრე სამასამდინ წიგნსა, გარდმოღებულთა სამღვთოთა წერილითა და ისტორიათა და სხუათა მეცნიერთა წერილთა“<sup>389</sup>. გრიგოლ ბატონიშვილი, რომელიც ასტრახანში მოღვაწეობდა და პირადად იცნობდა გაიოზსა და მის საპეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას, გვამცნობდა, რომ გაიოზმა „სამას სამოცდახუთი წიგნი“<sup>390</sup> თარგმნა და „ესე იკვირვოს ერმან“<sup>391</sup>. ვფიქრობთ, ძნელია ეკვის შეტანა მისი თანამედროვის სიტყვების ქვეშაირტებაში.

<sup>387</sup> Н. Пальмов, К сведению о личности архидиакона Гайоса, Христианский Восток, т. II, вып. I., СПб., 1913, стр. 38.

<sup>388</sup> პ. იოსელიანი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, თბილისი, 1952, გვ. 13.

<sup>389</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 2. თბილისი, 1948, გვ. 191; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალები, წიგნაკი 1. ტფილისი, 1913, გვ. 31.

<sup>390</sup> ხელნ. ინსტ. S—378, გვ. 270.

<sup>391</sup> იქვე.



გაიოზის ლიტერატურული მემკვიდრეობა ყოველთვის აინტერესებდათ ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლებს. მის შესახებ იწერებოდა, ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაშიც. 1879 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „... ჩვენი გამოჩენილი და განსწავლული არხიეპისკოპოსი გაიოზ ნაცვლიშვილი, რომელმაც 36 თხზულება დასტოვა“<sup>384</sup>. ძნელია იმის თქმა, რა ჰქონდათ მხედველობაში ავტორებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი კარგად იცნობდნენ გაიოზის თანამედროვეების გადმოცემას, თუ რა რაოდენობის ნათარგმნი ლიტერატურა დატოვა გაიოზმა და ალბათ მხედველობაში მისი ორიგინალური ნაწარმოებები ჰქონდათ. დღესაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედაა დაკანონებული აზრი, რომ გაიოზი სამასზე მეტი ნათარგმნი და ორიგინალური წიგნის ავტორია. მკვლევარებს გაიოზ რექტორის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მხოლოდ მეთექვსმეტი ნაწარმოები და შესწავლილი, დანარჩენის შესახებ მხოლოდ გადმოცემები არსებობს.

გაიოზ რექტორმა თარგმნა რუსული ენიდან: მიმოსვლა ბარონ დე-პოლნიცასი ამბროსი მედიოლანელი ეპისკოპოსის „მიცვალებისა ძმისა მისისა სატირისა და თეოდოსი დიდისა“; სამღვდლო ისტორია: პეტრე დიდის ისტორია შობიდან სიკვდილამდე; კვიპროსის ისტორია; ძველთა სამეფოთა ისტორია; პეტრე დიდის სამხედრო არტიკული; „რელამენტი“ და „ტიპიკონი“, ეკატერინე II ნაჰაზი და წიგნი ნამესტნიკობის შესახებ; ევროპის ქალაქთა ლექსიკონი. სამგზავრო გეოგრაფია, მარკ ავრელიანეს „საყოფაცხოვრებო ჰსჯა“, აგრეთვე მარმონტელის „ველიზარი“, „სამეფო ტომარანი“, „კიტაის სიბრძნე“, „განმარტება იგავთა სოლომონისათა“, „ვასილი დიდის ეპისტოლენი“, „სარწმუნოების კითხვა-მიგება“, ნიკოლა რაძივალას „მგზავრობა წმინდა ადგილთა იერუსალიმს“, ფენელონის „თელემაქი“ და „ცხოვრება ძველთა ფილოსოფოსთა ჰრჩეულთა ჰაზრებითა მოკიდებულებითა და ყოფაქცევითა სწავლითა მათითა“ და მრავალი სხვა. რაც შეეხება მის ორიგინალურ ნაწარმოებებს, მათგან დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ქართული გრამატიკა, საქართველოს ისტორია, წინასიტყვაობა ანტონ I „წყობილსიტყვაობისა“ ხუთტაეპოვანი ლექსით და ის შესანიშნავი გამოცვლები თე-

<sup>384</sup> გაზ. „ივერია“, № 5—6, 1879, გვ. 2—3.

ლავის სემინარიასა და თბილისში, რომლებიც ქართული მკვერმეტყველებისა და ბრწყინვალე ორატორული ნიჭის გამოვლინებაა.

ზემოჩამოთვლილი ორიგინალური ნაწარმოებებიდან გაიოზის „საქართველოს ისტორიის“ აწესებობის შესახებ მხოლოდ გადმოცემით ვიცით. მისი აღმოჩენა მკვლევრებს საშუალებას მისცემდა გაეგოთ, რა კუთხით აშუქებდა საქართველოს წარსულსა და აწმყოს ავტორი.

გაიოზ რექტორის ლიტერატურული ნაშრომებიდან ავტორის სიცოცხლეში სტამბურად დაიბეჭდა მხოლოდ რამდენიმე დასახელების წიგნი. ესენია: „კიტაის სიბრძნე“, რომელიც 400 ეგზემპლარის რაოდენობით დაიბეჭდა 1784 წელს, ანბანი, ლოცვანი და მოკლე საქარისტიანო სწავლა, 600 ერთეული, გამომწვეული მოზღოკში 1797 წელს, და ქართული გრამატიკა 630 ცალი, რომელიც გაიოზ რექტორმა დაწერა კრევენჩუგს, მაგრამ დაიბეჭდა მოზღოკის სტამბაში<sup>395</sup>.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გაიოზის პირველი დამოუკიდებელი და ახლო კავშირი სამეცნიერო-აღმზრდელობით და მხატვრულ ლიტერატურასთან დაიწყო თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ. როდესაც მან ანტონ კათალიკოსის დავალებით ხელი მოჰკიდა სხვადასხვაგვარი ლიტერატურის გადაწერას, რაც გამოწვეული იყო სასწავლო და ფილოსოფიური წიგნების უკმარობით. გაიოზი არ ეკუთვნოდა იმ გადამწერების კატეგორიას, რომლებიც ხელნაწერებს შეუგნებლად, შექანიკურად გადაიტანდნენ ფურცლიდან ფურცელზე. სწორედ ამ პირველმა დამოუკიდებელმა კონტაქტმა სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურასთან შეაყვარა მას მეცნიერება. იმდენად ღრმად გაიდგა მასში ფესვი ხელნაწერთა გადაწერის ხელოვნებამ, რომ ხანდაზმულობის ასაკშიც კი მისდევდა ამ მეტად კეთილშობილ და საყვარელ საქმეს მან გადაწერა სხვადასხვა დროს ფილიპე ყაითმაზაშვილისა და დოსითეოზ ნეკრესელის მიერ ნათარგმნი პერი არმენი, მხითარ სევასტიელის „რიტორიკა“<sup>396</sup>, ანტონ კათალიკოსის კატელორია<sup>397</sup>, სამღვდელთმთავრო კონდაკი<sup>398</sup>, „ძველ ფილოსოფოსთა

<sup>395</sup> 1970 წელს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა გაიოზის „ქართული ღრამატიკის“ ტექსტი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა.

<sup>396</sup> ხელნ. ინსტ. H—256.

<sup>397</sup> იქვე, H—259.

<sup>398</sup> იქვე, H—251.

ცხოვრების მოკლე თხრობანი“<sup>399</sup>, რამდენიმე სამღვთო ნაწარმოები<sup>400</sup>, ანტონ I-ის კატეხიზმო<sup>401</sup> და გრამატიკა<sup>402</sup> და სხვ. საყურადღებოა, რომ გაიოზის მიერ რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებების გარკვეული რაოდენობა მისივე ხელითაა გადაწერილი.

გაიოზისათვის, როგორც ერუდიკობული და განათლებული ადამიანისათვის, არც ე. წ. სარედაქციო საქმიანობა იყო უცხო. საგულისხმოა, რომ ის იყო იმ დროისათვის ისეთი დიდი პიროვნების ნაშრომის „რედაქტორი“ და წინასიტყვაობის ავტორი, როგორც მისი მასწავლებელი ანტონ კათალიკოსი იყო, თანაც ისეთი ფუნდამენტური ნაწარმოებისა, როგორც „წყობილსიტყვაობაა“: „წინასიტყვაობით წინამდებარისა წიგნისა ხუთთაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი გაიოზის მიერ არხიდაკონისა“<sup>403</sup>. „რედაქტორმა“ და წინასიტყვაობის ავტორმა ერთგვარი ბარკი მოუხადა თავის აღმზრდელს, აქებდა და აღიდებდა მას და მის შრომას: „ანტონი სტიხოზს, მოწაფე წინასიტყვეობს“<sup>404</sup>.

რუსულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელთა პირველ კოჰორტას, ბუნებრივია, არ გააჩნდა თარგმნის ჩვევა და მეთოდი. ისინი ლიტერატურულ მასალას ამუშავებდნენ თავიანთი შეხედულების მიხედვით, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მთარგმნელი არ მიუთითებდა ამა თუ იმ ლიტერატურული ძეგლის ავტორის ვინაობაზე. ამის შედეგია, რომ ჩვენს ძველ მწერლობაში ვერ ვნახავთ თარგმნილ ნაწარმოებს, რომელიც უცვლელად იყოს გადმოღებული. მთარგმნელებს, რათა უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები გაეხადათ თავისი ხალხისათვის მხატვრული ან ფილოსოფიური თხზულება, ეროვნული კოლორიტი შექმნდათ თარგმანში: აძლევდნენ ნაწარმოებს ქართულ სულსა და ბუნებას, ეროვნულ ელფერს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზ რექტორი, იმდროინდელი სხვა მოღვაწეებისაგან განსხვავებით, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნისას ყოველთვის მიუთითებდა ავტორის ვინაობაზე, რაც მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მის სი-

<sup>399</sup> ხელნ. ინსტ. H—976.

<sup>400</sup> ი ქ ვ ე, H—2281

<sup>401</sup> ი ქ ვ ე, H—245.

<sup>402</sup> ი ქ ვ ე, Q—881.

<sup>403</sup> ი ქ ვ ე, H—192, G—617, S—11.

<sup>404</sup> ი ქ ვ ე.

ზუსტესა და შრომისმოყვარეობას ყოველგვარ საქმეში, მათ შორის წიგნის თარგმნისა და გალაწერის საქმეში, ღიდად აფასებდა მემატია-  
ნე და წერდა:

„ოდესცა ნახოთ თვით მისგან ნაწერი.  
მარად ჟაფითა არის გარმოდებული“.<sup>405</sup>

გაიოზ რექტორი რომ მრავალმხრივად განვითარებული და ერუ-  
დირებული ადამიანი იყო, ამაზე მივვითითებ მისი დაინტერესება  
ისეთი დარგებით. როგორცაა ისტორია და სახელმწიფო სამართალი,  
მოგზაურობა და რომანები, ეპისტოლენი და ბიბლიური ლიტერატუ-  
რა, ლექსები და ტექნიკური ლიტერატურა, პედაგოგიური და სამხედ-  
რო შინაარსის ნაწარმოებები და ა. შ. მაგრამ მის ძირითად მიზანსა და  
ამოცანას შეადგენდა გასცნობოდა ყველა დარგის ამსახველ საინტე-  
რესო ლიტერატურას, რათა შემდგომ ეთარგმნა ის და ხელმისაწვდო-  
მი გაეხადა ქართველი საზოგადოებისათვის.

გაიოზს თავისი საკუთარი, ორიგინალური შეხედულება ჰქონდა  
წიგნზე. ყოველი თხზულების კითხვა მას წიგნის ავტორთან გასაუბ-  
რებად წარმოედგინა: „...ხოლო ვინათგან კითხვა წერილთა არს მე-  
გობრობით შექცევა მის პირისათანა, რომლისა მიერაც კმნილ არს  
იგი და ვითარმდე: „მქცეველი კეთილთა მეგობართანმი ისწავლის  
კეთილსა ქცევასა“, მაშა რაოდენ უფროს თანა იგვაცნს ესრეთთა წიგნ-  
თა კითხვა რომლისა მიერაც ვისწავლით ბედნიერად ცხოვრებასა“<sup>406</sup>

ის ყოველნაირად ცდილობდა თავისი მოსწავლეებისა და მსმე-  
ნელებისათვის შთაუგონებინა, რომ ნათელი და ბედნიერი ცხოვრების  
საწინდარი შეიძლება იყოს მხოლოდ სწავლა, რომ სწავლის შესაძე-  
ნად საჭიროა წიგნის სიყვარული. გაიოზი ცდილობდა ეთარგმნა და  
საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ბრძნული აზრების შექცეული წიგ-  
ნები. სწორედ ამ მიზნით თარგმნა მან „კიტაის სიბრძნე“.

როგორც თვითონ ვადმოგვცემს, აღნიშნული წიგნით მისი დაინ-  
ტერესების მიზეზია „... ჩინებულება წიგნისა ამისა და მოქმედება  
ყოვლისა მისისა ყოვლისა შინა ევროპასა“<sup>407</sup>, და, რაც მთავარია,

<sup>405</sup> ხელნ. ინსტ. S—370, გვ. 3—4.

<sup>406</sup> იქვე, A—328, Q—251.

<sup>407</sup> იქვე, A—328, Q—251, აღნიშნული თარგმანი 8 ნაწილისა და 30-ზე მეტი  
თავისაგან შედგება.

„სურვილი მსახურებისა ერთმეჭუფეყნეთასა“<sup>408</sup>. ამიტომაც იყო. რომ დიდმა მამულიშვილმა არ დაიშურა თავისი ცოდნა და ენერგია „გარდმოღებად წიგნისა ამის რუსულით ქართულსა ენასა ზედა“<sup>409</sup>.

საკვიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ რამდენიმე ამონაწერი იმ ბრძნული ჩინური აზრებისა, რომლებმაც მოხიბლა გაიოზი და რომელთა გულსთვისაც გადაწყვიტა ამ წიგნის თარგმნა და ფართო საზოგადოებრიობისათვის გაცნობა.

„პირველი ხარისხი სიბრძნისა არს ესე რათა იცოდე უმეტრება შენი, უკეთუ არა გნებავს რათა შეგრაჯხოვნ სხეთა უგუწურად“.

„არა რაი შეამკობს შვენიერებასა დედათასა, ვითარ სამოსელი არა ძვირფასი და წესიერი: ესრეთვე სიბრძნისა უდიდესი მშვენიერება არს რათა აქენდეს შესაფერი ქცევაი“ (20v).

„შრომის მოყვარება და ძალი ხელისა მუშაობასა შინა, სძლევს სიგლახაქესა და ნაყოფითა მისითა განატარებენ დროსა გულსმოღვინედ“ (22r).

„ექადე რათა დიდება მიიღო საქმესა შინა შენსა, ვითარცა გინდ იყოს საქმე იგი. ნუ დაითმენ რათა წინაგისწრას ვინმე გზასა კეთილმოქმედებისასა: გარნა ნუ გშურს ღირსება მოყვასისა შენისა, არამედ განამრავლე ნიჭი შენი“ (23v).

„უზომოსა მრავალ მეტყველებასა შეუდგების სინანული, ხოლო მდუმარება შობს უშიშროებასა“ (ნაწილი პირველი, 25r).

„შიში შობს უბედურებასა, ხოლო იმედოვნება შეეწვევის თავსა თვისსა“ (33r).

„ნუ იქნებოს სიხარული შენი ესრეთ უზომოდ, რომ დაათზოს გონიერება შენი, და ნურცა მწუხარება შენი ესრეთ უძლიერეს რათა შეაიწროოს გული შენი“ (33v).

„უკეთუ იტვირთავ მცირესა წყენასა მოთმინებით, მაშინ მოთმინება იგი შენი მიგაწერს შენ სიბრძნეს“ (36r).

„გაუფრთხილდი, ჰაბუჟო კაცო, მაცთურსა გემოთ მოყვარებასა და შექცევასა, რომელსაც გირჩევენ შენ როსკიანი დიაცნი“ (ნაწილი მეორე 38r).

<sup>408</sup> ხელნ. ინსტ. A—328, Q—251.

<sup>409</sup> იქვე.

„უკეთუ ღედაკაცი, მოსწრაფე თვალის მომტაცებისა შენისა, ჰკარგავს დროსა მრავალსა მორთვისა შინა თვისსა, უკეთუ ვითარცა ღთოსა მსახურებს სიკეკლუტესა თვისსა და ჰყვარობს სმენასა ქებისა თვისისასა, იცინის უზომოდ და უზნობს მალღად, განსრულარს მამეულითა სახელით თვისით და არა ნიადავ მყოფობს მას შინა, უკეთუ თვალნი მისნი ზედვენ კაცთა კადნიერებით და ურცხვად... ასეთს, — ასკენის შემდგომ ჩინური ხალხური თქმულება, — ლამაზიც რომ იყოს, გაქეციო“ (42r).

„განამდიდრე იგინი (შვილები — მ. დ.) მეცნიერებითა, რათა იყვნენ სასარგებლოდ სიცოცხლენი მათნი“ (ფ. 44v).

„ბოროტი მდიდარი კეთილ დღეობს შეწუხებითა საწყალთათა“ (49r).

„იკტიანის სიბრძნის“ თარგმანმა უდიდესი მოწონება და გამოხმაურება პოვა ქართველ საზოგადოებაში, ის ხელიდან ხელში გადადიოდა. გამრავლდა ხელნაწერები. წიგნის აღიარების ნათელი დადასტურება იყო ისიც, რომ ის რამდენჯერმე გამოიცა (პირველად დაიბეჭდა 1782 წელს 400 ცალი). აღნიშნული ნაწარმოების თარგმნით გაიოზ რექტორმა ქართველ ხალხს გააცნო ჩინური ხალხური სიბრძნე, რომლის ძირითადი იდეა ადამიანში არსებული უარყოფითი ჩვევების გამოაშკარავებითა და საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნების აღზრდით გამოიხატებოდა.

გაიოზ რექტორი რომ სპეციალური შესწავლის შემდეგ თარგმნიდა უცხო ნაწარმოებს, ამაზე მიგვიჩვენებს მის მიერ მარკ ავრელიუსის „საყოფაცხოვრებო ჰსჯის“ თარგმანი, რომელიც აღმზრდელობითი ხასიათისაა. ნაწარმოების ძირითადი იდეაა ტახტის ღირსეული მემკვიდრის აღზრდა. შემთხვევითი არაა, რომ აღნიშნული ნაწარმოი გაიოზ რექტორმა დავით ბატონიშვილს უძღვნა. მას, როგორც გბატონებული კლასის წარმომადგენელს, ჰქონდა თავისი იდეალი — ენახა სამეფო ხელისუფლები სათავეში კარგად აღზრდილი და განათლებული ხელმწიფე. მართალია, ამის აღიარება მან პირდაპირ ვერ გაბედა, მაგრამ ამ ნაწარმოების თარგმნის ფაქტი ამის ნათელი დადასტურება იყო. წიგნში მემკვიდრის სწორ აღზრდაზეა საუბარი შემდეგ ფრაზებში: ტახტის მემკვიდრემ „ჰაპისა ჩემისა ვერუსისაგან ვისწავლე სიმდაბლე და უშურველობა“; „დიდებამან და ხსოვნამან მამისა ჩემისაჰან მასწავლა მე, რათა ვიყო მორცხვი და ჰსრულისა ჰასაკისა კაცი“; „... ღედამან ჩემმან მასწავლა მე ... მოწყალება, რათა არ იყოს

ბოროტი“; „თომა მძუძემან (მასწავლა — მ. დ.) სამხედრო სწავლა და-  
უცხრომლად“; „მაქსიმმან განმიმარტა... წინა აღუღვე ვნებასა“ და  
ა. შ.<sup>40</sup>.

გაიოზ რექტორი ღრმად განიცდიდა თავისი მრავალტანჯული სამ-  
შობლოს მძიმე ხვედრს. განუწყვეტელი თავდასხმები, რომელთა შე-  
დეგიც ქვეყნის აოხრება და განადგურება იყო, ეკონომიურადაც და  
კულტურულადაც უკან სწევდა ერს. მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ  
მშვიდობიანობის დროსაა შესაძლებელი ხალხის კეთილდღეობა,  
აღზრდა, სწავლა და განათლება. ამიტომაც თარგმნა მან ალაპიტ ღი-  
აკენის „სამეფო ქარტია ანუ ტომარა“<sup>41</sup>, რომლის ძირითადი იდეაა  
მშვიდობა და მყუდროება. ამ ნაწარმოების თარგმნით გაიოზი უფრო  
გაბედულ აზრსაც აყენებდა: სახელმწიფოს სათავეში უნდა ედგეს  
კეთილგონიერი პიროვნება, რომელიც მოუტანს ხალხს ნანატრ მშვი-  
დობას და სიმყუდროვეს. იგი ეთანხმება ალაპიტ ღიაკონს, როდესაც  
ეს უკანასკნელი ამბობს, რომ „...ოდეს ანუ ფილოსოფოსნი მეფედ,  
და ანუ მეფენი ფილოსოფოს იქმნებიან: ვინადგან ფილოსოფოსნი  
მეფობისა ღირს არიან“<sup>42</sup>.

გაიოზის აზრით, ხალხის კეთილდღეობისათვის ყველაზე უფრო  
მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფოს სათავეში ფილოსოფოსი ან ფი-  
ლოსოფიოს მოყვარული, მეფე იდგეს, რომლის მმართველობაც მშვი-  
დობისა და მყუდროების საწინდარი იქნება. როგორც გაბატონებული  
კლასის წარმომადგენელს, მას ვერ წარმოედგინა უფრო რადიკალუ-  
რი ცვლილებების შეტანა სახელმწიფოს მმართველობაში.

„სამეფო ტომარაში“ მოცემულია დარიგებანი სახელმწიფოს მე-  
თაურისათვის, რომელიც გაიოზის რწმენით, ყურადსაღებია:

„უკეთუ ყ<sup>ა</sup>თაგან პატივისცემა გსურს, იყავ ყ<sup>ა</sup>თა კეთილისმოქ-  
მედ, რისხვითა რაითამე ესოდენსა სიყუარულსა ერისაგან ვერა ჰპოვებ,  
ვ<sup>ა</sup> კეთილის მოქმედებითა, რომელსაცა აჩუენებ საწყალთადმი“ (16r)

„შიშით იძულებითი მორჩილება, სხუა არა რაიმე არს ვ<sup>ა</sup> მლიქუ-  
ნელობა“ (16r).

„გიყუარდეს იგინი, რომელნიცა მოვახსენებენ შენ სასარგებლოსა

<sup>40</sup> ხელნ. ინსტ. Q—257, H—22—6, H—2313.

<sup>41</sup> ხელნ. ინსტ. H—70, Q—168.

<sup>42</sup> იქვე (16v). ალაპიტ ღიაკონი იძლევა ფილოსოფოსობის განმარტებას,  
რომ „...ფილოსოფოსობა არა სხუა რაიმე არს, თენიერ სიბრძნის მოყვარებისა“.

განზრახუასა, და ნუ იგინი, რომელნიცა ცდილობენ მლიქვნელობად შენდა“ (22v).

„ქეშპარიტ მეგობრად შენდა შერაცხენ არა იგინი, რომელნიცა ყ-თა სიტყუათა შენთა აღამალლებენ ქებით, ა-დ რომელნიცა არა რა-იმესა მიიღებენ საქმესა წინათუე, თვინიერ კამათსა გამხედუელო-ბისა, და რომელნიცა კეთილთა საქმეთა შენთათვის იხარებენ“ (27v)

„რაოდენცა უმალლეს ხარ შენ ყოვლითა პატივითა, ეგოდენ საქ-მითაცა ეცადე სხუათა უმალლესობასა“ (29r) <sup>413</sup>.

თითქმის ანალოგიური აზრებია გატარებული იმ ხელნაწერებშიც, რომლებიც S — 29 ფონდშია დაცული <sup>414</sup>. მათში გაიოზ რექტორი აღ-ნიშნავს, რომ „ესენი გამოვსწერე ექუსთა ისტორიის მწერალთაგან ავლუსტათვის“ <sup>415</sup>. ესაა „ცნობები რომელ იმპერატორთა ცხოვრე-ბის შესახებ, ძველ ფილოსოფოსთა გამონათქვამები“.

გაიოზ რექტორი იზიარებდა აზრს, რომ მონარქმა დამოუკიდებ-ლად არ უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფო საქმე, ის უნდა მოეთათ-ბიროს თავის მრჩევლებს. თავისი ამ შეხედულების განსამტკიცებ-ლად მოაქვს მარკ ავრელიანეს გამოთქმა, რომ: ჯობია მათ არჩევანს დაუჯერო, ვიდრე „ესოდენ უმალლესნი მეგობარნი ნებასა ჩემსა და-ემორჩილნენ“ <sup>416</sup>. როგორც ვხედავთ, გაიოზი წინააღმდეგი იყო აბსო-ლუტური მონარქიისა. ის იზიარებდა განათლებული მონარქის იდე-ას, მონარქისა, რომელიც ფილოსოფიას დაუფლებული მრჩევლების „არჩევანს დაუჯერებს“.

გაიოზის კალამი ისტორიის სფეროსაც შეეხო. მან დაწერა სა-ქართველოს ისტორია, რომელიც, სამწუხაროდ, დღესდღეობით აღ-მოუჩენვლია. მას თავისი ბალხის ისტორიის გარდა დიდად აინტერე-სებდა ძველი მსოფლიოს ხალხთა წარსულიც. ამ დაინტერესებამ მი-

---

<sup>413</sup> ხელნ. ინსტ. Q—168. საყურადღებოა შემდეგი: თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის აღწერილობაში ალაპიტ დიაკვნის „სამეფო ტომარას“ აწერია: „წიგნი ალაპიტ არხილიაკონისა, კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიისა, ქმნილი იმპერატორის იუსტინიანე დიდისათვის და მირთმული მისდამი ჟამსა მას ოდეს მიიღო მან იმპერატორობაჲ საბერძნეთისა. თარგმნილი ბერძნულიდან გაიოზ არ-ხიერისა მიერ, ქართველისა“. თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, გაიოზ რექ-ტორს ბერძნული ენაც სცოდნია.

<sup>414</sup> ხელნ. ინსტ. S—29, გვ. 357—363.

<sup>415</sup> ი ქ ვ ე.

<sup>416</sup> იქვე, გვ. 358.



იყვანა ის როლენის „ძველი ისტორიის“ თარგმნაზდე<sup>417</sup>, რომლის წინასიტყვაობაში გვიხსულობთ: „ძველი ისტორია ეგვიპტელთა, კართაგენთა, ასირიელთა, ბაბილონელთა, სპარსთა, მაკედონელთა, ბერძენთა, ქმნილი უფლისა როლენისაჲსი, რომელიც იყო რექტორი პარიჟისა უნივერსიტეტისა და პროფესორი მჭერმეთქვეობისა და სხვათა. ხოლო გადმოთარგმნილი ფრანცუსულით რუსულსა ზედა ვასილი ტრეტიაკოვისაგან<sup>418</sup>, რომელიც არს პროფესორი მჭერმეთქვეობისა და წევრი სანკტპეტერბურხისა სასწავლოსა აკადემიისა. ხოლო ქართულ ენასა ზედა დაწყებულ არს თარგმნად არხიმანდრიტისა და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ წელსა 1783“<sup>419</sup>. როგორც ტექსტიდან ვგებულობთ, გაიოზს თავიდან გადაწყვეტილი ჰქონია ამ დიდი შრომის მთლიანად თარგმნა, რომელიც ავტორის, როლენის, განცხადებით რამდენიმე ტომი შეიძლებოდა ყოფილიყო: „ვერ შეძლებელ ვარ ცხადყოფად თუ რაოდენ ტომად იქმნება ან შრომა ესე ჩემი. გარნა ვხედავთ იქმნებიან იგინი ხუთ, ანუ ექუს და შესაძლებელ არს ყოფად უმეტეს“<sup>420</sup>, მაგრამ გაიოზმა თარგმნა ბოლომდე ვერ მიიყვანა, ქართულ ენაზე გადმოიღო მხოლოდ გარკვეული ნაწილი (ძირითადად ეგვიპტის ისტორია). აკი თვით აღნიშნავდა წინასიტყვაობაში: „... დაწყებული არს თარგმნად“<sup>421</sup> საგულისხმოა, რომ როლენის ისტორია ქართულ ენაზე 11 ტომად გამოვიდა და გაიოზს არ შეეძლო მართო ეთარგმნა ის. დაწყებული საქმე გააგრძელეს ჯერ დავით რექტორმა (1792 წელს), ხოლო შემდეგ — დ. თუმანიშვილმა (1814 წელს).

გაიოზ რექტორს „ძველი ისტორიის“ თარგმნის დროს მიზნად ჰქონდა „ძველი ქვეყნების“ ისტორია სასწავლო დისციპლინად ექცია ახლადგახსნილ თელავის სემინარიაში. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის სასწავლებლებში ისტორია ერთ-ერთ ძირითად სასწავლო საგნად ითვლებოდა.

იმდენად დიდი იყო გაიოზის მისწრაფება ცოდნის დაუფლებებისაკენ, რომ მან, ქრისტიანული ეკლესიის მსახურმა, შეისწავლა და

<sup>417</sup> შ ა რ ლ რ ო ლ ე ნ ი (1661—1741), პარიზის უნივერსიტეტის რექტორი.

<sup>418</sup> ვასილ ტრეტიაკოვი (1708—1768).

<sup>419</sup> ხელნ. ინსტ. H—385, S—204, გვ. 1—2.

<sup>420</sup> ხელნ. ინსტ. S—204 (21r).

<sup>421</sup> ი ქ ვ ე, გვ. 1—2.

თარგმნა მოკლე ისტორია მაკმადისა<sup>422</sup> დღიდან მისი დაარსებისა ბოლომდე. მანვე პირველმა გააცნო ქართველ საზოგადოებრიობას გვიდო დე კოლომნას „ტროადის დარღვევის ისტორია“<sup>423</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი ცნობა ელინთა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როგორც რელიგიური კულტის მსახურისათვის, მისთვის დიდი ნიშნელობა ჰქონდა, წინა პლანზე წამოეწია იმ ქრისტიან მღვდელთაერთა მოღვაწეობა, რომლებმაც გარკვეული სახელი დატოვეს მსოფლიო ისტორიის მატრიანეში. ამ მიზნით თარგმნა მან „სიტყვა სავედრებელი ანტიოხიის პატრიარქის ფლამინესი, დიდისა თეოდოსი იმპერატორის წინაშე წარმოთქმული შუამდგომელად ანტიოხიელთა ერისა, რომელთაც ჰყუეს აღშფოთება ახალსა ჭარჯის დადებასა ზედა, და შეურაცხებით დააუეთეს ანდრიატნი სახისა მისისა წელსა ქრისტესით 383“<sup>424</sup>. გაიოზის მიზანი იყო თარგმანის მეოხებით ეჩვენებინა მორწმუნეებისა და ქრისტეს მსახურებისთვისაც, თუ როგორ შეუძლია ხალხისათვის და სარწმუნოებისათვის თავდადებულ მღვდელმთავარს დაამშვიდოს ამბოხებული ხალხი და განრისხებული მონარქი. „არა არცა საუნჯენი, არცა სიმდიდრე სახელმწიფოსი, არცა სხუა რაიმე შეუქმნს მეფესა ეგოდენ ჭეშმარიტებასა და ეგოდენ მტკიცესა, კეთილ მითუალულებასა, რავდენ წყალობა და სიმშვიდეი“<sup>425</sup>.

XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ყველაზე დიდი სახელმწიფო მოღვაწის ერეკლე II-ის ყოველდღიური ზრუნვის საგანს სახელმწიფო საზღვრების დაცვა და გარეშე მტრის ურღოების თარეშის აღკვეთა წარმოადგენდა. ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ შექმნილი „მორიგი ჯარიც“, რომელიც საქართველოს სინამდვილეში ორგანიზებული სამხედრო შენაერთის პირველი ჩანასახი იყო. როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს დაცვის ინტერესებმა ქვეყნის მესვეურები რეგულარული ჯარის შექმნის იდეამდე და მის პრაქტიკულ განხორციელებამდე მიიყვანეს. შექმნილმა მდგომარეობამ დღის წეს-

<sup>422</sup> ხელნ. ინსტ. S—29.

<sup>423</sup> ი ქ ე ე. S—2831. მთარგმნელი რომ გაიოზ რექტორია, დადგენილია პროფ. ტ. რუხაძის მიერ.

<sup>424</sup> ხელნ. ინსტ. A—663. მთარგმნელის ვინაობა დადგენილია პროფ. ტ. რუხაძის მიერ.

<sup>425</sup> ი ქ ე ე (1V).

რიგში დააყენა სამხედრო შინაარსის წიგნებისა და წესდებების გაცნობა.

ცნობილია, რომ რუსული სამხედრო წიგნით დაინტერესება განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ერეკლე II-მ „სამეგობრო ხელშეკრულება დადო რუსეთთან. რეგულარული ჯარის შექმნის იდეამ იმდენად გაიტაცა საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები და პირადად ერეკლე II, რომ მან უბრძანა გაიოზ რექტორს გადმოეთარგმნა პეტრე დიდის სამხედრო ტიპიკონი<sup>426</sup>. თარგმანის თავფურცელზე ვკითხულობთ: „...ხოლო ქართულსა ზედა ენასა ითარგმნა ბრძანებით მოსის მეფობისა სიპაღლის ირაკლის მეორისათა არხიმანდრიტის და თელავის სემინარიის რეკტორის გაიოსის მიერ, ტფილისს, წელსა 1784“<sup>427</sup>. გაიოზ რექტორი მაშინვე გამოეხაურა ერეკლე II-ის ბრძანებას, ყოველმხრივ და ღრმად შეისწავლა რუსული სამხედრო ტერმინოლოგია და უმოკლეს ვადაში თარგმნა სამხედრო ტიპიკონი გაიოზს, როგორც მოწოდებით პედაგოგს, ღრმად სწამდა, რომ ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას სამხედრო პატრიოტული აღზრდაც წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ღვთის მსახურმა პიროვნებამ, წინააღმდეგ თავისი მრწამსისა, სამშობლოს დაცვის ინტერესით თარგმნა სამხედრო შინაარსის წიგნი.

„სამხედრო ტიპიკონის“ თარგმნამ გაიოზ რექტორი იმიტომაც და-

---

<sup>426</sup> ხელნ. ინსტ. H—2109, S—249. ჟერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს ბატონი-შვილმა ალექსანდრე არჩილის ძემ (1675—1710) რუსული თარგმანის საფუძველზე გადმოიღო „საარტილერიო წიგნი, რომლის უძველესი ხელნაწერი 1722 წლამდეა გადაწერილი.

პეტრე დიდის მოწმობით, რუსებს „სამხედრო წესდების წიგნი“ ჟერ კიდევ მისი მამის ალექსის გამეფების პირველ წლებში გამოუყიათ (1674 წ.). შემდეგ თვით პეტრემ პირადად გაუწია ავტორობა „სამხედრო ტიპიკონს“, რომელმაც განსაზღვრა რუსის ჯარის სამხედრო წყობა (არტიკული) და სალდათური დისციპლინა. პეტრე I-ის „სამხედრო ტიპიკონი“ მრავალჯერაა გამოცემული, ერთ-ერთი მათგანი — 1753 წელს. ისტორიისათვის ცნობილია აგრეთვე სხვა „სამხედრო წესდებაც“, რომელიც პეტრეს ბრძანებით ითარგმნა პოლანდიურიდან.

<sup>427</sup> თარგმანი, რომელიც გაიოზ რექტორს შეუსრულებია, დათარიღებულია 1784 წლით, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, არაა სწორი. 1784 წელს გაიოზი საქართველოში აღარ იყო. აქ შეიძლება ორი ვერსია დაეუშვათ: ან თარგმანი შესრულებულია ადრე და შეცდომაა დაშვებული გადამწერების მიერ, ანდა შესაძლებელია, რომ ერეკლეს დავალებით „არტიკული“ გაიოზმა რუსეთში თარგმნა 1784 წელს და იქიდან გადმოგზავნა საქართველოში.

აინტერესა, რომ ამ წესდების ავტორი მეფე-რეფორმატორი პეტრე პირველი იყო, რომელსაც გაიოზი უდიდეს პატივს სცემდა, როგორც სწავლა-აღზრდისათვის თავდადებულ პიროვნებას, „რომელმანცა დააფუძნეს სამფლობელოსა თვისსა სწავლანი სასიბრძნონი“<sup>428</sup>.

თავისი სამშობლოს კეთილდღეობის სურვილმა გაიოზ რექტორი იურისპრუდენციის შესწავლამდეც მიიყვანა. ის კარგად იცნობდა გვიანფეოდალურ საქართველოში მოქმედ კანონებს, რომლებიც მეფე-რეფორმატორის ვახტანგ VI-ის მიერ იყო შედგენილი, მაგრამ აღნიშნული იურიდიული დოკუმენტი XVIII საუკუნის მიწურულისათვის უკვე მოძველებული და კონსერვატიული იყო, იგი აღარ უპასუხებდა იმდროინდელი საზოგადოების განვითარების დონეს. ამიტომაც გაიოზმა თარგმნა 1770 წელს რუსეთში გამოქვეყნებული კანონი, რომელიც ცნობილი იყო ეკატერინე II-ის „ნაკაზის“ სახელით<sup>429</sup>.

გაიოზ რექტორი ხელაფდა საქართველოში არსებული მმართველობის სისტემის უვარგისობასა და მოუქნელობას, რამაც მრავალჯერ სახელმწიფოსათვის ყველაზე მძიმე წუთებში იჩინა თავი. მისი აზრით, ქვეყნის მართვისათვის საჭირო იყო დახვეწილი იურიდიული კანონები, რომლებიც მართლმსაჯულების საფუძველი იქნებოდა.

ამ მიზნით თარგმნა მან „წიგნი ნამესტნიკობის განწესებისა“. სამწუხაროდ, გაიოზის მიერ თარგმნილი „ნამესტნიკობის განწესების წიგნის“ ხელნაწერი ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი, მაგრამ მის არსებობაზე თვით გაიოზი მიგვითითებს: „წიგნი სანამესტნიკოს განწესების ესთარგმნე და 98 რიცხვიდან 101 რიცხუამდის კიდურწერილობით აქუას გაიოს, და 101 რიცხვის პუნქტის ბოლოს ხანი ზის სრულებითათვის სახელისა“<sup>430</sup>.

მართალია, გაიოზ რექტორმა თარგმნა იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც, მისი აზრით, როგორც უფრო პროგრესული, მოწონებული უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდგომ დაკანონებულიყო კიდევ, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ჯერ ერეკლე მეორის სიკვდილმა, ხოლო შემდეგ გიორგი XII-ის დროის საქართველოს მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პირობებმა.

როგორც ვხედავთ, სამშობლოს ფარგლებს გარეთ მყოფი გაიოზ

<sup>428</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (5Vr).

<sup>429</sup> იქვე, H — 460, S — 432.

<sup>430</sup> იქვე, H—2293 (43v).

რექტორი დღენიადაგ ფიქრობდა და ზრუნავდა მისთვის, თარგმნიდა ისტორიულ, იურიდიულ და სამხედრო მნიშვნელობის წიგნებსა და კანონებს, რომლებიც პრაქტიკული განხორციელებისათვის იყო გამიზნული, მაგრამ რომელთაც, სამწუხაროდ, ცხოვრებაში დანერგვადაკანონება არ ეწერათ.

XVII და XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპისა და რუსეთის განათლებული საზოგადოებრიობა გაიტაცა და დაინტერესა „მოგზაურობების“ ამსახველმა ლიტერატურამ. ნიკოლა რაძივალს „მოგზაურობა წმინდა ადგილთა იერუსალიმს“, ფენელონის „თელემაქი“, მოგზაურობა ბარონ დე პოლნიცასი და მრავალი სხვა მხატვრული თხზულება დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ბუნებრივია, რომ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ლიტერატურას ნაზიარები და გაცნობილი ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი ვერ აუვლიდა მათ გვერდს.

არ დარჩა რა ვალში ქართველ მკითხველს, გაიოზ რექტორი აპყვა ეპოქის მოთხოვნას და ზელი მიპყო „მოგზაურობების“ თარგმნას. მაინც რატომ დაინტერესდა გაიოზ რექტორი კერძოდ ბარონ დე პოლნიცას „მიმოსვლით“? <sup>431</sup> უპირველეს ყოვლისა, — იმიტომ, რომ გაიოზ რექტორი ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში ცდილობდა აღმოეჩინა ისეთი რამ, რაც აამაღლებდა მისი ცოდნის დონეს. რას აძლევდა მკითხველს პოლნიცას მიმოსვლა? მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი სათავედასავლო ზასიათისაა, ამ წიგნით მკითხველი გაეცნობოდა მსოფლიოს იგეოგრაფიულ სამყაროს, ნაწარმოების გმირთან ერთად შემოივლიდა გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის ქალაქებს, ნახავდა მათ ღირსშესანიშნაობებს, გაიგებდა ხალხის ჩვევებსა და ადათებს, გაერკვეოდა იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ ძალთა დაჭგუფებაში და ა. შ. ამრიგად, ნაწარმოები ძალიან ბევრს შესძენდა მკითხველს, განსაკუთრებით კი—ქართველ მკითხველს, რომელიც ის-ის იყო ეცნობოდა და უკავშირდებოდა დასავლურ სამყაროს.

ანალოგიური ხასიათის ნაწარმოებია ფენელონის (1651—1715) „გარდასავალი თელემაქისა“ <sup>432</sup>, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ აქ

<sup>431</sup> ხელნ. ინსტ. H—96, H—2876, თავისი მოგზაურობის დასასრულს ავტორი ასე აწერს ხელს: «Ваш слуга Людвик Барон де Полница». ესაა მისი სრული გვარი. გაიოზ რექტორმა ეს თხზულება თარგმნა 1776 წელს მოსკოვში.

<sup>432</sup> ხელნ. ინსტ. S—377, S—1357.

აღწერილია ისეთი უძველესი ქვეყნები, როგორცაა სიცილია, ეგვიპტე, ეთიოპია, კიპრი, კრეტა, ფინიკია, ე. ი. ის ადგილები, სადაც ნაწარმოების გმირს თელემაქს უწევდა ჩასვლა და თავისი საგმირო საქმეების ჩადენა. ფენელონის „თელემაქი“ ისეთი დიდი მოწონებით სარგებლობდა, რომ ის მრავალგზის გადაიწერა.

დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო აზრი, რომ ამ თხზულების ქართული თარგმანი ეკუთვნოდა მხოლოდ სარიდან ჩოლოყაშვილს, მაგრამ უკანასკნელ დროს აღმოჩენილ იქნა „თელემაქის“ პირველი ვარიანტისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მეორე ვარიანტი, რომლის თარგმანი შეცდომით მიეწერებოდა იასე გარსევანიშვილს<sup>433</sup>. ჩვენ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში ვნახეთ ორივე თარგმანი — S—377 და S—1357. თვალს გადავლებითაც კი ნათელი ხდება, რომ თარგმანი შესრულებულია ორი სხვადასხვა პირის მიერ, ამაზე მიუთითებს ორივე თარგმანის ლიტერატურული ენა. ისმება კითხვა: რატომ უნდა ეთარგმნა გაიოზ რექტორს „თელემაქი“ იგანმეორებით? ჯერ ერთი იმიტომ, რომ „თელემაქზე“, მკითხველთა უდიდესი მოთხოვნილება იყო და მეორეც, არაა გამორიცხული, რომ გაიოზი, როგორც პროფესიონალი მთარგმნელი, არ დააკმაყოფილა სარიდან ჩოლოყაშვილის თარგმანმა. ჩვენი აზრით, გარკვეული წვლილი „თელემაქის“ მეორე ვარიანტის თარგმანში უნდა მიუძღოდეს იასე გარსევანიშვილსაც, რაზედაც მიგვიითითებს ხელნაწერის ფურცლებზე მიწერილი სიტყვები ამ თარგმანის მე-14 თავის დასასრულს: „აქათ იწყების თარგმანი იესე გარსევანიშვილისა მეთოთხმეტე წიგნისა დასასრულამდე“<sup>434</sup>. თუ ამ მინაწერს დავუკერებთ, მაშინ გაიოზ რექტორს მეორე ვარიანტის მხოლოდ პირველი 14 თავი უთარგმნია, ხოლო მომდევნო თავები—იასე გარსევანიშვილს, მაგრამ ამავე ხელნაწერის ბოლოში კვლავ ვხვდებით მინაწერს (აღსანიშნავია, რომ ამ თარგმანში დიდი რაოდენობით არის იასე გარსევანიშვილის მინაწერები — მ. დ.), ე. წ. ანდერძს:

<sup>433</sup> „თელემაქის“ მეორე ვარიანტის მთარგმნელი რომ გაიოზ რექტორია, დაასაბუთა პროფ. ტ. რ. უ. ხ. ა. ძ. მ. იხ. მისი „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, 1949, გვ. 87.

<sup>434</sup> ხელნ. ინსტ. S—1357 (151v).

## მკითხველისადმი მწერლისაგან

„მე შავილგან ისე შავი  
გადმოვსწერე თუმცა ავად,  
არ გინების მოსართმევად,  
ეგებ კჳუვის მოსარწყავად“<sup>435</sup>

ეს ანდერძ-მინაწერი თვალნათლივ მიგვიითითებს, რომ ი. გარსევანიშვილს რუსულიდან არ უთარგმნია ნაწარმოები, არამედ უკვე თარგმნილიდან გადმოუწერია. ამავე მოსაზრებას ამტკიცებს მისი მოპლევნო მინაწერიც: „ესე ფენელონის ცხოვრება და რაიმე მისთა ნაქმართათვის ამის წიგნის თავს უნდა დასაწერად, მაგრამ მე რომლის შავილამაც გამოვსწერე, მას არ ქონდა, შემდგომ სხვა წიგნში ვნახე და გადმოვსწერე მისთვის რომელ, ვინც გადასწეროთ ის და ის შთასწერეთ“<sup>436</sup>. ამით ნათელი ხდება, რომ იასე გარსევანიშვილს ერთგვარი რედაქცია გაუქეთებია გაიოზის ნათარგმნისათვის და ისე მიუწოდებია ქართველი მკითხველისათვის.

გაიოზ რექტორის მესამე თარგმანი მოგზაურობათა სერიიდან, რომელიც დღესდღეობითაა ჩვენთვის ცნობილი, არის ნიკოლა რაძი-ვალას „მოგზაურობა წმინდა ადგილთა იერუსალიმსა“<sup>437</sup>. მთარგმნელი ქართულ ენაზე მისი გადმოცემით ორ ძირითად მიზანს ისახავდა: პირველი — ქრისტიანული ეკლესიის მსახურთა ცოდნის ამაღლებას და, მეორე — ქართველი საზოგადოებრიობისათვის იერუსალიმში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების არსებობის, განსაკუთრებით კი ჯვრის ისტორიული მონასტრის შესახებ ცნობების მოწოდებას. „... ნათლისმცემლის მონასტრით ერთ მილზედ არის მონასტერი წ. ჯვრის“<sup>438</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ გაიოზი თელავის სემინარიაში მოღვაწეობის დროს ურჩევდა სემინარიელებს, გასცნობოდნენ მოგზაურობის ამსახველ ნაწარმოებებს. ამას გვიდასტურებს ის ფაქტიც, რომ სემინარიაში გაიოზ რექტორის ნებართვითა და ინიციატივით იმართებოდა ე. წ. გართობანი და კომედიური სანახაობები. ეჭვი არ არის, რომ ეს აღნიშნული წიგნების გავლენის შედეგი იყო, განსაკუთრებით „ბა-

<sup>435</sup> ხელნ. ინსტ. S—1357 (304r).

<sup>436</sup> ი ქ ვ ე (306v).

<sup>437</sup> ი ქ ვ ე, S—29, გვ. 371.

<sup>438</sup> ი ქ ვ ე.

რონ დე პოლნიცასი“, სადაც თეატრალური სანახაობები ფართოდაა აღწერილი.

XVIII საუკუნის ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი აღფრთოვანებით და მოწონებით შეხვდა ჟან ფრანსუა მარმონტელის (1723—1799) „ველისარიონის“ თარგმანს. იუსტინიანე იმპერატორისა და მისი უნიკიერესი მხედართმთავრის ველისარიონის სახელი უცნობი არ იყო ძველ საქართველოში. თვით ამ ნაწარმოების თარგმნა თვალნათლივ გვიდასტურებს, თუ რამდენად იყო მოზადებული ნიადაგი ქართველ საზოგადოებრიობაში ახალი იდეების მისაღებად და შესათვისებლად. „ველისარიონის“ უდიდეს პოპულარობაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთი ხელნაწერის იმდენ ნუსხას, რამდენიც „ველისარიონისას“.

ისტორიულად ცნობილია, რომ ჟან ფრანსუა მარმონტელის „ველისარიონი“ თვით მწერლის საშობლოში — საფრანგეთშიც სასტიკად იდევნებოდა, როგორც რელიგიური შემწყნარებლობისა და თავისუფალი აზროვნების მატარებელი ნაწარმოები. საფრანგეთის რეაქციულ წრეებს არც რუსეთის მმართველი კონსერვატიული წრეები ჩამორჩნენ და „ველისარიონს“ კანონის დამრღვევ ნაწარმოებად მიიჩნევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ველიზარი“ ითარგმნა ეკატერინე II-ის პირადი მითითებით<sup>439</sup>, მას ისეთივე მძვინვარება ხასიათის ნაწარმოებად თვლიდნენ, როგორადაც მიჩნეული იყო ფრანგი განმანათლებლების, განსაკუთრებით ვოლტერის ნაწარმოებები.

თვით ნაწარმოების სიუჟეტი აგებულია იმპერატორ იუსტინიანესა და მისი ერთ-ერთი უნიკიერესი სარდლის ველიზარის კონფლიქტის თემაზე. ვფიქრობთ, რომ მარმონტელის „ველიზარზე“ საქართველოს საეკლესიო-კლერიკალურ და კონსერვატიულ წრეებს ისეთივე შეხედულება ექნებოდათ, როგორიც — მისსავე საშობლოსა და რუსეთში.

მკვლევართა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ გაიოზმა, ქრისტიანული ეკლესიის მღვდელმთავარმა, თარგმნა ისეთი ნაწარმოები, სადაც რელიგიურ შემწყნარებლობაზე არის გამახვილებული ყუ-

---

<sup>439</sup> აღნიშნული ნაწარმოებები ეკატერინე II-ის დიდ ყურადღებას იქცევდა და მისი პირადი მითითებით ითარგმნა ვოლგაზე მოგზაურობის დროს — 1768 წელს. საყურადღებოა, რომ ეკატერინე II-ის დიდ სიძაბობას იმსახურებდა დედოფალი თეოდორა, იუსტინიანეს მეუღლე და თეატრონის ყოფილი მსახიობი.



რადღება. „ველიზარი“, როგორც პროფ. ტრ. რუხაძე წერს, ითარგმნა 1768 წელს პირველი რუსული გამოცემის მიხედვით<sup>440</sup>. აღნიშნულ ნაწარმოებში სასტიკადაა გაკიცხული იმპერატორი იუსტინიანე დიდი, რომელმაც ცოლად შეირთო თეოდორა, „თიატრში მოთამაშე დედაკაცი“, და რომელმაც „დაარღვია ჰსჯული, იქორწინა რა ერთის გარყუნილისა დედაკაცის თანა, მან დაამდაბლა იმპერატორობითი დიდებულება თვისი, ოდეს აიყვანა ტახტსა ზედან მეთიატრეი“<sup>441</sup>. გაიოზ რექტორი იმდენად დააინტერესდა და მიიზიდა წიგნის შინაარსმა და იღეამ, რომ მან ის თითქმის უმოკლეს დროში, 50 დღეში გადმოიღო ქართულ ენაზე<sup>442</sup>.

არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, რომ გაიოზმა ვერ გაიგო ნაწარმოების იდეა. თვით თარგმნის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ გაიოზი ფარულად იზიარებდა განმანათლებელთა ზოგიერთ შეხედულებას.

მკვლევრებისათვის ჭერჯერობით ცნობილი არ არის, იყო თუ არა გაიოზ რექტორი დაინტერესებული პოეზიით, წერდა თუ არა ლექსებს. ისტორიას შემორჩა მისი ერთადერთი ლექსი, ესაა „წინასიტყვაობა წინამდებარე წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა: ქმნილი გაიოსის მიერ, არხიდიაკონისა“<sup>443</sup>.

ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსმა გაიოზს დაავალა თავისი შრომის „წყობილსიტყვაობის“ წინასიტყვაობის დაწერა და, შეიძლება ითქვას, რედაქტორობაც. გაიოზის მიერ წინასიტყვაობის ლექსად დაწერა გამოწვეული უნდა იყოს იმ უდიდესი პატივისცემით, რასაც ის ანტონ კათალიკოსისადმი იჩენდა. მან სცადა „წყობილსიტყვაობის“ ლექსთა წყობის მსგავსად გადმოეცა თავისი წინასიტყვაობაც. „რედაქტორი“ ქებათაქებას ასხამდა წიგნის ავტორს:

„აღძარვილით ხედვით სიბრძნისა მინიჭებით, გრიგალი ქროლით, ცეცხლებრ მბერუალებით“<sup>444</sup> „რედაქტორი“ გაიოზი აღნიშნავდა,

<sup>440</sup> ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 276.

<sup>441</sup> ხელნ. ინსტ. H—1232, გვ. 9. ამ ხელნაწერს აქვს მინაწერებიც. ერთ-ერთი მინაწერი იუწყება, რომ „იმპერატრიცა თეოდორა იყო თეატრში მოთამაშე დედაკაცი, ყოველთა სენატორთა აღუკრძალავდა ქორწინებასა მას თანა“.

<sup>442</sup> ხელნ. ინსტ. H—1232, H—233, H—2372. გაიოზმა, მისივე გადმოცემით, თარგმნა დაიწყო „1786 ოქტომბერს 24—კრემენჩუგს“ (1r) და დამთავრა „წელსა 1786 თუესა დეკემბერს 14-ს კრემენჩუგს“ (71r).

<sup>443</sup> ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1853, გვ. XX.

<sup>444</sup> იქვე.

რომ ავტორმა „ჰქმნა სტიხნი შაირულად“<sup>445</sup> და „სიბრძნითა ჰკაზმავს სტიხთა“<sup>446</sup>. შემდეგ გადმოცემულია ანტონ კათალიკოსის საქმიანობის ამსახველი სტროფები:

„სიბრძნითა ქმნითა, წერილი თარგმანებითა,  
სტიხთა ხმობითა, შაირთ-სიტყუაობითა“<sup>447</sup>.

გაიოზი ლექსადვე გადმოსცემს, რომ „წყობილსიტყვაობა“ 7 ნაწილისაგან შედგება, და მიძღვნილია ქება შვიდივე ნაწილისადმი ცალცალკე. წინასიტყვაობას გაიოზი ამთავრებს ანტონ კათალიკოსისადმი მიძღვნილი აკროსტიხით, სადაც ვკითხულობთ: „ანტონი სტიხოზს, მოწაფე წინასიტყუობს“<sup>448</sup>.

აღმცისრებელ	ი	ორბობ	აწ	იხილე	მქურე	ტ
ნათლობ	ს	ბრწყინვალედ	არა	ნაპარლობს	დამეწ	უ
ტლან	ტ	ხაცხო	მყოფ	აწუაუნელისა	მიმართ	უ
ოქრო ნექტარ		ზბრწყუელიეს		ხსახელუ		ო
ნათლის ხარის	ხ	ოქროს ქუა	ან	იქვირუო		ბს

ავტორს გამოყენებული აქვს კიდურწერილობა. თავისი წინასიტყვაობის ბოლოში მას დამატებით მიწერილი აქვს ტაეპი, სადაც აკროსტიხად მოცემულია „გაიოს“. აქ ის კვლავ აქებს თავის მასწავლებელსა და აღმზრდელს, უწოდებს მას „ბრძენს“, რომელიც ქმნის „სტიხთა ტკბილსასმენელსა“, „ორფეოს მთქმელს“ და ბოლოს ასე ამთავრებს: „გიძღუნობ მოწაფე მთქმელსა“<sup>449</sup>. დღეისათვის ამ ერთადერთი ლექსითაა დაკავშირებული გაიოზი პოეზიასთან.

გაიოზ რექტორი, როგორც ქრისტიანული ეკლესიის მსახური და მღვდელმთავარი, ვალში არ დარჩა საღვთისმეტყველო ლიტერატურას. ეკლესიის მსახურთათვის მან დიდძალი თეოლოგიური ხასიათის

<sup>445</sup> ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1853, გვ. XX.

<sup>446</sup> იქვე.

<sup>447</sup> იქვე, გვ. XXIV.

<sup>448</sup> იქვე: ავ. XXVI.

<sup>449</sup> იქვე.

ნაწარმოებები თარგმნა. აღსანიშნავია მისი ე. წ. ეპისტოლენიც. ხელნაწერთა ინსტიტუტში არის წმინდა ვასილის ეპისტოლეთა ორი ვარიანტი. ერთი <sup>450</sup>, რომელიც თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ, მოგვიანებით იოანე ოსეს ძეს გადაუწერია, ხოლო მეორე <sup>451</sup>, სადაც თავმოყრილია 207 ეპისტოლე, ვფიქრობთ, უნდა ეკუთვნოდეს გაიოზ რექტორს. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ეპისტოლენი მიწერილნი წმინდისა მამისა ჩუენისა ვასილი კესარიელისაგან, ვიეთღაძიცა იშესაბამა კეთილ მნებელობამან მის წმინდისამან, თარგმნილი რუსულით ქართულსა ენასა ზედა ყოვლად სამღვდელისა გაიოს ასტრახანის არხიეპისკოპოსისაგან, რომლისა ხსენება იყავნ საუკუნოსა ნეტარებასა შინა, და მიანიჭოს ღმერთმან განსვენებაი ზეცისა იერარხთა თანა. ამინ“ <sup>452</sup>.

წინასიტყვაობის ასეთმა ენამ ღა ტონმა დააეჭვა მკვლევრები, ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა თარგმანი გაიოზ რექტორს. მართლაც, ჩვენ არსად არ შეგვხვებდრია მინაწერი, რომლითაც მას თავისი თავისადმი ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით მიემართოს, როგორცაა: „... რომლისა ხსენება იყავნ საუკუნოსა ნეტარებასა შინა“ და ა. შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოგვიანებით, ე. ი. 1846 წელს, როდესაც გადაწერილ იქნა წმინდა ვასილის ეპისტოლენი, გადაწერებმა აღნიშნული წინასიტყვაობის შედგენით ხარკი გადაუხადეს გაიოზ რექტორს, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი თანამდებობის პირსა და სასულიერო მოღვაწეს.

XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში რუსული ენიდან ქართულზე დიდი რაოდენობით ითარგმნებოდა ქრისტიანულ-თეოლოგიური ლიტერატურა. თარგმნა იმდენად მასობრივ ზასიათს ატარებდა და საყურადღებო მოვლენა იყო, რომ ძნელია XVIII საუკუნის ისტორიის მკვლევარმა მას გვერდი აუაროს. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განათლებული მესვეურნი მარტო თარგმანებით იყვნენ გატაცებული. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ქართული ლიტურგიული წიგნების შედარება რუსულ ვარიანტებთან, რათა ერთიანი და სრულყოფილი ყოფილიყო მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტერატურა.

<sup>450</sup> ხელნ. ინსტ. A—292.

<sup>451</sup> ი ქ ე ე, S—361.

<sup>452</sup> ი ქ ე ე, S—381, გვ. 1.

გაიოზი დაინტერესებული იყო 'საეკლესიო პირთა ცოდნის დონის ამაღლებით. ის ხედავდა, რომ ქართველი მღვდელმთავრების დიდი უმრავლესობა მოკლებული იყო ქრისტიანულ-თეოლოგიურ ლიტერატურას, ამიტომ მან ხელი მიჰყო რუსული ენიდან საჭირო ლიტერატურის თარგმნას. ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ თარგმნილი საღმრთო ისტორია<sup>453</sup> — „სამღვდლო ისტორია ძეულისა და ახლისა აღთქმისა, გამოკრებული წმინდათა მამათა განმარტებითა, წარმართებისათვის სასარგებლოდ ყოვლისა ქ<sup>რ</sup>ყანისა ქცევისა, ბერძნულით რუსულსა ზედა თარგმნილი, და რუსულით ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებული არხიმანდრიტის 'გაიოსის მიერ“<sup>454</sup>. ეს ნაშრომი გაიოზ რექტორმა თარგმნა ერეკლე I-ის ძის ანტონ II კათალიკოსის თხოვნით<sup>455</sup>. მისი ძირითადი მიზანი იყო ქრისტიანული ეკლესიის მსახურთათვის საჭირო თეოლოგიური ლიტერატურის მოწოდება, ამავე თვალსაზრისით თარგმნა გაიოზმა მკაბელთა სამივე წიგნი<sup>456</sup>, ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის საჩუქრულ ცნობა, რომ გაიოზის მიერ იყოს აღნიშნული თარგმანი შესრულებული. ფიქრობენ, რომ მან ის მხოლოდ გადაწერა, რაც, ჩვენი აზრით, ზღვარი არ უნდა იყოს, რადგან ჯერ ერთი, თარგმანის ენა მიგვეითებებს; რომ ის გაიოზისეულია, მეორეც, ძნელად დასაჯერებელია, რომ 1818 წელს უკვე საკმაოდ ზანშიშესულ გაიოზს, რომელსაც გარკვეული პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდა, ხელი მოეციდა გადაწერისათვის. მისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის მსახურთათვის მიეწოდებინა ახალი ქრისტიანულ-თეოლოგიური ლიტერატურა, ვიდრე ნათარგმნი ლიტერატურის გადაწერაში დაეკარგა დრო.

გაიოზი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა თავისი ყოფილი მასწავლებლის, მოსკოვის მიტროპოლიტის, ცნობილი ღვთისმეტყველის პლატონ ლევშინის ნაწერებს, რომლის თეოლოგიური შრომების გარკვეული რაოდენობა მან თარგმნა კიდევ. ანტონ I-ს უძღვნა მან პლატონ ლევშინის „მართლმადიდებლობითი მოძღვრების“ თარგმანი<sup>457</sup>. ამ ნაწარმოებში ვხვდებით აღმზრდელობითი

<sup>453</sup> ხელნ. ინსტ. Q—169, H—1210

<sup>454</sup> ი ქ ვ ე, H—1210 (1r).

<sup>455</sup> ი ქ ვ ე.

<sup>456</sup> ხელნ. ინსტ. S—156.

<sup>457</sup> ი ქ ვ ე, H—220.

მნიშვნელობის აზრებსაც, რომლებიც მიიქცევედა გაიოზ რექტორის, როგორც სწავლა-აღზრდით დაინტერესებული პიროვნების ყურადღებას. განსაკუთრებით გაიზიარებდა დიდაქტიკოსი გაიოზი ავტორისეულ აზრს: „...ხოლო უფროსლა უმცირეს იპოვების მშობელთა შორის, წადილი და ზრუნვა აღზრდისათვის შვილთა“<sup>458</sup>.

გაიოზ რექტორი დიდ ყურადღებას აქცევდა ეგზეგეტიკურ<sup>459</sup> შწერლობასაც, მან ქართულ ენაზე გადმოიღო პლატონ ლევშინის „ჰსჯა მელქისედეკისათვის“. როგორც ყველა მეცნიერ-თეოლოგი, ისიც უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა ქრისტიანულ დაბადების წიგნს. ამაზე ჩვენ მიგვითითებს ზელნაწერთა ინსტიტუტის S — ფონდი, სადაც 368 ნომრის აღწერილობაში, რომელიც თავად გრიგოლ წერეთელს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „...გაიოსის ნათარგმნი დაბადების წიგნი“, რაც ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ გაიოზს აღნიშნული წიგნი უთარგმნია. მანვე პირველმა გააცნო თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურის მოყვარულებს „ამბროსი მედიოლანელი“<sup>460</sup>.

ქრისტიანულ-თეოლოგიური ლიტერატურის გარკვეული ნაწილი გაიოზმა სპეციალურად სემინარიის მოსწავლეთათვის თარგმნა. მართალია, ის რუსეთში მოღვაწეობდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო მისი დაინტერესება ქართული სემინარიის სასწავლო დისციპლინებით, რომ საჭიროდ თვლიდა ქართულ ენაზე გადმოეღო ის ლიტერატურა, რომელიც რუსეთის სასულიერო სასწავლებლებისათვის იყო რეკომენდებული. ამ მიზნით იყო ნათარგმნი „ქრისტიანებრი სწავლა ანუ ქეშმარიტი სიტყვა დ<sup>რ</sup>ისა“<sup>461</sup>. ეს ნაშრომი რომ სემინარიისათვის იყო განკუთვნილი, ამაზე თვით გაიოზი მიგვითითებს: „ქრისტიანებრი სწავლა ანუ ქეშმარიტი სიტყვა დ<sup>რ</sup>ისა, გამოკრებული საღმრთოთა წერილისაგან, სახმარად ყოველთა მოძღუართა ანუ მქადაგებელთა ეკ-

<sup>458</sup> ზელნ. ინსტ. H—220 (125rv), თარგმანი გაიოზის მიერ შესრულებულია 1781 წ.

<sup>459</sup> ეგზეგეტიკა გვაძლევდა ბიბლიის ქნელი, გაუგებარი ადგილების განმარტებას, რასაც საქართველოს მაშინდელი საზღვდლოებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. გაიოზმა თარგმნა პლატონ ლევშინის „ქრისტიანებრივი ღვთისმეტყველება“, რომლის ბოლო თავია „ბოროტ ანგელოსთათვის“. ზელნ. ინსტ. S—28, H—2175.

<sup>460</sup> ზელნ. ინსტ. H—3112, S—378. „ამბროსი მედიოლანელი“ გაიოზმა თარგმნა 1789 წელს.

<sup>461</sup> ი ქ ე ე, S—29. ითარგმნა 1788 წელს.

კლესიისათა, მოკიდებული სხოლასტიკური და ღვთისმეტყუელებითა პაზრათა ყმათათვის აღმოსავლეთისა ეკკლესიურთა მოცემათა“<sup>462</sup>. ეს იყო ერთგვარი კონსპექტი მოსწავლეთათვის, რომელიც, როგორც გაიოზმა აღნიშნა, „გამოკრებული იყო საღმრთოსა წერილისაგან“. «Христианское учение состоит из выборных мест священного писания, расположенных в порядке и разделенных на 11 глав и 136 параграфов. На полях указаны источники, откуда те или другия учения и изречения взяты»<sup>463</sup>.

იმავე მიზნით იყო გადმოღებული ქართულ ენაზე გაიოზის მიერ „სარკე, რომელსაცა შინა იხილავს ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი ყოულისა მღგომარეობისა თანამდებობასა თვისსა“<sup>464</sup> რაც, ე. თაყა-იშვილის თქმით, «тоже представляет выписки из священного писания»<sup>465</sup>.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ეპარქიებში, მონასტრებსა და ეკლესიებში, რომლებიც სწავლა-აღზრდის ცენტრებს წარმოადგენდნენ, თანამდებობებს იკავებდნენ უსწავლელი და მოუმზადებელი სასულიერო პირები, რომელთა წინააღმდეგაც ენერგიულად იბრძოდნენ ანტონ კათალიკოსი და ერეკლე II. მათ გამოსცეს მრავალი სასულიერო და საერო ბრძანება, რომელთა მიხედვითაც იმ პირებს, ვინც სათანადო განათლებას არ მიიღებდა, ეკრძალებოდათ ეკლესია-მონასტრებში თანამდებობების დაკავება. ეს ჰქონდა მხედველობაში გაიოზ რექტორს, როდესაც თარგმნა მთელი სერია ქრისტიანული წესებისა, რომლებიც სასულიერო პირთა მომზადებასა და ხელდასმას ეხებოდა, ესენია: „წესი დადგინებასა ზედა წიგნის მკითხუელისა და მგალობელისა“<sup>466</sup>, „წესი იპოდიაკონის ხელდასმისა“<sup>467</sup>, „წესი ხელდასმისა ზედა დიაკონისა“<sup>468</sup>, „წესი ხელდასმისა ზედა ხუცისასა“<sup>469</sup>.

გაიოზმა მიაწოდა პირველად ქართული ეკლესიის მსახურთ რუ-

<sup>462</sup> ხელნ. ინსტ. S—29 (08r). ითარგმნა 1788 წელს.

<sup>463</sup> Э. Такайшвили, Описание рукописей, т. I, Тифлис, 1915, стр. 279.

<sup>464</sup> ხელნ. ინსტ. S—29 (გვ. 306).

<sup>465</sup> Э. Такайшвили, Описание рукописей, т. I, Тифлис, 1915, стр. 279.

<sup>466</sup> ხელნ. ინსტ. S—29, გვ. 335—336.

<sup>467</sup> იქვე, გვ. 337.

<sup>468</sup> იქვე, გვ. 338—340.

<sup>469</sup> იქვე, გვ. 341—343.

სულიდან თარგმნილი „ცნობები ეკლესიათა აგების შესახებ“<sup>470</sup>, „პროკატეილის“<sup>471</sup> და დიმიტრი როსტოველის „ჩეტი მინეი“. ეს უკანასკნელი ნაშრომი გაიოზმა თარგმნა იმის გამო, რომ მასში საინტერესოდ არის მოთხრობილი ბიბლიური გადმოცემა, თუ როგორ ერგო ივერიის მიწა ღვთისმშობელს.

გაიოზ რექტორი არა მარტო თარგმნიდა და წერდა საღვთისმეტყველო თეოლოგიურ წიგნებს, არამედ ეწეოდა გამოსაქვეყნებლად გამზადებული ნაშრომების რედაქტირებასაც; ცნობილია, რომ მას შეუდგენია ანტონ პირველის „ღვთისმეტყველების“ პირველი ტომის დასათაურება «...Оглавление статей составлено архимандритом Гайозом»<sup>472</sup>. ასევე მიიღო მონაწილეობა მან მეოთხე ტომის სრულყოფაშიც<sup>473</sup>.

გაიოზის საღვთისმეტყველო-თეოლოგიური თარგმანებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა „აღსარების წიგნი“<sup>474</sup>, რომელიც დავით რექტორის მიერაა გადაწერილი და განკუთვნილია მოსწავლეთათვის. ამაზე მიგვიჩივებს ხელნაწერის შემდეგი ადგილი: „აღიაროს მოწაფემანცა, თუ ახსოვდეს რამე: მაგრამ მოძღვარმან, გამოკითხვის რიგი უნდა იცოდეს რომ ცოდნა რა ასწავლოს რა მოწაფესა“<sup>475</sup>. მართალია, მთარგმნელი მითითებული არ არის, მაგრამ ეს ნაშრომი გაიოზისეული უნდა იყოს. მასში მოცემულია შემდეგი შინაარსის წინადადება: „აჰა ესე არს ჭეშმარიტი აღსარება: ჩვენ აღმოსავლეთის ეკლესიის შვილთა საბერძნეთის, რუსეთისა, ბულღარიისა, საქართველოსა და იმერეთისა“... სწორედ ეს უკანასკნელი სიტყვაა დამაფიქრებელი — „იმერეთისა“. შეიძლება დაუშვათ ორი ვერსია: ან შრომა მთლიანად გაიოზისაა და მან ჩამოთვალა ქრისტიანული, მართლმადიდებელი სახელმწიფოები და როგორც ცალკე ერთეული (ცალკე საკათალიკოსო) დაუმატა იმერეთიც, ანდა მან, როგორც მთარგმნელმა, შეიტანა მასში ეპოქის შესაბამისი კორექტივები.

<sup>470</sup> ხელნ. ინსტ. S—29, გვ. 352—353.

<sup>471</sup> ი ქ ე ე, S—35. „პროკატეილის ანუ წინამოწოდება სწავლასა ზედა საკათაქმეველოსა წმიდათა შორის შამისა ჩუენისა კირილე იერუსალიმის არხიეპისკოპოსისა“ (83r) გაიოზ რექტორმა თარგმნა 1887 წ.

<sup>472</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3. СПб., 1894, стр. 110.

<sup>473</sup> ი ქ ე ე, გვ. 111.

<sup>474</sup> ხელნ. ინსტ. S—65.

<sup>475</sup> ი ქ ე ე, გვ. 31.

საღვთისმეტყველო-თეოლოგიურ ნაშრომებს. ეკუთვნის შემოკლებული კატეხიზისიტი, რომელიც მოსკოვის სინოდის სტამბაში ყოფილა დაბეჭდილი გაიოზ რექტორის მიერ: «Старанием моздокского архiereя Гаюса в Московской синодальной типографии напечатана азбука и сокращенный катехизис на русском и осетинском языках»<sup>476</sup>.

გაიოზ რექტორმა შთამომავლობას დაუტოვა უმდიდრესი სამეცნიერო-ლიტერატურული მემკვიდრეობა. არ იყო დარგი, რომელსაც ამაგდარი მოღვაწის გონება და კალამი არ შეხებოდეს, მაგრამ ყველაზე მეტად მას აღმზრდელობითი სახის ლიტერატურა და მისი ქართულ ენაზე თარგმნა აინტერესებდა.

რუსული ენის შემსწავლელ სასწავლებელსა და თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებში გამოიწრთო გაიოზ რექტორი როგორც პედაგოგი და აღმზრდელი. რუსეთში სწავლის პერიოდში მიღებულმა ჩვევებმა და საქართველოში შექმნილმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ უკარნახეს გაიოზ რექტორს ანტონ კათალიკოსის დახმარებით ხელი მიეყო სასკოლო რეფორმებისათვის. ამ ეროვნულ საქმეში მას უდიდეს დახმარებას უწევდა სწავლა-განათლების შესანიშნავი მეცენატი და სახელმწიფო მოღვაწე ერეკლე II. ამიტომაც იყო, რომ გაიოზი ყოველთვის აღნიშნავდა მის დამსახურებას და აღარებდა მას განათლების დარგის ისეთ დიდ რეფორმატორს, როგორც რუსეთში პეტრე პირველი იყო. „...იქადის როსსია პეტრე დიდითა, რომელთაცა დააფუძნეს სამფლობელოსა თვისსა სწავლანი სასიბრძნონი... ჰმსგავსადვე ჩვენცა თანა გუჟამს უმეტეს რათა ვიქადდეთ ესე ვითარისათვის მეფოსა ჩვენისა რომელმანცა მხოლოსა შორის თვისსა შემოკრიბნა უაზნაურესნი ოგი ნიშანნი ზემო ჰხსენებულთა მეფეთა<sup>477</sup>.

სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ჩატარებულმა რადიკალურმა ცვლილებებმა უკარნახეს გაიოზ რექტორს, რომ ხელი მოეკიდა პედაგოგიური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისათვის. ამ საქმეს ის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ვიოეკიდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გაიოზ რექტორმა ქართული სემინარიების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გააკეთა, ეს იყო თეოფანე პროკოპოვიჩის

<sup>476</sup> П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПб., 1869, стр 309.

<sup>477</sup> ხელნ. ინსტ. Н—2291, (5vr).



(1681—1736) „რელამენტის“ თარგმნა ქართულ ენაზე და მისი პრაქტიკული დანერგვა თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში სკოლები ყველაზე ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა, რომელიც სასწრაფო რეორგანიზაციასა და რეფორმას მოითხოვდა. ეს უდიდესი საპასუხისმგებლო მისია შეასრულა პეტრე პირველმა, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა თეოფანე პროკოპოვიჩის „რელამენტის“ პროგრესული მნიშვნელობა.

XVIII საუკუნის რუსეთის განათლების სრულყოფისათვის შედგენილი თეოფანე პროკოპოვიჩის „რელამენტი“ წარმოადგენდა პედაგოგიურ შეხედულებათა კრებულს, ქცეულს სასწავლო კანონად პეტრე პირველის მიერ. გაიოზ რექტორმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა ქართველ დიდაქტიკოსთაგან, განსაზღვრა „რელამენტის“ პროგრესულობა და თარგმნა ის ქართულ ენაზე. საგულისხმოა, რომ ნაშრომი მთარგმნელმა ქართულ ენაზე ვადმოიღო ისე, რომ ტექსტში ხმარებული სიტყვა „რუსეთი“ ყველგან შეცვალა „საქართველოთი“<sup>478</sup>. „რელამენტის“ თარგმნამ<sup>479</sup>, ხოლო შემდგომ მისმა დანერგვამ თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში უდიდესი ნაყოფი გამოიღო, რომლის შედეგადაც სწავლა-აღზრდა სასწავლებლებში უფრო სრულყოფილი და ორგანიზებული გახდა. ქართველმა საზოგადოებამ იმთავითვე გაიგო, რომ ტიპიკონი ქართულ ენაზე გაიოზ რექტორმა თარგმნა: „ამ დღეებში ჩვენ ენახეთ ერთი ძველი ხელნაწერი წიგნი, რეგლამენტი პეტრე დიდისა, თარგმანი გაიოზ არხიეპისკოპოსის ნაცვლიშვილისა“, — წერდა ეურნალი „მწყემსი“ 1885 წელს<sup>480</sup>.

პედაგოგიურ ლიტერატურას განეკუთვნება აგრეთვე გაიოზის მიერ მოსკოვის აკადემიაში სწავლის პერიოდში ქართულ ენაზე გამოცემული „მსჯა ათერთმეტი ქრისტიანებრის შკოლისა“<sup>481</sup>. მასში

<sup>478</sup> ხელნ. ინსტ. Q—91, H—91, H—794.

<sup>479</sup> გაიოზ რექტორმა „რელამენტი“ თარგმნა 1782 წელს. იმდენად დიდი მოწონებით სარგებლობდა აღნიშნული შრომა, რომ ის განმეორებით ითარგმნა მოგვიანებით ვასილ ჭილაძის მიერ.

<sup>480</sup> ეურნ. „მწყემსი“, № 5, 1885, გვ. 13.

<sup>481</sup> ხელნ. ინსტ. H—2295. გაიოზ რექტორმა აღნიშნული თარგმანი შეასრულა 1777 წელს.

მოცემულია აღმზრდელობით-პედაგოგიური ხასიათის აზრები, რომლებშიც თეოლოგიურ სამოსელშია გახვეული. ამ ნაშრომმა თავიდანვე მიიქცია გაიოზის, როგორც სასულიერო აკადემიის მოსწავლისა და მომავალი აღმზრდელის, ყურადღება. აღნიშნული ნაწარმოების ქართული თარგმანი გაიოზმა შეასრულა მაშინ, როდესაც მისი პიროვნება ფორმირების პროცესში იყო (თხზულების დედააზრია ის, რომ „ერთსა შინა დღესა მეფე და მეჯოგე თანაბრად მოკვდებიან“<sup>432</sup>).

გაიოზ რექტორის მიერ ნათარგმნი მრავალრიცხოვანი თხზულებებიდან დიდ დავას მხოლოდ „სამგზავრო გეოგრაფია“ იწვევს<sup>483</sup>. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში არის „სამგზავრო გეოგრაფიის“ ორი ვარიანტი: ერთი ეკუთვნის დავით ბატონიშვილს<sup>484</sup>, ხოლო მეორე, რომელიც გადაწერილია დავით რექტორის მიერ, შესაძლოა ეკუთვნოდეს გაიოზ რექტორს<sup>485</sup>. აღნიშნული ხელნაწერის ბოლოში ვკითხულობთ: „დოროენაია ლეოღრაფია. აღესწერე...“ მაგრამ შემდეგ ძნელი ამოსაკითხია, თუ ვისი თარგმანი აღწერა მან. დავით რექტორი, თანამედროვეებთან შედარებით უფრო ხშირად მიმართავდა გაიოზ რექტორის თარგმანების გადაწერას. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამჯერადაც მან ხელი მოჰკიდა გაიოზ რექტორის ქართულ ენაზე გადმოღებული „სამგზავრო გეოგრაფიის“ გადაწერას.

---

<sup>482</sup> ხელნ. ინსტ. H—2215. რამ მიიქცია გაიოზის, სემინარიის მოსწავლის ყურადღება? აქ მოცემულია ისეთი აზრები, რომლებიც მას ძალიან მოეწონებოდა. მაგალითად, გაიციხულია „განუძღომელნი მდიდარნი“. „ყოველნი მდიდარნი, განსამართლებლად თვისისა განუძღომელნიისა იტყვიან ამას ვ'დ მე არა ჩემთვის ოდენ ვიკრებ სიმდიდრესა, არამედ შეილთა და შეილის შეილთათვის“ (გვ. 19). ანდა: „იგი ნამდვილ კეთილ არს, ვისაცა აქვს პატიოსანი და მრთელი გონება“ (გვ. 56). ნაშრომში სასტიკადაა გამართახებული ამპარტავანი და ამაყი აღაპიანები: „მალალი გონება ვერ დაითმენს თვის ზედა, მხილებასა, და ხელმრობასა, ხოლო კაცთა ავლებასა და სხვათა დაცინებასა დიდად ეწყობა“ (გვ. 227). ასევე: „უკეთუ მისცემენ მას პატივსა და აღგილს, მაშინ იგი თანასწორთა თვისთა ბუზად რაცხს (გვ. 230). ქება აქვს მიძღენილი „პატიოსან კაცს“. „სიტყვა მისი (ე. ი. პატიოსანი კაცის — შ. დ.) არს თვით სიმართლე, ყოველთა ორგულთა არს ბუნებითი მტერი“. „ამპარტავნულთა სიტყვათა ნუ ელი მისგან ამისათვის ვინათგან ჩვეულებითა არს მდებალ და სულითა მშვიდ“ (გვ. 235) და ა. შ.

<sup>483</sup> „სამგზავრო გეოგრაფია“ დაწერილი იყო საფრანგეთში ვარენიუს ბერნხარდის მიერ და რუსულად ითარგმნა 1765 წელს.

<sup>484</sup> ხელნ. ინსტ. H—1003: თარგმანს 1794 წელი აქვს მიწერილი.

<sup>485</sup> ხელნ. ინსტ. S—105, გვ. 524. პროფ. ტრ. რუხაძის აზრით, „სამგზავრო გეოგრაფიის“ მეორე ვარიანტი ეკუთვნის გაიოზ რექტორს“.

მხოლოდ ორივე ვარიანტის სრულყოფილი შედარებით შეიძლება დადგინდეს ან მათი იდენტურობა, ანდა მეორე მთარგმნელის (გაიოზ რექტორის) ვინაობა.

გაიოზ რექტორს რუსული ენიდან უთარგმნია ისეთი ნაშრომიც, რომელიც ფიზიკის სფეროს განეკუთვნება — ესაა „სწავლა ხილულთა და უხილავთა ნივთთა“, ანუ „ცათათვის და ნივთათვის“<sup>486</sup>. ჩვენ ვნახეთ აღნიშნული თარგმანის ორი ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთის იდენტურია: ერთი — დაცული ხელნაწერთა იმსტიტუტში S — 1143 ნომრით, რომლის გადამწერიც დავით რექტორია (ეს ერთხელ კიდევ მოგვითითებს, რომ დავით რექტორი ეწეოდა გაიოზ რექტორის თარგმანების ინტენსიურ გადაწერას, მიაჩნდა რა ისინი პირველსაპირობის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურად), თუმცა არ არის მითითებული ქართულ ენაზე გადმოშვების ვინაობა, და მეორე — საქართველოს ცენტრალურ არქივში<sup>487</sup>, სადაც ხელნაწერს მიწერილი აქვს: „აღმწერი ამის წიგნისა ითხოვს წამკითხველისაგან ცთომისა მიტევებასა. 1826 წ. თარგმნილი არს კრემენჩუგს გაიოზის მიერ“<sup>488</sup>. თუ მინაწერის მიხედვით ვიპსჯელებთ, აღნიშნული პერიოდისათვის გაიოზს მისი თარგმნა არ შეეძლო, რადგანაც ცოცხალი არ იყო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს გადამწერის მიერ დაშვებული შექანიკური შეცდომაა. სავარაუდოა, რომ გაიოზ რექტორმა ნაშრომი თარგმნა 1806 წელს, ხოლო მომდევნო წელს ის გადაწერა დავით რექტორმა.

გაიოზის მიერ თარგმნილ პედაგოგიური შინაარსის ნაწარმოებთა ციკლს ეკუთვნის კატეხიზისის ოსური ვარიანტიც; «ЭТОЙ КНИГОЙ И НАЧИНАЕТСЯ ПО СУТИ ДЕЛА, ИСТОРИЯ ПИСЬМЕННОСТИ НА ОСЕТИНСКОМ ЯЗЫКЕ»<sup>489</sup>. პედაგოგიური მოსაზრებით თარგმნა გაიოზმა ქართულ ენაზე „ძველი ქვეყნების“, „ტროიანელთა“ და „პეტრე დიდის“ ისტორია, თეოლოგიური, „ქრისტიანებრი სწავლა“ და „სამღვდლო ისტორია“, „სასიბრძნო წიგნნი: „სამეფო ტომარანი“, „მარკ ავრელიანუსი“ და „კიტაის სიბრძნე“. გაიოზის მიერ ნათარგმნი პედაგოგიური ლიტერატურა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებით არ უნდა

<sup>486</sup> ხელნ. ინსტ. S—1143, ცენტრ. არქივი, ფონდი № 1446, საქმე № 384.

<sup>487</sup> საქ. ცენტრ. არქ. ფონდი 1446, საქმე № 384.

<sup>488</sup> საქ. ცენტრ. არქ. ფონდი 1446. საქმე 384.

<sup>489</sup> Известия С/Осет НИИ, т. XII, г. Орджоникидзе, 1948, стр. 248.

ამოიწურებოდეს. ვფიქრობთ, რომ მათი რაოდენობა ბევრად მეტია და აღმოჩენა-გამომზეურებას მოელის.

XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს განათლების კერებში, განსაკუთრებით კი თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში, სადაც სწავლა-აღზრდა კლერიკალურ-სქოლასტიკურ პრინციპებს ემყარებოდა, ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო საგრამატიკო დისციპლინების შესწავლაზე. გაიოზ რექტორი, რომელიც იმ დროის დიდი გრამატიკოსის ანტონ კათალიკოსის პრინციპებზე იყო აღზრდილი, თავისი მასწავლებლის საგრამატიკო იდეების პრაქტიკული გამტარებელიც იყო. თელავის სემინარიაში მისი ყოველი გამოსვლა მიძღვნილი იყო საგრამატიკო მეცნიერების განმარტებისადმი. „ვიწყებ ცხად ყოფად მოკლედ ჰაზრსა ღრამატიკისასა ვითარცა რასამე აწინდელისა შეკრებულებისა ჩვენისა (აცხადებს გაიოზ რექტორი თელავის სემინარიის გახსნის წლისთავზე — მ. დ.), რომელსაცა შინა თანა მოქმედ-მეყავნ მე უბრყვილო იგი ლოცუა მოძღურისა ჩემისა უუწმინდესისა მამა-მთავრისა და სემინარიისა ამის ღირეკტორისა მეფის ძის ანტონის, რომლისაგანცა მომიღიეს ამის ძვირფასისა სწავლულებისასა“<sup>490</sup>.

გაიოზი კაცობრიობის განვითარებისათვის ყველაზე საჭირო დისციპლინად გრამატიკას მიიჩნევდა და მოითხოვდა მისი სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას. „ყოველთა მათ ნიქთა შორის კეთილ-შობილთა რომელითაცა პატიოსნებს კაცი სხუათა ცხოველთა ზედა არს სიტყუა. რომელიცა მისცემიან კაცსა ღისაგან ამისათვის რათა ჰაზრი თვისი აზიაროს სხუათა... რათა იგი რაიცა აქუს გონებასა შინა, გამოუცხადოს სხუასა და შეამცნოს მას იგი“<sup>491</sup>. გაიოზი გრამატიკას ყველა მეცნიერებაზე მაღლა აყენებდა: „სარგებლობა ამისი (გრამატიკის სწავლებისა — მ. დ.) ესოდენ დიდი არს, რაოდენცა აწ განვრცელდების მეცნიერება პირსა ზედა ყოვლისა ქვეყნისასა. ფრიად უკუე ვიწროსა შინა ზღუდესა შეიწყუდეოდა, უკეთუ თვითეული კაცი ვერ შემძლებელ იქმნებოდა შემეცნებად ჰაზრისა თვისისა სხუათადა“<sup>492</sup>.

<sup>490</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (6v—7r). „მომამბე“, № 5, 1902 წ.

<sup>491</sup> იქვე (7r).

<sup>492</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (7r).

გაიოზ რექტორს ღრმად სწამდა რომ „ღრამატიკა არს ჰაზრი ფილოსოფოსებრი“<sup>493</sup> და „ვინადგან ღრამატიკასა შინა აქუსთ ყოველთა ცნობათა ესოდენი საჭიროება. ამისათვის დასაბამად ყოველთა ცნობათა დაუდევსთ ბრძენთა“<sup>494</sup>. გაიოზი გრამატიკის საფუძვლების სწავლებისას ყოველთვის მიუთითებდა, რომ მისი ავტორი ანტონ კათალიკოსია: „...რომელთა თვისცა უვრცელესად აღწერილი არს... (ანტონის — შ. დ.) მიერ მეორედ ქმნილსა ღრამატიკასა შინა“<sup>495</sup>. გაიოზი მიუთითებდა ანტონის მიერ მეორედ გადამუშავებულ და პირველთან შედარებით სრულყოფილ გრამატიკაზე. ანტონ კათალიკოსმა ჯერ კიდევ 1753 წელს ფილიპე ყაითმაზაშვილის დახმარებით გადმოიღო სომხურიდან ქართულ ენაზე მხითარის გრამატიკა, იგი ამბობდა, რომ „...ღრამატიკაი, თვინიერ იქვისა, არს კარი სიბრძნისა“<sup>496</sup>. სწორედ ამ სიბრძნის სიყვარულმა მიიყვანა ის კათოლიკე მისიონერებთან, რომელთა დახმარებითაც გაეცნო დასავლეთ ევროპის გრამატიკულ ლიტერატურას, სრულყო თავისი გრამატიკული ცოდნის დონე და 14 წლის შემდეგ, 1767 წელს, გამოსცა პირველთან შედარებით სრულყოფილი ვარიანტი. „ამისათვის ორ-გზის არა ვპრიდე შრომად ქმნისადმი ღრამატიკაისა“<sup>497</sup>. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ანტონ კათალიკოსმა პირდაპირ გადმოიღო მხითარის გრამატიკა: «...Антоний следовал ему в распределении и расположении грамматического материала, заимствовал многия общия определения грамматических категорий целиком... но то, что составляет грамматическую особенность каждого языка — звуковыя особенности, этимологические формы словообразования в обширном смысле слова, главным образом склонение и спряжение—изложено автором самостоятельно и сообразно с духом грузинского языка, резко отличающегося от грамматического строения армянского языка»<sup>498</sup>.

ანტონ კათალიკოსის „ღრამატიკა“ სახელმძღვანელო წიგნად იყო მიღებული თბილისისა და თელავის სემინარიებში.

გაიოზ რექტორი, რომელიც თვით ასწავლიდა სემინარიის მოს-

<sup>493</sup> ხელნ. ინსტ. Н—2291 (10v).

<sup>494</sup> ი ქ ვ ე.

<sup>495</sup> ი ქ ვ ე (7r).

<sup>496</sup> ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი, ქართული ღრამატიკა, თბილისი, 1885, გვ. 1.

<sup>497</sup> ი ქ ვ ე.

<sup>498</sup> А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка,

წავლევებს გრამატიკის საფუძვლებსა და ჰნიშვნელობას, გრძნობდა ანტონისეული გრამატიკის როგორც სახელმძღვანელოს ნაკლოვან მხარეებს, მის მძიმე, ძნელად ასათვისებელ ენასა და ტერმინოლოგიას, მაგრამ თავისი აღმზრდელის სიცოცხლეში ვერ ბედავდა ყოველივე ამის აშკარად აღნიშვნას. გაიოზ რექტორს რომ მზად ჰქონდა სახელმძღვანელო, ამაზე ნათლად მიგვითითებს ისიც, რომ 1787 წელს მან რუსულ ენაზე გადაიღო ქართული გრამატიკის საკუთარი ვარიანტი“<sup>499</sup>.

ანტონ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ (1788 წელი) გაიოზმა პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი თავისი იღვის განხორციელებას და გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, როგორც თვით იტყობინებოდა, ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო უკვე მზად ჰქონდა, „დასასრული ღრამატიკისა, დიდება ღ-სა სრულყოფელსა, წელსი 1798, თთუესა ოქტომბერსა 2, კრემენჩუგს. გაიოს“<sup>500</sup>. გაიოზ რექტორის გრამატიკას მოწონებით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა და ის სემინარიებში სახელმძღვანელო წიგნადაც გაუხდიათ. ამაზე მიგვითითებს ნ. გამრეკელის ჩანაწერებიც: „გაიოსისაგან დაბეჭდილი გრამატიკა საქართველოში სასწავლებლად ყოფილა ხმარებული, იმას თითქმის იმ მიზნით დაუბეჭდია იქ და ის მიზანი განუხორციელებია კიდევცა, რადგანაც მისი გრამატიკა ქართველებს ახტაცებით მიუღიათ. გაიოსის გრამატიკის უმთავრესი საჭიროება უფრო მითომ შეიქმნა, რადგანაც საქართველოში ხმარებული იყო ანტონ კათალიკოზის გრამატიკა, რომლის ღრამატიკის სიძნელე მაშინდელის ქართველის ახალგაზრდობის შესწავლასა და ცოდნას ერთობ უძნელებდა... რადგანაც დაწერილებია მეტის მეტის ძველის და გაუგებარის ენითა“<sup>501</sup>.

<sup>499</sup> ხელნ. ინსტ. S—35. ესაა „ქართული გრამატიკა“ თარგმნილი რუსულ ენაზე გაიოზის მიერ. ავტოგრაფიც გაიოზ რექტორისაა.

<sup>500</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. Т. I, вып. 3, № 244, СПб., 1894, стр. 145.

<sup>501</sup> ხელნ. ინსტ. H—2876, გვ. 31. „მცირე ქართული გრამატიკა“. აღსანიშნავია, რომ „მცირე ქართული გრამატიკის“ სახელით მოიხსენიებდა გაიოზის ნაშრომს თეიმურაზ ბატონიშვილიც: „ღრამატიკა მოკლედ (შედგენილი— მ. დ.) გაიოზისაგან, რომელიცა იყო არხიმანდრიტობასა შინა თვისსა თელავის აზნაურთა და სამღვდელთა სასწავლებელთა დირექტორი, ეამსა საქართველოს მეფეთასა და შემდგომად იქნა იგი აშთარხანს არხიეპისკოპოსი“.

А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, № 174, СПб., 1886, стр. 173.

თუ გამრეკელს დაუუჭერებთ, ირკვევა, რომ „გაიოზს 1785 წ. უკვე მზადაც ჰქონდა „გრამატიკის სახელმძღვანელო“<sup>502</sup>. რით დაიბნაბურა უპირატესობა გაიოზის მიერ შედგენილმა მცირე ქართულმა გრამატიკამ? მან საქმის უდიდესი სიყვარულითა და ღრმა ცოდნით საგრძნობლად შეამცირა და გადაახალისა ანტონის გრამატიკა. «Он мало отстывает от грамматики Антония, которую сокращает весьма удачно и со знанием дела»<sup>503</sup>; შეიტანა თვალსაჩინო ცვლილებები ეტიმოლოგიაში: «Гайоз признает только одно склонение, говоря, что имена склоняются в грузинском языке одинаково во всех падежах, за исключением родительного падежа, для которого дает несколько совершенно достаточных правил. В этом состоит его неоспоримая заслуга»<sup>504</sup>.

გაიოზის „გრამატიკას“ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქციეს, მისი ღირსება რუსმა ენათმეცნიერებმაც კი აღნიშნეს: «В конце 80-х годов XVIII в. явились первая печатаная в России грамматика грузинского языка (на грузинском). Она вышла в Кременчуге 2-го октября 1789 г. ...автором ее был природный грузин, одно время ректор грузинской семинарии, впоследствии архиепископ Гайоз. Грамматика Гайоза мало отстывает от грамматики Антония, представляя собой удачное ее сокращение»<sup>505</sup>.

ქართველმა საზოგადოებრიობამ, რომელიც ყოველთვის დანიტერესებული იყო გაიოზის სამეცნიერო-ლიტერატურული შემკვიდრობის აღნუსხვით, პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა ცნობა გაიოზის გრამატიკის ხელნაწერის აღმოჩენის შესახებ. „ამ რვეულებში ურევია სხვათა შორის ღრამატიკა გაიოზი ეპისკოპოზისა. ის არის დაწერილი თვით მისი ხელით და იმის სიკვდილის შემდეგ იგი მიუღიათ იმის მონათესავე, მალაროს ნაცვალოვებს, დაწერილია შავ ქაღალდზე, მაგრამ წმინდათ და გარკვევით. ამ ღრამატიკით ენის სწავლა რასაკვირველია არ შეიძლება, მაგრამ ახალი ღრამატიკის შედგენის ღროს შეიძლება სარგებლობა“<sup>506</sup>.

<sup>502</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, № 174, СПб, 1886, стр. 32.

<sup>503</sup> А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873, стр. 35.

<sup>504</sup> იქვე.

<sup>505</sup> С. Булич, Очерки истории языкознания в России, т. I, СПб., 1904, стр. 479.

<sup>506</sup> გაზ. „ღრობა“ № 42, 1871.

გაიოზის პიროვნებითა და მისი მემკვიდრეობით დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ ოცდაერთი წლის შემდეგაც ქართული პრესა კვლავ იხსენიებდა მის გრამატიკას: „ამ დღეებში ჩვენა ვნახეთ გაიოზ ნაცვლიშვილის ქართულ-რუსული გრამატიკა, დაბეჭდილი 1802 წ. პეტერბურგში. ეს გრამატიკა მან პირველად კრემენჩუგში დაბეჭდა 1793 წელს და მეორედ, შეცვლილი 1802 წელს დაუბეჭდია. ეს წიგნი „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ შეუწირავს. ამ გრამატიკის მეორედ დაბეჭდვის შესახებ, თუ არ ვცდებით, დღემდე არავითარი ცნობა არ იყო ჩვენს მწერლობაში“<sup>507</sup>. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რას გულისხმობდნენ აღნიშნული ცნობის ავტორები. თუ მათ მხედველობაში ჰქონდათ გაიოზის ქართული გრამატიკა, ის დაიბეჭდა კრემენჩუგში 1789 წელს და შესაძლებელია მეორედ პეტერბურგში გამოიცა 1802 წელს, მაგრამ თუკი ცნობის ავტორებს მხედველობაში ჰქონდათ, რომ ნახეს „გაიოზ ნაცვლიშვილის ქართულ-რუსული გრამატიკა“, დაბეჭდილი 1802 წელს პეტერბურგში, რომელიც ადრე კრემენჩუგში გამოსცეს 1793 წელს, მაშინ ეს ფრიად საინტერესო ცნობაა. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ კრემენჩუგში ყოფნის დროს გაიოზმა რუსულ ენაზე თარგმნა თავისი გრამატიკა (1787 წელს), რომლის დედანი დღეს საქართველოს ზელნაწერთა ინსტიტუტში ინახება<sup>508</sup>. თუ ცნობის ავტორებს რუსულ-ქართული გრამატიკის ნაბეჭდი უგზემპლარი აქვთ ნანახი, მაშინ შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, რომ გაიოზ რექტორის სამეცნიერო-ლიტერატურულ მემკვიდრეობას კიდევ ერთი ნაბეჭდი წიგნი შეემატება.

<sup>507</sup> გაზ. „ივერია“ № 69, 1892.

<sup>508</sup> ხელნ. ინსტ. S—35.



## თ ა ვ ი I V

### გაიოზ რექტორის მოღვაწეობა თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებში

გაიოზ რექტორის მოღვაწეობა თავის სამშობლოში განათლების სარბიელზე მხოლოდ 2—3 წლით განისაზღვრება, მაგრამ ამ უმოკლეს დროშიც მან უდიდესი ამაგი დასდო ეროვნული კულტურისა და მეცნიერების საქმეს. თანამედროვეების და მისი ისტორიის მკვლევარების გაოცებას იწვევდა გაიოზის შრომისმოყვარეობა და ერუდიცია. მრავალი სასიკეთო საქმით, განსაკუთრებით კი თელავის სემინარიის დაარსებით, მან სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლ შესანიშნავ ისტორიულ პიროვნებებს შორის.

გაიოზმა, სწავლა-აღმზრდელობითი ცენტრების საუკეთესო ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, თავდაპირველი პედაგოგიური ჩვევები თბილისის სემინარიაში მიიღო, რომლის რექტორობაც მას წილად ჰხვდა XVIII საუკუნის 80-იან წლებში. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა მემკვიდრეობა დახვდა გაიოზ რექტორს თბილისის სემინარიაში, საჭიროა ძალიან მოკლედ მიმოვიხილოთ თბილისის სემინარიის დაარსების წინა პერიოდი.

XVIII საუკუნის I ნახევარში საქართველოში ეპარქიალურ და კერძო სასწავლებლებში, სადაც შეჰყავდათ 7—14 წლის ბავშვები, სწავლების დონე დაბალი იყო. მართალია, იმ პერიოდში სწავლა-განათლების საქმემ ფართოდ მოიკიდა ფეხი, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო ცენტრალიზებული, არ არსებობდა ერთიანი სასწავლო გეგმები. ეპარქიათა მესვეურნი თავიანთი შეხედულების მიხედვით ადგენდნენ „სასწავლო გეგმებს“. შეზღუდული იყო საგნების რაოდენ-

ნობაც. ვახტანგ VI-ის დროისათვის სასწავლებლებში ძირითად საგნებად ითვლებოდა „საღრმთო წერილი და ფილოსოფია“<sup>509</sup>.

XVIII ს. მეორე ნახევარში, როდესაც ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს ერეკლე II ჩაუდგა სათავეში, ხოლო სასულიერო იერარქიას — ანტონ I, სწავლა-განათლებამ ცენტრალიზებული ხასიათი მიიღო. გაიზარდა საგანთა რაოდენობა და მათი სწავლების ხარისხიც. „ასწავებდნენ აქა (ე. ი. თბილისის სკოლებში) წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრამატიკას, კატეხიზმოს ანტონ კათალიკოზისა სისტემითა, ძველთა სამეფოთა ისტორიათა და სხვა“<sup>510</sup>. ამაზევე მიგვითითებენ საეკლესიო ისტორიის ცნობილი მკვლევარი ეპისკოპოსი კირიონი<sup>511</sup> და იოანე ქართველიშვილი თავის „მემუარებში“<sup>512</sup>.

«Кроме церковных книг не имели пред сим, а ныне (მხედველობაშია ანტონ I კათალიკოსის პერიოდი — მ. დ) пред недавним временем переведены на грузинский язык католикосом (Антонием) богословие, философия, логика, риторика, физика и сделана грамматика, которым и начали уж обучаться»<sup>513</sup>.

სახელმძღვანელოების შედგენას რომ უღიღესი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს კარგად იცოდა ანტონ I-მა. ამიტომაც ცდილობდა დიდი რაოდენობით დაემზადებინა სახელმძღვანელოები. მან „შეკრიბა საუკეთესო მწერალნი და მოკანანახეს ხელქვეით ოცი და ოცდაათი ცალი ერთსა და იმავე დროს იწერებოდა და ვრცელდებოდნენ სახელმძღვანელო წიგნები“<sup>514</sup>. ხელნაწერი წიგნების დიდი რაოდენობით არსებობაზე მიგვითითებს რუსული საისტორიო წყაროც, სადაც აღ-

<sup>509</sup> მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, ტფილისი, 1886, გვ. 127; П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, кн. I, Тифлис, 1898, стр. 118.

<sup>510</sup> პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936, გვ. 179.

<sup>511</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, СПб., 1891, стр. 218.

<sup>512</sup> გაზ. „ივერია“, № 203, 204, 253, 255, 262. „მემუარების“ ავტორი აღნიშნავდა, რომ მას სხვა საგნებთან ერთად ასწავლიდნენ „ფისიკას“.

<sup>513</sup> Е. Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 161.

<sup>514</sup> პ. კ ა ჯ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთ-პოპულანი, თფილისი, 1900, გვ. 152.

ნიშნულია, რომ ხელნაწერი წიგნები «употребляются все в Тифлисе по школам рукописными»<sup>516</sup>.

1755 წლის 1 იანვარს 6-საუკუნოვასი იძულებითი შესვენების შემდეგ თბილისში, ძველი ანჩისხატის<sup>518</sup> ეზოში ანტონ კათალიკოსის თაოსნობით მისივე სასახლესთან გაიხსნა პირველი სემინარია, სადაც საუკუნეების მანძილზე ეკლესიის განათლებული მსახურნი მწიგნობრობას იმისდევდნენ და აწავლიდნენ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების შეილებს. სემინარიის შესასვლელი კარის თავზე ჩასმული იყო ქვა, რომელზეც ასომთავრულით ეწერა: „ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! ესე არა რაი არს, გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჭე ზეცისა! შექმნ 28. 17. მეფობასა თეიფურაზისა და ძისა მისისა ერეკლესა, პატრიარქობასა ანტონისსა 1775 იანვრის 9“<sup>517</sup>.

არსებობს მოსაზრება, რომ სემინარიის გახსნის იდეა ანტონ პირველს ჯერ კიდევ 1752 წელს დაებადა, მას ამ პერიოდისათვის შემუშავებული ჰქონია სასწავლებლის წესდებაც და პროგრამაც<sup>518</sup>. მართალია, აღნიშნული მოსაზრება საარქივო მასალების უკმარისობის გამო ჰიპოთეზად რჩება, მაგრამ ინტერესს მოკლებული შინაგან არ არის. სავარაუდოა, რომ ანტონ I ჯერ კიდევ რუსეთში გადასახლებაში იცნობდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სასწავლებლების ცხოვრებას და შეეძლო პროგრამისა და წესდების შედგენა, რომელიც მან შემდგომ სრულყო, განავითარა და დანერგა კიდევ.

თბილისის სემინარიაში სწავლების საქმე თანდათან უმჯობესდე-

---

<sup>515</sup> Историческое изображение Грузии в политическом, церковном, и учебном ея состоянии, СПб., 1802, стр. 78.

<sup>516</sup> 3. კ ა რ ბ ე ლ ა შ ე ი ლ ი ს ცნობით, „ანჩისხატის ტაძარს ძველ დროშივე ეძახდნენ „ზარის საყდარს“, რადგანაც არაბების დროსვე ჰქონდათ უფლება ზარის რეკვისა, როგორც საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ტაძარს თბილისში“ „ძველი ანჩისხატის ტაძარი“, ტფილისი, 1902, გვ. 4). „ანჩისხატის ტაძარი, უძველესი დროიდან მოკიდებული კულტურის და განათლების ცენტრად ითვლებოდა, სადაც თავს იყრიდნენ საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და მგალობელნი, რომელნიც თავისუფალ დროს ახმარდნენ ყრმათა აღზრდა-სწავლებასა“ (იქვე, გვ. 8). თავად-აზნაურთა და სამღვდელოების უმაღლესი წარმომადგენლები თავიანთ შვილებს, როგორც წესი, სწავლა-განათლების მისაღებად ანჩისხატის ტაძართან არსებულ სასწავლებელში აბარებდნენ.

<sup>517</sup> 3. კ ა რ ბ ე ლ ა შ ე ი ლ ი, ივარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი, თფილისი, 1900, გვ. 151.

<sup>518</sup> ა. რ ო გ ა ვ ა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950, გვ. 76.

ბოდა, იზრდებოდა სასწავლო საგანთა რაოდენობაც. იმის შესახებ, თუ რა საგნები ისწავლებოდა თბილისის სემინარიაში, ცნობებს გვაწვდიდა დავით რექტორი: „... ანტონი კათალიკოსმა მცხეთისამან: საქართველოს მეფის იესეს ძემან ბაგრატივანმან, რუსეთს ვლადიმირს ყოფასა თ<sup>ს</sup>სა, რუსულით ქართულსა ენასა ზ<sup>ა</sup> გარდმოილო ვოლფიოს ფილოსოფოსისა და სხვათა ფილოსოფოსთა წიგნნი: ფისიკა, ფილოსოფია, თეორეტიკა, რომელი თვით მე ალექსის ძემან კახეთის სამეფოსა რექტორმან დავით დავისწავლე ახსნითა ტფილისს სამეუფეოსა ქალაქსა სემინარიისასა შინა და შ<sup>დ</sup> მოწაფეთა ჩემთა სხოლასა შინა ვასწავებდი“<sup>519</sup>. დავით რექტორი მკაფიოდ მიგვითითებს, რომ მისი რექტორობის დროსაც ის საგნები ისწავლებოდა თელავის სემინარიაში, რომლებიც მას შეუსწავლია თბილისში.

ამ დროს დაიწყო გაიოზი თბილისის სემინარიის რექტორის პოსტზე ანტონ კათალიკოსის რეკომენდაციით.

ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მომთაბარე და ბარბაროსი ტომების არა ერთი და ორი შემოსევა განუცდია, რომლებსაც, როგორც წესი, თან მოსდევდა ქვეყნის ეკონომიური გაჩანაგება და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის დაცემა. ერთ-ერთი ასეთი და უკანასკნელი იყო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა, რომელმაც ერთხელ კიდევ შეარყია საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკური სიძლიერე და განადგურა საქართველოს გულის — თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები. განადგურებას ვერ გადაურჩა ანჩისხატის ტაძრის ეზოში აშენებული სემინარიაც: «...все было ограблено, все было сожжено, учрежденная царем Ираклием семинария, где преподавались европейские науки, возобновленная им же типография, о которой он так заботился, — все исчезло»<sup>520</sup>.

ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის განადგურებამ მკვლევრებს მოუსპო საშუალება განათლების დარგის ისტორიის შემსწავლელთათვის მიეწოდებინათ მასალები თბილისის სემინარიის შესახებ. თბილისის ნანგრევებთან ერთად დაიმარხა ის ძვირფასი საბუთები, რომლებიც ნათელს მოჰფენდა თბილისის სემინარიის მუშაობის საკითხებს, განსაკუთრებით — გაიოზ რექტორის მოღვაწეობას.

<sup>519</sup> ხელნ. ინტ. Q—401 (96r).

<sup>520</sup> М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской Империи, Кутаис, 1901, стр. 20.

ა. ხახანაშვილი გვაწვდის ცნობას (თუმცა არ მიუთითებს რა მასალებს ეყრდნობა), საიდანაც ვგებულობთ, რომ «образование докончил в открытой царем Ираклием Тифлисской школе, преобразованной впоследствии Гайозом в семинарию»<sup>821</sup> ეს უფლებას გვაძლევს. ვიფიქროთ: მოსკოვის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულმა გაიოზმა თვალნათლივ შეამჩნია, რომ რუსულ სკოლას, რომელიც თეოფანე პროკოპოვიჩის მიერ შედგენილ და პეტრე პირველის მიერ დამტკიცებულ ტიპიკონს ემყარებოდა, დიდი უპირატესობა ჰქონდა ქართულ სკოლებთან შედარებით და გადაწყვიტა ამ უკანასკნელთა რეორგანიზაცია. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ გაიოზი თავის შეხედულებებს გაუზიარებდა ჯერ ანტონ კათალიკოსს, რომელიც იცნობდა და აღიარებდა რუსული სწავლავანათლების სისტემის უპირატესობას, რადგანაც პირადად გაეცნო მას რუსეთში იძულებითი ყოფნის დროს, ხოლო შემდეგ — სწავლავალზრდის დიდ მეცენატს ერეკლე II-ს.

მათი თანხმობის მიღების შემდეგ შეუდგა გაიოზი თავისი იდეების განხორციელებას — გარდაექმნა თბილისის სკოლა მოსკოვის ბერძნულ-სლავურ-ლათინური აკადემიის ყაიდაზე. არ ვიცით, განახორციელა თუ არა თავისი მიზანი რექტორმა თბილისის სემინარიაში, რადგანაც სათანადო მასალები არ გავაჩნია. მაგრამ ვიცით, რომ გაიოზი თბილისის სასულიერო სემინარიაში დიდხანს არ დარჩენილა, რადგანაც საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო ის, როგორც დიპლომატი, რუსეთის ზღვარსაღმებლების მიერ გაწვეულ იქნა საქართველოდან.

ორი წლის შემდეგ გაიოზი კვლავ დაბრუნდა თბილისში. საქართველოს მესვეურთა მხოლოდ ძალიან ვიწრო წრემ იცოდა, რომ გაიოზ რექტორის ჩამოსვლა ძირითადად საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. გაიოზმა თავის დიპლომატიურ მისიას ბრწყინვალედ შეუხამა დიდი ეროვნული საქმე — თელავის სემინარიის გახსნა. მხოლოდ დიდი ენერჯისა და ნიჭის ადამიანს შეეძლო ერთდროულად გასძლოლოდა ორ ისეთ დიდ საქმეს, როგორც XVIII საუკუნის მიწურულს საქართველოს საგარეო საქმეთა მოგვარება და ქვეყნის განათლების საკითხის გადაწყვეტა იყო. გაიოზ რექტორი ორივე საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეციდა.

<sup>821</sup> А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, Москва, 1902, стр. 326.

თელავის სასულიერო სემინარია გაიოზმა შექმნა ფილოსოფიური სკოლის ბაზაზე, სადაც უკვე არსებობდა სწავლა-აღზრდის დაკანონებული წესი<sup>522</sup>. აქ განახორციელა სრულყოფილად მან ანტონ კათალიკოსისა და ერეკლეს თანხმობით თავისი დიდი ხნის იდეა — გაეხსნა სასწავლებელი რუსულ ყაიდაზე. მას და ანტონ კათალიკოსს უნდოდათ თელავის ახლად გახსნილ სასულიერო სემინარიაში დაენერგათ სწავლა-აღზრდის შედარებით ის პროგრესული მეთოდები, რომლებიც ერთმა პირადად ნახა, ხოლო მეორემ შეისწავლა და შეითვისა. „ამათ ორივეს ძლიერ მოსწონდათ აქაური (ე. ი. რუსული—შ. დ.) წესები და ამჯობინებდნენ იმ დროს საქართველოში მყოფ წესებს სწავლის შესახებ, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი მომეტებულად რუსულს ნიადაგზე დააფუძნებდნენ ამ ახალ სემინარიასაც თელავში“<sup>523</sup>.

თელავის სასულიერო სემინარიის გახსნას თვით გაიოზ რექტორი ასე აგვიწერს: „მოქმედება დღესასწაულობით დაწყებასა ზედა ახლისა სემინარიისა ქალაქსა შინა თელავს, თთვესა მაისს, 28, დღესა შა-

---

<sup>522</sup> თელავში სასწავლებლის გახსნა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. იმ პერიოდში თელავი წარმოადგენდა კახეთის სამეფოს ცენტრს — დედაქალაქს, სადაც მრავლად იყრიდნენ თავს უცხო ქვეყნების საეკვრო კაპიტალისა და პოლიტიკურ საქმოსანთა წარმომადგენლები, სამეფო კარის მომსახურე პერსონალი და შიდა და გარე-კახეთის დიდგვაროვანნი.

ერეკლე 11-მ თელავში გახსნილ ახალ სასწავლებელს დიდი ამოცანები დაუსახა. მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის პარალელურად იქ გარკვეული შემოქმედებითი მუშაობა უნდა გაშლიყო. ექვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ თელავის სკოლაში დანერგილი იქნებოდა სწავლების ის მეთოდი და სისტემა, რომელიც თბილისის სემინარიაში იყო. თელავის სკოლაში რომ სწავლება მაღალ დონეზე იდგა, ამას ნათლად გვიდასტურებს დოსითეოს ჩერქეზიშვილი, რომელიც აღნიშნული სასწავლებლის ერთ-ერთი პირველ მსმენელთაგანი იყო. თავდაპირველად სკოლაში მოსწავლეთა ასაკი არ ყოფილა. განსაზღვრული: „...ხოლო ყრმად ვიტყვი უმცირების ძალით და არა პასაკით“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—69 (1394). პირველმსმენელებად აქ გვევლინებიან მღვდელნი და „ზოგ-ზოგნი ეპისკოპოსნიც“. „მიბრძანა მეცა მდაბალსა ეპისკოპოსსა ნეკრესისა დოსითეოსს, თან-მესხოლესა პირველსა მესხოლეთასა...“ (ხელნ. ინსტ. H—69 (139r). ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ თელავის სკოლა უმაღლესი ტიპის სასწავლებელი იყო. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებში (ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1950 წ.) თელავის სასწავლებელს „ფილოსოფიურ სკოლასაც“ უწოდებენ. რაც დასაშვებად მიგვაჩნია.

<sup>523</sup> ეურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 116.

ბათსა, წელსა 1782, დროსა ყოვლად უბრწყინვალესისა და უკეთილ-  
მსახურებისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართველოსა,  
მამათმთავრობასა უწმინდესისა და უნეტარესისა პატრიარხისა და სე-  
მინარიისა ამის სრულისა დირექტორისა და პროტექტორისა და აქა-  
ურთა გნოხისთა დიდასკალოსისა მეფის ძის ანტონისა, რომელსაცა  
მონების ერთგულებით მიართმევს ამათ უსამღვდელოესთა პირთა  
მისვე სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი გაიოს“<sup>524</sup>.

სემინარიის გახსნა უდიდესი ზეიმი იყო იმდროინდელი ქართველი  
საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილისათვის. გაიოზმა სათანა-  
დოდ მოაშადა შესაფერისი ცერემონია, აკურთხა სასწავლებელი,  
შემდეგ „აზიარა სემინარისტნი წმინდასა საილუმლოსა“<sup>525</sup>. დამსწრე  
საზოგადოებისა და სემინარისტებისათვის გაუცნიათ სემინარიის  
წესდება — „ეპისტოლე იმისის უწმინდესობისა (ე. ი. ანტონის —  
მ. დ.) სემინარისტადმი ბრძანებული, და ინსტრუქცია, რექტორი-  
სადმი ბოძებული, და ეგრეთვე ოქმნი იმისის მეფობის დიდებულობი-  
სანი სახმართათვის სემინარიისათა“<sup>526</sup>. როგორც ვხედავთ, გაიოზ  
რექტორს საზეიმო ცერემონიის ყოველი დეტალი წინასწარ ჰქონია  
მოფიქრებული და გადაწყვეტილი.

სემინარიის გახსნის მთელი პროცედურიდან ყველაზე მნიშვნე-  
ლოვანი იყო გაიოზ რექტორის სიტყვა, რომელშიც მან ხაზი გაუსვა  
ეროვნული განათლების ცენტრის გახსნის საქმეში „მზრუნველისა  
და მომჭირნის“ ერეკლე II-ისა და „დამაფუძნებლისა და სრულმყო-  
ფელის მეცნიერებისა“ ანტონის უდიდეს დამსახურებას. გაიოზმა  
ხოტბა შეასხა ერეკლეს უდიდეს მისწრაფებას — გაეხსნა სასწავლე-  
ბელი, რათა მოეზადებინა ქვეყნისათვის განათლებული ადამიანე-  
ბი: „...აღაორძინა ჰაზრი თვისი წადილსა, ე. ი. რათა სამეფო თვისი  
ჰყოს მოკრძალებულად ყოვლად მტყიცითა სიბრძნითისა ბედნიერო-  
პისა ზღუდითა, რათა ყოველი საქართველოი ესდენ ბედნიერ იყოს

<sup>524</sup> ეურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 98.

თელავის სასულიერო სემინარიის დაარსების თარიღის შესახებ დიდი ხნის  
განმავლობაში არსებობდა აზრთა სხვაობა. ზოგი მეცნიერის (ა. ცაგარელი, ს. კა-  
კაბაძე, ა. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე) აზრით, ის გაიხსნა 1783 წელს, პ. უმიკაშვი-  
ლის აზრით — 1784 წელს. სინამდვილეში თელავის სემინარია გაიხსნა 1782 წლის  
28 მაისს (ნ. მთვარელიშვილი, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ტ. რუხაძე და სხვ.).

<sup>525</sup> ეურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 99.

<sup>526</sup> იქვე, გვ. 100.

რაოდენცა შესაძლებელი იყოს ბედნიერება კაცისა შეწევნითა და მომ-  
ჭირნობითა ესოდენ ძლიერისა და კეთილ მსახურისა ხელმწიფისა“. გაიოზი აღნიშნავდა, რომ „ჰაზრი დაშფყებლისა ამისა ყოვლად უწმინ-  
დესისა საქმისა კეთილ მსახურისა მეფისა ჩვენისა, რათა ჩვენ ყო-  
ველნი ვიქმნეთ განათლებულ ნათლითა მეცნიერებისითა, რომლისათ-  
ვისცა წარმოდგომილი ამას ახლად დაფუძნებულსა უსამღვდელოეს-  
სა ადგილსა ზედა წინაშე პატიოსნებისა თქვენისა ვჰყო სჯასა თუ ვი-  
თარი სხვაობა არს შორის მეცნიერებასა და უმეცრებისა“<sup>527</sup>. ამის  
შემდეგ გაიოზი გადადის „მეცნიერებისა და უმეცრების“ ახსნაზე და  
თავის პედაგოგიურ შეხედულებებს ავითარებს.

გაიოზი თელავის სემინარიის გახსნის საქმეში მარტო არ ყოფი-  
ლა, მას შემოკრებილი ჰყავდა „ძენიცა მამულისა ჩვენისა“, რომლე-  
ბიც იყვნენ „მოსწრაფე განვრცობისათვის ამის ძვირფასისა საქ-  
მისა“<sup>528</sup>.

გაიოზ რექტორს გულმხურვალედ უყვარდა თავისი სემინარია და  
ცდილობდა ეს გრძნობა ჩაენერგა სემინარისტებისა და სხვებისათ-  
ვის. სემინარია, მისი ღრმა რწმენით, უწმინდესი ადგილია, რომლის  
კარიც ყოველმა აღამიანმა მოწიწებით უნდა შეალოს. „წარმოდგო-  
მისა ამას სამლუდელოსა და ღირს სახსენსა ადგილსა არ ძალმიცს—  
შესაბამისი სიტყვის მოჰხსენებად თქუენდა“<sup>529</sup>, — ამბობდა იგი.

გაიოზის აზრით, თელავის სემინარიის გახსნა უდიდესი საშვი-  
ლიშვილო საქმე იყო, „ერისთვის კახეთისა და ყოვლისა საქართვე-  
ლოისა“, რომელსაც შინა ... სათნოდ კაცთა აღიზრდებიან შვილნი და  
შვილის-შვილნი თქვენნი და მომავალი ნათესავნი“<sup>530</sup>.

გაიოზ რექტორმა თელავის სემინარიაში მოსწავლეთა მიღება ახა-  
ლი პრინციპით ჩაატარა, რომელიც „რელამენტს“ ემყარებოდა,  
თუმცა მან აქაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა. პროკოპოვიჩის  
წესის მიხედვით სასწავლებელში მიიღებოდნენ 10—15 წლის მოზარ-  
დები, მაშინ როდესაც თელავის სემინარიაში „წვრილთა სემინარისტ-  
თაგან ითქვა სიტყვა განცვიფრებითი და მაწვევლობითი სიბრძნისათ-  
ვის“<sup>531</sup>, რაც იმას მოწმობს, რომ სემინარიაში შეიძლებოდა მიეღოთ

527 უერნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 101.

528 ხელნ. ინსტ. H—2291. (11r).

529 ი ქ ვ ე, (5r).

530 ხელნ. ინსტ. H—2291 (5r).

531 ი ქ ვ ე, (4r).



„წერილი სემინარისტები“ — მოზარდები 10 წლის ასაკიდან. ბუნებრივია, რომ ასაკობრივი სხვაობა გამოიწვევდა მაღალი და დაბალი ჯგუფების არსებობას. სემინარიაში გაიოზ რექტორის ინიციატივით შექმნილი იყო ასაკობრივი ჯგუფები, რომელთა ცოდნის დონეც განსხვავებული იყო, ამას თვით გაიოზი აღნიშნავდა: „...სადაცა იხილავ (მიმართავს ერეკლე II-ს — მ. დ.) ნერგთა სიტყვიერთა რომელთამე მიწვენულთა ნაყოფისა გამოღებად, რომელთამე ყუავილოვნებად, რომელთამე ფურცელთა გამომღებლად და რომელთამე აღმწვანებულად“<sup>532</sup>. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ერეკლე მეფის სტუმრობის პერიოდში სემინარისტები სულ ცოტა 4 სხვადასხვა მომზადების დონის მქონე ჯგუფად იქნებოდნენ დაყოფილნი: „ნაყოფის გამომღებად“, რომლებიც უკვე მზად არიან ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად (აბლანდელი დამამთავრებელი კლასი), „ყუავილოვნებად“, „ფურცელთა ამომღებად“ და „აღმწვანებულად“, რომლებიც სწავლის სხვადასხვა სტადიაზე იყოფებოდნენ და ითვისებენ სიბრძნის სხვადასხვა დარგებს.

გაიოზ რექტორმა ასე შეცვალა სასწავლებელში მიღების ძველი წესები, რომლებიც თელავის სკოლას ჰქონდა და განისაზღვრებოდა ყრმათა „უმეტრების ძალით“, როგორც აღნიშნავდა ცნობილი მწიგნობარი დოსითეოზ ჩერქეზიშვილი“<sup>533</sup>.

სწავლების პროგრესული მეთოდები კი დანერგა, მაგრამ გაიოზის „რეფორმა“ სხვა მხრივ, სოციალური თვალსაზრისით, წინ არ წასულა, ის ბოლომდე გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი დარჩა. მის დროს თელავის სემინარიის კარი არ გაღებულა დაბალი წოდების წარმომადგენლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ დავით ბაგრატიონი გვატყობინებს: «Телавское училище открыть было для всех сословий грузинского народа»<sup>534</sup>. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახლად გახსნილ სასულიერო სემინარიაში მხოლოდ პრივილეგიური კლასის წარმომადგენლებს ღებულობდნენ. აკი აღნიშნავდა თეიმურაზ ბატონიშვილი, რომ მან ისწავლა „...ღრამატიკა მოკლედ გაიოზისაგან, რომელიც იყო არხიმანდრიტობასა შინა თვისსა

<sup>532</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“ № 1, 1963, გვ. 70.

<sup>533</sup> ხელნ. ინსტ. H—69 (139r).

<sup>534</sup> დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის ე.მ.ოხილვა: მუხლი 180, თბილისი, 1959, გვ. 258.

თელავის აზნაურთა და სამღვდელთა სასწავლებელთა დირექტორი...“<sup>535</sup>.

საგულისხმოა, რომ თელავის სემინარიაში სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც ღებულობდნენ. ცნობილი ისტორიკოსი და მკვლევარი ზ. ჭიჭინაძე გვაწვდის ცნობებს, რომ „თელავის სემინარიაში ანტონ კათალიკოზმა ოსთა შვილებიც მიაღებინა მოსწავლედ, რომელთაც კარგად უმზერდა იმავე სემინარიის რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი“<sup>536</sup>.

სასწავლებელში მოძმე ოსი ხალხის წარმომადგენელთა მიღება იმ ტრადიციის გაგრძელება იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა ქართველ და ოს ხალხს. საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს ამ ნაბიჯის გადადგმით უნდოდათ აღედგინათ ძველი ტრადიციები და ურთიერთკავშირი, რომელიც ორ მოძმე ერს შორის არსებობდა. ამის ნათელი დადასტურებაა გაიოზ რექტორის, როგორც ოსეთის კომისიის მთავარი წევრის, მოღვაწეობა და ის დიდი პატივისცემა, რომელიც მან დაიმსახურა ოსი ხალხისაგან, რაშიც გარკვეული როლი მიუძღვის მათ შორის თელავის სემინარიის საშუალებით დამყარებულ კავშირ-ურთიერთობას.

ახალი ტიპის სასწავლებლის შექმნის შედეგად გაიოზ რექტორმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა სასწავლო დისციპლინებშიც, მან ისინი უფრო სრულყოფილი, კონკრეტული და ვიზანდასახული გახადა. გაიოზის მიერ რუსული ტიპიკონის ყაიდაზე შემოღებული სწავლების ორგანიზაცია არსებითად განსხვავდებოდა სწავლების იმ ფორმებისაგან, რომლებიც ანტონ კათალიკოსის მიერ ანჩისხატის ეზოში დაარსებულ თბილისის სასწავლებელს ჰქონდა. სასწავლო დისციპლინები დიდი რაოდენობით თბილისისა და თელავის სკოლებშიც ისწავლებოდა, მაგრამ არა ერთიანი სასწავლო გეგმითა და პროგრამებით.

ანტონ კათალიკოსის მიერ გაიოზის შესახებ სინოდისადმი მიწერილი წერილიდან ვგებულობთ, თუ რა საგნები ისწავლებოდა თბილისის სასწავლებელში, ესენია: „ღრამატიკაი, პიტიკაი... რიტორი-

<sup>535</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, № 114, СПб., 1894, стр. 173.

<sup>536</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, ტფილისი, 1913, გვ. 220.

კაი, ლოლიკაი ბაუმისტერისა, ქუეთქმულეზანი ძუელისა სხოლასტიკოსისა არისტოტელესნი, მეტაფიზიკა ბაუმეისტერისავე, ფიზიკაი და სხუა და სხუათაგან ფილოსოფოსთა ქმნილნი, ფილოსოფიაი მორალი მისვე ბაუმეისტერისვე“<sup>537</sup>.

როგორც ვხედავთ, სასწავლო საგნები საკმაო რაოდენობითა დასახელებული, მაგრამ საფიქრებელია, რომ მათი გადაცემის ორგანიზაცია არ იქნებოდა არც სისტემატური და არც სრულყოფილი. ახალი ტიპის სასწავლებლს შექმნით გაიოზ რექტორმა სასწავლო დისციპლინების სწავლებას განსაზღვრული ორგანიზებული ფორმა მისცა, ისეთი, როგორც მოსკოვის ბერძულ-სლავურ-ლათინურ აკადემიაში იყო.

რა დისციპლინები ისწავლებოდა მოსკოვის აკადემიაში და რა საგნების სწავლება შემოიღო თელავის სემინარიაში გაიოზ რექტორმა? ფ. პროკოპოვიჩის „რელამენტის“ მიხედვით, რუსეთის სასწავლებლებში რეკომენდებული იყო შემდეგი სასწავლო დისციპლინები: „ღრამატიკა ერთად, ღეოღრაფიითა და ისტორიითა, არიზმეტიკა და ღეომეტრია, ლოღიკა ანუ ღიაღექტიკა, რიტორიკა ერთად ანუ გყოფით შორის სწავლით, ფისიკა შეერთებითა მოკლითა მეტაფისიკითა, პოლიტიკა მოკლე... და იქნებაცა განსჯისამებრ... ლოღიკაც“<sup>538</sup>. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ღრო დათმობილი ჰქონდა ღეთისმეტყველებას, რომელიც სასწავლო დისციპლინებს შორის ყველაზე ფართო მოცულობით იყო წარმოდგენილი. თუ დავით ბაგრატიონის მონაცემებს დავეყრდნობით, დავინახავთ, რომ გაიოზ რექტორს თითქმის მთლიანად გაღმოუღია სასწავლო საგნები. ამ სასწავლებლებში, გვამცნობს დავით ბაგრატიონი, ეხება რა თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარიებს, ისწავლებოდა შემდეგი საგნები: «Закои божий и церковная история, отечественный язык... грамматика, риторика, философия и богословие, арифметика и начальная основная математика»<sup>539</sup>. ამასვე აღნიშნავს ა. ხახანაშვილიც. «Судя по некоторым заметкам, в семинарии обучали: граммат-

<sup>537</sup> ხელნ. ინსტ. Н—2510.

<sup>538</sup> ხელნ. ინსტ. Q—429 (26v).

<sup>539</sup> დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, გვ. 253 (მ. 176).

ტიკე, რიტორიკე, ფილოსოფიი და ბოგოსლოვიუ»<sup>540</sup>. გაიოზ რექტორის მიერ შემდგომ პერიოდში რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ბევრი თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო, ისტორიული და სასაზოგადოებრივი წიგნი განკუთვნილი იყო თელავის სემინარიაში პრაქტიკულად გამოსაყენებლად, მაგრამ ისტორიულმა პირობებმა უგულვებელყო. მათი, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოების, საჭიროება.

ცნობილია, რომ სწავლა-აღზრდა ქართულ სემინარიებში კლერიკალურ-სქოლასტიკურ პრინციპებს ემყარებოდა, სადაც წამყვან როლს საგრამატიკო დისციპლინები ასრულებდა: მაგრამ სემინარიის მოსწავლეებს სანამ საგრამატიკო დისციპლინების ღრმა და რეგულარულ შესწავლაზე გადაიყვანდნენ, მანამ მათ საფუძვლიანად ასწავლიდნენ მშობლიურ ენასა და წერა-კითხვას: „...დაისწავლეს ზეპირ უწინარეს დაწყებისა ღრამატიკაისა დახელოვნებისათვის მხედრული-სა კითხვისა და წერისა“<sup>541</sup>. თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საგრამატიკო დისციპლინებს სემინარიაში, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყოველ საზეიმო შეკრებაზე ყურადღება განსაკუთრებით იყო გამახვილებული მისი, როგორც ერთ-ერთი ძირითად საგნის, სწავლებასა და როლზე. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სემინარიის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე გაიოზ რექტორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ღრამატიკის მნიშვნელობას: „და ესრეთ სიტყვიერებისა ამის კარის შემველელთა, ესე იგი ღრამატიკისა მეცნთა ყრმათა მოვართმევ, ვითარცა მწულილთა“<sup>542</sup>.

სემინარიის ხელმძღვანელები ყოველთვის პირველ რიგში აღნიშნავდნენ საგრამატიკო დისციპლინის შესწავლის საჭიროებას, მის დაუფლებას: „მოხედეთ მოწყალებითა მისითა შემოკუთრებულთა ამათ ყრმათა შვილი თქუენტა, რომელთაცა სიტყვებისა კანონი სრულ-ყუეს, რომელ არს ღრამატიკაი“<sup>543</sup>. სემინარიის „რექტორი და დიდასკალოსი“ ანტონ კათალიკოსი მკაცრად მოითხოვდა საგრამატიკო სწავლების საჭიროებას და აღნიშნავდა, რომ „კუალად, ოდეს ვასწა-

<sup>540</sup> А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, Москва, 1901, стр. 278.

<sup>541</sup> ურბ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 113.

<sup>542</sup> ხელნ. ინსტ. Н—2291 (10v).

<sup>543</sup> ხელნ. ინსტ. Н—2291 (6v).

ვებთ მოწაფეთა ღრამმატიკასა, მაშინ სიმკაცრეი მაქუნდა ფრიალი განსჯისად, რა არა ელმად მივეცმცა“<sup>644</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილი საგნების გარდა სემინარიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სიმღერა-გალობის შესწავლას, განსაკუთრებით გალობას, რომელიც ერთ-ერთ სავალდებულო საგნად ითვლებოდა. სემინარიაში შექმნილი იყო მგალობელთა გუნდები, რომლებიც საგნის სპეციალური მასწავლებლის ხელმძღვანელობით თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ სემინარიაში გამართულ საზეიმო შეკრებებსა და პაექრობებზე მოსულ სტუმრებს: „...იქმნა შემოკრება აქაურთა ჩინებულთა სემინარიად უთქვამთ გალობით შეუფეო ზეცაითაო“<sup>645</sup>. თელავის სემინარიაში დაკანონებული წესის მიხედვით სტუმრების, რექტორისა და სემინარისტთა ყოველი გამოსვლა და საერთოდ ყოველგვარი ზემოც გალობით თავდებოდა, რაც იმაზე მიგვიითითებს, რომ გალობის (სიმღერის) სწავლება აქ მაღალ დონეზე იდგა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ფილოსოფიის სწავლებას. სემინარიის ხელმძღვანელებისათვის ფილოსოფიის ცნება ძალიან ფართო იყო, კერძოდ, იგი მოიცავდა ლოგიკას, ფსიქოლოგიას და ფიზიკასაც. „ჩანს, ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს იმის დადგენა, თუ რით ხელმძღვანელობდნენ ამ პერიოდში სემინარიის მესვეურები ფილოსოფიური ცოდნის შემადგენელი დარგებისა და მათი მოცულობის განსაზღვრისას, რას მიიჩნევდნენ ისინი ფილოსოფიური ცოდნის მაღალ დონედ და რა მიზნებს უსახავდნენ ფილოსოფიურ განათლებას“<sup>646</sup>.

გაიოზ რექტორის დროინდელ სემინარიაში იყენებდნენ სასწავლო დისციპლინების გადაცემის ლექციურ მეთოდს. ანტონ კათალიკოსის ცნობით, ის მოსწავლეებს ლექციებს უკითხავდა; „მე მამისმენიეს მაგისდა“<sup>647</sup> — ამას უნდა ნიშნავდეს. ანტონისეული ლექციური მეთოდი ძალაში დარჩა გაიოზისა და დაეით რექტორის დროსაც. ამას

---

<sup>644</sup> ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885, გვ. 1—2.

<sup>645</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (4r).

<sup>646</sup> ა. ფრანგიშვილი, ფსიქოლოგიური ცოდნა საქართველოს სემინარიებში XVIII საუკუნეში, ფსიქოლოგია, სტატ. კრებ., ტ. XI, გვ. 63.

<sup>647</sup> ხელნ. ინსტ. H—2510.

მოწმობს ერეკლე II-ის ბრძანება დავით რექტორისადმი: „მოწაფეთ შემომიკრებთ და ფილასოფია უნდა მოასმენინო“<sup>548</sup>.

თელავის სემინარიაში შემოღებულ სასკოლო ლექციურ მეთოდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეპირმეტყველების დანერგვისა და ჯან-  
ვითარებისათვის. გაიოზ რექტორი მოსწავლეთა ცოდნის დონეს ამჟღავნებდა საჯარო პაექრობებზე, დისპუტებსა და შეკრებებზე, რომლებიც თელავის სემინარიაში არცთუ ისე იშვიათად იმართებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლეების ცოდნის დონე მხოლოდ აღნიშნული სახის ღონისძიებებზე მჟღავნდებოდა. ანტონ-  
კათალიკოსი აწარმოებდა თავის მოსწავლეთა გამოცდასაც. ერთგან იგი წერდა: „...პიტიკასა შინა გამომიცდიეს“<sup>549</sup>. მოსწავლეთა ცოდ-  
ნის შეფასების ეს მეთოდი დარჩა გაიოზ რექტორის დროსაც, ოღონდ მან გამოცდებს უფრო სრულყოფილი ფორმა მისცა — გარდა ჩვეუ-  
ლებრივი გამოცდებისა, შემოიღო მოსწავლეთა შეფასება შეკრებებ-  
ზე, რაც უფრო საპასუხისმგებლოს ხდიდა მასწავლებლებისა და სემინარიის ხელმძღვანელთა მოვალეობას და ამაღლებდა მომთხოვ-  
ნელობას სემინარისტთა მიმართ.

ქართველი საზოგადოებრიობის პროგრესულად მოაზროვნე ნა-  
წილი, რომელიც რუსეთში ეზიარა სწავლა-განათლებლას, იწონებდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საგამოცდო სისტემას: „მე მოსკო-  
ვის სკოლებში უყურე, რომ მოწაფეთ ასწავლიდნენ ფიზიკას და ეგზამენიაც უყვეს“<sup>550</sup>. ამდენად მოსწავლეთა ცოდნის დონის შეფა-  
სების საგამოცდო სისტემა, რომელიც გაიოზ რექტორმა დანერგა და სრულყო თელავის სემინარიაში, მოწონებულ და მიღებულ იქნა.

გაიოზ რექტორი თავის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში ყო-  
ველთვის გრძნობდა ერეკლე II-ის აქტიურ მხარდაჭერას. სახელმწი-  
ფო საქმეებით დატვირთული ერეკლე II ახერხებდა თელავის სემინა-  
რიის დათვალეირებას და მისი აღსაზრდელების ცოდნის დონის შე-  
მოწმებას<sup>551</sup>. ის რამდენჯერმე სტუმრებია თელავის სემინარიას, რა-

<sup>548</sup> ხელნ. ინსტ. Qd—1068.

<sup>549</sup> იქვე.

<sup>550</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 1, ტფილისი, 1936, გვ. 79.

<sup>551</sup> საყურადღებოა, რომ სახელმწიფო საქმეებით დატვირთული ერეკლე II მაინც გამოჩნავდა ხოლმე დროს სკოლების მოსანახულებლად. „მანისი თვესა მე-  
ფე მობრძანდა კალოუბანსა და იხილა მოწაფენი ეფრემ მღვდლის კალოუბნელისა“  
(პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936, გვ. 179).

ზეც მიგვითითებს ერეკლესადმი გაიოზის მიერ მიძღვნილი შესახმა-  
ნი<sup>552</sup>. ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ ერეკლე II ყოველგვარი  
ოფიციალური შეკრებების გარეშე. სამუშაო ვითარებაშიც ეცნობოდა  
სემინარიის ცხოვრებას. ერთ-ერთი ასეთი რიგითი სტუმრობა მომხ-  
დარა თელავის სემინარიის წლისთავის საზეიმო შეკრებამდე რამდენ-  
ნიმე დღით ადრე, რომლის დროსაც გაიოზ რექტორს ერეკლე II-ისათ-  
ვის სიტყვით მიუმართავს და გაუცნია იმ საზეიმო შეკრების გეგმაც,  
რომელიც გათვალისწინებული იყო სემინარიის გახსნის წლისთავი-  
სათვის.

გაიოზ რექტორმა, რომელიც აცნობდა საზეიმო შეკრებების გეგ-  
მას მეფე ერეკლეს და ანტონ კათალიკოსს, ამჯერადაც საჭიროდ ჩათ-  
ვალა გაეცნო საპატიო სტუმრისათვის თავისი სიტყვის ძირითადი ნა-  
წილი, საგრამატიკო აზრი, რომელიც ერეკლე II-მ მოიწონა. გაიოზ  
რექტორმა აღნიშნული მოხსენება ფართო საზოგადოების წინაშე  
სემინარიის გახსნის წლისთავის დღეს წაიკითხა. ინტერესს მოკლე-  
ბული არ არის ის სიტყვა, რომლითაც გაიოზმა მიმართა ერეკლე II-ს  
სტუმრობის დროს. ის ამ სიტყვაში შეეცადა გადმოეცა სემინარისტ-  
თა განწყობილება ერეკლე II-ისადმი: „მომგებელნი დიდებულები-  
სა შენისა უჩივით სიყრმესა ჩვენსა, ვინაიდგან არა შემწე გვეყო-  
ფის ჭერეთ დაუხელოვნებელი გონება ჩვენი“<sup>553</sup>.

გაიოზის გადმოცემით, სემინარისტები ჭერ კიდევ არ არიან სათა-  
ნადოდ დაუფლებული სწავლას, ე. ი. „დაუხელოვნებელნი“ არიან,  
არ შესწევთ უნარი — გამოხატონ თავიანთი გრძნობები და სურვილი,  
რომლის მიზეზადაც ის მოსწავლეთა ასაკს ასახელებს. მათ დრო  
სჭირდებათ დასაბრძენებლად, სწავლისა და ცოდნის მისაღებად:  
„ჰკრთის გული მოწყალისა ხელმწიფისა მოსულასა და პირისპირ

---

მას ყოველთვის აინტერესებდა, თუ როგორ მიმდინარეობდა სასწავლებლების  
მშენებლობა ან როგორ ცოდნას ამცავენებდნენ მოსწავლეები: „...ზაქარია დი-  
კონი განამტკიცეთ, მაგ საქმეზედ ბეჯითად იყოს, სხვა გულში ნულარა უძევს რა.  
იკოდეს მაგისი დაძვრა არ იქნება, სკოლის საქმე ან სწავლა ვისგანმე მომატბუ-  
ლი — ყველა გვაუწყე მტკიცედ იყავ მაგის საქმეზედ. ჩემი საამო ის არის, რასაც  
ბეჯითად იქნებო“ — სწერდა ერეკლე II დოსითეოზ ნეკრესელს 1762 წელს (ხელნ.  
ინსტ. Ad—215).

<sup>552</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგო-  
გიური მნიშვნელობა, ტურნ. „სკოლა და ცხოვრება“ № 1, 1963 წ.

<sup>553</sup> იქვე, გვ. 70

განცდასა ზედა. გარნა სიხარულსა ჟერეთ არა უხმს შემწე თვისი არს გულსა შინა წადილი გამოთქმისა, გარნა ვერ შემძლებელ არიან ბაგენი მეტყველებად. ჰოი, სიგლახაკესა შენსა, ჰასაკო ჩვენო. თუ ვითარა გლახაკ ხარ სიტყვით ცხადყოფასა შენსა მას, ყოვლად მდიდრისა ბედნიერობისათა“<sup>554</sup>.

გაიოზ რექტორი ცდილობდა ერეკლე II-ისათვის ეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სემინარიას, დაერწმუნებინა, რომ კეთილად ჩაყრილ საფუძველზე ძლიერი კედელი აღიმართება: „ხილვითა პირისა შენისათა ვიწყებთ აღორძინებად ვითა რტონი კეთილ მენერგისაგან დასხმულნი დროსა ამისასა, მოფენითა ამით კეთილ შსახურებისა შენისათა“<sup>555</sup>.

გაიოზ რექტორის ერეკლე II-ისადმი მიმართული სიტყვიდან ირკვევა, რომ შეკრებულობა ხშირად ტარდებოდა სემინარიაში. „უწინარეს ამისა რაოდენთამე იყო შეკრებულობა ჩვენი აქა, ყოვლად მდაბალი მადლობა სიხარულითა და შუეებითა აღრეული მივართვით მადალსა მეფესა“<sup>556</sup>. „რაოდენთამე იყო შეკრებულება“. ეს სიტყვები გაიოზ რექტორმა განაცხადა თელავის სემინარიის წლისთავის ჩატარებამდე რამდენიმე ხნით ადრე.

მამასადამე, გარდა პირველი ოფიციალური შეკრებისა, რომელიც გახსნის დღეს მიეძღვნა, კიდევ ყოფილა რამდენიმე შეკრება, მაშინ როდესაც ისტორიოგრაფიას თელავში გაიოზის რექტორად მოღვაწეობის პერიოდიდან შემორჩა მხოლოდ ორი ოფიციალური ცნობა თელავის სემინარიაში საწეიმო შეკრების ჩატარების შესახებ. ერთი ეხება გახსნის, ხოლო მეორე — წლისთავის დღეს. „გარნა აწ მესამესა ამას უბედნიერესსა შეკრებულებასა“<sup>557</sup>. გაიოზ რექტორის ეს განცხადება იმას მოწმობს, რომ ერეკლე II გახსნის დღიდან მესამედ სტუმრებია სემინარიას. სიტყვები „რაოდენთამე იყო შეკრებულება“ და „აწ მესამესა“ გვარწმუნებს იმაში, რომ თელავის სასულიერო სემინარიაში ხშირი იყო შეკრებები, სტუმრად მოდიოდნენ სამეფო გვარისა და კარის წარმომადგენლები, უმაღლესი სამღვდელთა, ხოლო მეფე ერეკლე აღნიშნულ დღეს მესამედ სწვევია მას.

<sup>554</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, ქურონ. „სკოლა და ცხოვრება“ № 1, 1963, გვ. 70.

<sup>555</sup> იქვე.

<sup>556</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>557</sup> იქვე.



რაკი გაიოზმა იცოდა, რომ ერეკლე II დიდ დაინტერესებას იჩენდა თელავის სემინარიით, მეფეს მიმართავდა: „უპირველეს ცხად უქმნიეს საფუძვლად ერისა თვისისათვის კეთილზრდილობა ყრმათა, კეთილსა შინა სწავლულებასა, რათა უმეცრებასა შინა განფიცებებოთა მათითა მისცეს სიტყუაი მას, რომელნიცა არწმუნა იგინი“<sup>558</sup>.

მომავალი თაობის აღზრდის სიყვარულმა გააბედვინა გაიოზ რექტორის შემდეგი სიტყვებით მიემართა ერეკლესათვის: „...უკეთუ ინებებს თქვენთვის შეფობის დიდებულება ვპყოთ გამოძიება, თუ ვითარი საჭიროება და სარგებლობა აქვს აღზრდას შვილთასა“<sup>559</sup>. გაიოზი ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში ცდილობდა ხანგასმით აღენიშნა სამშობლო ქვეყნისათვის განათლების უდიდესი მნიშვნელობა, რაც მას უპირველეს ეროვნულ საქმედ მიაჩნდა. ის ფაქტი, რომ გაიოზ რექტორი თავის ყოველ გამოსვლას ერეკლე II-სა და ანტონ კათალიკოსს უთანხმებდა, ნათლად მეტყველებს, თუ როგორი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდნენ როგორც გაიოზ რექტორი, ასევე ანტონ კათალიკოსი და ერეკლე II სწავლა-აღზრდის პრობლემისა და გავრცელების საკითხს. საარქივო მასალებით ჩვენამდე მოღწეული პაექრობებისა და დისპუტების ტექსტების მნიშვნელობა ძალზე დიდია. ესაა საუცხოო დოკუმენტები XVIII საუკუნის ქართული სემინარიების პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობის შესასწავლად; მათში ასახულია სემინარიის მასწავლებელთა და აღსაზრდელთა მომზადებისა და ცოდნის დონე.

თელავის სემინარიის აღსაზრდელთათვის და პირადად გაიოზ რექტორისათვის ყოველთვის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ერეკლე II-ის სტუმრობა. ერის დიდი მოამბავის, ნაციონალური გმირის გამოჩენა სწავლისა და ცოდნის სავანეში აღაფრთოვანებდა სემინარიის მოსწავლეებს და აათკეცებდა მათ ენერგიას. გაიოზი ასე მიმართავდა ერეკლე II-ს, რომელიც სემინარიას ესტუმრა: „... მოსვლა შენი ვითა ყოველსა სამფლობელოსა შენსა, ეგრეთვე სემინარიასა ამას ექმნების განმაცხოველებლად, მათ შარავანდელად, რომლითაცა დამქნარნი ყვავილნი განცხოველდებიან. ჩვენ ჰრწმუნებულვართ იმას შინა, რამეთუ პირველი ესე გამობრწყინდება შარავანდელისა შე-

<sup>558</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, ტურნ. „სკოლა და ცხოვრება“ № 1, 1963, გვ. 72.

<sup>559</sup> იქვე.

ნისა განუბანს ძირთა ახალ ნერგსა ამას მტილსა, რომელსაცა ვერცა კვეთებანი ქართანი, ვერცა დიდროება წყლისა და ვერცა სხუანი რა-იმენი შეუძლებელ შერყევად მისთა, რომლისაცა ნაყოფითა აღტივრ-თულ იქნებით აქაცა და დაუბერებელსაცა შინა ცხოვრებასა“<sup>560</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, გაიოზ რექტორი ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლის პერიოდში საფუძვლიანად გაეცნო პეტრე დიდის „რელა-მენტს“. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული „რელამენტის“ ქართულ ენაზე გადმოღებას იგი მოსკოვშივე ეცდებოდა. თელავის სასულიერო სემინარიის გახსნის დროისათვის მას უკვე თარგმნილი ჰქონდა „რელამენტი“, რომელიც, როგორც სასწავლო წესდება, მოიწონეს ერეკლე II-მ და ანტონ კათალიკოსმა. თელავის სემინარიაში „რელამენტისეული“ წესდების დაკანონება ნიშნავს, რომ გაიოზ რექტორი, ცალკეული მუხლების გარდა, მთლიანად იწონებდა ფ. პროკოპოვიჩის მიერ შედგენილ ტიპიკონს.

გაიოზი იზიარებდა იმ აზრს, რომ სემინარიას უნდა ზელმძღვანელობდეს კოლეგია, რომელსაც რექტორი მეთაურობს. მისი ძირითადი მიზანია ეძიოს „მარადის ნამდვილი ჭეშმარიტება, და ნამდვილი სიმართლე“<sup>561</sup>.

გაიოზ რექტორის მიერ გადმოღებული პეტრე დიდის „რელამენტი“ სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. „აღწერა საქიროთა მიზეზთა ესრეთისა მმართველობისა, 2. ამისადმი საქმისა წარმართება, 3. თვით წარმმართველთა თანამდებობა საქმისა, და ძალი“<sup>562</sup>.

გაიოზ რექტორის აზრით, სემინარიაში რექტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სწავლის პროცესს ზელი არ უნდა შეშლოდა. „უკეთუ არა არს პირველი პირი, მოქმედებენ სხვანი. და ესრეთ საქმე მდინარეობს განუწყვეტელად“<sup>563</sup>.

იმავე ტიპიკონში ვკითხულობთ: „... რათა ყოველსა ეპისკოპოსსა აქენდეს სახლსა შინა თვისსა შკოლა, სასწავლებლად შვილთა სამღვდელოთა კაცთა, და სხვათასა იმედითა სამღვდელოდ განწესებისა მათისადა: და შკოლასა მას შინა რათა იყოს მასწავლებლად გონი-

<sup>560</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, იურნ. „სკოლა და ცხოვრება“ № 1, 1963.

<sup>561</sup> ხელნ. ინსტ. H—794 (2v).

<sup>562</sup> იქვე (4r).

<sup>563</sup> იქვე (6r).

ერი და პატიოსანი კაცი, რათა ყმათა ასწავებდეს წმინდად და ბრწყინვალედ და მაგრად წერილთა კითხვასა“<sup>564</sup>.

პეტრე დიდის სასულიერო ტიპიკონის გავლენის გვიანდელი გამოცხილი უნდა ყოფილიყო ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის ბრძანებები, რომლებშიც სასულიერო წოდების წარმომადგენელთა და ეპისკოპოსთა ყურადღება დიდად იყო გამახვილებული სწავლისა და აღზრდის საკითხებზე<sup>565</sup>.

სათუფვლად უდებდა რა თელავის სემინარიის მუშაობას „სასულიერო რელამენტს“, გაიოზ რექტორს სემინარიის არსებობისათვის გათვალისწინებული ჰქონდა ეკონომიური მხარეც, რაც წესდების მიხედვითაც იყო ნავარაუდები. „ალილონ პური ოცის თავი“ ანალოგიურია ერეკლე II-ის ბრძანებისა თელავის სემინარიის რექტორისადმი<sup>566</sup>.

განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა გაიოზ რექტორი „ტიპიკონის“ იმ ადგილს ჯერ თარგმანს, ხოლო შემდგომ თელავის სემინარიაში დანერგვას, რომელსაც ეწოდება „სასწავლებლისა სახლი და მათ შინა მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის“<sup>567</sup>. გაიოზმა საჭიროდ ცნო წაემძღვარებინა ამ ნაწილისათვის შემდეგი სიტყვები: „მრავალნი ამბობენ უგუნურობით, ვითარამედ მეცნიერება არს მიზეზი მწველებლობისა“<sup>568</sup>. ამით მან გაილაშქრა წიგნისა და სწავლის მოძულეთა წინააღმდეგ.

როგორც „რელამენტის“ ავტორის, ასევე გაიოზის აზრითაც „არა ჯერარს პირველადვე მრავალთა მასწავლებელთა შეკრება“<sup>569</sup> პირველ წელიწადს მას საკმარისად მიაჩნდა ერთი ან ორი პედაგოგი, რომლებიც გრამატიკას ასწავლიდნენ. გამახვილებული იყო ყურადღება მასწავლებლობის მსურველებზეც, რათა შემთხვევით უცოდინარი არ დანიშნულიყო აღმზრდელად. გაიოზი საჭიროდ თვლიდა გამოეცადათ მასწავლებლობის მსურველნი: „...უბრძანე მას ქართუ-

<sup>564</sup> ხელნ. ინსტ. H—794 (14r).

<sup>565</sup> იქვე, S—1170, Sd—5513.

<sup>566</sup> იქვე, Qd—1068, Qd—1067.

<sup>567</sup> იქვე, H—794 (22r).

<sup>568</sup> იქვე.

<sup>569</sup> იქვე (24r).

ლისა რომლისამე სიტყვისა გარდალება ლათინურსა ენასა ზედა, ესრეთვე ლათინურისა სიტყვისა რომლისამე დიდებულისა ავტორისა ენასა მას ზედა, გარდმოლება რუსულსა ზედა, და შეაწამე თარგმანებაი“<sup>570</sup>.

გაიოზი წესდების მიხედვით დიდ მოთხოვნებს უყენებდა პედაგოგობის მსურველებს. მათ, გარდა მშობლიური ქართული ენისა, სრულყოფილად უნდა სცოდნოდათ როგორც ლათინური, ასევე რუსული ენა. ამ წესის დაკანონება მიგვანიშნებს, რომ რუსულ ენას თელავის სემინარიაში სათანადო ყურადღება ჰქონდა დათმობილი.

ბუნებრივია, რომ სასულიერო სასწავლებლის პედაგოგებისათვის აუცილებელი იყო სამღვთო წერილების ცოდნაც. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც წესდების მიხედვით აყენებდა გაიოზ რექტორი, იყო ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც სემინარისტებს საშუალება ექნებოდათ ხელნაწერებისა და წიგნების საშუალებით დაუფლებოდნენ მეცნიერებას. უბიბლიოთეკო სასწავლებელი, გაიოზ რექტორის შეხედულებით, „აჩს მკვლარა“<sup>571</sup>.

მართალია, გაიოზ რექტორმა გაიზიარა „სასულიერო რელამენტში“ წამოყენებული წინადადება სასწავლებელში მაღალი წოდებისა და სასულიერო წრის წარმომადგენლების, აგრეთვე „მოქალაქეთა უკეთესთა სახელის კაცთაგანცა“<sup>572</sup> მიღების თაობაზე, მაგრამ „უკეთესთა სახელის კაცთაგანცა“ მიმართ მას თელავის სემინარიის სინამდვილეში რაიმე პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს.

იმისათვის, რომ ფართოდ მიეზიდათ სწავლის მსურველები და, რაც მთავარია, დაეინტერესებინათ მშობლები, ტიპიკონში შეტანილი იყო სათანადო მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სამსახურში არ მიიღებოდა უსწავლელი პიროვნება, თუმცა, XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს სინამდვილეს თუ გაითვალისწინებთ, ამ მუხლის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

გაიოზს ღრმად სწამდა, რომ აღსაზრდელებს სწავლისათვის საუკეთესო პირობები უნდა ჰქონოდათ. ამისათვის ის საჭიროდ თვლიდა სასწავლებლისათვის ისეთი ადგილის შერჩევას, სადაც ნაკლებად

<sup>570</sup> ხელნ. ინსტ. (24r).

<sup>571</sup> იქვე, H—794 (25v).

<sup>572</sup> იქვე.

იქნებოდა ხმაური და ხალხმრავლობა, „რომელიცა ნიადაგ აღრევენ სწავლათა“<sup>573</sup>.

გაიოზის აზრით, სასწავლებელი უნდა შეფასებულყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ხარისხით და არა მოსწავლეთა რაოდენობით. „არა ჯერარს ქება აკადემიისა სიმრავლითა მოსწავლეთათა, რომელიცა ამაოება არს“, არამედ „მახვილ გონებნიანთა და კეთილთა მოსწავლეთა. რომელიცა არს დიდისა სარგებელისა იმედი, და რათა იგიინი განსწავლულ იყვნენ პატიოსნებითა, ვიდრე უკანასკნელამდე“<sup>574</sup>.

გაიოზი მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის მომხრე იყო. ამით ის სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შეხედულებების გამგრძელებელია. მისი აზრით, საჭიროების შემთხვევაში სასარგებლოა პატარების გაწყევლა, ხოლო დიდებისადმი საყვედურის გამოცხადება. საერთოდ, გაიოზ რექტორი მომხრე იყო სემინარიაში მკაცრი დისციპლინის დანერგვისა. სემინარისტებს არ უნდა მისცემოდათ მშობლებისა და ახლობლების ნახვის უფლება, გარდა სპეციალურად დადგენილი დასვენების დღეებისა წელიწადში ორჯერ. გაიოზ რექტორს სწამდა, რომ სწავლების აღნიშნული ფორმა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში „ტკბილ იქნების“<sup>575</sup> (შდრ. დ. გურამიშვილის „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“).

თელავის სემინარიაში მოქმედი წესდება სემინარისტებს ნებას აძლევდა კვირაში ერთხელ დასწრებოდნენ „კომედიის ან სხვა რაიმე საჩინო თამაშობათა“<sup>576</sup>. გაიოზ რექტორმა იცოდა, რომ „კომედია შესაქცევი საყურებელია“. მიუხედავად ამისა, ის უფლებას აძლევდა სემინარიის მსმენელებს „იარონ კომედიაზე“. აღნიშნული ფორმა, რომელიც ახალი იყო ქართული სასკოლო განათლების სისტემისათვის, შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავა და სრულყო დავით რექტორმა.

მიუხედავად იმისა, რომ გაიოზ რექტორმა მოიწონა, თარგმნა, ხოლო შემდგომ დააკანონა და დანერგა თელავის სემინარიაში პეტრე დიდის ტიპიკონი, მან ზოგი მუხლი, რომლებიც არ მოსწონდა ანდა საქართველოს სინამდვილისათვის შეუფერებელი იყო, გამოტოვა. და

573 ხელნ. ინსტ. H—794 (27r).

574 იქვე.

575 იქვე (28v).

576 იქვე (29r).

უგულებელყო. საგულისხმოა, რომ შემდგომ პერიოდში ტიპიკონის უკლებლივ ყველა გადაწერმა აღნიშნული წესდება ისევე გადაიღო, როგორც ის თარგმნილი იყო გაიოზ რექტორის მიერ.

მაინც რა მიაჩნდა მიუღებლად ფ. პროკოპოვიჩის „რელამენტიდან“ გაიოზ რექტორს? ის ყოველთვის მალა აყენებდა მასწავლებლის, აღმზრდელის როლსა და მოვალეობას და სწამდა, რომ პედაგოგს უნდა გამოეცხადოს აბსოლუტური ნდობა. ამიტომ არ გადმოიღო მან რუსული ტიპიკონიდან შემდეგი ადგილი: «А когда в школе придут учитель при них учит будет, а они слушати хотя чрез полчаса. Також и вопросы отведовать учеников, знают ли, что уже должно бы им знать»<sup>577</sup>.

ასევე არ გაიზიარა მან მასწავლებლის დავაის რეკომენდებული მეთოდები. რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმდროინდელ საქართველოში პედაგოგიური კადრების უკმარობით. მიუღებლად მიაჩნდა გაიოზ რექტორს ის მუხლიც, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ «можно и фискалов определить, которые бы подсматривали все ли во академии порядочно»<sup>578</sup>.

მას შეუფერებლად მიაჩნდა მოსწავლეთა თვალთვალი და ენის მიტან-მოტანა, ამდენად ეს მუხლი თელავის სემინარიისათვის არასასურველად და მიუღებლად ჩათვალა.

გაიოზი არ ეთანხმებოდა რუსულ ტიპიკონს იმ ნაწილში, სადაც აღნიშნული იყო, რომ სასწავლებელში არ უნდა დაეშვათ ის მოსწავლეები. რომელთაც სწავლა ეზარებოდათ, ანდა ძნელად აღსაზრდელი იყვნენ, «Что-ны бешенному мечи не дать»<sup>579</sup>. მისი აზრით, ნებისმიერი მოზარდის აღზრდა შეიძლებოდა (მხედველობაში ჰყავდა ფიზიკურად ნორმალური ადამიანი), თუ მასწავლებელი მოსწავლის აღზრდაში ჩააქსოვდა დიდ ენერჯიასა და სიყვარულს.

რუსული ტიპიკონის გაიოზისეულ თარგმანზე იმდენად შეეკატე-რეთ ყურადღება, რამდენადაც აღნიშნული წესდება მიგვაჩნია მისი პედაგოგიური და აღმზრდელობითი მოღვაწეობის საფუძვლად, რომელზედაც მან მთელი თავისი შემდგომი პრაქტიკულ-პედაგოგიური საქმიანობა ააგო.

გაიოზის მიერ უმოკლეს ვადაში შექმნილი თელავის სასულიერო

<sup>577</sup> Ф. Прокопович, Духовный регламент, Москва, 1731, стр. 63.

<sup>578</sup> ი ქ ე ე, გვ. 64.

<sup>579</sup> ი ქ ე ე, გვ. 65.

სემინარია იმავე მიზანს ისახავდა, რასაც რუსეთის სასულიერო სასწავლებლები: ორივე ზრდიდა მართლმადიდებელი ეკლესიის განათლებულ საეკლესიო მოსამსახურეებს, და, რაც მთავარია, მონარქი მეფისა და მისი ცენტრალური ხელისუფლების ერთგულ მსახურთ.

თელავის სემინარიაში გაიოზ რექტორმა, მართალია, მცირე ხანს იმოღვაწა, მაგრამ მის დროს მიიღეს იქ მთელი თაობა ნიჭიერი ახალგაზრდებისა, რომლებმაც შემდგომ დავითის რექტორობის პერიოდში დაამთავრეს სასწავლებელი. გაიოზ რექტორის მოსწავლეების შესახებ ცნობას გვაწვდის იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“. იქ იოანე ხელაშვილის შესახებ წერია, რომ „ესე არს ქვეყნის ქიზიყით, აღზრდილი სკოლასა შინა თელავის ქალაქისასა“<sup>580</sup>, ხოლო თვით იოანე ხელაშვილი, როგორც ნაწარმოების გმირი, ერთ-ერთი პიროვნების შესახებ აღნიშნავდა, რომ „ერთადა ვართ აღზრდილნი რექტორისაგან თელავს“<sup>581</sup>.

გაიოზ რექტორს, როგორც საუკეთესო აღმზრდელსა და პედაგოგს, დიდად აფასებდნენ მისი ყოფილი მოსწავლეები და თანამედროვეებიც, რომლებიც ყოველთვის პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით მოიხსენიებდნენ მას: თეიმურაზ, ვახტანგ, დავით და იოანე ბატონიშვილები, სოლომონ იმერთა მეფე, დავით რექტორი და სხვა მრავალნი. გაიოზ რექტორს დიდად ეამაყებოდა, როდესაც მისი მოსწავლე ცოდნას ღრმად დაეუფლებოდა. ისტორიას შემორჩა ის დახასიათება, რომელიც მან თავის აღზრდილს დავით ბაგრატიონს მისცა: „და არა თუმცა მართლისა ჰამისა ძეი წრფელ იყავ, არამცა ვულისხმა ჰყავ ფილასოფიი ახალი ანუ ძველი, და ანუ ზესთა ბუნებითი იგი მეტაფიზიკობაი და არცა იქონებდი ძველთა ძველებრთა და უძველესთა სარგებელთა და უსარგებლესთა ისტორიათა, რომელიც ისმის ვივლიოტიკითა შინა თქვენდა ქონებად, ხოლო საზღურისა უკანასკნელი ლექსისა ესე იგი დამყუდროებისაგან ჩვენებული საქმეი არს, რომელიცა დაუტევე ქუეყანასა თქვენგან ქმნილი ანუ ღრამატიკაი, ანუ კატილორიითი შესმენილებაი, ანუ ხუთი იგი ხმაი ფინიკულსა ჰაზრსა ზედა და ანუ შემოკლებული მსოფლიო ისტორიაი“<sup>582</sup>.

<sup>580</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 1, ტფილისი, 1936, გვ. 4.

<sup>581</sup> ი ქ ვ ე.

<sup>582</sup> ხელნ. ინსტ. H—2206, H—2313 (2r).

გაიოზ რექტორმა ძალიან მცირე ხანს იმოდევა თელავის სასულიერო სემინარიაში, შესაძლებელია 1 წელზე ცოტა მეტ ხანს. თელავის სემინარიის წლისთავის (1783 წლის 28 მაისს) საზეიმოდ აღნიშვნის შემდეგ ის დიპლომატიური მისიით გაიგზავნა დაბა გეორგიევსკში. ამ მოგზაურობის შედეგების ერეკლე მეფისათვის მოხსენების შემდეგ გაემგზავრა რუსეთს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ქართველი მემკვიდრე გვაუწყებს: „ამან თვისა ყოფასა შინა ასწავლა მეფის ძეთა ფილასოფია, ჴანუმართა თელავსა შინა შკოლაი და განასწავა მუნცა მრავალნი და სხუანიცა და ესრეთ ანცა შრომასა შინა არს, ვითარცა თქუენც უწყით საქმენი მისნი“<sup>883</sup>.

---

<sup>883</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 2, თბილისი, 1946, გვ. 191; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წიგნაკი 1, ტფილისი, 1913, გვ. 33.



**გაიოზ რექტორის პედაგოგიური შეხედულებანი**

როცა გაიოზ რექტორის პედაგოგიურ შეხედულებებს ვიხილავთ, უნდა იგეხსოდეს, რომ მისი ყოველი აზრი თუ დებულება თეოლოგიურ სამოსელშია გახვეული. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც გაიოზი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო.

გაიოზ რექტორის პედაგოგიური, დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური შეხედულებანი ძირითადად წარმოდგენილია მის ორიგინალურ თხზულებებსა და თარგმნილი ლიტერატურის წინასიტყვაობის ტექსტებში. ამ თხზულებათა შორის შეიძლება დავასახელოთ: „მარკ ავრელის ზნეობრივი შეხედულებანი“, „კიტაის სიბრძნე“, „ქართული გრამატიკის მოკლე კურსი“, „საქართველოს ისტორია“, „ბარონ დე პოლნიცას მოგზაურობანი“, „საღვთო ისტორია“, „პეტრე დიდის რელაქციონტი“, „პეტრე დიდის ისტორია“, „ეგვიპტის ისტორია“, „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“, „პეტრე დიდის სამხედრო არტიკული“, „ევროპის ქალაქების სიტყვარი“, „ველიზარი მარმონტელისა“ „გრამატიკული აზროვნების სარგებლიანობის მოკლე მიმოხილვა“, „სიტყვა თელავის სემინარიის გახსნის საზეიმო სხდომაზე“ და სხვ.

გაიოზ რექტორის პედაგოგიურ შეხედულებათა არსის განსაზღვრა მხოლოდ მისი ორიგინალური ნაწარმოებებით სწორი არ იქნება მან მთელი თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი და მეცნიერული მოღვაწეობა იმ მიმართულებით წარმართა, რომ რუსულიდან ქართულ ენაზე ეთარგმნა ისეთი სახის სამეცნიერო და ლიტერატურული ძეგლები, რომლებშიც ფართოდ იქნებოდა ასახული აღზრდისა და სწავლა-განათლებისადმი მიძღვნილი საკითხები. მთელი თავისი ნიჭი და

ენერგია მოანდომა გაიოზ რექტორმა პეტრე დიდის „სასულიერო რელამენტის“, „ათერთმეტი ქრისტიანობის შკოლის სჯის“, „ქრისტიანებრი სწავლის“, „კიტაის სიბრძნის“, „საყოფაცხოვრებო სჯის“, ბარონ დე პოლნიცას, მარმონტელის „ველიზარის“ და სხვა მრავალი ლიტერატურული და მეცნიერული სახის ნაწარმოების თარგმნას.

„კიტაის სიბრძნე“ იგაიოზ რექტორმა იმ მიზნით თარგმნა, რომ სწავლასა და სიბრძნეს მოწყურებული ქართველები ხელნაწერის საშუალებით გასცნობოდნენ ზალხურ სიბრძნეს და ამოეკრიბათ სასარგებლო აღმზრდელობითი აზრები და შეხედულებები. ამავე თვალსაზრისითვე თარგმნა მან ე. წ. „გამოკრებული სწავლანი“<sup>584</sup>, სადაც ცხოვრებაში გასათვალისწინებელი ბრძნული აღმზრდელობითი აზრებია მოცემული. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც ნაკლებადაა გარემოცული თეოლოგიური საბურველით:

„ჰყოფდე სიმართლესა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა და ნუ ხუალ ეზოთა უსამართლობითა“<sup>585</sup>.

„ნუ უგულუბელჰყოფ მამასა და დედასა შენსა, პატივეც მათ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა და ჰყავ რაიცა სათნო არს მათა. და ნუ შეაწუხებ მათ“<sup>586</sup>;

„განსჰურიტე ყოველნი საქმენნი შეხხი და იძიე ყოველი განზრახვა ბრძენთა და ნუ უგულუბელჰყოფ მათ“;

„დააცადე თავი თვისი ყოვლისაგან მეძავობასა“;

„ნუ შეემეცნები დედაკაცსა ბოროტსა, რომელსაც თაფლი გადმოსწუთინ ბაგეთგან დედაკაცისა მეძავისათა რომელიცა მცირედ ჟამ დაატკობს სასასა შენსა ხოლო უკანასკნელ იქნების უმწარეს ნაღვლისა და უმაზვილეს უფროს მაზვილისა ორპირისა“;

„ნუ ებაძი კაცთა ბოროტთა და ნუ გსურს ყოფნა მათთანა“

„უერთგულეს არიან წყლულუბანი მეგობრისანი, ვიდრე კადნიერებითნი ამბორებანი მტრისანი“<sup>587</sup>;

„აღმომთხრელი მოყურისათვის მთხრებლისა შთავარდების თვით მასა შინა“;

<sup>584</sup> ხელნ. ინსტ. H—2372 (72v).

<sup>585</sup> ი ქ ვ ე.

<sup>586</sup> ი ქ ვ ე.

<sup>587</sup> ი ქ ვ ე.

„უკეთუ დაეცეს მტერი შენი, ნუ იხარებ და დაბრკოლებისათვის მისისა ნუ მალლობ“<sup>588</sup> და სხვ.

პედაგოგიური და ზნეობრივი შეხედულებების ხალხში მოფენით გაიოზ რექტორი ერთ დიდ და ნათელ მიზანს ისახავდა: დაეინტერესებინა საზოგადოების ფართო ფენები აღზრდის, სწავლისა და განათლების იდეებით, რაც მათი მომავალი ნათელი ცხოვრების მტკიცე საფუძველი იქნებოდა.

გაიოზ რექტორის ნაწარმოებების მკითხველმა უთუოდ უნდა გამოარჩიოს გაიოზის საღი და პროგრესული პედაგოგიური შეხედულებანი თეოლოგიური სამოსლისაგან.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ფეოდალურ საზოგადოებას ახასიათებდა ღრმა ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური კრიზისი. ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიური კრიზისის პერიოდში უდიდესი ისტორიული როლი შეასრულეს ფრანგმა განმანათლებლებმა. მათ მოგვცეს გაბატონებულ შეხედულებათა საფუძველიანი კრიტიკა, განაზოგადეს და სისტემაში მოიყვანეს მეცნიერების მონაპოვარი. ამას ემსახურებოდა 1748 წელს გამოქვეყნებული მონტესკიეს ნაშრომი „კანონები სულის შესახებ“, სადაც განხილულია აღზრდის როლი სახელმწიფოებრივი მმართველობის მონარქიული, დესპოტიური და რესპუბლიკური ფორმის პირობებში. ავტორი უპირატესობას ანიჭებდა რესპუბლიკური აღზრდის სისტემას.

პროგრესული პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს: ჰელვეციუსის წიგნებმა „გონების შესახებ“ (1758), „აღამიანის, მისი გონებისა და აღზრდის შესახებ“ (1773), რუსოს სოციალურ-პედაგოგიურმა რომანმა „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ (1762) და დენის დიდროს შრომამ „აღამიანის შესახებ ჰელვეციუსის ნაწარმოების უარყოფა“ (1774). აღნიშნულ შრომებში ეს დიდი განმანათლებლები აღნიშნავდნენ ცოდნის უდიდეს მნიშვნელობას მთელი ხალხისათვის, მეტიც, განათლებაში ხედავდნენ სოციალური გარემოს შეცვლის მთავარ გასაღებს.

მსოფლიო ფილოსოფიურ და პედაგოგიურ აზროვნებაში მომხდარი რადიკალური ძვრების გავლენით XVIII საუკუნის ქართული პედაგოგიური აზროვნების წარმომადგენლები, როგორც მოხდენილად შენიშნავს აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, გაჰყენენ ანტონ კათალიკოსის

<sup>588</sup> ხელნ. ინსტ. H—2372 (73v).

მიერ გატყეპნილ გზას. „როგორც ვიცით, — წერს შ. ნუცუბიძე, — ანტონ ბაგრატიონის პროგრამის მიხედვით მთელი მისი ფილოსოფიური გარემოცვა და მომდევნო თაობა ქმნიდა ფილოსოფიური აზროვნების იმ ნაერთს, რომელშიც ძველი და ახალი ისე იყო შეერთებული, რომ აზროვნება ვერ ატერხებდა თეოლოგიური სალტეებიდან ამოგლეჯას და იშვიათად ახერხებდა ძველში დაცული რომელიმე მოწინავე აზრის შეთვისებასა და განვითარებას“<sup>589</sup>.

მართალია, გაიოზ რექტორიც იმავე პლედარს ეკუთვნოდა, რომელიც ანტონ კათალიკოსის ფილოსოფიურ-პედაგოგიურ იდეებზე აღიზარდა, მაგრამ, ამ პლედარისაგან განსხვავებით, მან სცადა და კიდევაც შეძლო ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდისა და განათლების აქტუალური პრობლემების შესახებ საკუთარი, მოწინავე, პროგრესული შეხედულებების შემუშავება. იმ საგულისხმო საკითხებს შორის, რომელთა ორიგინალურად დამუშავება წილად ხვდა გაიოზ რექტორს, აქ გამოვყოფთ შემდეგს: 1. ადამიანი და მისი დანიშნულება საზოგადოებაში; 2. აღზრდის მნიშვნელობა პიროვნების ფორმირებაში; 4. სკოლის როლი და დანიშნულება; 5. სწავლებელს არსი; 6. სწავლა-აღზრდის მეთოდები.

1. ადამიანი და მისი დანიშნულება საზოგადოებაში. გაიოზის გაგებით, საზოგადოებრივი ცხოვრება რთულ კომპლექსს წარმოადგენს. ამ კომპლექსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების ერთიანობის თვალსაზრისით. ადამიანთა ურთიერთობაში ავსაც და კარგსაც თავისი ადგილი აქვს, ორივე ურთიერთობაგან დამოუკიდებლად არსებობს და მოქმედებს. ქვეყნის დანახვა, მისი ასახვა არც მხოლოდ სიკეთისა და არც მხოლოდ ბოროტების თვალთ არ შეიძლება. წინააღმდეგობა მათ შორის ქმნის ადამიანთა არსებობის ფორმას და იღებს ბრძოლის სახეს. ამ ბრძოლაში ზან სიკეთე იმარჯვებს, ზან — ბოროტება. სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლას ადგილი აქვს ბუნებაში, საზოგადოებასა და ცალკე აღებულ ადამიანშიც. გაიოზის აზრით, ყოველ მათგანშია მისი ცდუნების ძალა, ყოველგვარი ცოდვისა და ბრალის წყარო.

ადამიანი, როგორც გონიერი არსება, მთელი თავისი სულით, გულითა და გონებით „მიდრეკილია სიკეთისადმი“. იგი ებრძვის ცდუნე-

<sup>589</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 436.

ბის ძალას თავის თავში, თრგუნავს ბოროტებას, მაგრამ თუ აღამიანი საკუთარ მეობაში თავის ნებაზე მიუშვებს ბოროტებას, წაახლისებს მას, მაშინ ის თანდათანობით დაეუფლება მის გონებას, მოქმედებას და ყოველმხრივ წარმართავს მის ცხოვრებას უკუღმართ გზაზე. ვისაც გონების გამჭრიახობა და ნებისყოფა ჰყოფნის, იგი კიდეცა ახერხებს ბოროტისაგან განრიდებას. თუ აღამიანი „კაცად კაცადია“ (ე. ი. კაცური კაცია), მაშინ მას ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა ასულდგმულეებს. მხოლოდ ასეთ აღამიანს შეუძლია ვალი მოიხადოს საზოგადოების, სამშობლოს წინაშე, ემსახუროს ხალხს. აღამიანის დანიშნულება საზოგადოებაში მხოლოდ ერთია — ხალხის სამსახური, მისთვის თავის გაწირვა.

2. აღზრდის მნიშვნელობა აღამიანის პიროვნების ფორმირებაში. ქვეყნად სიკეთის დამკვიდრებისა და ბოროტების დაძლევის ამოცანიდან გაიოზ რექტორს აღზრდის როლისა და დანიშნულების განსაზღვრა გამოჰყავს. აღზრდა, გაიოზის გაგებით, ის ძალაა, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება პიროვნება, ვითარდება ინდივიდი. აღამიანობა თავისი ბუნებით სიკეთის განსახიერებაა, ბოროტება კი თავს იჩენს აღამიანის პიროვნებაში მხოლოდ მაშინ, როცა იგი შორდება თავის „აღამიანურ“ ბუნებას და არააღამიანური გზით წარიმართება. ბოროტების გზა მცდარი და დამლუპველია, აღამიანის ბუნება კი — კეთილი. ამიტომაც მისი სათავე არ შეიძლება ბოროტება იყოს. ანკარა მთის წყარო მხოლოდ მერე იმღვრევა, სათავედან შორს, დინების რომელიღაც ადგილას. აღამიანი მუდმივია, პიროვნება კი გარდამავალი. ბავშვი, როგორც აღამიანი, ბუნების პირმშოა, პიროვნებას კი საზოგადოება ქმნის აღზრდის მეშვეობით.

გაიოზის აზრით, თუ ბავშვი პატარობიდანვე სისასტიკისა და სიძულვილის პირობებში იზრდება, მაშინ მისგან ვერ მივიღებთ საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებას. ასეთ პიროვნებაში თავიდანვე იხშობა აღამიანი და იგი პირმოთნე არსებად იქცევა. ამიტომაც ბავშვის აღზრდას პატარობიდანვე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. აღნიშნულის გათვალისწინებით გაიოზი საჭიროდ ფიქრობდა, რომ „აღზრდას შვილთა“ თავიდანვე, უსუსურობის ასაკიდანვე მოჰკიდოს აღმზრდელმა ხელი, რადგან შესაძლოა მას მიდრეკილება ჰქონდეს „ორ კერძოვე“, ე. ი. ბოროტისა და კეთილისადმი. „თუ ვითარი უსუსურობითა იშუების კაცი, რომლისასაცა ხელნი ვერ შეძძლებელ არიან მოქმედებად, ფეხნი სვლად და თავისი ვერა რათ-

დამე შემძლებელ არ შემწევნად. გარნა ამასთანავე ესეცა თანა გუამს ცნობად, ვითარმე აქუს თვის შორის ძალითად ღონე ყოველთად მისაქმეთა, ე. ი. მიდრეკა ორ კერძოვე რომელ არს კეთილისადმი და ბოროტისა“<sup>590</sup>.

გაიოზის აზრით, სიყრმის ასაკიდანვე უნდა შეეჩვიოს აღსაზრდელი აღმზრდელის ზემოქმედებას, რათა გზას არ ასცდეს იგი. ეს კი, თავის მხრივ, მასწავლებლებს მათ აღზრდას გაუადვილებს. „...ითხოვს ბუნება, ითხოვს უსუსურება შვილთა, ითხოვს თანამდებობა მშობელთა, ითხოვს ზედამხედველთა სარგებლობა და სიხარული, რათა უამი ესე ოქროსი ჩჩვილთა არა წარწყმენდილიყოს“<sup>591</sup>.

ბუნებრივია, რომ გაიოზი პრიორიტეტს გაბატონებული კლასის წარმომადგენლებსა და მათ შვილებს აკუთვნებდა, მაგრამ ის, როგორც აღმზრდელი და პედაგოგი, გამოხატავს უდიდეს სიხარულს და კმაყოფილებას, თუ არ დაიკარგება „უამი ესე ოქროსა ჩჩვილთა“ და აღმზრდელების წყალობით სამშობლოს სასარგებლო მამულიშვილები აღეზრდება.

გაიოზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ახიჭებდა მშობლის როლს შვილის სწორად აღზრდის საქმეში, რადგანაც პირველი და ძირითადი კონტაქტი შვილს მშობელთან აქვს. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ „...არა იქცეოდნენ შვილნი ნებისამებრ თვისისა“<sup>592</sup>, რის შედეგადაც შესაძლებელია აღსაზრდელი დამახინჯდეს და გადაიქცეს საზოგადოებისათვის მავნე ზოროცმეტად. გაიოზს ღრმად სწამდა, რომ „უკეთუ მშობლები არა გაუფრთხილდებიან თანამდებობასა თვისსა“, ანუ თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას, რაც, მისი აზრით, შვილების სწორად აღზრდით გამოიხატებოდა, „მამინ ვითარი სახელსა მიიღებენ შემოქმედისა თვისისა ანუ ერისაგან“<sup>593</sup>. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გაიოზი სამშობლოსა და ერის უდიდეს სიყვარულს უკავშირებდა მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლის საკითხს, მიაჩნდა რა ის ამ დიდ დიდი სიყვარულის განუყოფელ ნაწილად.

გაიოზი მოზარდი თაობის აღზრდას ყველაზე საპასუხისმგებლო საქმედ მიიჩნევდა. აღამიანის სხვა საზოგადოებრივი მოვალეობანი

---

<sup>590</sup> ლ. შ. ფ. ა. მ. ვ. ი. ლ. ი., გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, ეურნ. „სკოლა და ცხოვრება“, № 1, 1963, გვ. 72.

<sup>591</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>592</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>593</sup> იქვე.

უნდა შეეხამოს და შეერწყას მის ძირითად საქმეს — მოზარდი თაობის აღზრდას. „ვეთარსა სირცხვილსა მივეცემით უკეთუ თანამდებობასა ამას ღვთისა მიერსა ჩვენდამი რწმუნებულსა არა შეუსწორებთ საქმისა ჩვენსა“<sup>594</sup>.

გაიოზ რექტორმა თავისი შეხედულებანი მოზარდი თაობის აღზრდისა და მშობელთა მოვალეობის შესახებ ოთხ ძირითად პუნქტად ჩამოაყალიბა, სადაც სხარტად და ლაკონიურად გადმოსცა თავისი ძირითადი კრელო.

პირველი პუნქტი ეხება აღზრდის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მის როლს ადამიანის ჩამოყალიბებაში. „...ყოველთა შორის პირუტყვთა არს ესრეთი მძვინვარე მხეცი არა აღზრდიდეს შვილთა თვისთა ყოვლითა მოსწრაფებითა, რომელნიცა დაივიწყებენ მაშინ ბუნებითსა მშვენიერებათა თვისსა. ჰზრდიან და ფუფუნებენ, განაბნევენ. თვისთა ძალთა და სისხლთა გამოზრდისათვის მათისა, ასწავლებენ ხტომასა ანუ ფრინვასა და ყოვლითა ჩვეულებათა, რომლითაცა ნიჭებულ ჰყო იგი ბუნებამან და ყოვლითა მეცადინაობენ მათ ზედა შეებასა და მხიარულებისათვის“<sup>595</sup>. ის შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას „მძვინვარე მხეცებზე“, უსვამს რა ხაზს, რომ ყოველი სულიერი არსება ინსტინქტის ძალით მოწოდებულია აღზარდოს თავისი პირმშო. აღნიშნულ შედარებას გაიოზ რექტორი იყენებდა იმისათვის, რომ თავისი აზრის ეფექტური გადმოცემით კიდევ უფრო დიდი და სერიოზული მოთხოვნილებები წაეყენებინა მშობლებისათვის. „და თუ ეს ჭეშმარიტ არს არა უფროს კაცთაგან, რომელიცა არს გონიერი არსი, ითხოვსა ბუნება, რათა კეთილთა ჩვეულებათა და გონიერებითთა საქმეთა შეაჩვიოს შვილნი თვისნი აღზრდითა კეთილი სწავლებისათა“<sup>596</sup>, — წერს გაიოზი. გაიოზის აზრით, თუ მშობელი წესიერად არ აღზრდიდა თავის შვილს, შესაძლოა ის გადაქცეულიყო უმძვინვარეს მხეცზე უფრო საშიშ არსებად, ხოლო არა ესრეთ შედგომილნი თანამდებობისა თვისისანი უმძვინვარეს მხეცთა იქნებიან და უფროსდა ვისთვის — ნაყოფთა თვისისათვის“<sup>597</sup>.

მეორე პუნქტში ყურადღება გამახვილებულია აღზრდაში მშობ-

---

<sup>594</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, ძურან. „სკოლა და ცხოვრება“, № 1, 1963, გვ. 72.

<sup>595</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>596</sup> იქვე.

<sup>597</sup> იქვე.

ლების როლის უპირატესობასა და ბავშვთა ასაკის გათვალისწინებაზე. ის წერს: „ითხოვს და თვით უსუსურებანიცა ყრმათა არა ვხედავთა, თუ ვითარ ჭერეთ უფონონი ლაპარაკისანი, ტირილითა, ცრემლითა და რომლითაჲმ უსუსურებითა ნიშნებითა, თვით აკვნით ეუბნებიან მშობელთა“: მართალია, მივიღეთ თქვენგან სიცოცხლე, მაგრამ „აწინდელი ესე სიცოცხლე ჩვენი არს სუსტ და უძლურ, ნუ უგულვებელსჰყოფთ უსუსურებასა ჩვენსა, მხოვდეთ უძლურებასა ჩვენსა. ვინაღვან მოგვეციოთ სიცოცხლე, მოგვეციოთვე სიმტკიცე ბედნიერებისა, წარუძეხით ღონიერებასა ჩვენსა კეთილ გონიერებისადმი თქვენისა. ჩვენ თავით თვისით არა ძალგვიძს მიღება მათი და მხოლოდ სასოება ჩვენი არს მშობლებითა ერთგულებასა შინა თქვენსა. დაგვიტოვეთ ჩვენ მოვალედ თუ სიცოცხლისა, არამედ სიცოცხლისა კეთილისა“<sup>598</sup>.

მესამე პუნქტი ძირითადად გონებრივი აღზრდის საკითხებს ეხება. გაიოზი ვრცლად განიხილავდა აღზრდის ამ მხარეს, მის გზებსა და საშუალებებს. იგი ძალიან შორსმჭვრეტელურად უსვამდა მშობლებს საკითხს: „... აქვს ვისმე ესოდენ უგრძობელი გული, რომ არა იწყალოს ამით ღალატებითა“?<sup>599</sup> ამ კითხვას რომ სვამდა, გაიოზს მიზნად ჰქონდა დაეფიქრებინა მშობლები და გადაედგმევიენებინა მათთვის პრაქტიკული ნაბიჯები აღსაზრდელთა საკეთილდღეოდ.

გაიოზი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სიყრმის ასაკიდანვე ბავშვთა სწორად აღზრდას. მან კარგად იცოდა, რომ „ჰურჯელსა შინა ახალსა რაიცა შთაისხმის პირველად, არაოდეს გამოეღვევის სული მისი“<sup>600</sup>. მისი აზრით, პირველ ჩვევებს, პირველ აღქმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ფორმირებისა და ჩამოყალიბების საქმეში. არასწორად აღზრდილსა და დამახინჯებულს „არა ოდეს გამოეღვევის სული მისი“. ამიტომ გაიოზი საპიროდ თვლიდა, სანამ ყრმა ჭერ კიდევ დაუწერელი დაფაა, მანამ უნდა აღიზარდოს ის სრულყოფილად და ჰარმონიულად, რათა შემდეგ არ იყოს თავსაცემი. „ამისათვის ჭერ არს რათა შესაბამი სიბრთხილე ვიპყრათ წინათუ, ოდესაც ჭერ ქედი ყრმათა არს დაშლილი, ოდესაც წევრნი მათნი არიან ჩჩვილ, ოდესცა სიჩჩოება მათი არა გარყვნილ არს, ჰავთა მე-

<sup>598</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“ № 1, 1963, გვ. 72.

<sup>599</sup> იქვე.

<sup>600</sup> იქვე, გვ. 73.



გობართა და შექცევათა არა აღუგზნია გული მისი, ვინაიღგან არა რაიმე ამის უძნელეს არს, ვითარ გამოყვანა ავისა ჩვეულებისაგან“<sup>601</sup> მშობლებმა შვილის აღზრდის საქმეს, გაიოზის თქმით, უდიდესი შრომა და ენერგია უნდა შესწირონ, რომლის შედეგადაც მათ შეუძლიათ მიიღონ „სიხარული და კმაყოფა“.

მეთოხე პუნქტში დასაბუთებულია მშობლების ვალდებულება ქვეყნის წინაშე მომავალი თაობის აღზრდის საქმეში და იგი მიჩნეულია ყოველი მათგანის უპირველეს მოვალეობად. გაიოზის აზრით, მშობლების ცხოვრების ძირითადი მიზანი „ახალი და ფესვმაგარი ნერგების გამოყვანაა“, რომლებმაც ხარისხიანი ნაყოფი უნდა გამოიღონ“ ვინაიღგან არა უწყყი თუ უკეთესი ვინმე შერაცხს სხუებრ სიცოცხლესა თვისსა უმჯობეს ამისა, ოდესცა იხილავს შვილთა თვისთა გარემოს ტაბლისა თვისთვისისა ვითა ახალ ნერგთა ზეთის ხეთასა, რომელნიც გამოსცემენ ნაყოფსა კეთილსა საქმეთა ჟამსა თვისისა“<sup>602</sup>, — წერდა ის. გაიოზი წამყვან მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდას და ამბობდა, რომ საქართველოს მომავალი თავისი მხრებით უნდა ატაროს განათლებულმა და განსწავლულმა ახალმა საზოგადოებამო.

3. გონებრივი განათლების წამყვანი როლი პიროვნების ფორმირებაში. ადამიანის პიროვნების ფორმირების პროცესში გაიოზი წამყვან როლს გონებრივ განათლებას ანიჭებს. აღნიშნულის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიტანოთ გაიოზის შემდეგი სიტყვები: „არა რაი არს ჩინება კაცად-კაცადისა და დადგრომა მას ზედა, გარნა ყოვლისა მყოფისა შინაგანსა შინა ძალსა მიმდევრება, რომელსაც ფილოსოფოსნი გარეშენი ბუნებად სახელს სდებენ... ვითარმედ ბუნება არს დასაბამი ძვრისა და დამყუდროვებისა“<sup>603</sup>

გაიოზ რექტორი ყოველი ადამიანის მოღვაწეობაში, აგრეთვე საზოგადოების წინსვლასა და მის პროგრესულად განვითარებაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ცოდნისა და სიბრძნის დაუფლებას. „კიტიან სიბრძნის“ თარგმანის წინასიტყვაობაში, სადაც ის მიმართავდა „პატიოსან მკითხველს“, ნათქვამია: „უკეთუ ჰეშმარით არს სიტყვა იგი ბრძენთა „ვითარმედ“ ფრიად კეთილ არს სწავლა იგი, რომე-

<sup>601</sup> ლ. მეფარიშვილი, გაიოზ რექტორის უცნობი ტექსტების პედაგოგიური მნიშვნელობა, თურნ. „სკოლა და ცხოვრება“, № 1, 1963, გვ. 73.

<sup>602</sup> იქვე.

<sup>603</sup> ხელნ. ინსტ. H—2323 (ფ. 1r).

ლიც ასწავებს კაცსა ბედნიერად ცხოვრებასა, მაშინ კმად კადნიერ ვიქმნები მე განმგრძელებლად სიტყვისა ჩემისა თქვენისადმი პატიოსნებისა, და წინა დადებად თარგმანისა ამისა“<sup>604</sup>.

გაიოზის აზრით, განათლება არის ამომავალი მზე ადამიანთა საზოგადოების მომავალი ბედნიერი ცხოვრებისა, სწავლა არის საფუძველი შეგნებული ცხოვრებისა<sup>605</sup>. „ვინათგან წიგნი ესე, ყოველთა თვისითა საამოთა სწავლითა მოიყვანს ტრფიალებისადმი თვისისა, და ვითარცა ვარდი ფერმშვენიერებითა თვისითა მკითხველთა თვალსა გონებითურთ მიიზიდავს, ხოლო მიმზიდველი სუნსა მაცხოვრებითსა თვისისა სწავლისასა მიჰფენს, და ესრეთ ყოვლად ყოვლითა კეთილთა აღავსებს სმენელთა თვისითა მოძღვრებითა“<sup>606</sup>. მისი აზრით, სწავლის განმტკიცება ადამიანს მიიყვანს სწავლის „ტრფიალებისადმი“. მას ასეთი შედარება მოჰქონდა: როგორც ვარდი მოჰფენს სურნელებას, ასევე წიგნით მიღებული ცოდნაც უდიდესი სურნელებისაა, რომელიც მოსწავლეთა გულს აღავსებს „კეთილი მოძღვრებით“. მაგრამ გაიოზ რექტორს წიგნის კითხვა და ცოდნის შეძენა მართო მოსწავლეთათვის არ მიაჩნია სავალდებულოდ; მისი აზრით, წიგნს უნდა დაეუფლოს ყველა: ხელმწიფეც, სპასპეტიც და სახელმწიფოს სხვა მესვეურებიც, რადგანაც წიგნიდან ამოკითხული სიბრძნის წყალობით უფრო უკეთესად შეიძლება ქვეყნის მართვა და ხალხის კეთილდღეობის მიღწევა.

„...და ესრეთ მშვენიერიცა სწავლითა თვისისა, ხელმწიფეთა, სპასპეტთა, ქალაქმთავართა, მხედართა, მოქალაქეთა, ხელოვანთა და ქვეყანის მოქმედთა. მოკლედ ვიტყვი ყოველთა ზარისხთა და ყოველთა პირთა, მისცემს ყოველსა დროსა და საქმესა შინა, შესაფერისსა მოძღვრებასა ბედნიერად ცხოვრებისასა და ამისათვის ყოველთა მამა და მოძღვარი და კეთილთა საქმისადმი მიმყვანი, და ბედნიერიცა არიან ამათგანნი ყოველნი, რომელნიცა მოძღვრებასა მისსა ყურად იღებენ, და მით წარმართებენ ყოველსა საქმესა ცხოვრებასა შინა თვისისა“<sup>607</sup>—წერდა გაიოზი.

<sup>604</sup> ხელნ. ინსტ. Q—251 (ფ. 6).

<sup>605</sup> გაიოზ რექტორი ადასტურებდა აზრს, რომ თუკი სწავლა ბედნიერი ცხოვრების საწინდარია, მაშინ ეს წიგნიც („კიტაის სიბრძნე“) სწავლის მომცემია და მე საკვიროდ ვთვლი ვთარგმნო ის, რათა სწავლა და ცოდნა მივაწოდო ხალხსო.

<sup>606</sup> ხელნ. ინსტ. Q—251 (ფ. 6).

<sup>607</sup> იქვე (ფ. 7).

გაიოზ რექტორს შეგნებული ჰქონდა სიბრძნის — მეცნიერების როლი და მნიშვნელობა გონებრივი აღზრდის სისტემაში. მისი მოღვაწეობის პერიოდი დაემთხვა XVIII საუკუნის ცნობილ განმანათლებელთა ფილოსოფიური და მეცნიერული იდეების ფართოდ გავრცელების ეპოქას, რომლის გამოძახილი საქართველოში საკმაო სიძლიერით გამოვლინდა. მან, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, იცოდა, რომ მეცნიერებას, მის იდეებს ვერაფერი ვერ შეაჩერებდა, წინ ვერ დაუდგებოდა. „ეპხედავთ და გვესმის, — წერდა გაიოზი, — თუ ვითარსა შინა განვრცელებასა და თუ ვითარსა შინა სიმრავლესა განთესილ არის სიბრძნე, რომელსაც ვერცა სიშორე ადგილთა, ვერცა სხვაობა ქვეყანისა და ჰაერთა შენაძლებელ არს შეცვალებად მის მიერისა გარდამოსხმულისა ბედნიერობისა. მიმღებელთა ზედა მისთა, არამედ ნიადაგ ღორძილობს, ნიადაგ ყვავილოვნებს და ნიადაგ ერთებრსა სუნნელებასა განჰფენს ყოველთაგან ვითარცა დასავლეთსა შინა, ეგრეთვე აღმოსავლეთსა, ვითარცა ჩრდილოეთსა, ეგრეთვე სამხრეთსა კერძოთა შინა და ამისათვის ყოველნი სიხარულით ისმენენ სახელსა სიბრძნისასა და ამისათვის ყოველნი ბედნიერებად ჰრაცხვენ თვის ზედა შესმენასა ამის ყოველად ძვირ-ფასის გვაროვნებისასა“<sup>608</sup>.

გაიოზს სწამდა, რომ მხოლოდ სიბრძნეს დაუფლებული ადამიანი გრძნობს თავს ბედნიერად, მაგრამ სიბრძნის დაუფლებას მეორე, უფრო მიმზიდველი მხარეც აქვს; ის იტაცებს ადამიანს, აღუძრავს უღიდეს წაღილსა და სიყვარულს მეცნიერების დარგების ღრმად დაუფლებისათვის; „...არღა საიჭუელ არს ქეშმარიტება სიტყვისა მის, რომელიცა უთქვამს რომელსამე ბრძენთაგანსა, ვითარჲედ მეცნიერებასა აქუს თვისება ესევითარი, რამეთუ რაოდენცა ვინ განამრავლებს მისდამი წაღილსა, ეგოდენ უმეტეს აღეგზნების მისდამი ტრფობისა და სიყვარულისა“<sup>609</sup>, — წერდა იგი. მაგრამ სიბრძნის დაუფლებისათვის, გაიოზ რექტორის აზრით, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეებისათვის გადასაცემი მასალის ცხადად, ნათლად, გასაგები და მისაწვდომი ენით ახსნას, რაც უნდა შეერწყას მასწავლებლის დამაჯერებელ და მკაფიო სწორბეჭყველებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით მოსწავლეთა მტკიცე ცოდნის საწინ-

<sup>608</sup> ეურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 101.

<sup>609</sup> ხელნ. ინსტ. H—220 (5r).

დარია „... ვინაიდან ყოველი წინა დადებული სიტყვიერებითი ნივთი ითხოვს უსაკუთრესსა გამოცდილებითსა შუენიერ სიტყვაობასა, მაშა სადალა უკუუდიდესი სახმარ არის გონებისა ამალღებაი“<sup>610</sup>. მას სწამდა, რომ გაპიზნულად და ცოცხლად ნათქვამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ყრმათა“ ცოდნის მიღებისა და განათლების დონის ამალღების საქმეში.

გონებრივი განათლების, მეცნიერების დაუფლების წამყვანი როლი ადამიანის პიროვნების ფორმირებაში მთელი თავისი სიცხადით წარმოდგენილია მის ცნობილ სიტყვაში „მეცნიერებისა და უმეცრების შესახებ“. ეს სიტყვა მან წარმოთქვა თელავის სემინარიაში საზეიმო შეკრებისას, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის — დამსწრე საზოგადოებისა და სემინარისტების წინაშე, რომლებსაც თავისი შეხედულება გაუზიარა აღნიშნულ საკითხზე. „ვჰყოფ ჰსჯასა თუ ვითარი სხვაობა არს შორის მეცნიერებისა და უმეცრებისა და ანუ ვითარსა სარგებელსა მოვიღებთ ამის ერთისაგან და მეორისაგან ვითარსა სავნებელსა“<sup>611</sup>. გაიოზ რექტორი სვამს საკითხს, რომ „... საჭირო არს განხილვაი ამისა, თუ ვითარი სხვაობა არს შორის მეცნიერებისა და უმეცრებისა“<sup>612</sup>, და საჭიროდ ცნობს მასზე ამომწურავი და დასაბუთებული პასუხის გაცემას. „გვნებავსა, რათა შევეჩვივნეთ ნიადაგ ჰემმარიტებისა თქმასა, გვნებავსა, რათა განვარჩიოთ საქმენი, განვიხილოთ ყოველნი მდგომარეობანი საქმეთანი და ვჰცნობდეთ მათცა თუ რაი გამოვალს მათგან? ესე ყოველნი და სხვანიცა ესე ვითარნი გამოვალნ მეცნიერებისაგან“<sup>613</sup>. ასე აყენებდა საკითხს გაიოზი თავისი მსმენელების წინაშე.

დებულება — სწავლული „ნიადაგ ჰემმარიტების მთქმელი უნდა იყოს“<sup>614</sup> — წითელი ზოლივით გასდევს გაიოზის მოძღვრებას. მას სწამდა, რომ მეცნიერებას, ცოდნას დაუფლებული პიროვნებისათვის ხელმისაწვდომი, გასაგები და ადვილი გადასაწყვეტი უნდა იყოს ყოველი რთული საქმე. მართალია, მეცნიერებისა და უმეცრების საკითხის განხილვის დროს გაიოზი გაბატონებული კლასის იდეების

<sup>610</sup> ხელნ. ინსტ. H—2291.

<sup>611</sup> ჟურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ: 102.

<sup>612</sup> ი ქ ვ ე.

<sup>613</sup> ი ქ ვ ე.

<sup>614</sup> ი ქ ვ ე.

გამომხატველად, მისი ძირითადი პოზიციების დამცველად რჩება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი შეხედულებები გამოიჩინება სალი პედაგოგიური იდეებით, აღზრდისადმი მიძღვნილი გონივრული დებულებებით. მაგალითად, ის წერდა: „მეცნიერება მოიყვანს კაცსა პირველად ცნობისადმი თავისა თვისისა (აქ იგი გულისხმობს იმას, რომ სწავლული ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს თავის თავსა და ადგილს საზოგადოებაში — მ. დ.), თუ რა არს და ვითარი რა არს და ესრეთ ცნობა ესე თავისა თვისისა ხელით ყვანებულ ჰყოფს ამის ცნობისადმი, ვითარმედ ეგე ვითარი არს კაცი, ვითარცა დასაბამი მისი და წარმომადგენელი ნივთი, ე. ი. მიწა, რომლითა ცა დაამყუდროებს თავის შორის ყოველსა ზვირთსა ამპარტავნებითისა დელვისასა (აქ ის გვევლინება თეოლოგად, ემყარება რა დებულებას: მიწა ხარ და მიწად იქეც“ — მ. დ.) და მერმე მიიყვანს მას აზრ გამოძიებისადმი თუ რაისათვის დაბადებულ არს იგი... და დადგინებული სოფელსა ამას შინა“<sup>615</sup>.

მაგრამ გაიოზს არ აკმაყოფილებდა ადამიანის მიერ საზოგადოებაში თავისი თავის განსაზღვრა. ის მოითხოვდა, რომ ადამიანს გაერკვია თავისი ადგილიც, თუ რისთვისაა „დადგინებული სოფელსა ამას შინა“ და რომ მისი „დადგინებით“ „სარგებელი ეყოს მოყვასთა ვიდრეღა თავსა თვისსა“<sup>616</sup>. გაიოზი საჭიროდ ცნობდა, რომ ნასწავლ და განათლებულ ადამიანს „უსნეულო აქვნდეს გონება“, ე. ი. მეცნიერი, სწავლული ყოველ მდგომარეობასა და სიტუაციაში საღად აზროვნებდეს, ის კერძო და ხორციელმა აზრებმა არ უნდა გაიტაცოს. მისი ღრმა რწმენით, მეცნიერი ადამიანი „ბედნიერებასა შინა არა ზუაობს და უბედურებასა შინა არა სულმოკლეობს“<sup>617</sup>.

განათლებული ანუ მეცნიერი ადამიანის უფრო სრულყოფილი და გამოკვეთილი სახე რომ დახატოს, გაიოზ რექტორი მიმართავს თავის ნაცად ზერხს, იმავე მდგომარეობასა და სიტუაციაში გვიხატავს უმეცრის სახეს, გვაძლევს მის სურათს მოქმედებაში და ამით სრულყოფილად ასაბუთებს სწავლისა და განათლების უდიდეს როლსა და მნიშვნელობას პიროვნების სრულყოფილ და პარამონიულ განვითარებაში. უმეცარი, გაიოზის აზრით, მხოლოდ მგრძნობელობას აყოლი-

<sup>615</sup> უფრ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 102.

<sup>616</sup> იქვე.

<sup>617</sup> იქვე.

ლი, ადაშიანის ენით მეტყველი პირუტყვია, რომელიც არაა დაინტერესებული „გამოძიებისადმი“ „ყოვლისა“. აი, როგორ ჰყავს წარმოდგენილი მას უმეცარი: „უმეცარი, ე. ი. არა მეცნიერი თავისა თვისისა დასაბაჟისა და დასასრულისა ჰგონებს თავსა თვისსა, ეგრეთ ვითარცა პირუტყვი და ესრეთ მისა ოდენ მოსწრაფე არს ქმნად, რაიცა მოეწონების საგრძნობელთა მისთა, შერაცხს მას სასარგებლოდ, რაიცა დაატკობს უადვიროსა გულისთქმასა მისსა, გამოეძიების მას და შეუდგების, რაიცა აღუთქვამს მას განუძღომელსა წყურვილსა სიმდიდრისა და ვეცხლის მოყვარეობასა, რომლითაც მწყურვალნი სვამს სისხლსა ძმისასა უტკბილეს ზეციერისა ნექტარისა. სიცრუე შეურაცხმს უფროსს ქვემარტებასა, მოტყუება უფროს პატიოსნებისა და უპატიობა უფროს სასუფევლის დიდებისა, ოღონდ მიიღოს სიმდიდრე არა მგამებელი, რომლითაცა იყოს“<sup>618</sup>.

უვიცის სახის გამოსაკვეთად გაიოზი არ იშურებს სიტყვებსა და მუქ ფერებს და ცდილობს მთელი სისრულით დასაბუთოს სწავლულის პრიორიტეტი. უმეცარი, მისი აზრით პირუტყვია, ცხოველურ გრძნობებს აყოლილი, აღვირახსნილი, სიმდიდრისა და ვერცხლის მოყვარული, სიცრუის მთქმელი, უპატიოსნო.

ბუნებრივია, რომ გაიოზი, როგორც ღვთისმსახური და თეოლოგი, „მეცნიერისადმი“ მინიჭებულ ყოველგვარ ღირსებას ღმერთს მიაწერს, და აქედან გამოძინარე აკეთებს დასკვნას, რომ მეცნიერი ვალდებულია ემსახურობდეს ღმერთს. მაგრამ მის ამ თეოლოგიურ მოსაზრებაშიც გამოკრთის საღი და თანაც წინასწარმეტყველური აზრი, — ესაა რწმენა ადაშიანისადმი, რომ მომავალში ის უფრო სრულყოფილად განსწავლული იქნება. იგი წერდა: „ქმნილთა შორის უმეტესს პატივსა ღირს-ჰყო კაცი და უმეტესცა მოელის შერმესა მას საუკუნესა“<sup>619</sup>.

გაიოზი კონკრეტულ, ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით სრულყოფილად გვიხატავდა მეცნიერთა და უმეცართა შორის არსებულ უდიდეს სხვაობას. „მეცნიერება აღაშენებს სახლთა და წესიერ ჰყოფს მარიგებლობასა სახლისასა“<sup>620</sup>, — გვასწავლიდა იგი. მისი ღრმა რწმენით, დაუშვებელია, რომ მეცნიერი იყოს „მცონარი“

<sup>618</sup> უფრ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 103.

<sup>619</sup> იქვე, გვ. 105.

<sup>620</sup> იქვე.

და „უზომო სიმდიდრის“ მოყვარული, ანდა სხვისი საკუთრების მიმ-  
თვისებელი. „პატიოსნება და უპატიობა ვერ დასთმობს, რათა უპატი-  
ობა შერაცხოს პატიოსნებისაგან“<sup>621</sup>. მისთვის ნასწავლი პიროვნება  
ყველა ადამიანური ღირსებითაა შემკული, რომელიც „წინდა მეულ-  
ლეობისასა დაიცავს წმინდად, შვილთა აღზრდის კეთილად“<sup>622</sup>, „მო-  
ნათა დაიმორჩილებს ხმაითა წყალობითა და შერისხვითა და ამის  
მიერ ჰყოფს სახლსა თვისსა, ვითარცა ქვეყნიერსა რომელსამე სა-  
მოსხესა“<sup>623</sup>. აქ გაიოზი გვევლინება გაბატონებული კლასის წარმო-  
მადგენლად, რომელმაც „მონა“ უნდა დაიმორჩილოს „შერისხვითა“,  
მაგრამ ის სწავლა-განათლების გავლენით გარკვეულ შედეგათს აწე-  
სებს „მონის მიმართ“ და „წყალობასაც“ იყენებს, როგორც მათდამი  
ლიბერალური დამოკიდებულების ფორმას. უმეცარი კი „... არა თუ  
აღაშენებს სახლსა, არამედ კარგიერსაცა წესსა სახლის მაშენებლო-  
ბისასა სრულიად ვერა რაითამე მისწვდების, ვინათგან უმეცარი არის  
მცონარ და ნაკლულევეან ყოვლითურთ“<sup>624</sup>, რადგანაც ის არის „ძუნწ,  
განმაზნეველ, ულონო, დაუდგრომელ, დამჩემებელ და ამისათვის ყო-  
ველსა ნიეთსა ხმარებულ-ჰყოფს ბოროტად“<sup>625</sup>.

გაიოზი მუქი ფერებით გადმოგვეცემს უსწავლელის სამყაროს,  
როცა ის ადამიანებთან დამოკიდებულებაში განიხილავს მის ბუნე-  
ბას, და წერს: „მეუღლეობასა ანუ არა დაიცავს ანუ საფუძველად მისა  
აქვს პირუტყვული ოღენ აღძრულებადი, შვილნი უსხედან თვინიერ  
კეთილ-ზრდილებისა, მაშა და არცა პატივის-მცემელნი მისნი მონანი  
სწავლულებისა, მაშა და თვინიერ ერთგულებისაცა“<sup>626</sup>. გაიოზს  
სჯერა, რომ „მონათათვის“ სწავლული „პატრონი“ ნაკლებ ბოროტია,  
ვიდრე უსწავლელი: „...სახლი უმეცარისა არა-თუ არს სახლი, არამედ  
სამყოფი ოხრებისა და ყოვლისა ურიგობისა“<sup>627</sup>.

მეცნიერების როლის ასეთი ფაგებიდან გამომდინარეობს გაიოზ  
რექტორის აზრი იმის შესახებ, რომ ყოველი საზოგადოების მამოძრა-

621 უჯრნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 105.

622 ი ქ ვ ე.

623 ი ქ ვ ე.

624 ი ქ ვ ე.

625 ი ქ ვ ე.

626 ი ქ ვ ე, გვ. 106.

627 ი ქ ვ ე.

ვებელ ძალას ნასწავლი აღამიანები წარმოადგენენ. „მხნობს მეცნი-  
ერი მთავარი და იღვიძებს და ზრუნავს, რათა ხელის ქვეშენი ანუ  
ყმანი თვისნი მიიყვანოს მარადის კეთილსა მდგომარეობასა შინა“ და  
იღვწის, რათა არცა ერთი მათგანი მიეცეს ვითარსამე უბედურებასა  
უზრუნველობით მისითა“<sup>628</sup>, — აღნიშნავს იგი. ფაიოზის აზრი „მეც-  
ნიერი მთავრის“ შესახებ XVIII საუკუნის მიწურულის საქართველო-  
სათვის პროგრესული შეხედულება იყო.

ქვეყანას, რომელიც მრავალ სამეფო-სამთავროდ იყო დაყოფი-  
ლი და რომელშიც ყმა გლეხობა ფეოდალებისაგან სასტიკ ექსპლუა-  
ტაციასა და დევნას განიცდიდა, ხელისუფლების სათავეში სჭირდე-  
ბოდა ნასწავლი პიროვნება, რომელიც შედარებით ლიბერალური  
პოზიციებიდან მოაწესრიგებდა ფეოდალისა და ყმის ურთიერთდამო-  
კიდებულებას. „მღვიძარებს მეცნიერი მსაჯული განმართლებისათ-  
ვის უბრალოსა და დასჯისათვის ბრალეულისა“<sup>629</sup>, — წერდა გაიოზი.  
იმ პერიოდისათვის, როდესაც მართლმსაჯულების სადავეები უცოდინ-  
ნარი და უსწავლელი მსაჯულ-მღვივანბეგების ხელში იყო, რომლებიც  
ხშირ შემთხვევაში არაობიექტურად, პირადი შეხედულებისა და  
განწყობის საფუძველზე წყვეტდნენ აღამიანის ბედ-იღბალს, საკით-  
ხის დაყენება „მეცნიერი მსაჯულის“ როლისა და მოვალეობის შესა-  
ხებ პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მართალია, გაიოზი  
ვერ ბედავდა პირდაპირ მიეთითებინა ამ დარგში არსებულ ნაკლოვა-  
ნებებზე, მაგრამ ის გაკრიტიკების თავისებურ ხერხს მიმართავდა,  
როცა სწავლისა და განათლების უპირატესობით ასაბუთებდა „მეცნი-  
ერი მსაჯულის“ დანიშნულებას. მაგალითად, გაიოზი წერდა: „იბრძ-  
ვის მტრისადმი მეცნიერი მხედარი არა რათა ბოროტი უქმნას მტერ-  
თა, არამედ, რათა შეეწიოს ქვეყანასა თვისსა და მშვიდობასა შინა ამ-  
ყოფოს“<sup>630</sup>. გაიოზი, თავისი კლასის წარმომადგენლებისაგან განსხვავ-  
ვებით, „მეცნიერ მხედარს“ არ სთხოვდა სხვისი მიწების დაპყრობას,  
ხალხის დამონებასა და ექსპლოატაციას. მისი აზრით, ის უნდა ემსა-  
ხურებოდეს მამულისა და ხალხის მშვიდობას. თუ გავითვალისწი-  
ნებთ, რომ XVIII საუკუნის საქართველო გაუთავებელი შფოთისა  
და ომების ასპარეზი იყო, სავსებით გასაგები გახდება გაიოზის უდი-

<sup>628</sup> უტრ. „ივერია“, № 8, 1881, გვ. 106.

<sup>629</sup> ი ქ ვ ე, გვ. 108.

<sup>630</sup> ი ქ ვ ე.



დესი მისწრაფება მშვიდობისადმი, რომელიც ქვეყნის მატერიალურ-კულტურული აყვავების ერთ-ერთ წინაპირობად მიაჩნდა. ხოლო მშვიდობა, მყუდროება და აყვავება, მისი აზრით, უნდა უზრუნველყოს პირველ ყოვლისა „მეცნიერმა მხედარმა“.

„წარვალს შორსა გზასა მეცნიერი ვაჭარი არა რათა განიმრავლოს საარგებელი თვისი, არამედ რათა მოქალაქეთა თვისთა განუმრავლოს საჭირონი და სახმარნი ნივთნი“<sup>631</sup>, — წერდა გაიოზ რექტორი. მან კარგად იცოდა, რომ თუკი მშვიდობა იქნება, ვაჭრობაც განვითარდება, რომლის სადავეები ხელში უნდა აიღოს ნასწავლმა ხალხმა, მათ ვინც პირად ინტერესებზე მაღლა სახელმწიფოებრივ და საზოგადო ინტერესებს დააყენებს. მას სჯეროდა, რომ ვაჭრობას დიდი მომავალი ექნებოდა. გაიოზი ერეკლე II-ის შეხედულებას იზიარებდა ვაჭრობის ფართოდ განვითარების შესახებ, რომელსაც მას სახელმწიფოსათვის საჭირო ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად მიაჩნდა.

გაიოზ რექტორი უმეცრების სასტიკი მტერი იყო. „გარნა უმეცრება ყოვლითურთ წინააღმდეგომ არს ყოვლისა კეთილის თანამდებობისა, — წერდა იგი.— უმეცარი მთავარი არს სასყიდლით დადგინებული და არა მემკვიდრე, უმეცარი მსაჯული არს მოქრთამე, უმეცარი მხედარი არს მტაცებელი და მძარცველი, უმეცარი ვაჭარი არს განუძღომლად ვეცხლის მოყვარე ვინათგან ვინცა არა უწყის თანამდებობა ჩინებისა თვისისა, მან არცა უწყის განვლა სწორი გზით, არამედ ესეოდეს თუ ვითარითა ღონითა განავრცოს გზა გამდიდრებისა თვისისა, რომლისადმიცა აღძრავს მას ხორციელი წადილი და თუ რაოდენნი ვნებანი წარმოებენ უმეცრებისაგან, ვინ ვერ ვხედავთ“<sup>632</sup>.

სიმართლის ასე უშიშრად და შეუპოვრად პირში თქმა შეეძლო მხოლოდ თავისი ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარულ ადამიანს, რომელიც ვერ შეჰკუთვებია კორუფციასა და გაშლილ მექრთამეობას, უცოდინარობასა და უსწავლელობას. და ეს იმ დროს, როცა მართვა-გამგეობის სათავეში მცირედი რაოდენობით როდი იყვნენ თავმოყრილი უსწავლელი ელემენტები, რომლებიც მემკვიდრეობით ღებულობდნენ მაღალ პოსტებს.

გაიოზს ღრმად სწამდა, რომ „მეცნიერება ჰყოფს ბედნიერებასა

<sup>631</sup> უერნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 108.

<sup>632</sup> იქვე, გვ. 106.

ქვეყნისასა, ვინათგან ცხოველად წარმოუდგენს კაცსა, ვითარმედ სასარგებლო რაიმე ქვეყანასა, არს სარგებელი ყოველთა კაცთა“<sup>633</sup>, მას სჯეროდა, რომ აღზრდის, სწავლისა და განათლების საფუძველზე კლასები შეეგუებიან ერთმანეთს, შეეძლებათ ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრება, სადაც „ხელმწიფე მამაა ყრმათა თვისთა“, ხოლო „მთავარი კეთილის მყოფელია ზელის ქვეშეთა“, რომ სწავლა „ესრეთ შექრავს ყოველთა სიყვარულითა“, და „ერთისა უღონობისა განმმართველად მეორისა და ყოვლისა საზოგადოებისა მავნებელთა საქმეთა მსწრაფლ აღმოსაფხვრელად“<sup>634</sup>. გაიოზ რექტორი გადაჭარბებულად მალალ შეფასებას აძლევდა სწავლა-განათლების ძალას და ცდებოდა, როცა ფიქრობდა, რომ შეუძლია ერთმანეთს დაუახლოოს მოწინააღმდეგე კლასები, მოსპოს მათ შორის არსებული დაპირისპირება, წინააღმდეგობა.

უმეცრება, მისი ღრმა რწმენით, „არ შეიწყნარებს თვის შორის მეცნიერებისა ბუდესა და არცა მეცნიერთა მისცემს შესაბამისა პატივსა“<sup>635</sup>. გაიოზს სწამდა, რომ მეცნიერებასა და სწავლას ზრუნვა და ყოველდღიური ყურადღება სჭირდება. მისი აზრით, უმეცრებისა და მეცნიერების ერთმანეთის გვერდით არსებობა ყოველად შეუწყნარებელია, რადგანაც უმეცრება „შთასთესლავს გესლსა თვისსა“, „განმზადებს ყოველთა — ურთიერთისაღმი ხერხითა და ტრელობითა“, აღვივებს „შურს და მტრობას“, „ხალხთა აღრეულობას“, რომლის ტრაგიკული დასასრულია „მკვლევობა და ურთიერთისაღმი ბრძოლა და უკანასკნელ სრულებით აღწყვეტა ყოვლისა ქვეყნისასა“<sup>636</sup>.

ასეთი იყო ზოგადად გაიოზ რექტორის შეხედულება გონებრივი აღზრდის როლის შესახებ პიროვნების ფორმირებაში.

4. სკოლის როლი და დანაშნულება. მართალია, — წერდა გაიოზი, — ოჯახი პირველი და აუცილებელი კერაა მოზარდის აღზრდის საქმეში, მაგრამ აღამიანის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მარტოოდენ ოჯახური აღზრდა საკმარისი არ არის. ოჯახს არ შეუძლია მისცეს აღამიანს ცოდნის ის სისტემა, მარაგი და მოცულობა, რომელიც

<sup>633</sup> თურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 106.

<sup>634</sup> ი ქ ვ ე.

<sup>635</sup> ი ქ ვ ე.

<sup>636</sup> ი ქ ვ ე, გვ. 108.

მას სჭირდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ამ დიდი ამოცანის შესრულება ისტორიულად, გაიოზის აზრით, დაკისრებული აქვს სკოლას — იმ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებას, სადაც მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოსწავლეები ღებულობენ ორგანიზებულ აღზრდას.

გაიოზი დიდ ყურადღებას აქცევდა სასკოლო მუშაობის ორგანიზაციას, მოსწავლეთა დაყოფას კლასებად, კლასებში ერთი და იმავე ასაკის მოსწავლეთა გაერთიანებას, კლასის დამრიგებლების შერჩევას, აღსაზრდელებისადმი მეთვალყურეობის გაძლიერებას და სხვ.

გაიოზ რექტორს ეკუთვნის სემინარიის თითოეული კლასის სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანის განსაზღვრა. როგორც ცნობილია, სემინარიაში დაწყებითი კლასების ამოცანას შეადგენდა კითხვის, წერისა და ანგარიშის სწავლება ქართულ ენაზე. შემდგომ კლასებში იწყებოდა გრამატიკის, სინტაქსის, პიტიკის, რიტორიკის, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების სწავლება. უდავოა, რომ შვიდი თავისუფალი ხელოვნების სწავლების განაწილებას კლასების მიხედვით თავისი დროისათვის უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

გაიოზი ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდ როლს ანიჭებდა თელავის სემინარიას. გაიოზი და მისი თანამედროვენი, რომლებიც ერეკლე II-ის ხელმძღვანელობით მოღვაწეობდნენ, არ ზოგავდნენ ძალას, რათა თელავის სასულიერო სემინარიაში, მაშინდელ მეცნიერების ამ ტაძარში, აღზრდილიყო სამშობლოსათვის სასახელო მომავალი თაობა. „... ვითარი სიხარული გმართებთ ხედვად ყოვლად უსამღვდელოესისა ამის ადგილისა (თელავის სემინარიისა — მ. დ.), რომელსაცა შინა... სათნოდ კაცთა აღიზრდებიან შვილნი და შვილისშვილნი თქვენნი და მომავალნი ნათესავნი“<sup>687</sup>, — წერდა გაიოზი. მას სწამდა, რომ თელავის სემინარიის გახსნით უდიდესი ეროვნული საქმე გაკეთდა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო დიდ ნაყოფს გამოიღებდა. სწორედ ამ მიზნით ღებულობდნენ იქ „ახალ ნერგებს“, რათა მათთვის ბავშვობიდანვე შეეყვარებინათ „წერილის კითხვა და სწავლა“. „რომლითა დღეცა თქვენ შვილთა და შვილი-შვილთა და მომავალთა ნათესავთა განგრძელდეს ბედნიერობითსა და ... კეთილობასა შინა, ნამდვილ რწმუნებულ ვარ მე ამას შინა, ვითარმედ გვარობითი ეგე ერთ-

<sup>687</sup> ტურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 113.

გული და სიჩქოთგანვე ამას შინა წურთილება თქვენი უმეტეს საიმედო არს ჩვენ მიერ“<sup>638</sup>.

ნ. სწავლების არსი. ამ საკითხის გარკვევისას ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, საგულისხმოა გაიოზის შეხედულებანი სკოლის სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესახებ.

გაიოზი პირველ პლანზე აყენებდა მანათლების შინაარსისა და მისი მოცულობის განსაზღვრას. იგი მოითხოვდა მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების დონის მათვალისწინებას სკოლის სასწავლო გეგმების შედგენის დროს.

გაიოზ რექტორის დამსახურებაა თელავის სასულიერო სემინარიის სასწავლო გეგმის შედგენა და მისი პედაგოგიური დასაბუთება. მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული გაიოზი ანტონ I-თან ერთად ამუშავებს თელავის სასულიერო სემინარიის ორგანიზაციის პროექტს. პირველ რიგში საჭირო იყო სასწავლო გეგმის შედგენა. გაიოზს ხელთ ჰქონდა მოსკოვის სასულიერო აკადემიის, კიევ-მოგილიოვის აკადემიისა და მოსკოვის სლაფურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის სასწავლო გეგმები. ამ უკანასკნელში სწავლება წარმოებდა ჯერ ბერძნულ, ხოლო შემდეგ ლათინურ ენაზე. სასწავლო კურსის საფუძველი იყო შვიდი თავისუფალი ხელოვნება, ამასთანავე საერთო საგნების სწავლება ღვთისმეტყველების ინტერესებს ემსახურებოდა. საერო მეცნიერების საფუძვლების სწავლება ჯერ კიდევ სქოლასტიკის დიდ გავლენას განიცდიდა.

თელავის სემინარიის სასწავლო გეგმით, რომელიც გაიოზ რექტორის მიერ იყო შედგენილი, შემდეგი საგნები ისწავლებოდა: ქართული ენა, ბერძნული ენა, ლათინური ენა, გრამატიკა, რიტორიკა, კატეხიზისი, ფიზიკა (მეტაფიზიკითურთ), ფილოსოფია, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, იურისპრუდენცია, თეოლოგია. ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე. სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო სემინარიის მსმენელთა წლიური, კვირეული და ყოველდღიური დატვირთვა. გაიოზის აზრით, მოსწავლეთა სასწავლო მეცადინეობა არ უნდა აღემატებოდეს მათი ასაკობრივი და გონებრივი განვითარების შესაძლებლობას.

<sup>638</sup> ქურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 113.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყოველ საგანს, გაიოზის აზრით, თავისი დანიშნულება და ამოცანა აქვს. დიდი მნიშვნელობის შქონე პედაგოგიურ მოვლენად მიაჩნდა მას სასწავლო საგნების განაწილება სემინარიის მასწავლებელთა შორის. სემინარიის რექტორი ასწავლიდა გრამატიკასა და ღვთისმეტყველებას, პრორექტორი — ფილოსოფიას, ფიზიკას (მეტაფიზიკითურთ) და მათემატიკას.

თავის დიდაქტიკურ შეხედულებებში გაიოზ რექტორი უდიდეს როლს უთმობდა სახელმძღვანელო წიგნების საკითხს. წერილი (წიგნი), გაიოზის შეხედულებით, უნდა იწვევდეს აღსაზრდელ თაობაში კეთილი აზრებისა და გრძნობების გაღვიძებას, ზოლო მისი შინაარსი აზრისა და გონების გამდიდრების საფუძველი უნდა იყოს. გაიოზი მიუთითებდა, რომ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის აუცილებელია ორი პირობა: მოწესრიგებული პედაგოგიური გარემო და მოსწავლის უახლოესი მეგობრები — წიგნები.

გაიოზ რექტორი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ცდილობდა ქართულ ენაზე გადმოეღო ისეთი წიგნები, რომელთა წაკითხვის შედეგადაც აღსაზრდელები ჩამოყალიბდებოდნენ ჯანსაღი სულის ადამიანებად, ამა თუ იმ თხზულებაში ამოკითხული დადებითი გმირების მიმდევრებად.

„... და ვინათგან წერილი არს წარმომადგენ ჰაზრისა და გონიერებითისა ვითარებისა პირისა მის, რომელსაცა აღუწერიეს იგი, ანუ უქმნიეს იგი, ვინა წერილის მოყუარება (ვიტყვი წერილის, მპყრობსა თვით შორის კეთილისა თანამდებობისა ჰაზრთასა) არს ქცეუა კეთილთა კაცთათანა, ვინა წერილის მოყუარება ისწავლის კეთილსა ჩვეულებასა“<sup>333</sup>, — წერდა გაიოზი.

წერილის (წიგნის) კითხვა გაიოზ რექტორს მიაჩნდა ავტორთან მეგობრულ გასაუბრებად, რომელიც ეხმარება მკითხველს, აწვდის მას საღ აზრებსა და კეთილ რჩევას; კარგი წიგნის ავტორის ბრძნული რჩევის ათვისების შედეგად მოსწავლის პიროვნება ბედნიერად და კარგად ცხოვრებას. გაიოზი აღნიშნავს: „და ვინათგან კითხვა წერილთა არს მეგობრობითი შექცევა მის პირისა თანა, რომლის მიერცა ქმნილ არს იგი და ვითარმედ მქცეველი კეთილთა მეგობართადმი ისწავლის კეთილსა ქცევასა, მაშა რაოდენ უფროს თანა გვაცს ეს-

<sup>333</sup> ხელნ. ინსტ. Q—251 (ფ. 7).

რეთთა წიგნთა კითხვანი, რომლისა შიერ ვისწავლით ბედნიერათ ცხოვრებასა“<sup>640</sup>. მეტიც, გაიოზს წიგნის კითხვა „ყოველსა ღროსა და საქმესა შინა“ კეთილის მასწავლებლად მიაჩნდა. როგორც თავისი, გაბატონებული კლასის წარმომადგენელი და იდეოლოგი, ბუნებრივია, გაიოზი „წიგნის კითხვის“ ღარგშიც ვერ ასცდებოდა ამ კლასის ინტერესებს, თუმცა მას ყურადღება გამახვილებული აქვს იმაზეც, თუ „წიგნის კითხვა“ ვის, როგორ და რაში გამოადგება. ის წერს:

„... კითხვა წერილთა მეფეთათვის არს მმართველ სკიპტრისა, სპასხეტთა კანონი სპათა მყვანელობისა, მხედართა განმამხნობელ მარჯვეთ საქურველთ ხმარებასა შინა, აზნაურთა კეთილად დამცველი გვარობითისა თანამდებობისა, მონათა ხელით მძღვანი მსახურებისაღმძი უფალთა თვისთასა, გონიერთა აღმძვრელი კეთილისაღმძი საქმისა, შეცდომილთა მართლისა გზისა მაჩვენებელი, განწირულთა ნუგეშისმცემელი, გლახაკთა სიმდიდრე, მდიდართა კეთილი მნე, განსაცდელთა შინა მყოფთა უიმედოვნესი მოყვასი“<sup>641</sup>. გაიოზის ღრმა რწმენით, აღამიანი, რომელიც დაუფლებულია „წერილის“ კითხვას, უყვარს ის და მიაჩნია თავისი ცხოვრების თანამგზავრად და განუყოფელ ნაწილად, არის „... ამალლებულ, განძლიერებულ, განმშვენიებულ, განმხნობილ, განმდიდრებულ, განდიდებულ, და ყოველთა კეთილითა სრულებითა სავსე: რომელსა ასხნენ ყურნი სმენად ისმინონ“<sup>642</sup>.

ყოველი წიგნი, გაიოზის აზრით, განკუთვნილია „... სამხილებლად და განსამართლებლად და სასწავლებლად სიმართლისა“<sup>643</sup>. მას ზიზღავდა ის პიროვნებები, ვინც მეცენატობდა სწავლასა და აღზრდას. ამით უნდა აიხსნას, რომ გაიოზი აიღიალებდა პეტრე პირველს, რომელმაც დაამკვიდრა სწავლა თავის ქვეყანაში, და ერეკლე II-ს — წიგნისა და აღზრდის ტრფიალს. „... კვალად ვიტყვი ნეტარ არს კაცი შემწყნარებელი სწავლისა მისისა და მოქმედი ეგრეთ“<sup>644</sup>.

გაიოზ რექტორი ყოველ სასწავლო დისციპლინას და სწავლას საზოგადოდ დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა. „არ არს ეჭვი ამას შინა“, წერდა იგი, — ვითარმედ კეთილი ზრდილები და კე-

<sup>640</sup> ხელნ. ინსტ. Q—251 (ფ. 8).

<sup>641</sup> ი ქ ვ ე.

<sup>642</sup> ი ქ ვ ე.

<sup>643</sup> ი ქ ვ ე. Ը—378 (გვ. 5—6).

<sup>644</sup> ი ქ ვ ე. Q—251 (ს. 7).

თილი ჩვეულება კაცობრივისა ნათესავისა დამოკიდებულ არს ჭეშმარიტებითსა მეცნიერებასა ზედა“<sup>645</sup>. მას სჯეროდა, რომ თუ მეცნიერების დარგები განვითარებულია და მეცნიერების სწავლება მაღალ დონეზე დგას, შედეგი სასურველი იქნება, მოსწავლეები მიიღებენ ზრდილობასა და კეთილ ზნე-ჩვეულებასთან შერწყმულ ცოდნას.

„მაშა თუ უკეთუ სწავლანი მეცნიერებითნი (რომელნიცა აღანთებენ გონებასა შინა სანთელსა მცხადსა ყოვლისა ჭეშმარიტებისასა) მოაკლდებიან მფარველობასა და განმხნობასა, ცუდ და უსარგებლო იქნებიან მისთვის დიადი სიმრავლენი მოსწავლეთანი და დიდ შუენიერნიცა შენებულებანი“<sup>646</sup>, — მიუთითებდა გაიოზი.

მეცნიერების დაუფლება, გაიოზის რწმენით, აღაფრთოვანებს ადამიანს, აღუძრავს საურვილსა და მისწრაფებას — კიდევ უფრო ღრმად დაეუფლოს ცოდნის წყაროს, ხოლო სწავლისადმი ყურადღების მცირედი შესუსტებაც, მისი თვითდინებაზე მიშვება სავეალალო შედეგს გამოიღებს, რომელსაც ვერ უშველის „სიმრავლენი მოსწავლეთანი“ და „შუენიერნიცა შენებულებანი“. გაიოზის აზრით, სწავლა და მეცნიერება სინათლის წყაროა, ხოლო სწავლის საქმისადმი და მეცნიერული ცოდნის გაღრმავებისადმი ყურადღების შესუსტებას შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოჰყვეს, როგორცაა უმეცრება, უკულტურობა და ზნეობრივი დაცემა, „ვინაიდგან დამრტების ალი წადილისა და განელდების სახმილი კეთილისა“<sup>647</sup>.

გაიოზ რექტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიური ენის სწავლებას, რადგანაც „ყოველთა მათ ნიჭთა შორის კეთილშობილთა, რომლითაცა პატროსნებს კაცი სხუათა ცხოველთა ზედა, არს სიტყუა“<sup>648</sup>. ენის გარეშე არც მეცნიერული ცოდნის გავრცელებაა შესაძლებელი და არც მეცნიერების მიღწევებით გონების გამდიდრება-განვითარება. გაიოზი პირდაპირ მიუთითებს: „ამისათვის რათა პაზრი თვისი აზიაროს სხუათა. რათა იგი რაიცა აქუს გონებასა შინა გამოუცხადოს სხუასა და შეამეცნოს მას იგი: სარგებლობა ამისა ესოდენ დიდი არს რაოდენცა აწ განვრცელდების მეცნიერება პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა. ფრიად უკუე ვიწროსა შინა ზღუდესა შეიწყუდეოდა, უკეთუ თვითეული კაცი ვერ შემძლებელ იქნებოდა

<sup>645</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (11r).

<sup>646</sup> ი ქ ვ ე.

<sup>647</sup> ი ქ ვ ე, (4r).

<sup>648</sup> ი ქ ვ ე, (7r).

შემეცნებად ჰაზრისა თვისისა სხუათადა“<sup>649</sup>. ენის მნიშვნელობის ასეთი შეფასება გაიოზის დაჰსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამასთან იგი გამსაკუთრებით ეხება გრამატიკის საკითხებს და მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამს: „უქანასკნელ ვიტყვი, ვითარმედ ღრამატიკა არს ჰაზრი ფილოსოფოსებრი, და ვინაითგან ღრამატიკასა შინა აქვსო ყოველთა ცნობათა ესოდენი საჭიროება, ამისათვის დასაბამად ყოველთა ცნობათა დაუღვიესო ბრძენთა ვითარცა კარი ყოვლისა სიტყვიერებითსა ცნობისა“<sup>650</sup>.

გაიოზის გაგებით, გრამატიკა ფილოსოფიური აზრია, რომელიც თან ახლავს ადამიანის მეტყველებას, განსაკუთრებით კი — რიტორიკას. რიტორიკა მოითხოვს სისხარტეს, სიცხადესა და სიტყვის კეთილხმოვანებას. რიტორიკისა და გრამატიკის გარეშე ფილოსოფოსი — გაუგებარი, ისტორიკოსი — მომაბეზრებელი, ღვთისმეტყველი — საეჭვო, ხოლო მოსამართლე უსარგებლო რჩება. ყველას სჭირდება გრამატიკა, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც საქმე აქვს სიბრძნესთან. როგორც ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი ივეასწავლისო, — დასძენს გაიოზი, გრამატიკა ყოველგვარი მოქმედებისა და აზროვნების დასაყრდენია.

8. სწავლა-აღზრდის მეთოდები. გაიოზის დიდაქტიკურ შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწავლა-აღზრდის მეთოდების საკითხს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაიოზი ღიდ ყურადღებას უთმობს საჯარო დისპუტების მეთოდის გამოყენებას და ასაბუთებს მის საჭიროებას<sup>651</sup>. გაიოზის ხელმძღვანელობით სემინარი-

<sup>649</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (7r).

<sup>650</sup> ი ქ ვ ე.

<sup>651</sup> ყველაზე საინტერესო და მიზნიღველი ფორმა, რომელიც გაიოზ რექტორის ინიციატივით დაინერგა პირველად, ხოლო შემდეგ ღრმად გაიდგა ფესვი და ტრადიციად იქცა, საზეიმო შეკრებები იყო, სადაც სემინარისტები დისპუტებსა და პაექრობებში მონაწილეობდნენ. მართალია, ეს ღონისძიებანი, როგორც წესი, სასწავლო წლის ბოლოს ტარდებოდა. მაგრამ სასწავლო წლის განმავლობაში სათანადოდ იყო გაშლილი მუშაობა საზეიმო შეკრების ღირსეულად ჩატარებისათვის. მას ესწრებოდნენ ფართო საზოგადოებრიობა და სამეფო კარის წარმომადგენლები ისტორიამ შემოგვიჩახა რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, თუ გაიოზ რექტორის ინიციატივით როგორ ტარდებოდა ღიდი დღესასწაულები თელავის სემინარიაში. დისპუტებისა და პაექრობების ძირითადი მიზანი იყო სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შეჯამება-შემოწმება, რომელიც ეწყობოდა ამა თუ იმ საგნის სრული კურსის მოსმენის შემდეგ.



ის ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო განყოფილებაზე ეწყობო-  
და საჯარო დისპუტები. საჯარო დისპუტების მეთოდის გამოყენებით  
მეცადინეობა ასე იყო წარმოდგენილი: ღვთისმეტყველების განყო-  
ფილების მსმენელები ადგენდნენ ქადაგებას და ფილოსოფოს-რიტო-  
რების თანდასწრებით წარმოთქვამდნენ მას ზეპირად. თავის მხრივ  
ფილოსოფიის განყოფილების მსმენელები წარმოთქვამდნენ მათ მიერ  
ქართულ და ლათინურ ენაზე შედგენილი სიტყვის ტექსტს. თეოლოგე-  
ბისა და რიტორთა თანდასწრებით. ამ მიზნით რიტორიკის მასწავლე-  
ბელი ასწავლიდა ორივე განყოფილების მსმენელებს სიტყვებისა და  
ქადაგების ტექსტების შედგენას, ამ ტექსტების გაზეპირებას. აკით-  
ხებდა მოსწავლეებს ციცერონის გამოსვლების ტექსტებს და ამავე  
დროს ქართულ ენაზე ასწავლიდა მათ მსოფლიო ისტორიას. პოე-  
ტიკის მასწავლებელი კითხულობდა რიტორიკის კურსს და მეცნიე-  
რებას ლათინურ და ქართულ ენაზე ლექსების შეთხზვის შესახებ.  
გრამატიკის მასწავლებელი სხვადასხვა სახის ვარჯიშის გამოყენებით  
ასწავლიდა ქართული და ლათინური ენების გრამატიკას და ა. შ.

ამრიგად, საჯარო დისპუტების მეთოდი გამოყენებული იყო თითქ-  
მის ყველა სასწავლო საგანში. მოსწავლეთა წარმატების შეფასებას  
ახდენდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალხარისხოვანი შინა-  
არსის ქადაგებას ან სიტყვას წარმოთქვამდა მოსწავლე, როგორ შეძ-  
ლებდა წამოყენებული დებულებას დამტკიცებას, ოპონენტის და-  
მარცხებას და ყოველი სიტყვისა თუ ფრაზის მკვერამეტყველურად  
გამოთქმას.

აქედან გამომდინარე რექტორის კონტროლით შესაბამისი საგნის მასწავლებლები ატა-  
რებდნენ. საზეიმო შეკრება მათი მუშაობის შეფასებაც იყო. აღნიშნული ფორმის  
დანერგვით გაიზო რექტორი ორ ძირითად მიზანს აღწევდა: პირველი, იწვევდა სე-  
მინარიტთა უდიდეს დაინტერესებას შეკრებებით, მეორეც, აღსაზრდელებს უმუ-  
შედებოდათ მასუბისმგებლობის გრძნობა აღმზრდელი კოლექტივისა და, განსა-  
კუთრებით, დამსწრე საზოგადოების წინაშე.

თელავის სემინარიის საზეიმო შეკრებების შესახებ საინტერესო ცნობა შემო-  
გვინახა გაიზო რექტორის შემეცელემა და მის მიერ დანერგილი ტრადიციების  
ლირსეულმა გამგრძელებელმა დავით რექტორმა: „...იქნა შემოკრება აქაურთა ჩი-  
ნებულთა სემინარიად, უთქვამთ გალობით მეუფეო ზეცისაო“, რის შემდეგაც  
„წერილთა სემინარიტთაგან ითქვა სიტყვა განცვიფრებით“ (ხელნ. ინსტ. H—  
2291) — ხოლო რექტორის გამოსვლის შემდეგ კვლავ „...ითქვენ საუბრით სემინა-  
რისტთაგან ურთიერთისადმი ჰაზრანი, სტიხით, იამბეკურათ ქმნილინი“ (ქურნ. „ივე-  
რია“, № 8, 9, 10, 1881, გვ. 110). შეკრებაზე სემინარისტთა რამდენიმეჯერ გამოსე-  
ლის ფაქტი მიგვითითებს, რომ შეკრება წინდაწინ იყო დაგეგმილი.

გაიოზი სემინარისტებს აძლევდა, საჯარო დისპუტებში მონაწილეობისა და წამოყენებული თეზისების საფუძვლიანად დაცვის საკუთარ ნიშნულს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი სიტყვის ტექსტი „გრამატიკული აზროვნების სარგებლიანობა, შესახებ“, წაკითხული სემინარიის მსმენელთათვის და წარმოდგენილი საჯარო განხილვის ობიექტად<sup>652</sup>.

აღნიშნული მეთოდის გამოყენების საქმეში მსმენელებს დიდ დახმარებას უწევდა ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული ისეთი წიგნები, როგორც იყო ანტონ პირველის „ქართული ენის გრამატიკა“, გაიოზის „ქართული ენის გრამატიკა“, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია და გეოგრაფია“, მისივე „გეოგრაფიის მოკლე კურსი“, არისტოტელეს „კატეგორიები“, ბაუმისტერის „ლოგიკა“, მისივე „მეტაფიზიკა“, ვოლფიუსის „ფიზიკის კურსი“, დ. ჩერქეზიშვილის მიერ სომხური ენიდან თარგმნილი „რიტორიკა“, ბაუმისტერის „ეთიკა და ფილოსოფიის საზღვრები“, ანტონ პირველის „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი“, მისივე „ღვთისმეტყველების“ ოთხტომეული და მრავალი სხვა.

საჯარო პაექრობისათვის მომზადება ყოველი მსმენელი საგან აქტიურ დამოუკიდებელ მუშაობას მოითხოვდა და, რაც მთავარია, იგი ხელს უწყობდა მათი აზროვნების განვითარებას.

საჯარო დისპუტები გაიოზს, ცხადია, არ მიაჩნდა სწავლების ერთადერთ მეთოდად. მისი აზრით, სწავლებაში გამოყენებულ უნდა იქნეს ლექცია, თხრობა, საუბარი, განმარტება და სხვა მეთოდები.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმად გაიოზს საკლასო გაკვეთილი მიაჩნდა და კოლექტიურ მუშაობას კლასთან

<sup>652</sup> გაიოზ რექტორის სიტყვის ტექსტი, რომლის თეზისები 12 მუხლისაგან შედგებოდა, წინასწარ ცნობილი იყო სემინარისტებისათვის. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ მათ თეზისების ირგვლივ გაუმართავეთ დისპუტი, რომელიც ერთდროულად მათი ცოდნის დონისა და მომზადების შემოწმების საშუალებაც იყო. საგულდისხმოა, რომ სემინარისტების პასუხიც 12 მუხლისაგან იყო შედგენილი, ე. ი. თითოეულის სიტყვა-პასუხი მიზნად ისახავდა გაიოზის თეზისის განმარტება-დამტკიცებას (სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, ტ. 1, თბილისი, 1937, გვ. 25).

საყურადღებოა, რომ გაიოზ რექტორი იყენებდა სემინარისტთა ცოდნის გამოძიების მრავალ ფორმას. ერთ-ერთი მათგანია „კითხვა-მიგება“ ანუ დიალოგი. „მერმე ითქვევე სემინარისტთაგან კითხვა-მიგებით ჰაზრი შექმნისათვის სოფლისა და ნიეთთა და სხვათა“ (ქურნ. „ივერია“ № 8, 1881, გვ. 113).

უპირატესობას ანიჭებდა სწავლებლის ინდივიდუალურ სისტემასთან შედარებით. იგი ასაბუთებდა სასკოლო განათლების უდიდეს როლს და სკოლის ხელმძღვანელობის სახელმწიფოს ხელში გადაცემის აუცილებლობას.

კლასში, გაიოზის აზრით, მასწავლებლის ან მოსწავლის მიერ უნდა იკითხებოდეს ის წიგნი, რომელიც ყველა მოსწავლეს აქვს. წაკითხულს თან უნდა მოჰყვეს მასწავლებლის ახსნა-განმარტება. წაკითხული და ახსნილი მოითხოვს ფიქსირებას, ჩაწერას. ჩაწერის დროს აუცილებელია ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოყოფა. დასკვნები, კანონები, ფორმულები საჭიროა ჩაიწეროს მსხვილი შრიფტის გამოყენებით. სასწავლო მასალის უკეთ დამახსოვრებისათვის მიზანშეწონილია ზოგჯერ მნემონიკური ხერხის გამოყენება. ამასთან ერთად მასწავლებელმა პირველ რიგში უნდა მიმართოს არა იმდენად მოსწავლის მეხსიერებას, რამდენადაც მის გონებას და ორიენტაცუა აიღოს სასწავლო მასალის არა მარტო დახსომებაზე, არამედ გაგებაზე. მასწავლებლისათვის წაყენებული ეს მოთხოვნები, რომლებიც დასაბუთებულია გაიოზის შრომაში „მოსწავლის სწავლებლის შესახებ“, უაღრესად პროგრესული იყო თავისი დროისათვის.

გაიოზ რექტორს მოსწავლეთა წახალისების სხვადასხვა ფორმა ჰქონდა გამოყენებული თელავის სემინარიაში, ეს იყო სემინარისტების გამოსვლები საჯარო პაექრობებისა და დისპუტების დროს, წარჩინებული მოსწავლეები პირველ რიგში იღებდნენ მონაწილეობას სამეფო გვარის წარმომადგენლებთან შეხვედრაში, რომლებიც სემინარიის ხშირი სტუმრები იყვნენ<sup>653</sup>. გაიოზ რექტორის დროინდელი სე-

---

<sup>653</sup> თელავის სემინარიაში სტუმრად მოსულ სამეფო კარის წარმომადგენლებს რექტორის შერჩევით იამბიკოთი მიმართავდნენ სწავლაში წარჩინებული სემინარისტები. დავით რექტორი გვაწვდის ცნობებს სტუმრისადმი იამბიკოს მიძღვნის შესახებ: „როდესაც ღრამბატეას ვკითხულობდი და პატარა ვიყავ და მაშინ დიდმა კათოლიკოსმან მეფის იესეს ძემან ანტონი მიბრძანა მისი სიმაღლის ირაკლის ქება, იამბიკოთი ქსთქვიო და მაშინ ვსთქვი“ (ხელნ. ინსტ. S—105, გვ. 11). ზოგჯერ სემინარიის რექტორი თვით უწერდა იამბიკოებს მოსწავლეებს: „ესენი მე, ალექსის ძემან რექტორმან დავითმან გაუუკეთე ჩემს მოწაფეთ თელავს ქალაქსა და სემინარიასა შინა, მეფის ირაკლის შესხმად. ახლად იყვენ დამწებნი პირველის ნაწილის ღრამბატეოსანი“ (ხელნ. ინსტ. S—195, გვ. 95). ამგვარად, რექტორი, სანამ სემინარიელები სათანადო ცოდნას შეიძენდნენ, აჩვენებდა მათ იამბიკოების წერას, ამ მიზნით პირველ ხანებში ეხმარებოდა კიდევ. იამბიკოთი სტუმრების შეხვედრა თელავის სემინარიაში პირველად გაიოზ რექტორმა დანერგა: „...თქვე-

მინარია მართო თავისი პირდაპირი დანიშნულებით არ იფარგლებოდა, არამედ მოსწავლეთა მეცნიერულ მომზადებათან ერთად მოსახლეობის საერთო განათლებასაც მესვეურებდა. ამას ადასტურებს სემინარიაში დაკანონებული საჯარო იამოცულები, პაექრობები და დისპუტები, რაც უმთავრესად ცოდნის პოპულარიზაციით განისაზღვრებოდა და, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

გაიოზ რექტორის დიდაქტიკური შეხედულებანი ორგანულ კავშირში იმყოფებოდა მის მოსაზრებებთან პიროვნების აღზრდის მეოთხედებისა და საშუალებების შესახებ.

პიროვნების ფორმირებაში გაიოზი სათანადო აუდილს უთმობდა აღმზრდელის (მშობლების, მასწავლებლების) პირად მაგალითს, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა აღმზრდელის ავტორიტეტს. პიროვნების ისეთი თვისებები, როგორცაა ნებივრობა, განცხრობა, პირმოთნეობა, მლიქვნელობა, უკმეხობა, გაუტანლობა და სხვ. აღსაზრდელზე აღმზრდელის პირადი მაგალითით ზემოქმედების შედეგია. თუ აღმზრდელი უწყინარი, თავდადებული, შრომოსმოყვარე, გამტანი, გულისხმიერი, თავშეკავებული, პირუთვნელი, სამართლიანი და პირდაპირია თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაშინ მისი პირადი მაგალითი ბავშვზე უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე მისი მკვევრმეტყველური ლაპარაკი და ჭკვიანური დაროებები.

გაიოზ რექტორს ღრმად სწამდა, რომ ყოველი კეთილი ქცევის ადამიანის ცხოვრება შეიძლება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში მაგალითად გამოდგეს. ამდენად ჩვენთვის საინტერესოა მისი შემდეგი სიტყვები: „ხოლო ვინათგან მომეხსენების მე სიტყვა იგი ბრძნისა სოკრატისა, ვითარმედ, ვისცა კეთილთა კაცთადმი აქუს ქცევაი, ისწავლის ჩვეულებასა, მცხოვრები ბოროტთა თანა, წარწყმედს უკანასკნელსაცა გონიერებასა თვისსა“<sup>834</sup>. მისი აზრით, ბოროტი საქმის ათვისება და მისი ზიარება არ არის ძნელი; ბოროტებამდე მისე-

---

ნენ საუბრით სემინარისტთაგან ურთიერთისადმი პაზრნი, სტიხით იამბიკურად ქმნილნი“ (ე. „ივერია“ № 8. 9, 10, 1881, გვ. 110.), რომელმაც შემდგომ უფრო ფართო სახე დაეთო რექტორის დროს მიიღო. სემინარიის მოსწავლეები, რომლებიც გამოიჩენდნენ თავს სტუმრის წინაშე, განსაკუთრებით ერეკლე II, ანტონ-კათალიკოსისა და სამეფო კარის სახელულობის წინაშე, რექტორის საჯარო შექებასა და კილდოს იმსახურებდნენ — 8. დ.

<sup>834</sup> ხელნ. ინსტ. Q—251 (ფ. 7).

ლა „არა შორს არს“ და მასთან მისასვლელად „ვაკე არს გზა მისი“, ხოლო „...კეთილისა საქმისა გზაი არს სავესე მახითა, გრძელ და ძნიად სავლელ. ესრეთ რომელთა ჭერარს რათა მას ზედა მავალმან დასთხიოს მრავალი ოფლი, ვიდრემდის მისწვდეს სიმალღესა მისსა, და ოდეს აღვალს, დაავიწყდების ყოველი სასჯელი და განსაცდელი, და მერმე გაუადვილდების მას ზედა სლვაი“<sup>656</sup>. ეყრდნობოდა რა ამ დებულებას, გაიოზა მხედველობაში ჰქონდა ქცევის ნორმების დაუფლება, ამ დაუფლების გზაზე არსებული უდიდესი სიძნელებები და „ოფლის ღერა“

გაიოზის აზრით, აღამიანმა რომ ისწავლოს, ამისათვის საჭიროა დაუზარებელი, მუყაითი და ენერგიული შრომა „... არა ერთითა წარკითხვითა მიეცნეთ დაზარებულებასა, არამედ წარიკითხოთ მუნამდე მრავალგზის, ვიდრე მდე მეხსიერებასა შინა იპყრათ მოძღვრება მისი ესრეთ რომელ დროსა შემთხვეულთა საქმეთასა, ოქროსა სწავლისა თვისისა დეზითა განგაღვიძებდესთ, ბედნიერებით დასრულები-სათვის საქმისა მისს“.<sup>657</sup>

გაიოზს სწამდა, რომ „...კეთილი ზრდილობა და კეთილი ჩვეულება კაცობრივისა ნათესავისა დამოკიდებულ არს მეცნიერებასა ზედა“<sup>657</sup>, მაგრამ მეცნიერებას რომ ეზიაროს მოზარდი, ამისათვის საჭიროა სკოლასთან ერთად შესაფერისი საოჯახო გარემო ჰქონდეს, რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის დაუფლებაში.

გაიოზი სემინარიის აღსაზრდელებს იმ ნერგებად მიიჩნევდა, რომლებიც მომავალი ნათელი და მშვიდობიანი ცხოვრების საფუძვლად, ფესვმაგარ მუხებად უნდა გადაიქცნენ. გაიოზი თავისი პირადი მავალითით აღანთებდა ახალგაზრდობაში სიყვარულსა და წყურვილს სწავლისადმი, შრომისადმი, კეთილკაცობისადმი, ზრდილა მათში სამშობლოს სიყვარულს და მისთვის თავდაღების მისწრაფებას. იგი თავის მოწაფეებს მოუწოდებდა, რომ ჰყვარებოდათ თავისი სასწავლებელი. სრულყოფილად დაუფლებოდნენ ცოდნას, გამხდარიყვნენ დიდ წინაპართა საქმეების ღირსეული გამგრძელებელნი, მიზნად დაესახათ თავდაუზოგავი შრომა მეცნიერების დარგების ასათვისებლად, რაც მათი ქვეყნის კეთილდღეობის უტყუარი საწინდარი იქნებოდა.

<sup>656</sup> ხელნ. ინსტ. Q—251 (ფ. 7).

<sup>657</sup> ი ქ ვ ე.

<sup>657</sup> ი ქ ვ ე, H—2291 (11r).

ის სემინარიის მოსწავლეებს მოუწოდებდა: „განშვენდით ყოვლად ძვირფასითა ამით სიბრძნის სწავლულებითა, დანერგეთ ესე გონებასა და გულსა შინა თქვენსა, დაიცავით საუნჯე ესე დიდფასი, იღვაწით სლვად ყოვლად-დიდებულისა ამას გზასა ზედა, განაშვენეთ სდგილი ესე საღმრთო წმინდითა ჭკვევითა თქვენითა, თანა მოღვაწე ექმენით ყოვლად დიდებულსა ამას გზასა ჰაზრსა ზელმწიფისა ჩვენისასა, ჰყავით თავი თქვენი სიბრძნისა შემკულებითა ნუგეშად მამობრივისა გულისა მისისა“<sup>658</sup>. „განჰსკიბეთ მკლავი გონებისა თქვენისა მოუ-მედგრებლად აღჭმისათვის სიბრძნისა“<sup>659</sup>.

---

<sup>658</sup> იურნ. „ივერია“ № 6, 1881, გვ. 114.

<sup>659</sup> ხელნ. ინსტ. H—2291 (12r).

**Мамия Дементьевич Дарчия**  
**РЕКТОР ГАИОЗ**  
**(жизнь и деятельность)**  
**(на грузинском языке)**  
**Издательство Тбилисского университета**  
**Тбилиси 1987**

გამომცემლობის რედაქტორი **ც. ჭიშკარიანი**  
რექრედაქტორი **ი. ხუციშვილი**  
კორექტორი **ე. თოფჩიაშვილი**

სბ 1051

ქალაქის ფორმატი 60×90/16.

ნაბეჭდი თაბახი 12,75.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,9.

შეკვეთა +15ა ტირაჟი 3000.

ფასი 1 მან. 40 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრსპ., 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა,  
თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.  
Типография АН Груз. ССР,  
Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.